

111
1966/3.

ႁႆႆႆႆႆႆႆႆ

ႆႆႆႆႆႆႆႆ
ႆႆႆႆႆႆႆႆ

1966 12

პნათობი

საქართველოს
ინტელექტუალური
ცენტრის

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე

№ 12

დეკემბერი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მისაღმემა ამანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრევენევისადმი	3
ბრძანებულება	4
ზერგი ჭილაია — ვკატერინე ქავეკავაძე, ქრონიკა, წიგნი მეორე, დასასრული	5
ალიო შირცხულავა — სოსანი, ლექსი	37
ელისბარ შაისურაძე — დაკარგული ოცნება, რომანი, წიგნი მეორე, დასასრული	39
თამაზ ჭილაძე — ახალი ლექსები	76
პერბერტ ფელსი — აღმასების ოსტატი, მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმანა ზურღან გემაზაშვილმა	81
ქერომ სელინჯერი — სვედიანი სიმღერა, მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმანა ვახტანგ ქელიძემ	84
თენგიზ გოგოლაძე — თავმჯდომარე, მოთხრობა	98
კალევალა — ფინური ეპოსი, თარგმანი შურღან მაკავაძისა	117

სხვ შოთა რუსთაველი 800

ნოდარ ნათაძე — რუსთაველი და ქართული რენესანსის პრობლემა	123
შალვა გოზალიშვილი — დავით ჩქობტან უცნობი წერილები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ	136

კრიტიკა

ტ. ლომთაძე — შვენიერების გრანობა ირაკლი აბაშიძის პოეზიაში	145
პროკოფი რატიანი — ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ვეოლუციის საკითხისათვის, დასასრული	153
აყი ბაქრაძე — თარგმანის მაღალი კულტურისათვის	169
კაკო ვასაძე — თანამედროვე ლექსის წერის კულტურის საკითხები	172

წიგნების მიმოხილვა

ვ. არტემიძე — ფოლადის ქალაქის ქრონიკები	181
ნ. რუხაძე — ფრ. შიღერის რჩეულის სამტომეული	183
გივი ლომიძე — რომანი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე	185
ფურნალ „მნათობის“ 1066 წლის ნომრების შენაარსი	188

10231

10231



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამესარ-
დაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრა-
ძე, ბ. ყლენტი, ა. ხულაკაური, ა. ქუთა-
თელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შან-
შიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩაკვატაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 2-55-11, პ/მგ.
მდივნის — 2-55-13, განყოფილებების — 2-55-15,
2-55-17, 2-55-20.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 26/XII-66 წ. ქა-
ლალის ზომა 70×108. ანაწილის ზომა
7 1/4×12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

უც 03408. ტირაჟი 6300. შეკვ. № 4335.

საქ. კვ ც/ის გამოცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



აგხანავ ლეონიდ ილიას-კე ბრეჟნეჟს

ქვირფასო მშობარო და ახანანო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან და გულითადად გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამომჩენილ მოღვაწეს — თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თქვენ იბრძვით ჩვენი ლენინური პარტიის დიადი საქმისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის. აქტიურად იცავთ რა პარტიის გენერალურ ხაზს, თქვენ განვლეთ დიდი ცხოვრების სკოლა და შეიძინეთ მრავალმხრივი პოლიტიკური გამოცდილება. პირველი ხუთწლეულების წლებში, იყავით რა ხელმძღვანელ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე, თქვენ ბევრ ძალას ახმარდით სოციალისტურ მშენებლობას, იყავით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

პიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელის პერიოდში, მეთაურობდით რა არმიის პოლიტიკურ განყოფილებასა და სამხრეთის და უკრაინის მე-4 ფრონტების პოლიტიკურ სამმართველოს, უშუალო მონაწილეობას იღებდით საბრძოლო ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში, განვლეთ ისეთი ისტორიული ბრძოლები, როგორც იყო ბრძოლა კავკასიისათვის, ყირიმის, უკრაინის განთავისუფლებისათვის საბჭოთა არმიის მებრძოლები და მეთაურები თქვენ გიცნობენ როგორც შესანიშნავ პოლიტიკურ მუშაკს, დიდი სულისა და მამაცობის ადამიანს.

ომისშემდგომ წლებში პარტია გაბარებდათ პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბნებს. და ყველგან — პარტიის წაპოროციესა და დნებროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნის, მოლავეთვისა და ყაზახეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე — თქვენთვის ჩვეული ენერგიითა და ბოლშევიკური მგზნებარებით იბრძოდით პარტიისა და ხალხის დიადი საქმისათვის.

მრავალი წლის მანძილზე თქვენ შედიხართ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ბიროთვის შემადგენლობაში. როგორც აღიარებული პოლიტიკური ხელმძღვანელი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმზე, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აგირჩიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენი უაღრესად უშუალო მონაწილეობით უკანასკნელ წლებში შეიმუშავა და განახორციელა სკკპ XXIII ყრილობის მიერ მოწონებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების განვითარებისათვის, მუშაობაში კოლექტიურობის პრინციპების დამკვიდრებისათვის. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი ზრდისათვის. მშრომელთა კეთილდღეო-

ბის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლებისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების გადიდებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ლენინური პარტიის როგორც ხალხის პოლიტიკური ბელადის, მასების ორგანიზატორისა და აღმზრდელის ავტორიტეტს.

ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს და ახორციელებენ ეფექტიან საერთაშორისო პოლიტიკას, რომელსაც მხურვალედ უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი პარტია და ხალხი დიდად აფასებენ თქვენს დიდ წვლილს ამ პოლიტიკის შემუშავებაში, რომლის მიზანია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცება. იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა ერთნული და სოციალური განთავისუფლებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერა, თქვენს მოღვაწეობას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შესააკავშირებლად, ყველა ქვეყნის მშრომელბთან რევოლუციური სოლიდარობის კავშირის განსამტკიცებლად.

მთელ თქვენს ყოველდღიურ მოღვაწეობაში თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, გვიჩვენებთ მუშაობაში მაღალ მომთხვეწელობისა და საქმიანობის, კადრებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების, თავმდაბლობის, თვითკმაყოფილებისადმი შეუწყნარებლობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მომწიფებული საკითხების გადაჭრისადმი ღრმა მიდგომის, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის სიწმინდისათვის ბრძოლაში შეურიგებლობის მაგალითს.

მთელი თქვენი დაუცხრომელი და მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს საკეთილდღეოდ თქვენ მოიხვეჭეთ კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ღრმა პატივისცემა.

გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჯანმრთელობას, მრავალ წელს სიცოცხლეს და ნაყოფიერ შრომას კომუნისმის გამარჯვებისათვის.

სსსკ მანბრალური
კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭო

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრძუნავისათვის

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების პინიჭების შესახებ

კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს გ მ ი რ ი ს წოდება და გადაეცეს ლ ე ნ ი ნ ი ს ორდენი და მედალი „ო ქ რ ო ს ვ ა რ ს კ ე ლ ა ვ ი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოლბორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. შიშოვაძე

მოსკოვი, 1960 წლის 18 დეკემბერი.

1960 წლის 18 დეკემბერი.

ჰეატერიინე

ჰეატერიინე

ჰრონიკა
წიგნი მეორე

იმ საღამოს გრიგოლ დადიანი და ეკატერინე ჰეატერიინე ერთად ისხდნენ გორდის სასახლის ეზოში და ტკბილად საუბრობდნენ. ამ ოცი წლის წინათ ისინი ერთმანეთს დამღუბრებულნი დაშორდნენ, დავითის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე ექვის თვალთ შეპყრებდა მამლის მოქმედებას: ასე ეგონა ტახტის წართმევა სურსო და ამ ნიჟადაგზე მუდმივი უთანხმოება ჰქონდათ. მერეც აღიზიანებდნენ დედოფალს და მსტოვრებიც მუდამ იმას უდასტურებდნენ, რომ გრიგოლი დროს ეძებს ტახტი წაგართვასო. უფრო მეტსაც ეუბნებოდნენ: გრიგოლს მამინაც შურდა დავითის ბედი, როცა დავითი მეგვიდრედ აირჩია ლევან დადიანმაო, მამას სულ იმას უკვირებდა, ტახტი მე გადმომეცით, ხოლო მას შემდეგ, რაც დავითი გარდაიცვალა, ათასგვარ ინტრიგებს აწყობდა, რომ შენთვის ტახტი წაერთმიაო. ექვნიწვეთებული ეკატერინე მამლს უნდობლად უცქეროდა.

მერე სამეგრელო აჯანყების აღში გაეზვია, ამით უცხო ძალამ ისარგებლა და ეკატერინე პეტერბურგს გაიწვიეს. გრიგოლ დადიანი კი — თბილისს.

ვიდრე ეკატერინე საზღვარგარეთ იყო, გრიგოლ დადიანი თბილისში ცხოვრობდა, თან საზოგადოებრივი მოღვაწეობით იყო გართული, თან კიდევ, გრიგოლ ორბელიანთან ერთად, ხმალს იქნევდა დაღესტანსა და ყარსში.

გრიგოლ დადიანი ყმაწვილობიდანვე პოეზიით იყო გატაცებული და „ცის-

კარსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჰეატერიინის და აკაკი წერეთლის გვერდით ლექსებს პეკდავდა კოლხიდელის ფსევდონიმით. მამათა და შეილთა ბრძოლაშიაც მონაწილეობდა და მამათა მხარეს ექომაგებოდა.

კოლხიდელის სალოცავი ხატი „ვეფხისტყაოსანი“ იყო. ჯერ პეტერბურგში, 1840 წელს, რუს პოეტთან — ბარტლმეოსთან ერთად პირველად გააცნო რუს მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის ნიმუშები, მერე კი, გრიგოლ ორბელიანის თაემქდომარეობით შემდგარი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი იყო.

რუსთაველის აჩრდილს შეფარებულ კოლხიდელს სიკვდილამდე არ განუღებია პოეზიის მხურვალე სიყვარული და, მთავრის ტიტულის მამიებელი, ლექსების წერით ირთობდა თავს. ანტონ კათალიკოსის სქოლასტიკური სკოლის ბოლომდის ერთგულმა პოეზიაში ვერ დაიდგა მეფური ტახტი. თუმცა პოეზიის მზე მუდამ სწავდა მის სულს და დავით ჩუბინაშვილმაც პეტერბურგში გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში საპატიო ადგილი დაუთმო.

გრიგოლ დადიანმა უფრო მეტი სახელი სამხედრო კაცობაში მოიპოვა. ჯერ იყო და დაღესტანში იომა, ბარიატინსკის გვერდით იდგა, როგორც კავკასიის გრენადერის დივიზიის უფროსი, როცა გუნდის ალყა შემოარტყეს და შამილი დაატყვევეს. დაღესტნის ექსპედიციაში თავის გამოჩენისათვის მას გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა, ხოლო

1878 წელს თურქეთის ფრონტზე ყარსის ალბაში ისახელა თავი და ინფანტერიის სრული გენერლობა მიეცა.

ბოლოს უბედურად დატრიალდა ბედი გენერლისა — თბილისში ცოლი გარდაეცვალა. გრიგოლ დადიანის ცოლი, ტერეზა, გურიის უკანასკნელი მთავრის შვილი იყო. გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ, პეტერბურგში გაწვეული გურიელის ადრე დაობლებული ქალიშვილი რუსეთის იმპერატორის სასახლის კარზე იმპერატრიცას ფრეილინად ჩაირიცხეს. გურიელის ეს ულამაზესი ასული გრიგოლ დადიანმა პეტერბურგში ყოფნის დროს გაიყნო და 1845 წელს ჯვარიც დაიწერეს ზამთრის სასახლეში. სამეგრელოში გრიგოლის ცოლი ტერეზა რძლებს ვერ შეეწყო და ძმებიც მალე გაიყარნენ...

შეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოხუცი გენერალი სულ მარტო დარჩა. მერე თბილისი დატოვა და მუდმივ საცხოვრებლად ცაგერში, სოფელ სურთუმის მამისეულ სასახლეში ჩაიკეტა. აქ იგი ბერივით ცხოვრობდა. წუთისოფლისაგან განდგომილი, დროს ქართული განზეთებისა და ქურნალების კითხვაში ატარებდა. დილით ადრე დგებოდა, აივანზე გავიდოდა, დაღონებული დიდხანს უმზერდა წარსული დიდების ნაშთს — მურის ციხეს და თავისი ცხოვრების განვლილ დღეებს იგონებდა. საუზმის შემდეგ წერილებს სწერდა: თბილისში — გრიგოლ ორბელიანს და ილია ჭავჭავაძეს, საჩხერეში — აკაკი წერეთელს, ზუგდიდში — იონა მეთნარვიას. ზშირად ლეჩხუმიდან გორდს ამოდიოდა, სადაც ეკატერინე დადიანი ეგულებოდა.

შერიგებული რძალი და მახლი სიამტკბილობით იგონებდნენ ძველ, დიდებულ დროს. ან რა ჰქონდათ ახლა გასაყოფი. სამთავრო დიდხანია რაც გაუქმებული იყო და საკუთარ ნაქუქში ჩაქეტილი მოხუცები თვითონაც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, საღამოობით ისხდნენ და საუბრობდნენ.

— გახსოვს, დედოფალო, — თავის

კანტურით მიმართა ეკატერინეს მახლმა და თურქეთთან ომის ამბებს მოჰყვა: — მაშინ კი დიდად ისაბელებოთ თავი, არა, ჩემო დედოფალო?

— კი, კი, ჩემო მახლო, ოღონდ მაშინაც შენს თავს მაძულებდნენ ჩემი მტრები და გვიან მივხვდი, რომ შენ ერთგული ყოფილხარ ჩემი და მამული-სა. ეს ყველაზე უფრო თურქებთან ომში ვიწამე. მერე შენ დიდად გამოიჩინე თავი, დიდი ვალი დამდე შენი რჩევითა. თავდადებითა და დაკვირვებითა, და მართო ჩვენი სამთავრო სახლი კი არ ასახელე, არამედ მთელი საქართველო. — ამ სიტყვებზე მწარედ ამოიხვნეშა დედოფალმა.

ახლა ისევ გრიგოლმა ჩამოართვა სიტყვა:

— არა, რაც იყო, დავეიწყეთ, ახლა ჩვენ მხოლოდ კარგის მოგონებით უნდა ვიცოცხლოთ. ჰო, გუშინ ჩემს არქივს ვალაგებდი და აი, რას წავაწყდი: — გრიგოლ დადიანმა მთლად გაყვითლებული, ორად დაკეცილი ქალაღი ჭიბიდან სასოებით ამოიღო და გაშალა. — ვიცი, რომ გესიამოვნებათ და უნდა წაგიკითხოთ. მერე გაშალა ეს პროკლამაცია და ხვერდოვანი ბოხი ხმით ხმამალა წაიკითხა: „თავადის დეისმა ჩიჩუას შვილის შვილებო! — აქ ერთბაშად შეჩერდა კოლხიდელი და განმარტა: დეისმა ჩიჩუა რუხის ომის გმირი იყო, დედოფალო, თუ გახსოვთ ბესიკმა დიდებული ოდა მიუძღვნა. და მეც ამის შვილიშვილებს მივმართე. ესა თქვა და გააგრძელა კითხვა: — ნამუსის, პირის და სიმხნის გამოჩენის დრომ მოაწია. საყვარელო ძმანო, თავადნო ჩიჩუანო! უსჯულო აღსდგა პირისპირ ქრისტეს სარწმუნოებისა და ჩვენის ხელმწიფისა; მე დავინიშნე წინამძღოლად ბრძოლასა შინა. რ-ს ამა თვისას თქვენ თქვენის აზნაურებით, მსახურით და გლეხებით, ეკლისად, სამამაცოდ აღჭურვილთა თავისი საგზლით, გაწვევთ მოსვლად ჩემდა ზუგდიდად: მე წინა გაგიძღვებით და დაგაბარებთ ადგილსა ზუგდიდისასა, არა შორად, იმედი მაქვს ვითარცა

წინაპართა თქვენთა უქმნიესთ-მეგრთა შემთხვევათა შინა, ესრედ გაიღვარებთ თავსა თქვენსა წინაშე ღმრთისა, ხელ-მწიფისა და სახლისა ჩვენისა სამთავრო-ისა და აღასრულებთ ამა ჩემსა მოწვე-ვასა და ვალსა თქვენსა. დაუყოვნებ-ლად, აღნიშნულის დროისათვის და მით განამტკიცებთ სასოებასა ჩემსა თქვენ-დამი. 1 აპრ. 1854 წ. № 39, ზუგდიდს“.

მაშინ ასეთივე შინაარსის პროკლამა-ციები მთელს სამთავროში გავავრცე-ლეთ და ქუდზე კაცი გამოვიდა. ასე იცის სოფელმა, როცა მიგენდობა, ხომ ასეა, დედოფალო?

— დიდი გაიძვრა მელა იყო ის ომარ-ფაშა, მაგრამ კუდით ქვა ხომ ვა-სროლინეთ იმ წყეულსა, არა, ჩემო მაზ-ლო?

— დიახ, დედოფალო, დიდი წყეული ვინმე იყო, მაგრამ მის ანკესზე არც ჩვენ წამოვივეთ.

— შეჩვენებული იყო, აბა, რა იქნე-ბოდა: წარმოშობით ავსტრიელი, შემ-დეგ გამუსულმანებული, რომელმაც თა-ვი თურქებს მიჰყიდა. ყოველთვის სა-შიშია ეს გვარტომობაგამოცელილი ხალხი. მამულისა და რჩელის უარის-მყოფელნი ორმაგად შლეგები არიან და დაუნდობელნი, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით ჯაბანნი და, დიახ, რომ კუდით ქვა ვასროლინეთ იმ ჩვენს მოსისხლე მტრებსა.

ახლა ნინო მოიგონეს:

— გახსოვს, ბატონო გრიგოლ, ჩემი და ნინო, მოწყალების დების ჯგუფს რომ ჩაუდგა სათავეში. ორმოცდაერთი ქალი შეარჩია, მთელი ორი თვე ამზა-დებდა, მათთვის თეთრ სამოსს თვითონ კერავდა, მართალია, ეკა ჩიჩუა ეხმარე-ბოდა, მაგრამ ყველაფერს თავად მე-თვალაყურებოდა, საკუთარი ხელით აკე-თებდა. — აბა, თუ გახსოვს, მაინც რა ლამაზი იყო მის მიერ გამოქარგული წი-თელი ჭვრები ამ ქალების ქუდებზე!

მერე ის იყო ჩემს მაზლს კონსტან-ტინეს მოატანინა ქუთაისიდან ჩანთები და შიგ სასოებით ჩაალაგეს პირველი დახმარების წამლები, მარლა, ბამბა,

იოდი, მიტკლის თეთრი ნაპრები, თეთრი კაბებით, თეთრივე ფართუკეობი და წი-თელჯვრიანი ქუდებით მორთულ ქალებს ყოველ დილას ცხენებზე შესვამდა, წინ ასევე მორთული ნინო გაუძღვეო-და და მთელი დღე ავარჯიშებდა ენგუ-რის ქალებში.

— ნინო რაღაც საოცრება იყო, ზე-ცისაგან მოვლენილი ანგელოზი! გრი-გოლ დადიანი სავარძელზე შეტრიალ-და და სიტყვა ჩამოართვა დედო-ფალს. — დიახ, ქალი კი არა, ანგელოზი იყო, ანგელოზი. მე გამოოცა ამ სათნო ქალის თავგანწირვამ იმ ომში.

არჩილ ფაღავა გემახსოვრებთ. დე-დოფალო, ლამაზი იყო. მოხდენილი. მალალი, ზრდილი, ჩვენს ოფიცრებში განორჩეული. ნინოს ჩემს ოჯახში გავა-ცანი ის. ფაღავა უებრო ვაჟკაცი იყო. მაგრამ უთქმელი. მე ასე მგონია ვაგი-ქებამდე მოსწონდა ნინო, მაგრამ გამხე-ლით, რამდენადაც მე ვიცი, ნინოსათვის ეს წრფელი გრძნობა არ გაუმხელია.

— არა, ნინო ისეთი ასკეტი იყო, ალ-ბათ, ფაღავა ვერ გაუბედავია ამია თქმას.

— ამას ნუ ვიტყვით, დედოფალო, ნინო ისეთი კეთილი იყო, რომ მასთან ყოველთვის შინაურულად ვგრძნობდით თავს და, ალბათ, სითამამესაც ის გვაძ-ლედა, მას რომ ვუმხელდით ჩვენი გუ-ლის ხვაშიადს. ნინო კეთილი იყო. მე-ტისმეტად კეთილი.

დადიანმა განსაკუთრებით გაუსვა ხა-ზი სიტყვა კეთილს.

— კეთილი... კეთილი მეც ვიყავი, ჩემო მაზლო, მაგრამ ცხოვრებამ გავგა-ბოროტა ყველანი.

გრიგოლი ერთბაშად მოგონებას მიუ-პრუნდა.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემო დედოფალო, იმ დღეს რუხის ციხესთან მტერი მოგვეძალა. ჩემს გვერდით გვა-რდიის პოლკოვნიკი ფაღავა იდგა. ეს მამაცი მეომარი მარჯვედ ესროდა მტერს, ის იყო მტრის ტყვიამ გაიბზუი-ლა, გვერდით მოვიხედე და ფაღავა

ცხენიდან ძირს ჩამოვარდა, დაყვირება ძლივს მოვასწარი და ისევ დაგვიშინეს თურქებმა.

უკან ვიხვედით, როცა ცხენდაცხენ ნინო და ვილაც მეორე ქალი შიგ ცეცხლში შევარდნენ და დაჭრილი ფაღავა ზურგით დაითრიეს და უკან გამოიტაცეს... მერე, დაღამებისას ომიც შეწყდა. ყველაფერი დამშვიდდა. მე საღლაც ბუჩქის ძირას მივეგდე და ვარსკვლავებით მოჰედოლ ზეცას შევცქეროდი. უცბად ყრუ კენესა მომესმა და წამოვდექი, მარცხნივ გავიხედე; იქვე დაჭრილ ფაღავას მოწყალეების დების გუნდი ვხვია, კრილობაშეხვეული ლომკაცი კენესოდა, ნინოს ფაღავას ხელი ხელთ ეჭირა და მაჯისცემას უსინჯავდა დაჭრილ მეომარს. მე უცებ ფაღავასთან მივედი, დავიჩოქე მეომრის წინაშე, მერე, ჩემდა უნებურად, ნინოს მიბაძვით ფაღავას მეორე ხელს ხელი ჩავავლე. მაჭა გაუუსინჯე, — უკვე აღარ ფეტიქავდა თუ მე ვერ ვუპოვე მაჯისცემა, არ ვიცი. ამ წვალემაში თვალი გაახილა, ჯერ ნინოს დააშტერდა, მერე მე შემომხედა, ის იყო სიტყვა დაეძარი და ისევ დახუჭა თვალი. ზეზე წამოვდექი და ისევ გაახილა. ახლა ღიმილმა გადაუარა მის გაფთხებულ სახეს და რაღაცა მანიშნა ხელით, დავიხარე და სახე სახეზე მივაყარდენი. მერე დაეძაბე ყურადღება და, გეფიცები პატიოსნებას, ეს სიტყვები გავიგონე: სამშობლოსათვის სისბლი დავანთხიე და მით მოვიხადე ვალი მამულისა. სიკვდილის წინ ერთი ნატვრაც შემისრულდა. ხედავ იმ ანგელოზს, სიციცხლეში არ მელირსა მისი ალურსი, მაგრამ მომაკვდავს მერგო ეს ბედნიერება. კვედები და თან წამყვება მისი სახე ღვთაებრივი — ეს თქვა და მილულა თვალი. მე შევცბი ამის გამგონე და, ჩემდა უნებურად, მხერა ნინოს მივაყარი.

ახლაც არ ვიცი, ნინომ გაიგო ეს სიტყვები თუ რა იყო, დაიხარა და მომაკვდავს ზედ სახეზე აკოცა. ფაღავა შეინძრა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, თვალებიდან კი ცრემლებმა იწვიმა, ცრემლითა

და ოფლით დაედარა სახე დაჭრილ მეომარს. შევეწუხდი ამის დამნახავი, ახლა ნინო ისევ დაიხარა, ცხვერსახოცი ამოვიღო და ფრთხილად მოუწმინდა სახე...

იქვე, გათავდა ფაღავა. ნინოს შევხედე და ხმადბლა, ჩუმიად ტიროდა...

— ეჰ, ანგელოზი იყო ჩემი და, ნამდვილი ანგელოზი! ჩემი ოჯახის და ჩემი სამთავროს მფარველი ანგელოზი! სანამდის ის ცოცხალი იყო, მეც არა მიშავდა რა წავიდა ის ჩვენგან და ჩემი საქმეც უბედურად წარიმართა. იმის შეძდეგ დაიწყო ჩვენი სამთავროს დაქცევა.

ერთბამად ოხვრა აღმოხდა მახლსა და რძალს.

— დედოფალო, არასოდეს არ დამავიწყდება, თქვენ რომ კაცურად გადაიციეთ, ხმალი რომ გადაიკიდეთ, თავზე ყაბალახი რომ შემოიკაჩით და გვერდით რომ ამომიდევით. როცა სამთავროს დროშა მოატანინეთ, მუხლი მოიდრიკეთ და ეამბორეთ, მაშინ, მართალი გითხრა, ცრემლი მომერია. თქვენს მაგალითზე ჩვენც ასე მოვიქცეთ. მერე ჩვენმა მილიციამ მხედრული სიმღერა დაგუგუნა და ვეკვეთეთ მტერს. ო, რა ცხარე ბრძოლა იყო, რა ცხარე დღეები!

იგონებდნენ ყოველივე ამას რძალმაზლი და, მოგონებათა სიხარულით აღელვებული მოხუცები თვალზე ცრემლს იწმენდნენ.

— პაი, ეკატერინე ჩემო, რა ხალხი ვიყავით და როგორ თვალსა და ხელს შუა გავგიფრინდა ეს ჩვენი ცხოვრება. არა? და აჰა, მოვიდა ახალი თაობა, და მერე, გგონიათ დაგვიძახსოვრეს რამე? დიდი უმადურები არიან, დიდი უმადურები! კარგად უთქვამს დიდებულ რუსთაველსა: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. დიხ, ჩვენ მივდივართ და სხვა მოდის. და აი, უკვე აღარ ვუნდივართ ამ გუშინდელ ძუძუმწოვრებს. უმადურობაა, შენი ჭირიმე, აბა რა, ჩვენი სახელი დაღესტნის მთებში გრგვინავდა, ყარსში თურქებს ახან-

ზარებდა და ახლა მოსულან ვილაც უსახელონი, უგვარონი და ლამის მასხარად აგვიგდონ! ვერა გამიგია რა ამ ახალგაზრდობისა, ახლა ამ ჩვენს ქართულ ენასაც მიაღდგენ და უნდათ, რომ მამაპაპისაგან ბოძებული ეს დიდებული განძიც მთლად გაამასხარაონ. ალბათ თქვენც მოგდით ქუთათური გაზეთი „შრომა“. იცით ვინ არის მისი რედაქტორი? აი ის, ჩვენებური დიმიტრი დიდიანის ბაილი. გაზეთი ქუჩის საქმედ აქცია. მერე ეს ქუჩის ენა არ აკმარა და ახლა შრიფტი დაუშახინჯა. ეჰ, ვინ არას გამკითხავი! ამასწინათ წერილი მიგწერე ილია ჭავჭავაძეს.

კოლხიდელმა ჯიბიდან ისევ დაკეცილი ბარათი ამოიღო და ხმამაღლა წაუკითხა დედოფალს:

„თავადს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

მცოდნენი ქართულისა და ტრფილნი კითხვისა და წერისა, ერთბაშად დრტვიანდნენ „შრომა“ გაზეთსა შინა ახალ შემოჩრჩებულთა ანბანებთათვის, რომელთაგან გამოსახულთა ლექსთა და სიტყვათა აღმოკითხვა, თუ არა, ღეჭით და ცრემლით, საქნელოა. ყოველ კრებაშიდ ქართულის გაზეთის მკითხველთაგან გაიგონებ საგოებელთა შენიშნულებათა ამა ბნელ-შემოსილთა ანბანებთათვის. — ფაშელმან სთქვა: „ოდესცა ვკითხულობ ამ გონჯთა ანბანებთაგან წარმოდგენილთა მოთხრობათა ანუ შაირთა, მხედველობა ჩემი ცრემლითა ბინდდება, ვგონებ მამულის შევილობა მაცრემლებს ამა უტანადო, უცნაური და უჩვეულებო ანბანებთა შემოღებისათვის, თორემ მე ვაპირებდა ვერ მატირებ-სო“.

ერთმან დიდებულმან თავადმან მომწერა: „შრომას“ დაარსებითგან მისა ვკითხულობდი სიამოვნებით, ახლა ასეთის ანბანებით იბეჭდება სხუთაშორის შუენიერი ლექსები აკაკისა, რომ უსათუალოდ ვერავინ წაიკითხავსო. მოხუცებულს, ბებერს, ჭადაროსანს ვინ დაეძებს, ვაი თუ ახალგაზრდა ჩუენთა ბა-

ნოვანთა ცისკროვანსა მხედველობასა სათვალე ამოსდვასო. მეც არ ძელომძის პაექრობა გარეშომ ამათსა: უდგეშობა მწე-მქებარობა დაბლუნშვილთა ამით ანბანებთა რომელნი ემსგავსებიათ ქერეკსა შეკვეცილსა; დაცვენილსა შარასა ზედა, ღრმადნაკვეთება მათი არს ღუბჭირი, ძველ ამოსაკითხავი, მამასა-დამე, უხამსი და უგვარგისი. არა ღირს არიან დასხდნენ ივინი ჩუენთა პეროვანთა და ბრწყინვალეთა ანბანებთა თანა. მე მსურს, საყუარელო მომჭირნო ქართულისა მწიგნობრობისაო, თა-ღო ილია, რომ ექსორია უყოთ მათ, რამეთუ უგვარგისობასა და არა სახმარებასა მათსა ზედა შენცა უარ არ იტყვი, ამით აღმოჩნდება სიამოვნება მკითხველთა, პატრვის-ცემა ქართულისა წერისა და სიყვარული „შრომა“ გაზეთისა, რომელი როგორც ზელის მომწერთა საყვედურს განერება, აგრეთვე უმოწიფულო ფესვი მისი გავალხასაცა მოუთმენელსა. კოლხიდელი“.

დადიანმა ჩაიკითხა ეს ბარათი და დადუმდა. ერთხანს უსიამოვნო მდუმარება ჩამოვარდა. მერე ისევ ეკატერინემ გაიღო ხმა:

— ე, ჩემო გრიგოლ, ჩვენი უბედურება ის არის, რომ არც ილია გვწყალობს, ისიც გადაგვიღვა.

— არა, ჩემო დედოფალო, ახლა ილიაა საქართველოს იმედი და მომავალი. ილია მარტო პოეტი კი არ არის, არამედ ერის მოძღვარიც. იმას უნდა შევეყუროთ სასოებით.

ეკატერინემ ისევ ჩამოართვა სიტყვა:

— არა, ჩემო გრიგოლ, ჩვენი იმედი და ღბენა გრიგოლ ორბელიანი იყო. ილიასაგან ოდესღაც ნაწყენ დედოფალს ისევ გრიგოლ ორბელიანის მხარე ეჭირა და ამიტომ აქებდა ასე თავგამოდებით.

— არა, დედოფალო, რასაკვირველია, გრიგოლი ჩვენი ჭავარი იყო, მაგრამ რომ დაგვიბერდა? ჩვენი არ იყოს, ისიც ახლა ისე მოსთქვამს და უჩივის ამ გაუტანელ წუთისოფელს, როგორც ჩვენა.

გრიგოლი ხომ ჩვენზე დიდად უფრო-
სია, აბა, ასეთ დროს რა უნდა ვთქვათ.
დადიანი დედოფალს შეაჩერდა. და-
ღვრემილი დედოფალი მიწას ჩასჩერე-
ბოდა. საუბრისათვის სხვა მიმართულება
რომ მიეცა და გორდის სასახლეში მძი-
მედ ჩამოწოლილი ნაღველი უაუწყარა,
დადიანმა გადაწყვიტა რამე ლექსი წაე-
კითხა დედოფლისათვის. ჯერ საკუთარი
ლექსის წაკითხვა განიზრახა, მაგრამ
უცებ მოაგონდა: ეკატერინეს დიდად
უყვარდა, გრიგოლ დადიანი ალექსან-
დრე ჭავჭავაძის ნათარგმნ კორნელის
დრამას „სინას“ რომ კითხულობდა და
ანლაც სინასადმი მიმართული ავგუს-
ტოს სიტყვები წაიკითხა:

გარე განვიდენ ყოველნი, ნულარ შემოვალს
აქ ვინმე,
სინავე, შენ რაშთი აგრეთვე შენცა აქ
იყავ მაქსიმე...

კითხვა რომ დაიწყო დედოფალმა შე-
ხედა — გრიგოლს ხელები მისკენ ჰქონ-
და გაშვებული. ეკატერინეს გაეღიმა.
კოლხიდელი მიუხედა და მისკენ მიმარ-
თული ხელი ძირს დაუშვა და კითხვა
გააგრძელა:

ზღვასა და ხმელეთსა ზედა ესე სრული
მფლობელობა,
ურბეხე ერთა მორჩილება, მათზე ჩემი
ხელმწიფობა.
ესე დიდება უსაზღვრო, ესე ხარისხი
ელვარე,
რომელთა შესაძინებლად ესდენი სისხლი
დაღვარე
და ესე ბედი მაღალი, მზეებარ შარაქანდ
ვლმბული,
პირ-მოთენ კარისკაცთაგან მოწინეთ
თავჯანბული,
ჰგანან შეენებით ევლუცოთა, პირველად
ხელის მიმტაცოთ,
რომელ მალ მოსწინდებთან ყოველთა
მათთა მხელთათთა.

გრიგოლი დინჯად კითხულობდა და
ეკატერინე აღტაცებით შესცქეროდა
არტისტად ჰქცეულ კოლხიდელს... მერე

ეკატერინემ ისევ „ვეფხისტყაოსნის“
კითხვა სთხოვა და თან ესეც უთქვამს:
— მოდი, გავეჯიბრათ „შენ ხომ რცხი“
და იცი „ვეფხისტყაოსანი“, მეც ვიცე
ზეპირად. აბა, შენ დაიწყე და მე გავა-
გრძელებ.

კოლხიდელმა დაიწყო:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით
ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულთა ყენა ზეცით
მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს
უთვალავი ფერითა,
და მისგან არს უოელი ხელმწიფე საბისა
მის შიერთა...

ახლა ეკატერინე შეეშველა:

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჰირთ-
უფრო ძნელია,
დღეს რა, ხვალე მოვედება, სოფელი
ასრე ქმნელია;
რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?
და ჩემი ძე დაესვით ხელმწიფედ, ვისგან მზე
საწუნელია...
...ღვევი ღომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა
ხვადია...

ეკატერინე შეჩერდა, დუმილი ჩამო-
ვარდა. მერე კოლხიდელმა კვლავ გა-
ნაგრძო ამ სათაყვანო პოემის სტრიქონ-
თა ზეპირად თქმა. ახლა ისევ ეკატერი-
ნე შეენაცვლა და აღარ ეშვებოდნენ
„ვეფხისტყაოსანს“.

— რუსთაველი სხვაა და ახლანდელი
ჩვენი პოეტები კიდევ სულ სხვანი არი-
ან. რუსთაველი დაუღვეველი ოცნების
ველია, პოეტთა მეფეა და მასწავლებე-
ლი, ვაი, რომ უმნონი ვართ. ასეთი და-
დი წინაპარი გვყავს და მისი სახელი
ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით ვერ გა-
გვიტანია! — თქვა ეკატერინემ. კოლხი-
დელი ისევ მიუბრუნდა ეკატერინეს:

— ცოტა რამ ჩვენც გაგვიკეთებია,
ეს საქმე რომ წინ წაგვეწია. გახსოვს.
თქვენ უკვე ჩვენი რძალი იყავით, მე უკ-
ვე პეტერბურგში ვცხოვრობდი, თქვენო
ქორწილის შემდეგ მე ისევ პეტერბურგს



დავბრუნდი და იქ თან წავიღე „ვეფხისტყაოსანი“, აი ის წიგნი, ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, ჩვენს ოჯახში რომ ინახებოდა. მთელი წელწადი გვერდით მოვისვი ახლად გაცნობილი ჩემი მეგობარი რუსი პოეტი ბარტდინსკი, სიტყვა-სიტყვით ვუთარგმნიდი და ეუხსნიდი ყოველ სტრიქონს. მერე ვაქეზებდი და ვაქებდი, ვასმევდი და ვაქმევდი და ისიც ხალისით თარგმნიდა. ამის გამო მთელი ნახევარი წელი დავჩრა პეტერბურგს და, როცა პოემის ორი კარი უკვე ვთარგმნეთ, მე ისევ გამომიწვიეს ზღუდიღში. მაშინ თან წამოვიყვანე ჩემი რუსი მეგობარი. თქვენმა მეუღლემ საფიქროსა მთელი საქართველო დაატარა, შეაყვარა და შეათვისა ჩვენი ქვეყანა. პეტერბურგს რომ დაბრუნდა, ბარტდინსკიმ პირველმა გამოსცა რუსულად შოთას პოემა და იგი ჩვენ გვიძღვნა.

— როგორ არ მახსოვს, ამ ერთი კვირის წინათ ჩემს ბიბლიოთეკას ვათვალიერებდი და შემხვდა კიდეც ეს წიგნი. გამიხარდა. გადავშალე და... იგი თქვენდამი მოძღვნილი ლექსით იწყება! დადიანების ოჯახს ბევრი რამ გაუყვითებია და, შენი არ იყოს, მე ახლა ის მისიებს გულს, რომ გამომდგარან და მკვირვებენ დედოფალს თავისი თავისა და თავისი შვილების მეტი არაფერი ახსოვდაო.

კრიგოლ დადიანი ამშვიდებდა აღელვებულ დედოფალს. სწორედ ამ დროს მათთან სახლთუბუცესი მოვიდა, მაზლსა და რძალს მოწიწებით თავი დაუკრა და ვახშმად მიიწვია.

ვასამზე ისევ ვაგრძელებდა საუბარს: კოლხიდელი დინჯად ლაპარაკობდა, სწამდა, რასაც ამბობდა. ეპოქის ქარიშხალს საკმაოდ მოეტება, მაგრამ რწმენა მომავლისა, რწმენა საქართველოს ზეკალინდელი დღისა მისი გულიდან ვერ აღმოეფხვრა, მტკიცე და შეუწყვეელი იყო. ეს სიმტკიცე და გაუტეხელობა ამშვენებდა მის ბრგე-ვაკაკურ შესახედაობას.

ქვეყანას, რომელმაც რუსთაველი დაბადა, დაღუპვა არ უწერია. საქარ-

თველოს ფარი და ხმალი რუსთაველია, ჩემო რძალო, ის დალოცვილი რუსთაველი!

— „ვეფხისტყაოსანმა“ და სახარებამ შეგვიინახა აქამდის, ჩემო მშალო, არა?

— არა, საქართველოსათვის „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე მეტია, ჩემო რძალო, ის ერთადერთი წიგნია, რომელმაც გადაგვარჩინა ამდენ განსაცდელს და კსლევ ბევრჯერ გადაგვარჩენს. თომცა, შენც მართალი ხარ, ჩემო რძალო, დაახ, „ვეფხისტყაოსანმა“ და სახარებამ შეინახა ერთმორწმუნე ქრისტიანული საქართველო. მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“, ჩემი აზრით, მეტი ჰყავდა მკითხველი, ვიდრე თვით სახარებას. ეს მაინც სულ სხვა წიგნი იყო და სწორედ ამიტომ არის სირცხვილი, რომ აქამდის იგი რუსულად არა გვაქვს, მე გადაწყვიტე ეს საკითხი ისევ აღვძრა და ჩემს მიერ 1846 წელს დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო. ამის თაობაზე მე აუცილებლად მივწერ წერილს და თხოვნას ჩვენს იმპერატორს, თან დაეუსაბუთებ ამ საქმის საქიროებას და, თუ დღეს რუსები ასე ბლომად თარგმნიან სპარსულიდან, არაბულიდან და ევროპის ქვეყნების მწერლების ნიმუშებს, არა მგონია უარი თქვან ჩემი ერის ამ დიდებული საუნჯის თარგმნაზე. ალბათ, სახელმწიფო არ დაიშურებს მისთვის ფულსა და სტამბას...



ილია სამეგრელოში გაემგზავრა. დიდებული მწერალი დიდებით მიიღეს. 25 ცხენოსანი და ეტლი ქუთაისშივე აახლეს და პატივით წაიყვანეს სამეგრელოში. ზონზე გამოატარეს, დანელიას ბორონით ცხენისწყალი გადალახეს და იმ საღამოს ბანძაში მეჭი ფაღავას სახლში მოასვენეს.

მეჭი ფაღავა პეტერბურგს უმაღლესგანათლებამიღებულ იურისტი იყო, კაცი გონიერი და განათლებული, მდიდარი და შეძლებული. მართალია, ილიას პირადად არ იცნობდა, მაგრამ იცოდა, რომ ის უკვე საქართველოს მამად იყო

აღიარებული, ნაწარმოებებითაც იცნობდა და ფრიად გაიხარა თავის ოჯახში მისი მობრძანებით. სამეგრელოს საუკეთესო ინტელიგენცია, თავადობა და აზნაურობა მოეწვიათ ილიას პატივსაცემად. როდესაც ილია თავისი ამალით ფალავას სახლს მიუახლოვდა, ფალავამ კიშკართან 50 კაცისაგან შემდგარი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი გუნდი შეაგება. კიშკრიდან სახლამდის კი ყვავილებს უყრიდნენ და სიმღერით მიაცილებდნენ ორსართულიანი დიდი ოდა სახლისაკენ. როდესაც ილია აივანზე შედგა, მეჭი ფალავამ სიტყვით მიმართა:

— ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი, დიდო მამულიშვილო, საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი კუთხის მიწაზე, ჩვენს კუთხეში, სამეგრელოში. შეიძლება ისე ვერ დაგზვდეთ, როგორც ეს საქართველოს მამას ეკადრება, მაგრამ იცოდეთ, არაფერს დავიშურებთ, რომ ისე გავუმასპინძლდეთ დიდ მამულიშვილს, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის იმედს, ჩვენი ქვეყნის მომავალს შეჰფერის. — ესა თქვა ფალავამ და ულაშახესმა ასულმა ილიას ღვინით საცეც ყანწი მიართვა. ილიამ ჩამოართვა ყანწი და არ იცოდა სიტყვითვე ეპასუხნა თუ უბრალოდ დაეცალა ეს ყანწი. შეყოყმანდა, მერე ერთბაშად მოკლე სიტყვა თქვა, ყანწი მოიყუდა და ბოლომდი დალია.

შუალამე გადასულიყო და ფალავას ოჯახში გაბმული ლხინი მაინც არ შეწყვეტილა. დიდად მოიღვინა ილიამ. მეორე დღეს ძვირფასი სტუმარი მთელი ამალით ზუგდიდს გააცილეს, გზად მეუნარგიას სოფელში, ცაიშში შეჩერდნენ. ილიას მეგობარს — იონა მეუნარგიას წინასწარ ყველაფერი მოემზადებინა. ილიას ზედ სოფლის შესასვლელთან შეხედნენ. აქაურმა მასპინძლებმა ეტლიდან ცხენები გამოხსნეს, თვითონ შეებნენ და ისე შეიყვანეს მეუნარგიას ეზოში ილია ქვეყაიძე. ილია გაოგნებული დუმდა. სიხარულისაგან ცრემლი დაიღოდა, არაფერს ამბობდა, ნახულითა და გაგონილით გაბრუებული იყო.

მეორე დღეს ზუგდიდს ესტუმრნენ. ახლა ზუგდიდში ნამდვილი მეფური მიღება მოუწყვეს ილიას. ამ უკვე ოთხასამდე ცხენოსანი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კაცი და ქალი დახვდა და დიდი ილია დადიანების სასახლეში ზეიზით შეიყვანეს. ზედ კართან ეკატერინე დადიანის ქალიშვილი სალომე გამოეგება. ილია ხელზე ეამბორა სალომეს, შეხედა და გაოცდა. სალომეს სახით ილიას ულამაზესი და უბრწყინვალოესი ეკატერინე, პეტერბურგში რომ ენახა, ის ეკატერინე წარმოუდგა. მაშინ, ბართაშვილის ლექსები რომ წაუკითხა, სალომე პატარა იყო, 12 წლისა. ახლა კი სულ სხვაა — ტანადი, მაღალი. ეს თვალთა ელვა, ეს მოქნილი ტანის რხევა... პირწავარდნილი ეკატერინე იყო!

ეკატერინე არ დახვდა ილიას ზუგდიდს, ის, ავადმყოფი, გორდს წაეყვანათ.

ილიას ჩამოსვლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დადიანების საგვარეულო ბიბლიოთეკა და დადიანების ხელნაწერი წიგნები ენახა, მათ შორის, ყველაზე უძვირფასესი და უძველესი „ვეფხისტყაოსანი“, ტყავზე გადაწერილი. როდესაც ილიამ მეუნარგიასთან ერთად ყველაფერი ეს ნახა, გაოცდა. იმ დღეს ილიას პატივსაცემად გამართულ სუჟრაზე, სტუმართმოყვარეობით, დადიანების მდიდარი წიგნთსაცავით განცვიფრებულმა ილიამ ასე მიმართა მასპინძლებს:

— აი, მე უკვე სამი დღეა სამეგრელოში ვარ, ბევრი რამ ვნახე აქ დიდებული და ჩინებული, მაგრამ ჩემ წარმოდგენას გადააქარბა აქ დაცული ხელნაწერებისა და ბიბლიოთეკის ნახვამ. უნდა გამოვტყდე და გითხრაო, რომ საქართველოს არცერთ კუთხეში, არცერთ ჩვენს მეფესა და მთავარს არ შეუნახავს ჩვენი წინაპრების სულიერი კულტურა და არ უპატირონებია მისთვის ისე, როგორც აქ მოუვლიათ. მე განცვიფრებული ვარ ყოველივე ამით. აი, ახლა მე თქვენ შორისა ვარ, გისმენთ თქვენ ორი დღეა და, უნდა ვთქვა, მე

სამეგრელოში ჩამოვედი და ნამდვილი საქართველო ვნახე. მივუღეთ თქვენს პატივისმცემლად, თქვენს მეგობრად, რადგან ჩემთვის საქართველოზე უფრო ძვირფასი და საფიციარი არა არის რა ამ ქვეყანაზე...

მასპინძლებმა ტაში დასცხეს, გუნდმა მრავალყამიერი დააგუგუნა, სუფრა სიხარულმა და აღტაცებამ მოიცვა. ილია კმაყოფილი, გაღიმებული შეჰყურებდა უოველივე ამას და ბედნიერად მიაჩნდა ეს წუთები.

აღზნებულმა ილიამ უფრო შთაგონებით განაგრძო სიტყვა:

— აქ რომ შემოვედი, პატარა ბიჭსა გვითხე, ვინა ხარ-მეთქი. გაიქცა და მიმღერებთ მომადახა — დიდი საქართველოს შვილიო. გამაკვირვა ამ პასუხმა და მინდოდა გულს ჩამეხუტებინა ეს ბიჭუნა, მაგრამ ხელიდან გამისხლტა და გამექცა. რაც აქა ვზოვიარ, სულ მწუხებებს ახლა ეს კითხვა: დიდი საქართველოს შვილიო...

ქართველი საყოველთაო სახელია და ჩვენ ყველანი დიდი საქართველოს შვილები ვართ და მე მაინც კიდევ ამას გკითხავთ: საყოველთაო, რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ“, „შენ თუ მე“ და ორივენი ერთად კი არა. აბა, დაიძახე ქართველი-თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღივადმოგდებულის ქართლელის მერტმა (ე. ი. გორის მარშალში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჰიჭრა იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს ამათ არ ეძახიო, თითქოს ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი. რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდან ამოშრა და ქართველი ეხლა ერთი კუნჭულის მცხოვრებია, საკუთარი კერძობით სახელია და არა საერთო საყოველთაო მთელი იმ ხალხისა, რომელიც ერთად

ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის უფრო ძვირფასი თუ ლხინში ერთად მძურადს... რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია და რომელსაც დღესაც ერთისა და იგივე ენით, თუ არაფერს აკეთებს — თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაც და კაცთანაც. ასეთი ფიჭრითა ვარ მე შეპყრობილი, როცა საქართველოზე ვფიქრობ და ეს ფიჭრი მე თითქოს გამიფანტა აქ თქვენთან ჩამოსვლამ. და მე ეხლა თქვენ მოგმართავთ, მუდამ ვახსოვდეთ, რომ ჩვენ ყველანი დიდი საქართველოს შვილები ვართ.

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი. კახელი — ეს ცალ-ცალკე მითვისებული, კერძობითად მიღებული, განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეს ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისტანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნულს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დღუსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოველის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსა-

გან ჩემი ხალხის წყენააო. და ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენაო.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრათ! თქვენც კარგად იცით, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოისათვის. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, მეგრელი — მეგრელია, ქართლელი — ქართლელია და სულ ყველანი კი ერთად ქართველები რომ არიან, ეს ხშირად არ ესმით...

ვთქვით იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა: ვთქვით იმ ქვეყანას, საცა ერთ საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თვითივე ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითიველისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ — იშვიათი!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, სევდამ მოიცვა ყოველივე. მერე მეტი ფაღვამ დაარღვია სიჩუმე — ეს ჩვენს საქართველოს გაუმარჯოსო, ერთიანსა და გახუფოფელ საქართველოს, ილიას საქართველოს გაუმარჯოსო. დარბაზი ფეხზე წამოდგა და ყველამ ერთხმად შესძახა: ილიას საქართველოს გაუმარჯოს!... ილიას ნათქვამს გაუმარჯოს!..

უფლებით აღჭურვილი სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი ვერ შეეგუა დიმიტრი ყიფიანს, ეკატერინე დადიანის შვილების მეურვეს. მათ შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. ეკატერინე იძულებული გახდა ჩიქოვანი თავისი თხოვნით დაეთხოვა სახლთუხუცესის

დაუფასებელი აზარი

შუბლგახსნილი, მსხვილთვალემა, თმაშვევრცხილი, მომღიმარი სახის მოხუცი დიმიტრი ყიფიანი მაგიდას უჯდა და ეკატერინეს პირად ბართს კითხულობდა. კითხულობდა დაეინებით და მის თვალბში ერთდროულად ამოიკითხავდით სიამაყესაც და დაეშვებასაც. ამ მოხუც კაცს მთელი ცხოვრება მაქულისათვის ბრძოლაში გაეტარებინა

თანამდებობიდან და მის მაგივრად არჩილ დადიანი დაენიშნა. ჩიქოვანი დადიანთან ჩამოსცილდა სასახლესკანქუცს. მაგრამ მერე დიმიტრი ყიფიანმა ისევ შემოირიგა და თავის თანამეწყედაც გაიხადა სამეურნეო საქმეებში. ბოლოს მათ შორის ისევ უთანხმოება ჩამოვარდა და ჩიქოვანმა საბოლოოდ დაანება თავი დადიანების სასახლეს.

სამსახურიდან გადადგარმა ჩიქოვანმა მედენსაცვალს თხოვნით მიმართა პენსია დამინიშნეთ ნამსახურებისათვისო. ეკატერინემაც შუამდგომლობა აღუძრა ბარიატინსკის წინაშე. ჩიქოვანს პენსია დაუნიშნეს. მალე ის ქუთაისში გადასახლდა, მაგრამ ვერც იქ გაძლო და ისევ გორდს დაბრუნდა. ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს ავად გახდა და კიდევ მიიცივალა. სიკვდილის წინ თურმე ეკატერინეს ეძახდა და კოლუბიაკინს ლანძღავდა, თუმცა ახლა უკვე არც კოლუბიაკინი იყო სამეგრელოს მმართველი და არც ეკატერინე — დედოფალი. ჩიქოვანი მაინც იმ ძველი მოგონებით: ცხოვრობდა და ხელისუფლების მოყვარულს სიკვდილის წუთებშიც ისევ ძველი დღეები ელანდებოდა.

ჩიქოვანი დიდი პატივით დაასაფლავეს. დასაფლავების ცერემონიალს ეკატერინე დაესწრო. დედოფალი ორ დღეს არ მოსცილებია ჩიჩუას ქალს.

ერთ დროს ულამაზესი ჩიჩუას ქალი ქვრივი დარჩა. ჩიქოვანის ლამაზი ქვრივი თავადანაშურთა შეკრებაზე ყოველთვის ბრწყინავდა და ამ უსპეტაკეს ქალს ისევ დიდ პატივსაც სცემდნენ ეკატერინეს სასახლეში.

და ახლაც მზად იყო სიციცხლე მისთვის გაეწირა. დიხაც ეამაყებოდა ეს ღვაწლმოსილი მამულიშვილობა ამავე დროს მას არასოდეს გადაუხვევია რუსეთის იმპერატორის ერთგულებისათვის. ამიტომაც, მისი ცხოვრების გზაც მუდამ დაძაბული იყო და თავისებურად გორბებულიც. ცხოვრების ეს სიმძაფრე მის სახესაც, მის გამომეტყველებასაც

ჰქონდა დამჩნეული. და ახლა, როცა ერთი ბარათის წაქითხვა ჩაათავა, თათქონ ამის გამო ამოიხზრა.

დემიტრის წესად ჰქონდა: ყოველ პირად წერილს, რომელიც კი ოდესმე მიეღო, ინახავდა, შენიშვნებს უკეთებდა, ყუთებში ალაგებდა, მერე თვითონ წერდა დღიურებს და ამ მასალას მიგურთავდა. პირად ბარათებში ყველაზე მეტი წერილი მიიწვ ეკატერინე დადიანისა დაუგროვდა. ვის არ სწერდა ეკატერინე წერილებს ქართულად, რუსულად, ფრანგულად, მაგრამ არავისათვის იმდენი ბარათი არ მიუწერია, რამდენიც მისთვის. და ეს ბუნებრივად იყო: ცხრა წლის განმავლობაში, რაც ეკატერინე წასული იყო პეტერბურგსა და პარიზს, დადიანების სასახლის უშუალო გამგებელი და პატრონი დემიტრი ყიფიანი იყო. ახლა უკვე ყიფიანსა და ეკატერინეს შორის ის ძველებური ურთიერთობა გამჭრალყო. ყიფიანი უკვე აღარ იყო დადიანების მეურვე. ხრც ეკატერინე იყო სამეგრელოს გამგებელი. დემიტრი იჭდა თავის საწერ მაგიდასთან და ისევ თავიდან კითხულობდა და ალაგებდა ეკატერინე დადიანის ამ ძველ წერილებს.

თი პირველი წერილი. იგი რუსულად იყო დაწერილი.

წაიკითხა ეს ბარათი და ზედზე მინაწერიც: „დიან, ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა დედოფალი. მეც არ დამიზოგავს ენერგია დადიანების მამულის მოვლა-პატრონობისათვის. დმერთმა იცის, მე რომ აბეკუნობა ვიკისრე, მაშინ ყველაფერი არეული იყო იქ: არც წესიერი აღრიცხვა მამულისა, არც შემოსავალ-გასავლის ყურისგდება... და რამდენი შრომა და ენერგია დამჭირდა, რომ ყველაფერი მომეწესრიგებინა. რამდენი კაცი გადავიკიდე მე ამ საქმეზე! და განა თვით ბარიკატისკი დადიანების გამო არ დამემდურა და არ დამითხოვა მეფისნაცვლის საბჭოს წევრობის თანამდებობიდან? და მერე ვინ დამიფარა, ან ვინ დამიშალა?“

მერე ეკატერინე დაბრუნდა საქართ-

ველოში, მართალია, შეწყალებული და იმპერატორის მიერ დიდხანს დამტყუნილი, მაგრამ მიიწვ დიდად სწავლულად რომ სამთავრო წაართვის. ყველას ემდურა, ძველ მეგობრებსაც, მათი ერთგულება ექვემდებოდა. ამ ნიადაგზე ბზარი გაჩნდა ეკატერინე დადიანსა და დემიტრი ყიფიანს შორის. ესეც მოაგონდა დემიტრი ყიფიანს და, თითქონ ახლაც დედოფლის წინაშე თავს იმართლებსო, ის წერილები მოძებნა, რომლებსაც ეკატერინე ამ დამდურების შემდეგ სწერდა და თავიდან ბოლომდე გადაიკითხა. კითხულობდა და ბრაზი მოსდიოდა: „მიიწვ რა უნდობლობა გამომიცხავდა მე, დემიტრი ყიფიანს, რომელმაც თავი დავდე დადიანების მამულისათვის“ — უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა და თან კითხულობდა. და ასე, მოთმინებით, ბოლომდე წაიკითხა ეკატერინესაგან 1869 წელს 9 თებერვალს მოწერილი წერილი:

თვითონაც ვრცელი პასუხი მასწერა: ამ წერილზე. ამასაც არ დასჯერდა და ახლა საგანგებო შემუარებში ჩაწერა ყოველივე, რაც კი აბეკუნობის ამბავს უკავშირდებოდა:

„1857 წელს მთავრის მთელი ოჯახი პეტერბურგში გაიწვიეს, რომ მცირეწლოვანი მთავარი ნიკო სათანადოდ აღზარდათ და რომ ამ ხნის განმავლობაში მისი ქონება დაცულიყო. ნაბრძანები იყო აბეკუნი დაენიშნათ.

აბეკუნების ამორჩევა მინდობილი ჰქონდა მთავრის მშობლებს, ხოლო დანიშვნა — მეფის მოადგილეს. აბეკის ჩასაბარებლად მამულის საინვენტარო აღწერა კი საბჭოს წევრს ყიფიანს დაევალა, რომელმაც მეფის მოადგილის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სამეგრელოს დროებით მართებულობის საბჭოსი და მთავრინას მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირებთან ერთად, ეს აღწერა მოახდინა 1857 წ. და 1858 წლის დამდეგს მეფის მოადგილეს წარუდგინა.

ამასობაში მთავრინამ აბეკუნად აირჩია სიძე თავისი, აგრეთვე წევრი მეფის მოადგილის საბჭოსი — ბარონი ნა-

კოლაი, ღვიძლი ძმა თავისი. ფლიგელ-ადიუტანტი თავადი დავ. ალ. შავეჭავაძე და იგივე ყიფიანი.

მაგრამ ამ უკანასკნელმა მაშინვე უარი განაცხადა.

საინვენტარო აღწერაში შესულ ქონებას, სულ უმცირესი მისი შეფასებით, წლიური შემოსავალი უნდა მიეცა 80 ათას მანეთამდე, მაგრამ საინვენტარო აღწერის მოლოდინში მეტი გზა რომ არ ჰქონდათ აპეკუნებს, იმით კმაყოფილდებოდნენ, რასაც ადგილობრივი აგენტები უჩვენებდნენ. ხოლო განხილვა საინვენტარო აღწერისა, რაღაცა გაუგებარი მიზეზის გამო, საბჭოში ორ წელიწადზე მეტს გაგრძელდა.

ორი აპეკუნის 1858 წლის ანგარიშებიდან მთავრინამ დაინახა, რომ მამულის აღმინისტრაციის ხარჯებს მხოლოდ 227 მანეთი გადაარჩა.

მან ამის მიზეზი არ იცოდა, მაგრამ თვით ფაქტის გამო ისე განრისხდა, რომ თავისი ძმა და სიძე აპეკუნობიდან გაანთავისუფლა და ხელახლა მიმართა თხოვნით ისევ ყიფიანს, რომ მიეღო თავზე მისი მცირეწლოვანი შვილების ქონების დაცვა.

ამის შესახებ წერილი, რომლითაც მთავრინა მოუწოდებდა მას, როგორც ალაშინს, როგორც ქრისტიანს, ყიფიანმა წარუდგინა თავად ბარიატინსკის და იქვე გამოთქვა შემდეგი:

„თქვენს ბრწყინვალეობას მოესხენება, რომ 1857 წელს მე გადაჭრითა ვთქვი აპეკუნობაზე უარი. ახლა შეიღებს მაცაცებენ, რომ უარი აღარ ვთქვა, რადგან მე მაქვს პატივი თქვენი საბჭოს წევრობისა, თქვენს დაუბრუნებლად ვერ ვბედავ პასუხი მიეცე კნენიანს.

— მითხარით გულახდილად, რა მიზეზით ამბობთ უარს?

— მიზეზი, სწორედ რომ ვთქვა სამი მაქვს: პირველი: ამ ორ წელიწადში აპეკუნებს ხელთ არ ჰქონდათ აღწერილობა, რომლითაც შესძლებოდათ ხელმძღვანელობა; ამის გამო არ შეიძლებოდა, რომ გადასახადებში არეულობა არ მომხდარიყო; ამას გარდა, მე გაგე-

ბული მაქვს, რომ სამეგრელოში წყარდება აზრი, ვითომ მთავარი სამეგრელოდ არის გადაყენებული დავ. მაქვს ხაზინაზე გადაღის. ამ შემთხვევაში კი ყველა იმ რწმენისა არის, რომ სჯობს კერძოდ დიიტაციონ მამული, ვიდრე ხაზინაზე გადავიდოდეს, როგორც ეს იყო გურიაში. ამიტომ შეუძლებელია, რომ აპეკუნს იქ წინააღმდეგობა რამე არ მოელოდეს იქაური მართველობის მხრითაც კი.

— მთავრის სრულწლოვანებამდე, მიპასუხა თავადმა, — არავითარი საკითხი არ უნდა იყოს იმაზე, დაბრუნდება ის თუ არა. ეს მომავლის საქმეა. მისი მამული დაცული უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის რომ დაბრუნდეს და მამული კი გაფლანგული დახვდეს, ეს ხომ საშინელი შეუსაბამობა იქნება: მოჰყვება გოდებას, რომ მისი მამულა იმ დროს გაფლანგეს, როდესაც ის თვით ხელმწიფე იმპერატორის ფრთის ქვეშ იყო შეფარებული. და თუ დაბრუნდება და მამული ხაზინას გადაეცემა, მაშინ ხომ ხაზინაც თქვენივე ინვენტარით მოითხოვს.

— ასეთი კეშმარიტების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ მეორე ჩემი მიზეზი, სამეგრელოში რომ ახლა ასეთ გუნებაზე არიან, შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც აპეკუნს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის თქვენი საბჭოს წევრია, ხოლო თქვენი საბჭოს წევრს — რომ ის აპეკუნია. ე. ი. მე მინდა ვთქვა, რომ მოწინააღმდეგეთ ყოველთვის ექნებათ მიზეზი აპეკუნის მოქმედებაში დაინახონ ის, რაც არ უნდა ჩაიღინოს მთავრობის აგენტმა და აგრეთვე აგენტის მოქმედებაში ის, რაც არ უნდა ჩაიღინოს აპეკუნმა. და ეს ენებას არ მომიტანს სამსახურში?

— მიზანი აპეკუნისაც და მთავრობისაც ერთია: დაცვა იმ პირის მამულისა, უმალესი მფარველობით რომ არის უზრუნველყოფილი. ამიტომ მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთოთ თქვენ ისეთი, რაც არ შეეფერებოდეს ჩემი საბჭოს წევრსა. და თუ ადგილობრივ შეხედებით რამე წინააღმდეგობას, პირდაპირ

მე მომწერეთ, მარჯვენა ხელი ეიქნები თქვენი.

— მაშ იღარც მეორე მიზეზია.

— ძალიან მოხარული ვარ! მესამე?

— აბეკუნმა თვითონაც უნდა ათვალოდეს მამული. ამისათვის კი საჭიროა იქ ყოფნა წელიწადში 2-3 თვით მაინც. შეიძლება კი ეს თქვენი საბჭოს წევრისათვის?

— განა თქვენ იქ იმდენი საქმე გექნებათ, რომ ხანდახან მაინც ვერ შესძლოთ ჩაიხედოთ ჩემს საქმეებში, თან თუ გაგატანთ ხოლმე?

— მაგისათვის მე დროს ყოველთვის ვიშოვი?

— ასეთ შემთხვევაში ნებას მოგცემ, რომ წახვიდეთ ხოლმე. ასე რომ, მესამე მიზეზიც აცილებულია?

-- სრულებით.

— საჭიროა, რომ პატარა მთავრის მამული კარგ ხელში იყოს, ამიტომ მე ვთხოვთ, რომ უარი არა სთქვათ!

— თქვენო ბრწყინვალეებო!

— მაშ თანახმა ხართ?

-- თანახმა ვარ.

— მაშ მისწერეთ ეს კენიან ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, მისწერეთ და წერილი მე გადმომეცით, შიკრიკის ხელით გავგზავნი.

მივწერე და გადაეცე.

შემდეგ დადგა დრო ანგარიშს შედგომოდ.

ანგარიში დამზადდა 1859 წლისათვის. ამ დროისათვის მეფის მრავალჯერ მთავარმართველობაში ცვლილებები მოახდინეს და თვით თავადი ბარიატინსკის მოსაზრებით, ხუთ განყოფილებაში ერთი კანცელარიის მაგივრად, 5 სამინისტრო დეპარტამენტი დააწესეს, 3-ის და 4-ის განყოფილებით თითო: ესენი იყვნენ დეპარტამენტები: საერთო საქმეების, ფინანსების, სახელმწიფო ქონების, სასამართლოსი და საკანტროლო: ამიტომ თვითველი განყოფილების დირექტორს შევამოწმებინე მისი სპეციალობის ანგარიში და ისე წარვადგინე ჩემი ნამუშევარი.

ამ ანგარიშის მოხსენებას ვაყენებდი

ათი დღის განმავლობაში ყოველ დღეს, 9-დან 11 საათამდე და ისეთი კება მივიღე, რომ როდესაც კენიან და დინისამ ოფიციალურად შემოთვალა, ენათვისუფლებ აბეკუნობისაგან მათის თხოვნით ბარ. ნიკოლაის და თავ. ჰავეკაძეს, ვირჩევ ყიფიანს და გთხოვთ დანიშნოთ, თ-მა ბარიატინსკიმ გამომიცხადა — გნიშნავთ, მაგრამ თავიდან კი არ მოგიშორებთ, სანამ მე თვითონ არ წავალ ტფილისიდანო.

იძის უკვე მზად ჰქონდა გეგმა შამილთან საქმის გათავებისა და თავადი ალექსანდრე ივანეს ძე სალაშქროდ ემზადებოდა.

შემდეგ რა ბედი ეწია ყოველ ხაწილებში მოწონებულს და უკვე თეთრად გადაწერილს ანგარიშს, მე არ ვიცი თავადის დაღესტანში წასვლის შემდეგ მე გავემგზავრე სამეგრელოში, სადაც მეგობრებიც და მტრებიც, გარდა მხოლოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა, დამიხედნენ როგორც არსებული წესწყობილების მტერს.

აქ არ არის ადგილი დაწვრილებით მოყოლისა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობას ვხვდებით ადგილობრივ მოხელეებთან ყოველ ჩემს მოთხოვნასა და განცხადებებში, მცირეწლოვანის მთავრის კერძო ქონებათა დასაცავად. მაგრამ გაცვრით რომ ითქვას ამ წინააღმდეგობის შესახებ, ესეც საკმარისია, რომ ახლაც კი, როდესაც დამშვიდებული და არა დაინტერესებული ვუცქერი უკვე საკმარისად შორეულ საქმეს, ეს წინააღმდეგობა მიმართა დაუჭერებელ თავებდობად და უაღრეს შეურაცხყოფად პატივისცემის გრძნობისა იმ ხელისუფლებისადმი, რომელსაც ვემსახურებით.

სამეგრელოს მაშინდელმა გამგებელმა (აწ გარდაცვალებული) წარბშეუხრებლად გავგზავნა ოფიციალური მოხსენება, რომ სამეგრელოს მთავარს იმედი არ უნდა ჰქონდეს წელიწადში 13 ათას ნანეთზე მეტი შემოსავალი მიიღოსო.

რომ არ მქონია ამისათვის არავითარი სურვილი და ჩემს ბუნებასაც ეწინა-

10-345

აღმდეგებოდა, ისე დაჰქირდა მიინც პროტესტები და საჩივრები — მაზრის მართველობაზე ოლქის მართველობასთან, ამაზე კიდევ გენერალ-გუბერნატორთან და მეფის მოადგილესთან.

მაგრამ თავადი ბარიატინსკის დაპირებული მარჯვენა ხელი ჩემს წინააღმდეგ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინააღმდეგ აღიმართა; ის იმდენად ბედნიერი იყო, რომ შეეძლო თავისი პოსტი ბიეტოვებინა, ხოლო მე აპეკუნობის თავის დანებების ნება არ მომცეს.

— თქვენო ბრ-ავ! მივმართე თავად ბარიატინსკის, — თქვენი გადაწყვეტილების შემდეგ მე აღარ მესმის ჩემი მოვალეობანი; ხოლო მოვალეობას, რომელიც არ გესმის, ვერ აასრულებ. ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ თავი დაუანებო აპეკუნობას.

— ეგ ხომ აგრე ვიცოდი, მაგრამ გთხოვთ ახლა ნუ იზამთ მაგას. შეგიძლიათ ერთი წლის შემდეგ, ან რვა თვის შემდეგ.

— ამ ხნის განმავლობაში ჩაბარებული ქონება მთლად განიავდება და პასუხისმგებელი კი მარტო მე ვიქნები ღვთის წინაშეც; კანონისაც და ჩემი შვილების წინაშეც. იმის ნება მიინც მიბოძეთ, რომ ყველაფერი შევატყობინო კნენიას, რადგან აპეკით იმას ვემორჩილები.

შევატყობინე კნენიას პეტერბურღში საქმის ვითარება.

ის, რასაკვირველია, განრისხებული იყო და დავეალებინა ქ-ნ სემიონოვისა-ისის, ჩვენი საბჭოს ყოფილი წევრისა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, შეედგინა საჩივარი კავკასიის კომიტეტში შესატანად.

ამავე ღროს მეფის მოადგილის პირით მეც დამიბარეს პეტერბურღში და იმანაც მიბრძანა წავსულიყავი.

— ვასრულებ — რა თქვენს ბრძანებას, მე უნდა წავიდე, მაგრამ თქვენო ბრ-ავ, იქ რომ საქმეზე შემეკითხონ, მე ხომ ვერაფერს ვეტყვი გარდა იმისა,

რაც უკვე მქონდა პატივი თქვენო ბრ-ის-თვის მომხსენებინა და ამხსნა.

— წადით და ღმერთი გაუფრთხილეთ თქვენა შემწე; მოიქეციით ისე, როგორც გინდოდეთ, მე არაფერში ხელს არ შეგიშლით, კნენიას მე თვითონ ვურჩიე საქმე სახელმწიფო საბჭოში ან კავკასიის კომიტეტში გადაეტანა. მე ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შევეცილი და თუ აქ იმის სასარგებლოდ გადასწყვეტენ, მე ეს არ მეწყინება.

მივედი პეტერბურღში 1860 წ. აპრილის თვეში. საჩივარი სემიონოვის მიერ უკვე იყო იქ შედგენილი და მალე კავკასიის კომიტეტშიც შევიდა.

საქმე მთელი წელიწადი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში საქმის შესახებ დაწერილებით პირადათ მეკითხებოდნენ: კომიტეტის საქმეთა მმართველი ვლ. პეტ. ბუტკოვი, წევრი კომიტეტისა გრაფი დიმ. ნ. ბლუდოვი და თავმჯდომარე თავ. ალექს. თევ. ორლოვი. ჩემი განმარტებანი დამყარებული იყო რასაკვირველია, იმ ცნობებზე, რომლებიც უკვე თვალწინ იყო, საქმეში.

1861 წ. აპრილის თვეში გამოვიდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი კავკასიის კომიტეტისა, რომლითაც სამეგრელოს მთავრის ყოველი დარღვეული ქონებრივი უფლება აღდგენილი იყო, ხოლო მოქმედება ადგილობრივ ხელისუფალთა, რომელთაც ბარიატინსკი ესწრებოდა, სრულებით უარყოფილი.

თ-ღმა ბარიატინსკიმ უდიდესი პატივი მცა მით, რომ ასეთი გადაწყვეტილება ჩემს გავლენას მიაწერა და საზღვარგარეთიდან ტფილისში ასეთი ბრძანება გამოგზავნა: ამის შემდეგ ყოფიანი ჩემი საბჭოს წევრად ვერ დარჩება. მოახსენეთ თ-ღ გრიგოლ დიმიტრის ძეს, მის მაგიერად დანიშნოს სტარაიკი.

ასე დამთავრდა 1862 წ. ჩემი სამსახური მთავრობაში; მაგრამ დამთავრდათ-დი ბარიატინსკის მეფის მოადგილეობაც კავკასიაში, ის აქ ველარ დაბრუნდებოდა ერთი სკანდალის გამოც, საზღვარგარეთ რომ შეემთხვა: ცოლი წაართვა თავის აღიუტანტს და მასთან

დუელით გასწორების შემდეგ, ჯვარი დაიწერა“.

აქ უნდოდა დაემთავრებინა მემუარები და შეჩერდა... დიმიტრი ყიფიანი, ეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, მთელი 9 წელი ემსახურა ეკატერინე დადიანს, როგორც მეურვე სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრისა, მაგრამ დედოფალი მაინც კმაყოფილი არ იყო ამ უანგარო კაცის სამსახურისა. ამიტომაც დიმიტრი იძულებული იყო თავის მემუარებში ამ აპექუნობის მთელი ამბავი მოეთხრო. საქმე ის იყო, რომ თავის დროზე დიდი მიტქმა-მოტქმა მოჰყვა დიმიტრი ყიფიანის მეურვეობას. ბევრი მტერიც გაუჩნდა. მან თავის მემუარებში ესეც ჩაწერა:

„იმის გულისათვის, რომ 1858 წ. არ ვათხოვე ყური სამეგრელოს ხალხის ხმას და ამ ხნიდან მოყოლებული 9 წლის განმავლობაში თავგამოდებით ვიცავდი სამეგრელოს მთავრის სახლობის ინტერესებს, რომელზედაც თითქო ღვთის წყრომა იყო გადმოსული, თავს დამატეხეს ისეთი სასჯელი, რაც შეიძლება წარმოსდგეს მხოლოდ ელექტრონის განსაკუთრებულის ძალით, ჩვენს სასამართლოებში ხანდახან გასაოცარი უსამართლობით რომ იფეთქებს ხოლმე.“

სამეგრელოს მთავრის მამულმა პირველი აპექუნის ხელში 1858 წელს 227 მ. მისცა წმინდა შემოსავალი.

მისგან უძველი გასწორება

რაც უფრო ბერდებოდა გრიგოლ ორბელიანი, მით უფრო მოუხშირა წერილების წერას ეკატერინე დადიანისადმი. თავისი ყმაწვილკაცობის მეგობრებიდან, შიჯურებიდან თითქმის სხვა არავინ შერჩა, ეხლა მხოლოდ ეკატერინე ეგულებოდა, მას სწერდა გულწრფელ წერილებს, მას უმეტავენებდა თავის ყველაზე უფრო საიღუმლო ამბებს. სოფლის სამღურავსა და სიბერის გამო მღურავსაც მასვე ატყობინებდა:

„თქვენო უგანათლებულესობავ, მოწყალეო დაო ეკატერინე!“

ჩემს ხელში ამ შემოსავალმა, მართალია ერთბაშად არა, მაგრამ თანდათანობით, — მეტადრე ვაგვესოფის ცნობიერების გადაწყვეტილების შემდეგ 1861 წ. და 1867 წ. იანვარში მეორე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, ნიალწია იმ ციფრამდე, 1857 წელს რომ საინტერესო აღწერილობასა ჰქონდა ნავარაუდვეი ე. ი. 80.000 მანეთამდე, რომელშიაც შედიოდა 1867 წელს მთავრობისაგან დანიშნული მილიონის სარგებელიც.

მაგრამ ისეთმა ელემენტებმა, როგორც ქალის კაპრიზი, როგორც ყმაწვილ-კაცური ძინი გამდიდრებისა, როგორც ალლო ზოგიერთი ადვოკატისა, თუ სად შეიძლება კარგად გამორჩეს, როგორც ქედმოხრა ზოგიერთი მსაჯულისა მოწყალესა და დამაწინაურებელის წინაშე, — ყველა ამან ერთად ხელი შეუწყო იმას, რომ ყოფილი მთავრის თავადი მინგრელსკის სასარგებლოდ სასამართლომ 50.000 მანეთი მომისაჯა გადასახდელად — და ეს რაღაც 5 თუ 6 წლის შემდეგ, რაც მენგრელსკის ინტერესების გადამეტებული ენერგიული დაცვისათვის განსვენებულმა თავ. ბარიათინსკიმ მეფის მოადგილის საბჭოდან და სულაც სამსახურიდან გამომაბრძანა...“

განაწყენებულმა დიმიტრი ყიფიანმა აქ დაუესვა წერტილი თავის მემუარებს.

ვასკოდე ცად მიმართ, და ვარ წინაშე თქვენსა დამნაშავე და პირშავად; არ ვიმართლებ ჩემს თავსა, რომ აქამომდის ვერ მოგართვი პასუხი თქვენის წერილისა, ჩემთვის მარად ძვირფასისა. უნდა მომიტევოთ, რადგანაც მიცნობთ სიყრმიდანვე თავდადებით ერთგულსა და პატივისმცემელსა თქვენსა, უნდა მომიტევოთ, რადგანაც დავჰბერდი, და ამასთანავე მეტად უბედური წელიწადია ჩემთვის: დავჰკარგე ჩემი გულით საყვარელი ყაფლან, ძმა, შეგობარი, ამხანაგი. დავჰმარხე ჩემი საყუთარი სოსიკო, დი-

დად პატიოსანი, ქვეიანი, გულით კეთილი, განთქმული ვაჟკაცობითა და ამასთანავე ნასწავლი. და ახლა დადუმდა, გამოყრუვდა ჩვენი ოგი ქუჩა, რომელიცა ოდესმე დულდა მზიარულებითა და იყო სავსე ყმაწვილკაცებითა და ქალუბრითა, ქებულნი ზრდილობითა, მშვენიერებითა, გონებითა. აწ დავპოთი მე მარტო და ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა უცნობი სხვათათვის.

განგეჟორდნენ ველს ნაცნობნი,
ვინცა გულობა ვეყვარდნენ,
თავათ მოგვეფარდნენ, წავიდნენ...
ბევლაგან დავპოთი მე და შენ...

ასე ჩემო უსაყვარლესო დაო, არ უნდა კი მიწყრებოდე, უნდა შემობრალე, უნდა შემობრალე. — აღარ შეგაწყუბებ ჩემის ვაებითა.

რა ამბავი იცით თქვენის ნიკოსი და ანდრიასი? დროა, რომ მოვიდეს ნიკო, დასახლდეს თავის მამა-პაპეულ მამულში, რომ გაჩნდეს ერთი მაინც ოჯახი საქართველოში განსასვენებლად ჩვენის დაჩაგრულის გულისა. ირწმუნეთ, ნიკოს ბედნიერება მხოლოდ მანდ არის და არა სადმე სხვაგან. წყალობა ხელმწიფისა არცა მანდ მოაკლდება, და მხოლოდ პეტერბურლისათვის რა საჭიროა დადიანი? აქ კი თავს შემოველებდა მთლად ჩვენი ქვეყანა.

თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა ხალხითა, ასე რომ მიხაილოვსკის ხიდი ველარ იტევს მიმომსვლელთა ეკი-აყებსა, ფურგუნებსა, ურმებსა; ერთი თეატრი ველარა ჰყოფნის ქალაქის მცხოვრებთა, და ამის გამო გაიშართა კრუეოკ, რომლისა ჩლენები ირიცხებიან შეიდასზე მეტნი, გაიშართა ტიფლისისკის სობრანიე, აგრეთვე რამდენისამე ასის ჩლენებით, სადაცა მუზიკის გარდა არიან ჩვენნი საზანდრებიცა, სიმღერითა და ლეკორის თამაშობითა; ამის გარდა არის ანგლისკის კლუბი, მე-შჩანსკის კლუბი, ცირკი და კარუსელი; ვისაც ყმაწვილი გული აქვს, მზიარულობს.

მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდგომარეობაში იმყოფება

ჩვენი თავადობა, რა საშინლად დეჟეცა და გაწყალდა სიღარიბისაგან! — საქართველო მრავალჯერ აოხრებულა, ვედამწვარა ლანგთემურისაგან, შაჰაბაზისაგან, ოსმალთა და სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკვდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდან და თავის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა და შემდეგ, ყამთა განმავლობაში, ნელნელა მოდიოდათ ცხოვრებაში. ახლა ჩვენს თავადობას აღარსად ექმნება თავის შესაფერებელი. ჩვენი მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიღამ ჰსჩანს ნათელი ნუ გეშისა!

ველიკი კნიაში, როგორც ისმის, მობრძანდება თებერვლის გასულს და ისევ დაბრუნდება, რადგანაც მისი უფროსი შვილი უნდა დააფიცონ ცერემონიით მისში, მერე მგონია გავიდნენ საზღვარგარეთ და ბოლოს იენისში, ივლისში, მობრძანდებიან პირდაპირ ბორჯომსა.

სტაროსელსკი წავიდა გუშინ პეტერბურლს სხვა და სხვა პროექტებითა. — კნიაზ მირსკი აპირებს აქედამ სრულებით გადასახლებას პეტერბურლში და მისს ადგილს მიიღებს ლევან მელიქოვი; მაგრამ, ვაი, თუ, ამანაც ვერ გაუძლოს მეტად ძნელს თანამდებობას, და მაშინ, ვინ იცის ვის ხელში ჩაეარდება ბედი ჩვენის ქვეყნისა. ეს ფიქრი ძალიან მაწუხებს.

თქვენნი ძმისწულები: სალომე, ელენე, კაკო, თამარ მშვიდობით არიან, და ამშვენიებენ აქაურს საზოგადოებას ზრდილობიდა, სილამაზითა, გულითა, — მეტად მშვენიერი ვაჟი ჰყავს თამარსა, ჩემი ნათლული, ვება ტანისა, გასაოცებულის თვალებითა. კარგი ეს არის, რომ თვით თამარიცა ჩემი ნათლული არის... გახსოვთ, ჩვენი წინანდალში ყოფნა, როგორ გვეშინოდა მე და დავითს გრძელის მეზალისა!

ტასო გაგარინისა და ელენე კარგად არიან. აგრეთვე დალისტანში მყოფნი, ბედისაგან იქ განდევნილნი, ივანე და სოფიო. ძალიან მაწუხებს, რომ ოკრი კვირა არის ძალუა ვარინკასი და გიორ-

გის ამბავი აღარა ვიცი-რა. — მესამე დღეა, რომ მოდის და მოდის მოუწყვეტლივ საზარელი თოვლი.

ამ დღეებში იყო აქა და წაივდა ისევ თავის ლუბერნიაში ჩვენი ნიკო ჰაჰკეაძე, უწინდელი გეი ნიკო და ახლა კი დიდად გამოჩენილი ლუბერნატორი ელისავეტოპოლისა. მეტად კარგი რამ არის და გულითაც მიყვარს.

ღმერთი იყოს მარადის თქვენი მფარველი და თქვენის მშვენიერის შვილებსა, და მეც ოდესმე გახსოვდეთ ხანდახან, და მეყოფა ჩემს საბედნიეროდ.

თქვენი მარადის ერთგული მოსამსახურე

გრიგოლ ორბელიანი.

თქვენი მშვენიერი სალომე, ჩემი გულთ საყვარელი სალომე, სად არის, როგორ არის, რა ამბავი მოგდისთ? ვთხოვთ, როცა მიჰსწეროთ, ჩემგანაც გამოუტყვადოთ ჩემი ჰეშმარიტი, გულითადი პატივისცემა მისის ღირსეულს ქმრითა.

17 იანვარი, 1879 წ.
თბილისი“.

1879 წელს ეკატერინეს უფროსი ვაჟი ნიკო საქართველოში დაბრუნდა-გრიგოლ ორბელიანიმაც გაიგო თუ არა ეს, ისევ ვერცელი ბარათი მოსწერა ეკატერინეს.

„უგანათლებულესო კნეინავ, ჩემო მოწყალეო დაო ეკატერინავ!

ჰეშმარიტის სიხარულით მოგილოცავ თქვენის საყვარელის ნიკოს მშვიდობით მობრძანებას ცოლშვილით. ღ-მან ჰყოს ბედნიერად, როგორცა საზოგადოდ ჩვენ ვისურვებთ, მაგრამ, ახლა კი დროა, რომ მოხედოს თავის ქვეყანას და დაბინადდეს მამა-პაპეულის მამულსა, ზეგარდმო ნაკურთხსა ნაყოფიერებითა, მშვენიერად შემკობილის მღებარეობითა, საზაფხულოდ გორდითა, საზამთრო ზუგდიდითა; მთა, ზღვა, ტყე; გარშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთაცა ხარბ დაკავშირებული საუკუნეობის განმავლობით და რომლისათვის დიდად არის საჭირო ისევ თქვენივე ოჯახი. მაშა, ვინ უნდა იყოს მზრუნველი

მაგათ კეთილდღეობისათვის? ვინა შექსტივია გული მაგათ უბედურებებში? არა თქვენვე? სამეგრელოშიცა თქვენ ეკუთვნით ერთმანეთსა და ხარბ განუყრელნი. — კნიაზმა ნიკომ, ეხლაც, ვიდრე ყმაწვილი კაცია უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად შეურყევლად, აღაშენოს ოჯახი თავისი, რომ დროზე, ხანში შესულმა, თვითონვე გაიხაროს თავის ღვაწლის ნაყოფითა, თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ველარა აშენდებარა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურდსა; ზუგდიდში უნდა იყოს მაგის სიხარული; მანდა უნდა დათესოს ყოველივე კეთილი და მით, დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა და ამას შეიძლებს კიდევცა, ღ-თის შეწევნითა“..

ამ ბარათს ასეთი მინაწერი ჰქონდა:
ჩემო მოწყალეობელო დედოფალო! დაგბერდი სულის გზას შეუდექი, ვჰკითხულობ დსალმუნსა და აი, მეც მიჰგებად და თუ არ მოგვეწონოს, დაბიეთ:

ვინა აღვიდეს მალაისა მას მთასა
წმინდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღეთისა
დიდებას?
ხელითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით
განწმენდილ,
ვის არ შეეხბო ზაყვის გესლი ამისა
განეთხვად,
და სიყვარულით შეიწყალა ცთომილი
ენებოთ...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მხეებრ
მნაობსა,
მონებრ არ მოჰსდევს, ჰსენობს რას მას
შუქს ფუჰქარამელისა,
ვინც ძლიერებს ხმითა მალლით ამცნო
სიმართლე
და მას დაცემულს მისცა ხელი და
აღადგინა!..
იგი აღვიდეს მალაისა მას მთასა წმინდასა,
ღეთისა დიდების ვალობითა ნათელ-მოსილით.
16 ივნისი, 1879 წელი“.

დედოფალს დიდად ეამა ამ ბარათის მიღება, იგი მიჩვეული იყო გრიგოლ ორბელიანისაგან წერილებით განებდებრებას და იმასაც, რომ ყოველ ახალ ლექსს ჰაშნიკად ასინჯინებდა ზოლმე-ახლაც, სიბერის დროსაც, პოეტი ისევ ამ გზას ადგა და ამამავე მკლავდებო-

და ის დიადი ინტიმი, რომელიც ამ ორ ადამიანს აკავშირებდა. ეკატერინეც ყოველთვის გულისნადებს პირველად გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა, ყველაზე მახლობელ ადამიანად ის ეგულებოდა. და აი, იმ წელს ეკატერინეს ქალიშვილისაგან, სალომესაგან შვილიშვილი შეეძინა. გახარებულმა ბებია იმავე დღეს წერილით შეატყობინა ეს ამბავი გრიგოლ ორბელიანს. ორბელიანსაც არ დააყოვნა და ვრცელი ბარათი მისწერა დედოფალს:

„უგანათლებულესო კნენიავ, მოწყალეო ხელმწიფავ ეკატერინავ!

ჰეშმარტის სიხარულით აღვსილი გილოცავ ჩემის გულის საყვარელის სალომეს მშვიდობით გადარჩენასა მშობიარობიდან. ამას კი მართლად ვჰსწუხვარ, რომ — წყეული იყოს სიბერე — ვერ მივაქენე ცხენ და ცხენ, ვერ გიახელ, რომ ჩვენებურად ძეობა გაგვემართა, და ჰქუდი ჰერში გვეყარა! სალომეს ქალი, უბჰველია, მშვენიერი იქნება თავის დროზე, და ნეტავი იმ მომავალსა ყმაწვილკაცობასა, რომელსაცა მიეფინება შუქი მაგის მშვენიებისა, მომავონდა თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილქალობა და მასვე დრო სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით, მართლაც, მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებითა, უზრუნველყოფითა, და ამასთანავე, საითაც შეეჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს საგათნავას ლექსსა. „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს!“ ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის აწ დაბერებულის გულის გასამხნევებლად, გასაყმაწვილებლად. ღ-თმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ეხლაც ჩემი თავი მით მიმანჩნია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში კიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად, და ახლაც თქვენვე ხარო ჩემი ნუგეშის

მცემელი! გახსოვთ, ჩვენი ხშირად ჩხუბი საწყალ მანანასთან? *ეროვნული*

ადრევეც მოგეწერათ ჩემთვის ქალიშვილი მაშინვე დაველაპარაკე მირსკისა თქვენის ტყის გაჯაფვაზე, მაგრამ მირსკი, ეს ერთი თვე არის, თითქმის აღარ ერევა საქმეში, რადგანაც მიდის ოტპუსკში და არის მზადებაში, მაინც კი ეს საქმე ჩააბარა პეშჩუროვსა და ამ დღეებშივე მე დაველაპარაკე პეშჩუროვსაცა და შტაბის ნაჩალნიკსაცა და მოგახსენებ პასუხსაცა.

საბრალო ლენერალი ლაზარევი მოკვდა სწორედ მაშინ, როცა სრულებით მოამზადა ჯარი და წავიდა თექეთურქმენის დასაპყრობლად. 24 ამ თვისას მოასვენეს ქალაქში და იქნება მისი ცერემონიით დასაფლავება. მეც იმ დროს ჩავალ უკანასკნელის გამოსალმებისათვის. საყურველი კაცი იყო ლაზარევი. უბრალო მკერვლის შვილი, ყარაბაღელი, უსწავლელი, გაუზრდელი, შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ლენერალი კავკასიის არმიისა. სულპირველად მე ავიყვანე, როდესაც იყო კაპიტანი შირვანსკის პოლკისა, და ჩავაბარე მას აყუშა. იქ გამოჩნდა მაგის გონება და შორისმხედველობა, რადგანაც იყო დიდი შიში და ხალხის აღრეულობა შამილისაგან, გულადი, ვაყკაცი, გონებიანი, დავიახლოვე და მალე გამოვიყვანე ჩინებში, ასე, რომ ენ. ბარიატინსკიმაც, დალისტნის აღებაში, დაიახლოვა და ბოლოს, ველიკი კნიაზმაც მისცა დივიზია, მაგრამ შურმა და დაბეზლებამ მალე ჩამწარეს ლაზარევსა სამსახურში ამაღლება: ველიკი კნიაზმა ჩამოართვა დივიზია და დიდს ხანს ჰსცხოვრობდა ბაქოში, ყველასაგან დავიწყებული. ვიდრემდის არ დაიბარეს ამ უკანასკნელს ბრძოლაში, სადაცა მუხთარძაშის დამარცხებამ და შემდეგ ყარსის აღებამ აღიყვანეს ლენერალ აღუტანტობად და ჩამოჰკიდეს მეორე ხარისხის წმინდა გიორგი.

გავჰხედავ და დავიკვებებ, რომ ვინც გაიარეს ჩემს შკოლაში, ყველანი გზმოდინენ განსხვავებით გამოჩენილნი:

რადეცი, ტერლუქასოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე, ლენერალ ასტაფიევი, დივიზიის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანოვი, უდროოდ მკვდარი ივანე ბაგრატიონი, აკრეთვე სოსიკო ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი, ბრუსილოვი უდროოდ დამპლად დაცემული, ლენერალ ლეიტენანტი ლოპკე, აკოლჩინი და თვით ცოტაოდენად ღრავ ლორის-მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენდის ღრავ-ნაჩალნიკად, და სულ ბოლოს ჩემი საყუთარი ნიკო ჰევჭავაძე, ელისავეტოპოლის ლუბერნატორი, რომლისა მსგავსი არავინა გვეყავს ლუბერნატორებში.

ბარონ ნიკოლაი მშვიდობით იმყოფება ბეთანიაში თავის ქალითა და სიძე-ბატონითა, მე კი ჯერ არ მინახავს.

ჩემს გულით საყვარელს და სალომეს ჩაუკოცნი ხელებსა და იყოს ღმერთი შავისი და მავის ქმრისა და შვილებისა მფარველი.

ჩემს საყვარელს ბატონს ნიკოს დავკოცნი შუბლსა, გულსა და ვსთხოვ რომ ჩემმავიერ ხელი დაუკოცნოს თავის მეუღლესა და გამაცნოს მანცა შორილამ.

ღმერთი არის მოწამე, რომ მიყვარხართ, დედით, შვილებით, შვილისშვილებით, რა ვქნა, სიბერემ მძლია; თქვენი ერთად ყოფნა, ნეტაივ მენახა, რომ სულით, გულით დავმტკბარიყავ. ეპლთან გაკურთხოსთ ერთობლივ — ოღონდ კი ზოგჯერ გახსოვდეთ.

თქვენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი.

24-ს აგვისტოს, 1879.

ტაბახშელა“.

ეტერინეს ადგილის დედა ეძახდა, ყოველ ღამეს წინანდალი ეზმანებოდა. ვეღარ მოითმინა, თბილისში ჩავიდა და იქიდან წინანდალს გაეშურა. წინანდალში შემოდგომა იდგა. ყვაოდა კახეთი — დოვლათით და სიუხვით, პუჩრითა და ღვინით განთქმული მხარე საქართველოსი. დედოფალმა გულით გაიხარა. მამისეული ეზო-კარის ნახვამ ბავშვობის დღეები მოაგონა, ბედნიერი

ბავშვობის დღეები. ყველაფერი გაცოცხლდა მის წინაშე. გულში ეწვია იავე ის ბავშვობის დღეები — დამბრუნებოდა, მოენატრა თავისი მეგობრები — არც მანანა იყო ცოცხალი არც ნინო. მაგრამ გრიგოლი? გრიგოლი ეგულე-ბოდა თბილისში და იმევე დღეს მისწერა წერილი, სთხოვა წინანდალში მეწვიეო. გრიგოლ ორბელიანმა ვერ მოახერხა წინანდალში წასელა და სამავიეროდ ბარათი მიართვა დედოფალს:

„9-ს სექტ. 1880.

ღმერთი იყოს ისე მარადის თქვენი გამხარებელი, როგორც მე გამახარა თქვენმა წერილმა წინანდლიდამ, სადაცა თქვენი აწ ყოფნა მეცა აქა მანუგეშებს. მეტად და მეტად მიყვარს წინანდალი. ესე იგი თქვენი ერთიანად სახლობა და თუ ეხლა, სიბერის დროს, მაგონდება რამე სასიხარულო, ირწმუნეთ, მიხარიან და მანუგეშებს ისევე ის დრო ჩემის ყმაწვილობისა, რომელიცა განვატარე თქვენშორის, თქვენს ოჯახში, წინანდალს! და ახლა თქვენივე წარმოიდგინეთ, ჩემი შეწუხება, ჩემის ბედის წყევა, რომ მეძახით წინანდალში მოსვლას, და უნდა უარი მოვახსენოთ, რა ვქნა, დავებერდი, აღარ ვარგივარ, აღარ შემძლიან მგზავრობა, ვსწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. მოვიდა ქამი და უნდა ოხვრით დავემორჩილნეთ სიბერის ძალასა! ეს კი უნდა გახსოვდეთ, რომ მე ყოველთვის თქვენი ვარ სულით და მხოლოდ ეს თქვენდამი გრძნობა არ დამიბერდა, არ გამიცვიდა და ამ გრძნობით ჩავალ საფლავში, საგსე ჭეშმარიტითა თქვენდამი სიყვარულითა.

გუშინ, ვიდრე ამ წერილს გავათავებდი, მოვიდა დიმიტრი ორბელიანი და მიამბო მეტად სამწუხარო ამბავი: ანდრონიკოვის არჩილის შვილმა, მერაბ, დამბაჩა იკრა თავში! მამინევე გავექანდი იმის სანახავად; დოქტორები გარეშე ეხვიენენ მშვენიერს ყმაწვილს კაცსა. 18-ის წლისა, უგონოდ და უიმედოდ მღებარესა. მიზეზი ყოფილა ის, რომ ეგზამენია ვერ დაუჭერია მეექვსეს

კლასში გადასვლისათვის. ეს ყმაწვილი იყო ჩემი ნათლული. ვაი ამის დედა ბარბარეს! ღმერთო, ეს რა უბედური ქვეყანა შეიქმნა ჩვენი საქართველო! ყოველის მხრიდან ისმის მხოლოდ მწუხარების ხმა; ვედარსად ვხედავ გულით გახარებულსა.

ღღეს დილით მომივიდა ამბავი, რომ საწყალ ყმაწვილსა აუხილავს თვალები და მოითხოვა ჩაი. ეს კარგი ნიშანია, მაგრამ ტყვია თავში აქვს დარჩენილი.

ჩემს გულით საკუთარს — საყვარელს დავითს ჩავჰკოცნი, აგრეთვე კნენინა ანეტას ხელს კოცნას მოვახსენებ, და ღმერთმა აკურთხოს მაგათი შვილები.

თ. გრიგოლ ორბელიანი*.

ეკატერინე გრიგოლს მოუთმენლად მოელოდა წინანდალში. თითქოს იქ რაღაც დაკარგულს ეძებდა, ვერ პოულობდა და ეგონა ის აპოვინებდა. ახლა ეს ბარათი რომ წაიკითხა, დაღონდა. სწორედ ამ დროს პეტერბურგის ამბავი მოიტანეს წინანდალში.

სულ ახალი და ახალი ამბები მოდიოდა პეტერბურგიდან. ბორჯავდა ყალყზე შემდგარი რუსეთი. სამოციან წლებში აგორებული რევოლუციური ტალღა უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ბატონყმობის ფორმალურად გაუქმებამ ვერ დაამშვიდა რევოლუციური რუსეთი. ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, დობროლუბოვის მალმერთებელ ახალგაზრდობას მათი სახელი ისევ სალოცავად მიაჩნდა, რევოლუციური ორგანიზაციები ისევ რაზმავდნენ ხალხს. პეტერბურგში ნეკრასოვის დაქრძალვა ახალგაზრდობამ დემონსტრაციად გადააქცია. როცა დაქრძალვაზე დოსტოევსკიმ თქვა პუშკინის შემდეგ ყველაზე დიდი პოეტი ნეკრასოვი იყო, სიტყვა შეაწყვეტინეს, ხალხმა ერთხმად იგრიალა პუშკინზე დიდი იყოთ.

კიდევ რამდენიმე წელი გავიდა და რევოლუციურმა ახალგაზრდობამ უფრო გაიღვა ფეხი...

წინანდალში ეკატერინე ავადმყოფი ძმის სანახავად იყო ჩასული. აქაც, ამ

ძველ ოჯახშიაც ყველაფერი არეული იყო. დავითი ვალებში იყო ჩაჭვლილი და დას შესჩიოდა გამუხუცალი მდგომარეობაში ვარო, იმპერატორს თხოვნით მიემართეთ, მაგრამ ჩვენი ჩივილი არავის ესმისო. თავის მხრივ ეკატერინე შესჩიოდა თავის უბედურებას. სწორედ ამ დროს წინანდალში ამბავი ჩაიტანეს პეტერბურგში ალექსანდრე მეორე მოუკლავთო. ეკატერინე სიხარულით ცას ეწია. მართალია, იმპერატორი მას დიდხანს მფარველობდა, მაგრამ სამთავროს წართმევა მაინც ვერ ეპატიებინა.

— ასეა, ჩემო დავით, ჩემი და ჩვენი ოჯახის შტერი ვერ გაიხარებს. გაგარინმა და კოლუმბიაკინმაც სამეგრელოდან გამაძევეს, მაგრამ შენც კარგად იცი, ჩემო დავით, რა ბედიც ეწიათ მათ: ერთი სვანმა ჩააძალდა, ვერც მეორემ გაიხარა ჩემი ცოდვით, ისიც ჩააძლდა. ახლა კი, ხომ ხედავ, იმპერატორსაც უწია ჩემმა ცოდვამ. არა, მთლად არ გაგვიწირა ღმერთმა — ეუბნებოდა ძმას ეკატერინე და, როგორც მაშინ, 1857 წელს სამეგრელოდან მიდიოდა იმედებითა და ოცნებით მოცული, ახლაც იმედი ჩავსახა გულს: იფიქრა ახალი იმპერატორი უთუოდ გამოასწორებს ჩემს მიმართ ჩადენილ დანაშაულსო.

იმპერატორის მემკვიდრემ ალექსანდრე მესამემ მკვლევების ორგანიზატორებზე სასტიკი შური იძია. სემიონოვის მოედანზე დღისით სახარობელაზე ჩამოჰკიდეს: ევლიაბოვი, პეროვსკიაი, მიხაილოვი, კიბალჩიჩი, რისაკოვი... რაქციამ მაინც ვერ გატეხა ხალხის ნებისყოფა და რწმენა.

იმპერატორის მემკვიდრე — ალექსანდრე მესამემ პირწმინდად გააგრძელა მამის პოლიტიკა და სასტიკად შეუტია ყოველგვარ „ბუნტოვნიკებს“. ახალი პოლიციური ორგანიზაცია — ოხრანკა შექმნა და უნივერსიტეტებსა და სკოლებში უსასტიკესი რეჟიმი გააბატონა, განსაკუთრებული ბრძოლა გამოუცხადა მცირე ერების ეროვნულ მოძრაობას. რევოლუციურმა ახალგაზრდობამ

ბამ შავი რეაქციის შემოტევას შეტევით უპასუხა.

ასევე მოხდა საქართველოშიც. საქართველოს რევოლუციურმა ორგანიზაციებმა პროკლამაციები დაბეჭდეს და ყველა ქალაქსა და სოფელს მოჰფინეს:

— აჯანყდით, აჯანყდით! არ დაინებოთ იმპერატორს კორონაციის მიღება. ხელმწიფე ხალხის დამღუპველია... მოითხოვეთ კონსტიტუცია, ხომ უხუარებთ, რომ ჩვენ უკანასკნელ ლუკმა პურს გვართმევენ...

თბილისის სემინარიაც გაფიცვის ტალღამ მოიცვა. სემინარიელმა ლალია შვილმა ხანჯლით განგმირა სემინარიის რექტორი რეაქციონერი პავლე ჩუღუცი. ამის გამო რევოლუციისა და ქართველი ხალხის მტერმა, საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ დაწყევლა საქართველო, ის ერი, რომელმაც დაბადა სოსო ლალიაშვილი. მთელი საქართველო ცეხზე დადგა, პირველმა დიმიტრი ყიფიანმა ამოიღო ხმა და პროტესტის ვრცელი წერილი მისწერა ეგზარხოსს:

„თქვენო მაღალსამღვდელოება! მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალეობა და თუ გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ეცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალეობას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან იგივე ხმები არ კმაყოფილებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახული გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამღვთოს წინაშე იმ უცოდველის სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოთქვით. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხყოფელი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყა-

ნას რაიმე ახალი დიდი შეცოდება. ზოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენს მწყემსმთავრული ხელით“.

დიმიტრი ყიფიანი ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის იმპერატორს, მაგრამ არასოდეს დალატობდა ქართველებს ინტერესებს და ამ ნიადაგზე მუდმივად ეკამათებოდა და ედავებოდა მეფის მოხელეებს. ამ წლებში იგი, ილია ქაქუცაძესთან ერთად, ხან იანოვსკის უბეგდა, ხან კატკოვს, ხან კიდევ — დონდუკოვ-კორსაკოვს.

— ქართველების სურვილი ის არის, რაც ყოველ ერს ამოძრავებს: დიციან თავიანთი სამშობლო, ენა, მამული და სარწმუნოება, იანოვსკისა და მის აგენტებს კი სურთ დააიფყონ ქართველებს დედაენა. ისინი ჩვენს ხალხს ცილს სწამებენ, მეფის წინაშე აბეზლებენ. — ასე გაცხარებით ეკამათებოდა ყიფიანი კავკასიის ოქქის სასწავლო მზრუნველს, იანოვსკის. მეფის მოხელეები უკან არ იხევდნენ, სულ რაღაც 4 წლის განმავლობაში მარტო თბილისის სემინარიიდან მშ საუკეთესო შეგირდი გარიცხეს მთავრობის ორგულობის მოწმობით.

ქართველთა ეროვნული მეთაურები — ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე განგაშს სტეხდნენ. ქუთაისიდან დიმიტრი ყიფიანი უბეგდა. რუსებმა ახლა სამეგრელოს გარუსება მოინდომეს და განიზრახეს იქ სკოლებში ქართული ენა მოესპოთ. სამეგრელოს შეგნებული ნაწილი წინ აღუდგა ამ ბოროტ საწადელს. ეკატერინე დადიანიც ჩაერია ამ საქმეში.

დიმიტრი ყიფიანმა მკვეთრად აღიმაღლა ხმა: „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში და იქ ყველას ესმის ეს ენა. ამჟამად კი იქ ახალ კულტურას ნერგავენ — მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გაყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი ენები აჭარელებისა, ფშავ-ხევსუ-

რებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. რად გვეტყვიან ასე? რად თიშვენ საქართველოს? განურჩევლად ყველას ეპყრობიან ასეთნაირად თუ მხოლოდ ჩვენ—ქართველებს?”

დიმიტრი ყიფიანი მაგრად დაუხვდა რეაქციის შემოტევას. დიმიტრი, ეს უკვე ქალარა პატრიოტი, დარწმუნდა, რომ საქართველოს დაცვა მსხვერპლს მოითხოვდა და ამ მსხვერპლს არ მოერიდა, გაბედულად შეუტია რუსიფიკატორებს. და აი, ეგზარხოსისადმი მიმართული მისი წერილი საქართველოს მტერმა დონდუკოვ-კორსაკოვმა მოხერხებულად გამოიყენა და ქუთაისის თავად-ახნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს. რამდენიმე თვის შემდეგ კი, საქართველოს დიდი მამულიშვილი, თავდადებული ქართველი იქ ვერაგულად მოკლეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა მისმა რჩეულმა შვილებმა ამ მართლაც „დიმიტრი თავდადებულის“ ნეშტი მოწიწებით ჩამოასვენეს. მისი დასაფლავება უდიდეს ეროვნულ დემონსტრაციად გადაიქცა. ილია ჭავჭავაძემ ვრცელი სიტყვა უძღვნა დიმიტრი ყიფიანს: „იგი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „მოს“, როცა გული ამბობდა „არას“. ქართველმა სტუდენტებმა მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, კიევიდან პატრიოტული წერილები გამოგზავნეს, რომლებიც ილიას გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა. დიმიტრი ყიფიანის კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა მათ შორის იყო ქართველი მუშების — ასოთამწყობების გვირგვინი, რომელზედაც ამოკვეთილი იყო პოეტის სიტყვები: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება!“...

* * *

1877 წელს აკაკი თავის დაქვრივებული დის მატატას მცირეწლოვანი ქალიშვილის ანეტას აპეკუნად დანიშნეს და ამის შემდეგ უფრო ხშირი სტუმარი გახდა სამეგრელოსი. აკაკი მარტო მეურვეობას კი არ უწევდა დისწულის

ქონებას, არამედ, ამავე დროს, პირადად ხელმძღვანელობდა მის აღზრდას. ანეტა დადიანი თვითონაც თხზავდა ლექსებს და რუსულიდან პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებსაც თარგმნიდა. აკაკი ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა ნიკიერ დისწულს, ამავე დროს ხშირად გამოდიოდა ქუთაისისა და სამეგრელოში იმქამად წამოკრილ საზოგადოებრივ საჭირბოროტო საკითხებზე. ასე გრძელდებოდა ეს რამდენიმე ხნის განმავლობაში.

1881 წელს 23 აპრილს აკაკი თავის დიდ მეგობარს — ელისაბედ მარჯანიშვილს სწერდა: „ორშაბათს, ე. ი. ამ ორ დღეში ქუთაისში მივიღივარ, იქიდან კი სამეგრელოში“.

21 მაისს აკაკიმ ქუთაისში „ვეფხისტყაოსანზე“ საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდი პატივისცემაც დაუდასტურეს ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს. ამის გამო 27 მაისს აკაკი ჩერქეზიშვილის ქალს ატყობინებდა:

„ძვირფასო დავა ღიზა, გუშინ იყო ჩემი პირველი ლექცია თუმცა ისე გამტანჯა პოლიციამ, რომ აფიშები საღამომდე არ გამოუშვიათ, მაგრამ ხალხი მაინც დიდძალი შეიკრიბა... ხშირად მაწყვეტინებდნენ კითხვას ტაშისა და ბრაკოში. ძალიან კმაყოფილი დარჩა ხალხი, გამოხმობას ბოლო აღარ ქონდა. მე მხოლოდ იმით დავრჩი კმაყოფილი, რომ ხალხმა ქართულ კითხვას თანაუგრძნო. ჩემი საქმეები კარგად მიდის. დღეს სენაკში მივიღივარ“.

აკაკიმ ზუგდიდში დედოფალი მოინახულა და ისევ დიდხანს ესაუბრა. ეკატერინემ მგოსანი დიდი პატივით მიიღო, განსაკუთრებით ალექსანდრე მეორის გამო დაწერილი ლექსი უკო. დედოფალმა ზეპირად იცოდა ეს ლექსი და თქვა კიდევ ავტორის წინაშე:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ქიკიკითა ვადმომძახა;
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივღე სარკმელს, გადაიხედე,
 არეზარე მესხეაფერა!
 ზასოებამ ფრთა გაშალა,
 ვულსა მკრა და ამიძვერა!
 სუნი მეცა გაზაფხულის,
 უცნაური ვიკრძენ ძალი...
 ესთქე თუ: „გულსა რაღად ვიტყვ?
 ახლოს არის მომავალი“

„მოვესწრები, რაც მიწოდდა
 ზამთრისაგან დაიჯერულსა:
 ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
 გავიგონებ მის მაყრულსა,
 „დავენოს ვარდსა ვადაშლილსა;
 ვუპირეტ ნახად დახრილ იას
 და ბულბულიც ვამაგონებს
 მსხებურად: „ტია, ტია““.

მგრძნობიერმა კითხვამ აკაკის ცრემ-
 ლი მოკვებარა და მადლობის ნიშნად დე-
 დოფალს ხელზე ეამბორა.

— თქვენ დიდი გამბედაობა გამოი-
 ჩინეთ. ალექსანდრე მეორე პირში მა-
 ქებდა და ყველაფერს მპირდებოდა,
 საქმით კი ბოლო მომიღო, მაგრამ
 ღმერთმა სამაგიერო მიუზღო. ყველა-
 ფერი მიპატიებია თქვენთვის, ჩემო აკა-
 კი. მართლაც გაბედული და თავდადე-
 ბული ყოფილხარ! თუმცა ახლა სი-
 კვდილის პირსა ვარ მიმდგარი, მაგრამ
 თქვენისთანა ადამიანების იმედი მიმ-
 ყვება იმქვეყნად, თუმცა თქვენ მეტად
 ახირებული კაცი ბრძანდებით. ბატონო
 აკაკი.

— მართალია, ახირებული ვიყავი,
 მაგრამ იმ ახირებულობაში დიდი სი-
 წმინდე, გულწრფელობა და პატიოსნე-
 ბაც იყო. სადაც გულწრფელობა და
 უტყუარი პირდაპირობა არ არის, იქ
 არ შეიძლება სამშობლოს უანგარო
 სამსახურზე ლაპარაკი. ყოველგვარი პი-
 რადობა და ეგოისტობა ჩემთვის მიუ-
 ლებელი იყო და ამიტომ ნაწყენიც ბევრი
 მყავდა, მაგრამ, რა უქნა, ამ სენს მხო-
 ლოდ საფლავი გაასწორებს.

— დიახ, დიახ, ჩემო აკაკი, თქვენ და
 ილიამ დიდი სამსახური გაუწიეთ ქვე-
 ყანას და ისევ ერთად სამსახური გმარ-
 თებთ სამშობლოსათვის.

— მე იმ აზრისა ვარ, რომ ყოველი
 ქართველი პატიოსნად უნდა ემსახუ-

როს თავის ერს. ღმერთმაც იცოდა
 და კაცმაც, არაფერი დამიკლია ქვეყნის
 სამსახურისათვის. დიახ, ილიამ ასე-
 თივე თავშეწირულია. ოღონდ მე და
 ილიას ხშირად გვიპირისპირებენ ერთ-
 მანეთს და ამას ქვეყნის მტრობითაც
 სჩადიან. „ვეფხისტყაოსანში“ ერთი ტა-
 ეპია: „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს,
 თუ მეორე არ წაწყმინდოსო“. ზოგი-
 ერთს ეს ლექსი შესისხლხორცებული
 ჰქონდა და ილიას ცამდის აყვანას ისე
 ვერ ახერხებდა, იმავე დროს მე ქვეს-
 კნელში რომ არ ჩავეძირე. ზოგი მე
 მაქებს გადამეტებით. ამ ნახევარ საუ-
 კუნის განმავლობაში თითქოს წესად
 იქცა ეს დაპირისპირება, მტრობა და
 შუღლი.

— მართალია, ჩემო აკაკი, მართალი,
 მტრობამ და შუღლმა დაველუბა, თო-
 რემ უფრო კარგად იქნებოდა ჩვენი
 საქმე. — ეს თქვა დედოფალმა და
 გული აუჩუყდა. უცბად ხველაც აუ-
 ვარდა. აკაკი მიუშველა და დარბაზში
 შეიყვანა. ეკატერინე ტახტზე წამოწვა
 და აკაკი ფეხაკრეფით მეორე დარბაზში
 გაივდა.

მეორე დღეს აკაკი დედოფალს გამო-
 ემშვიდობა და თბილისში გამოისწია.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლე-
 ბი დაიწყო. სხვა დრო დადგა, სხვა ხალ-
 ხი მოვიდა. ახალი ძალა გამოჩნდა. სა-
 ქართველოს ლურჯი ზეცა ფაბრიკა-ქარ-
 ხნების კვამლმა გადააშავა, რკინიგზა
 ზუგდიდის კარებს მიადგა და ქართველ-
 მა მუშამაც სხვა თვალით შეხედა ყოვე-
 ლივეს, წარსულსაც და აწმყოსაც. პრო-
 ლეტარიატმა შეუტია ძველ სამყაროს.
 განწირული ფეოდალები, უკანასკნელი
 უეტევის ეინით აღესილნი, ადვილად არ
 სთმობდნენ პოზიციებს.

დაუძლურებული და ავადმყოფი,
 ლოგინად ჩავარდნილი ეკატერინე ქვე-
 ყანას ემდუროდა, მოახლოებულ წარ-
 ლენაზე ლაპარაკობდა და მოსთქვამდა,
 ახალი მისთვის საესებით გაუგებარიც
 იყო და მიუღებელიც. ფუფუნებას, გან-

ცხრომას, დიდკაცობას მიჩვეული დედოფალი ახალ დროს ვერ ეგუებოდა. თბილისში გრიგოლ ორბელიანი ეგულებოდა და იმას შესწივდა ახალი დროის უკუღმართობას. გრიგოლიც თბილისიდან დიდი თანაგრძნობით თითქოს ამშვიდებდა დედოფალს, მაგრამ თვით მისი პირადი წერილებიც აღსავსე იყო სოფლის სამღურავითა და ახალი დროის საყვედურებით. აქ — გრიგოლ ორბელიანი, იქ — ეკატერინე ქავჭავაძე, ეს ორი დიდება ძველი საქართველოსი, მისი სიღამაზე და ეშხი, მუდამ ღზენასა და ზეიმს მიჩვეული ეს ორი დიდებული ერთმანეთს ანუგეშებდნენ, მაგრამ სანუგეშო ველარა ეპოვნათ რა და მათი წერილები მოთქმას უფრო ჰგვანდა, ვიდრე დასამშვიდებლად და მოსაკითხავად მიწერილ ბარათებს. და ბოლოს სძლია ცხოვრებამ ამ ძველ გოლიათებს და სიკვდილის ბორბლები მათს თავზედაც შეაყენა.

* * *

1882 წლის თებერვალს ავადმყოფ ეკატერინეს ისევ ესტუმრა იონა მეუნარგია დედოფალი წუხდა, ძლივს სუნთქავდა. მაინც გაახილა თვალი და პატივისცემით შეხედა სტუმარს, უბრძანა დაბრძანდიო. მეუნარგია შეწუხდა ასე ავადმყოფი რომ იხილა დედოფალი და გაომშვიდობებდა არჩია, მაგრამ ეკატერინემ შეაჩერა:

— მე ძლიერ ცუდადა ვარ, მაგრამ მაინც დაგიბარე და აი რატომ: გუშინ ჩემს ალბომს ვათვალიერებდი, ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი ვნახე, თავისივე ხელით დაწერილი. მოდო აი ეს ლექსები თვითონ ნახე. — დედოფალმა მაგიდაზე დადებულ ალბომზე მიუთითა.

მეუნარგიამ ალბომი გადმოიღო, ფრთხილად გადაშალა, უმაღვე ბარათაშვილის ლექსებს წააწყდა პირველი სამი ლექსი — „ძია გ-რ-ს“, „ღამე ყაბახზე“ და „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“ — ბარათაშვილის ხელით იყო დაწერილი. ავტორი ყველა ლექსს ხელს აწერდა, იქვე თარიღი იყო მიწერილი:

„1841 წ.“ დანარჩენი ორი ლექსიც ბარათაშვილის ხელით იყო დაწერილი. მაგრამ ბოლოში ხელს არ აწერდა იონამ ეს ლექსები ახლო მიუტანა დედოფალს სასათუმალთან და, თუმცა დარწმუნდა, რომ ეს ბარათაშვილის ხელწერა იყო, მაინც ჰკითხა: „ხომ ბარათაშვილის ლექსებია ეს?“ დიახო — დაუდასტურა დედოფალმა და თან დაუმატა, ეს ის ლექსებია 1841 წელს, როცა მე თბილისში ვიყავი, ბარათაშვილმა თავისივე ხელით რომ დამიწერა და მომცაო, უფრო გვიან კი თავისი ყველა ლექსი და „ზედი ქართლისა“ გადაწერა და ორი რვეული ზუგდიდს გამომიგზავნა, იმ რვეულებს მე ყველგან თან დავატარებდი, პეტერბურგშიც თან წავიღე და როგორც ვითხარით, დავკარგე, ჩემს ალბომებს მხოლოდ ეს ლექსები შერჩა, თუ გნებავთ გადაწერეთ და გამოიყენეთ როგორც გენებოთო.

მეუნარგია საწერ მაგიდას მიუჯდა, ლამაზად გადაწერა ბარათაშვილის ეს ლექსები, მოკრძალებით გამოემშვიდობა დედოფალს და შინისკენ გასწია. შინ ხელმოკრედ გადაწერა და იმავე დღეს ილია ქავჭავაძეს გაუგზავნა თბილისში. ილიამ მიიღო თუ არა ბარათაშვილის ლექსები, უზომოდ გაიხარა, და ყურნალის მორიგ ნომერში დაბეჭდა. „ივერიის“ 1882 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილ ამ ლექსებს ილიას ასეთი შენიშვნები ჰქონდა:

„ეს ძვირფასი ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მოგვივიდა ჩვენ ბ-ნ იონა მეუნარგიასაგან, რომლებიც სამეგრელოს დედოფლის უგანათლებულესი კნ. ეკატერინეს ქალღმერთში უბოვნია. ხუთივე ლექსი ბარათაშვილის ხელით არის თურმე დაწერილი და მათს სინამდვილეს დედოფალი ამტკიცებს. თვითონ ლექსის კილოზედ ეტყობა, რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ორს — „ღამე ყაბახზე“ და „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“ — დასრულება აკლია“.

რედაქცია.

„ივერიაში“ გამოქვეყნებულ ბარათა-შვილის ამ ახალ ლექსებს გაზეთი „დროება“ მაშინვე გამოეხმაურა და კინისის ნომერში დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის წერილი: „ნ. ბარათაშვილის ხუთი ნაპოვნი ლექსი (ეკ. დადიანის ქალაქდებში)“.

იონა მეუნარგიამ საკუთარი ხელით ძიართვა დედოფალს „ივერიისა“ და „დროების“ ეს ნომრები. ეკატერინემ გაიხარა, ბარათაშვილის ლექსების გვერდით თავისი სახელი და გვარი რომ ნახა მოხსენიებული. ძალიან ეამა ეს ამბავი და დიდი მადლობა გადაუხადა ახალგაზრდა მეუნარგიას...

...ეკატერინე ავად იყო, მაგრამ ტრადიციულ სააღდგომო მზადებას მაინც შეუდგა სასახლე. დედოფალს უნდოდა სააღდგომო ღღესასწაული ისე ჩატარებინა, როგორც ეს დადიანებს სჩვეოდათ. მწოლიარე ავადმყოფი ყოველდღე ახალ და ახალ განკარგულებას იძლეოდა. თან ბარათებს სწერდა თავის ახლობლებს და მეგობრებს, სააღდგომოდ ეპატიჟებოდა. მისი ვაჟიშვილები ნიკო და ანდრო საქართველოში არ იყვნენ და ესეც აწუხებდა ავადმყოფ დედოფალს; იმ დღეს წერილი მისწერა გრიგოლ დადიანს:

„ჩემო უძვირფასესო მახლო გრიგოლ, გულში შენი წიგნი მომივიდა და ძლიერ მასიამოვნა. მე არ ვარ კარგად, სისუსტე ხშირად მომდის და გული მიღონდება. ძალიან მოწყენილი ვარ, ჩემო გრიგოლ, გთხოვთ სააღდგომოდ ჩემთან მოხვიდე.

სალომე თავის ქმრითა და შვილებით კარგად არის, სიხარულით მოკითხვას მოგიძღვნიან. ანდრო მწერს იტალიაში მივიღივარო. ნიკოს ამბავი დიდი ხანია არაფერი არ ვეცი. მერის წერილიც არ მიმიღია.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო გრიგოლ. ბევრს გაყოცებ, დავშთები მარად შენი ერთგული რძალი.

მთავრინა ეკატერინა“.

12 მარტი, 1882 წ. ქ. ზუგდიდი

ის ზამთარი ავადმყოფმა დედოფალმა ზუგდიდს გაატარა. გაზაფხულზე უფრო ცუდად შეიქნა და თბილისში დაიბრუნდა ბურგიდან ექიმები გამოიწვიეს. ავადმყოფი ექიმების რჩევით გორდს გადაიყვანეს. გორდში ისევ შეუტია ავადმყოფობამ.

იმ დღით დედოფალი ძალზე ცუდად გახდა. წინა ღამეს ნანახი სიზმარი ჭეშრაც მიძიმედ აწვა მის ავადმყოფ სულს. უცნაური სიზმარი ნახა: უღრან ტყეში იყო, ოღონდ არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ამ უცნაურ ადგილას. იგი ვერც შეამთისა და ვერც ურთის მთის ტყისთვის მიეგმვანებინა. მუხნარის, წაბლნარის და რცხილნარის შუაგულ ტყეში ოდნავ გაკავებულ ადგილას იდგა. იქვე დიდი მუხის ძირას წყარო ამოჩუხჩუხებდა. დილა იყო, ფრინველები სიშღერით ესალმებოდნენ მზის ამოსვლას.

მოწყურებული დედოფალი წყაროს წყალს დაეწაფა, აიხებდა და გაქვავდა. მუხის გარშემო დათევები დააბოტებდნენ. ერთი მათგანი თავის კანტურითა და უცნაური ბურღლუნით გამოეყო დათევებს და დედოფლისაკენ გამოსწია. სულ ახლოს მოვიდა დედოფალთან. ის იყო დათემა მათები აღმართა, რომ განწირულმა და სასოწარკვეთილმა დედოფალმა იყვირა და ხელები გააშავსავა. სწორედ ამ დროს ზევიდან ფრთებიან რაშზე შემჯდარი კაცი დაეშვა, ხელები მოჰხვია, გულში ჩაიხუტა და ღონემიხდილი დედოფალი ნაფოტივით ზევით აიტაცა.

უცხად მთის წვერზე დაფრინდნენ. მოტიტივლებულ მწვერვალზე ერთადერთი ხე იდგა. კაცმა დედოფალი ფრთბილად ჩამოსვა ცხენიდან, ხოლო ცხენი იქვე ამ ზეს აღვირით მიიბა. მხოლოდ ახლა შეხებდა დედოფალმა მხედარს, შეხებდა და შეიცნო. ქულაჯაში გამოწყობილი მხედარი გამოცხადებული ტატო იყო. მაგრამ ეს ბმალი? ხმლიანი არასოდეს ეხილა ბარათაშვილი და უფრო უცნაურად დააკვირდა მხედარს. ნამდვილად ტატო იყო, ტატო ბარათაშ-

ვილი სიხარულისაგან იყვირა და ის იყო უნდა გადახვეოდა ტატოს, რომ ამ დროს, ცამ იგრგვინა თუ მიწა ინძრა, ერთბაშად ჩოხა-ახალუხში და ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი მამაკაცი გამოეცხადა. ეს კაცი ფრთებიან რაშზე იჯდა და მარჯვად ფრთებგამობმული ის ულაცი ახლდა, რომელზედაც დედოფალი იჯდა თათრების წინააღმდეგ ომში. მამაკაციმა უბრძანა დედოფალს ამ ცხენზე შეჯექო. დედოფალი დაემორჩილა მხედრის სურვილს. კაცმა ხელიც შეაშველა და დედოფალი თავის ულაცზე შეჯდა. მერე უკან მოიხედა და იცნო: ის მხედარი დავით დადიანი იყო. იცნო და ის იყო გაფრინდა კიდევ დედოფლის რაში. უკან ცხენზე ამხედრებული დავითი გამოეკიდა. თვალის დახამხამების უმაღლესაზე მიბმული რაში ტატომ და ცხენდაცხენ გამოეკიდა ეკატერინეს. მიუახლოვდა თუ არა ტატო ეკატერინეს, დადიანმა ხმალი იშვიშლა და მოუქნია. ბარათაშვილმა ქვევიდან აუკრა ხელი ხმალს და ცა ნაპერწყლებმა გაანათა. ახლა ბარათაშვილმა მოუქნია, დადიანმაც მარჯვედ დაახვედრა ხმალი. ბარათაშვილის ასხლეტილმა ხმალმა თავი წააცალა ეკატერინეს ცხენს. დედოფალმა შიშით უკან გადაიწია და ხელში აღვირი შერჩა, ცხენიც გამოეცალა ფეხებიდან, ჰაერზე გამოკიდებული დედოფალი მიწაზე დაენარცხებოდა, რომ ამ დროს ანგელოზის ფრთები არ გამოხმოდა. ცაში ისევ ჩახა-ჩუხი გაჰქონდა ხმლებს. დედოფალი ისევ უვნებლად დაეშვა იმ წყაროსთან, სადაც ამ დღით იდგა.

ძირს დაიხედა, იქვე, ფეხებთან, ბარათაშვილის ლექსების კრებული იდო. ეს ის რვეული იყო, დაკარგულად რომ ეგულებოდა. დედოფალმა უზომოდ გაიხარა და რვეულების ასაღებად დაიხარა. სწორედ ამ დროს შავი ყორანი მოფარფატდა, დაასწრო და კრებული ნიკარტით ჰაერში აიტაცა. დედოფალმა ზევით აიხედა. ცა მთლად შავი ყორნების ფრთებს დაეფარა და იქ ვერაფერი გაარჩია. ახლა ისევ ქვევით დაიხედა. ვეებურთელა წყარო ტბად ქცეულიყო და იქიდან

გველუშაი გამოსრიალდა. ენის სურსათით და უცნაური წივილით ეს ურჩხული დედოფლისაკენ მოიწვივდა. ცივილა შეშინებულმა ეკატერინემ და ამ წვალუბაში კიდევ გამოეღვიძა.

ისევ ჩაეძინა დედოფალს. ახლა სხვა სურათი ეზმანა ეკატერინეს. თბილისში, მამის სასახლის წინ საქართველოს თავკაცებს მოეყარათ თავი. სასახლიდან თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მამა გამობრძანდა. საქართველოს თავკაცებმა გზა დაუთმეს ალექსანდრეს, ხოლო ერთმა იმათთაგანმა თეთრი ტიპი მოართვა. ხანდაზმული გენერალი მკვირცხლად შეჯდა ცხენზე. ამ დროს თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი მოკისკისე ეკატერინე წინ დაუდგა ცხენს. მამამ ბრძანა და კატინა მეორე ტიპზე შესვეს. ისევ გაირღვა შეჯგუფებული თავკაცების წრე და ცხენებზე ამხედრებული მამაშვილი თავდაღმართით გოლოვინის პროსპექტზე დაეშვენ. გოლოვინის პროსპექტზე კი ორ რიგად იყო ჩამწყრივებული ქართველთა ჯარი. სამხედრო აღლუმს გრიგოლ ორბელიანი და გრიგოლ დადიანი განაგებდნენ. ამ სურათით გახარებულმა ალექსანდრემ ჯარს გადასძახა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ და ჯარიც ერთბაშად გამოეხმაურა ქართული „ვაშათი“ ალგუნებულ პოეტსა და გენერალს. ასე ჩამოუარეს პროსპექტის ერთ მხარეს ქართული „ვაშას“ გუგუნში. მათ უკან ორი ტიპოსანი თმაგრუზა ჰაბუკი მოსდევდა. ერთს საქართველოს დროშა ეჭირა, მეორეს — სამეფო გვირგვინი.

ეკატერინეს მეტად ფართო და გრძელი ეჩვენა გოლოვინის პროსპექტი. არც ასეთი ლამაზი სასახლეები, ამდენი ჯარი და მოზეიმე ხალხი უხილავს მის თვალს წინათ. გაოცებული შეჰყურებდა ყველაფერს ამას და უზომოდ გახარებული გვერდით მოსდევდა ტიპზე ამხედრებულ მამას. ახლა მეორე მხრივ შემოუარეს ჯარს და ისევ მამის სასახლის წინ გაჩერდნენ. ალექსანდრე პირველი ჩამოხტა ცხენიდან, მის მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ. მათ წინ ის ორი ახალგაზრდა

განერდა, რომელთაც საქართველოს დროშა და გვირგვინი ეჭირათ ხელში. მათ გარშემო ისევ საქართველოს თავკაცებს მოეყარათ თავი. ალექსანდრემ პირველი გადაისახა და დროშის წინ დაიჩოქა. მერე მარჯვენა ხელით დროშის კალთას მისწვდა და ეამბორა. ამ დროს ერთდროულად გამოეყვნენ საქართველოს თავკაცების წრეს დადიანი და ორბელიანი, ჭავჭავაძის პირდაპირ დადგნენ და ერთდროულადვე ეამბორნენ საქართველოს დახრილ დროშას. ადგა ალექსანდრე, თმაგრუხა ჭაბუკს საქართველოს სამეფო გვირგვინი ჩამოართვა და მოწიწებით თავზე დაადგა ეკატერინეს. სწორედ ამ დროს ხალხით სავსე მოედანი სტუდენტის ფორმაში გამოწყობილმა ჭაბუკმა გამოარღვია და ხელი დასტაცა საქართველოს დახრილ დროშას, ზეადმართა იგი, შეარხია და ხალხს გადასძახა:

ქართველო, ხელი ხმალს იქარ,
გათენდა დღე დიდებისა.
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა...

ახლა ხალხი იმეორებდა ჭაბუკის სიტყვებს:

ქართველო ხელი ხმალს იქარ...

ეკატერინემ მოიხედა და რას ხედავს: ხალხი გუგუნით მისდევს სტუდენტს, რომელსაც მალლა აუზიდავს საქართველოს ერთგული დროშა. დედოფალი კი სულ მარტო დარჩა, ახლა თავზე მოისვა ხელი, სამეფო გვირგვინი აღარ ეხურა, გული ეტკინა ისედაც გულით ავადმყოფ დედოფალს და ამასობაში გამოედვიდა.

ახლა წევს ავადმყოფი ეკატერინე და იკონებს ამ სურათს და ვერაფრით ვერ ნოუგონებია, თუ ვინ იყო ის ჭაბუკი, რომელიც საქართველოს დროშით ხალხს გაუძღვა: ტატო, დავითი, თუ სხვა ვინმე? უცბად ავადმყოფი გონება გაუნათლდა და ის ახალგაზრდა ჭაბუკი ილია ჭავჭავაძის მიაგვანა. სწორედ ის ილია იყო, რომელიც პირველად პეტერბურგში წახა. ავადმყოფობისა და სიზმრისაგან

შეწუხებულმა დედოფალმა გონდოს წყაროს წყალი მოითხოვა, მოართვის, შესვა, მაგრამ ვერ მომჯობინდა.

ავადმყოფი ეკატერინეს თავზე ნაცობები და მეგობრები ეხვივნენ. ზუგდიდიდან ცოლ-ქმარი ზუტენერებიც ამოსულიყვნენ. დედოფალს დიდად ეამა ბერტას ნახვა, სასთუმალთან დაისვა და საუბარი გაუბა. ავადმყოფი დედოფალი გამოცოცხლდა და ყველამ შვებით ამოისუნთქა. ამ დროს თბილისიდან ექიმებიც მოვიდნენ. გასინჯეს და სამყურანლოდ კარლსბადს წაბრძანება ურჩიეს. ეკატერინემ ხელუბი გადასაცხავა, სრული უარი განაცხადა: — თუ სასიკვდილო ვარ, სულერთია, კარლსბადი ვერ მიშველის. მირჩევნია ისევ ჩემს მამულში მოკვდე. ერთხელ ჩემი შვილის ცხედარი ყუთით გამოვგზავნე, როცა სამშობლოში ჩამოსვლის უფლება აყრილი მქონდა და ახლა აღარ მინდა მეორედ ჩემი კუბოც ასევე გამოგზავნონ უცხოეთიდან. არა, მე აქ, ჩემს მამულში, ჩემს სასახლეში უნდა მოკვდე. — ამას ისე ამბობდა დედოფალი, რომ ვერაფერი უთბრეს საწინააღმდეგო. მაგრამ დაღონდნენ, შფოთვარებამ მოიკცა მთელი სასახლე.

წუხდა დედოფალი, წუხდა და ამოდებდა. წამლურებით ამბობდა რაღაც გაუგებარს. მისმა ქალიშვილმა სალომემ ყური სულ ახლოს მიუტანა დედას და გარკვევით გაიგონა:

„თვითონ შეგნავს, უბღველინი...“

დანარჩენი სიტყვები აღარ აგონდებოდა ეკატერინეს, წვალობდა და ვერ იგონებდა, ერთთავად ამ სიტყვებს იმეორებდა. უცბად ნაღვლიანად გაიღიმა და მის ბაგეს აღმოჰხდა:

რომელი უმალეს ამო ქვეყნად არღა
არის სხვა რამ დიდება
შფოთვენ და ღრტყინვენ და იტყვიან:
როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს და აღიჭრვიან
იმაე მიწისთვის, რაც ღღეს თუ ხვალ
თვითღე არიან.

ერთხელ კიდევ გაიმეორა: „იმე მისთვის“. და დადუმდა.

ახლა ისევ შეუტია ხველებამ, სიმწერის ოფლმა დაასხა, მერე თითქოს დამწვიდდა. თვალი გაახილა, დარბაზის კერს მიაშტერდა და ხმაილალი თქვა:

ვერ დაივირავს სიკვდილსა, ვხ ვიწრო
ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი ვასწორდეს, სუსტი და
ძალაგულოვანი...

...მისგან ყოველი ვასწორდეს... რამდენჯერმე განიმეორა და ისევ დახუჭა თვალი.

...დედოფალს საკუთარი მამულის ოჯალეშის ღვინო მოართევს. ღვინით სავესე ფილა პირთან მიიტანა, ბავე შეახო. მაგრამ დაღვეით ვერ დალია. ახლა წყაროს წყალი მოითხოვა. წყაროს ცივი წყალიც მოართევს. ცოტა მოსვა და ხველება აუტყდა. ისედაც დაუძლურებული ხველებამ მთლად დაასუსტა; ძლივს სუნთქავდა.

მერე ბრძანა ფანჯრები გააღეთო. ღიაო მოახსენეს. აბა კარებიც გააღეთ, ეგებ მეტი ჰაერი და მეტი სინათლე შემოვიდეს დარბაზშიო. ხველება მოეშვა და ცოტა დამწვიდდა. დედოფალმა თვალი გაახილა და იქვე კართან მდგარი გრიგოლ დადიანი დაინახა. მოეფერა მახლს:

— მო, ჩემო გრიგოლ, შენც აქ ყოფილხარ, დიდად მიამა. ხომ ხედავ, ჩემო გრიგოლ, ვკვდები და დარდიც მიმყვება: ჩემ მტრებს სამაგიერო ვერ გადავუხადე. თუმცა ეს ყველა მტერზე არ ითქმის. ხომ გახსოვს როგორ ვიფრინეთ აქედან ომარ-ფაშა, ხომ გახსოვს? — დედოფალს ცრემლი მოადგა.

გრიგოლი ახლო მივიდა, სასთუმალთან დაიჩოქა და დედოფალს ხელზე ეამბორა. ეკატერინემ წამოიწია და მახლს ლოყაზე აკოცა. ცოტათი გახალისდა და დედოფალი და ახლა ის ხმალი და ჩოხა-ახალუხი მოითხოვა, რომლითაც ომარ-ფაშას ეომებოდა. კარადიდან სასოებით შენახული ის ჩოხა-ახალუხი ჩამოხსნეს, რომელიც მეომარ ეკატერინეს ეცვა, ის ხმალიც ჩამოიღეს, რომე-

ლიც თურქების წინააღმდეგ ამხედრებულ დედოფალს მამაფარგვეთსაგანზე ჰქონდა გადაკიდებულის *მზღნიქსი*

ჩოხა-ახალუხი და ხმალი დედოფალს გრიგოლ დადიანმა მოართვა და თანაც ასე მოახსენა:

— ნუ, ნუ დაღონდები, ჩემო რძალო, შენ სასიკვდილო არაფერი გჭირს, ისევ ფეხზე ვნახავ გამოჯანმრთლებულს და მე და შენ, ნოღალევეში ფოტოგრაფი თაფლაძე რომ არის, იმასთან გადავიღოთ ერთად სურათი, შენ ამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა და ხმალი მომარკვებულმა და მე — იმ ტანისამოსში გამოწყობილმა და ისევ იმ ხმალიგადაკიდებულმა, თურქებთან ომში შენთან რომ მეცვა და მეციდა. — ამ სიტყვებზე დადიანი იქვე სასთუმალთან ქანდაკებასავით გაჩერდა ხმლითა და ჩოხა-ახალუხით ხელში.

დედოფალმა ლოგინიდან წამოიწია, თითქოს ასადგომად ეშხადება, რომ ჩოხა-ახალუხი ჩაიცვას და ხმალი გადაიკიდოსო; წამოიწია, მაგრამ დაუძლურებულმა წელი ვერ აითრია და მოცელილივით დაეცა სასთუმალზე. სინანულით ესლა აღმოხდა:

— მეტი არ არის ჩემი მტერი, ჩემო გრიგოლ, რომ აწი მე ამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ხმალიგადაკიდებული მნახო, ჩემი კალო უკვე გაღწეილია, მე აქედან ცოცხალი ველარ ავდგები, ალბათ, ასეთია ღვთის განაჩენი და აბა მე როგორ გადავალ გარდუვალსა. — ეს რომ თქვა, მარჯვნივ გადაიწია და ხელით შეეხო თავის საყვარელს ხმალს. სრული მდუმარება ჩამოვარდა დარბაზში. ხმას არავინ იღებდა. ამან უფრო დააღონა. თვლები დახუჭა, რომ ამაყ დედოფალს ახლობლების ცრემლი არ დაენახა.

— საღამოხანს ავადმყოფი უფრო ცუდად შეიქნა. გულის წამალი დამალევირეთო — მოითხოვა.

ექიმმა რაღაც წვეთები მოუტანა. დალია, მაგრამ წამალმა ვერ უშველა.

— ფანჯრები და კარები გააღეთ, მეტი ჰაერი და სინათლე შემოუშვით, ხომ არ დაღამებულა, რომ ვერაფერს ვხედავ!

— ჯერაც დღეაო, — მოახსენეს დედოფალს.

— არა, ალბათ დაღამდა და მიმალავთ, გააღეთ კარები, შემოუშვით სინათლე, სინათლე და ჰაერი! — ამის თქმა და სასთუმალზე მისვენება ერთი იყო.

სიცოცხლისა და მიჯნურობისათვის დაბადებული ეკატერინე მთელი ღამე წვალობდა და ებრძოდა სიკვდილს. საქართველოს ამ უღამაზეს და უმამაცეს ასულს გათენებისას წამებით აღმოხდა სული.

13 აგვისტოს მიიცვალა დედოფალი, 17 აგვისტოს კი ვაზეთი „დროება“ პირველ გვერდზე შავ ჩარჩოში ჩასმული განცხადებით აუწყებდა საზოგადოებრიობას:

„თავადი მეგრელიისა ნიკოლოზ და მთავარი დადიანი მეგრელიის, ანდრია გულითადის მწუხარებითა აუწყებენ ნათესავ თვისთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარლისა დედისა მათისა მთავრისა მეგრელიისა უგანათლებულესი ქენისა ეკატერინე ალექსანდრეს ასულისა; მიიცვალა ცამეტსა რიცხვსა ამა აგვისტოს თვისა. დასაფლავება გვამისა განსვენებულისა დანიშნულ არს მარტვილის სობოროში 21 რიცხვსა ამ აგვისტოს თვისა“.

„დროების“ კვალზე სხვა გაზეთებმაც — „შრომაში“, „მწყემსმა“, „კავკასმა“ — ვრცელი ნეკროლოგი და სამგლოვიარო განცხადებები გამოაქვეყნეს დედოფლის გარდაცვალების თაობაზე.

...ეკატერინე დიდი მწუხარებით დაიტრეს. რა წოდებისა და ჩინის ადამიანები არ იყვნენ აქ; ბაგრატიონები და დადიანები, ორბელიანები და ქავჭავაძეები, ჩიქოვანები და მაყაშვილები, მხეიძეები და ფალავები, უცხოეთიდან, პეტერბურგიდან თუ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, წარჩინებულნი და მდაბიონნი, რჩეული ვაჟაკები და მანდილოსნები. განსაკუთრებით ლამაზი ქალების სიმრავლე გეცემოდათ თვალში. მათში შებერებულებიც ერივნენ და ახალგაზრდებიც.

საქართველოს ლამაზმანების გუნდს

ჩიჩუას ქალი მეთაურობდა. ეკატერინე ორმოცდაათს გადაცილებულ იყო და დედაც, შევერცხლილი თქვა: „ფალავთა ფალთან სიახლოვეც აქ მყოფ ქალთა შორის თავქალობის უფლებას დიახაც ანიჭებდა და ისიც ღირსეულად იშვენებდა ამ პირველობას.“

ეკამ ჩიქოვანების, ფალავების, ჩიჩუების, მხეიძეების და დგებუაძეების ქალებისაგან 30 უღამაზესი ასული შეარჩია და საგანგებო გუნდი შეადგინა. ისინი მთელი ორი დღე სამგლოვიაროდ რთავდნენ გორდის სასახლეს. დარბაზი, სადაც დედოფალი ესვენა, იისფერი მარლით ისე შემოსეს, რომ ირგვლივ გასაოცარი ცისფერი ნისლი იდგა. იატაკზე ნოხები დააგეს, ხოლო კუბოს გარშემო ცოცხალი ყვავილები და პალმები ოთხმწკრივიდ ისე განალაგეს, რომ გეგონებოდათ ეს ყვავილები და პალმები იატაკიდან ამოსულაო. შავი და იისფერი ფარჩის გრეხილებით ოთხკუთხევი არშიები შემოაგლეს დარბაზს. ჩიჩუას ქალმა მუხის ხე ფესვებიანად მოაგლეჯინა. ფესვებს მიწა მოაცილეს, ხე ნახევარზე გადახეცეს და უკულმა შებრუნებული კუბოს თავთან ისე დადგეს, რომ გადაბრუნებული მუხის ფესვები აღამიანის ჩონჩხს მოგაგონებდათ.

ქალებისათვის საგანგებოდ შერჩეული ძაძები შეაყვრინეს, ლამაზმანებს შავი თავსაბურავებით თავი და პირი ისე ჭკონდათ შებურვილი, რომ თვალებიღა მოუჩანდათ, ირგვლივ ყოველივე მძიმე გლოვის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ჩიჩუას ქალმა ყველა ქალს თავისი საქმე დააკისრა. ზოგი შესასვლელი დარბაზის მარჯვნივ და მარცხნივ დააყენა წერტილის დასაცავად, ზოგს ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით ცხედრის შემყობა დაავალა, ზოგს კიდევ საპატიო ყარაულში აყენებდა მორიგეობით. მუხისავე სიმაღლის თაფლის სანთლები ჩამოაქნევენა გადაჭრილი მუხისა და კუბოს გარშემო ყარაულებივით ჩაამწყკრივა. იწოდა თაფლის სანთელი და დედოფლის ცხედარსა და მთელ დარბაზს

რალაცნაირი ყვითელი ფერი — სიყვდილის ფერი გადაჰკრავდა.

ეტლებით, ცხენებით, ურმებით, ქვეითად სამეგრელოს ყოველი კუთხიდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა გორდს. მომტირალთა რიგს ბოლო არ უჩანდა. გორდის სასახლის ვეებერთელა ეზოში ტევა არ იყო და ისევ მოდიოდნენ მომტირლები. როცა შინაურები ვერ მოერჩვენ ამდენი სტუმრის მიღებას, მაშინ შარტვილის სასულიერო სასწავლებლიდან მოწაფეები გამოითხოვეს და ეზოს ჭიშკრიდან სასახლემდის ორ მწყრივად ჩააყენეს წესრიგის დასაცავად.

დედოფალი სასახლის მეორე სართულზე დიდ დარბაზში ესვენა. დარბაზის გარშემო ჭირისუფლებს და ახლობლებს დაეკავებინათ ადგილი. სალომე, ეკა და ეკატერინეს რძლები კუბოს თავთან ისხდნენ. დარბაზის შესასვლელთან ერთ მხარეს ნიკო და ანდრო იდგნენ, მეორე მხარეს კი გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები. ეკატერინეს ფრანგი სიძეც აქვე ფუსფუსებდა. იგიც ისევე უზომოდ შეწუხებული იყო, როგორც დედოფლის საკუთარი შვილები. თმაგაშლილი სალომე გულსაკლავად მოსთქვამდა და მთელი ნათესაეები ტირილით ბანს აძლევდნენ.

მომსვლელები ქვემო სართულიდან კიბით აღიოდნენ, გარს უვლიდნენ კუბოს და მეორე კართა და მეორე კიბით ისევ ქვემოთ ჩამოდიოდნენ, ეზოში ჩერდებოდნენ. ასასვლელ კიბესთან კაცების გუნდი გალობდა, რომელსაც ცნობილი ლოტბარი ქალაქანიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო დარბაზის შესასვლელთან — მონაზვნების გუნდი. ეზოში, სასახლის დიდ მოედნამდე, საქელებო სუფრა იყო გაშლილი და ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

სასახლის სახურავიდან გადმოფენილი შავი ფარდა მთელ წინა კედელს ჰფარავდა. ამ ფარდაზე ეკატერინეს დიდი სურათი იყო დაკიდებული. ეს ის სურათი იყო, პარიზში რომ დაახატინა დედო-

ფალმა. სურათს გარშემო შავი არშია ჰქონდა შემოვლებული, ატყეებდა გარშემო კი ყვავილების დიდ-დიდ-დიდ-მთელ სასახლეს სამგლოვიარო ძაძვები ეცვა. ირგვლივ ტირილი და გლოვა იდგა... გულისწამლებ მეგრულ მოთქმას ცაძირს ჩამოჰქონდა. ამ გაბმულ მოთქმასა და ტირილში ორი ადამიანი იტყვევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ერთი თევდორე მღვდელი იყო.

გაიგო თუ არა თევდორე მღვდელმა დედოფალი გარდაიცვალაო, იმავე დღეს თავის სახლშივე შეიცხადა. მღვდელი ისე ხმამაღლა მოსთქვამდა ქალივით, რომ მთელი მეზობლები მის სახლში შეიყარნენ. თევდორემ მთელი სოფელი გორდში წამოასხა და წინ თვითონ გაუძღვა მომტირალებს. გორდის სასახლეს მიუახლოვდნენ თუ არა, თევდორემ ყაბალახი გადაიძრო, იქვე ვილაც მღვდელს შეაჩეხა ხელში და ჩვენებური გლებივით თავში წაიშინა და წაიშინა. ეზოში შევიდა თუ არა, ისე მოუმატა ბღავილს, რომ მთელი ეს მომტირალი ხალხი მას შესცქეროდა. მოზარენი გვერდში ამოუდგნენ თევდორეს და მისთვის ხელების გაკავება განიზრახეს, მაგრამ მღვდელმა ახლო არაინ გაიკარა. ასე მოთქმითა და თავში წაშენით შევიდა დარბაზში და ზედ დაეკონა მიცვლებულს. დედოფალი ყინულივით ცოვი იყო, მაგრამ გონდაკარგულ მღვდელს ეს არც უგრძენია და მოთქმით ბუტბუტებდა: „ჩემო დედოფალო, ჩემო პატრონო“. მერე უფრო ხმადაბლა თქვა: „მე უბედურს სიციოცხლეში არ მელირსამიგვარებოდი შენს ნათელ სახეს, ახლა მკვდარი მაინც ჩემი ხარ და ჩემი“. ესა თქვა და უფრო აბლაგლდა. მივიდნენ და აყენება დაუწყეს, მაგრამ თევდორე შეევედრა, მაცალეთო, მატირეთ ეს ჩემი პატრონი, ეს ჩემი ჩასვენებული მზე, ამასთან სიყვდილს რა უნდოდაო, ჭერზე უნდა მოემკვდარიყავი და მერე ესაო. მღვდელი თავის მოტყეპილ თავს კუბოს თავზე ურტყამდა, ძლივს ააგლიჯეს იგი დედოფლის ცხედარს და ცოცხალ-მკვდარი გაათრის. თევდორე ეზოში

იქვე ხის ძირას მიეგდო და გაბმულად ზღუქუნებდა, ვიდრე დედოფალი სასახლიდან არ გაასვენეს.

ღარბაზში ისევ ყველა ტიროდა, მაგრამ მათში ერთი ქალიც გამოირჩეოდა. მას, შუახნის ქალს, მონაზვნის ტანისამოსი, ტანისამოსი კი არა, შავი ხამისაგან შეკერილი ძონძები ეცვა. ეს თავწაყრული, ტანმალალი ქალი ქანდაკებასავით იდგა დედოფლის ცხედართან და მღულარეს აფრქვევდა. მსხვილი, კაკლის-ოდენა ცრემლები დაბალუპით სცვიოდა მის თვალებს. ხმას არ იღებდა. ამ უცნაური სიჩუმითა და გაოგნებით იგი ყველას ყურადღებას იპყრობდა. მთელი დღე ასე იდგა ეს ქალი, მთელი დღე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და, ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, კინტი არ დაუძრავს. იგი ეკატერინეს პირფარეში მზევიანარი იყო. ეს ის მზევიანარი იყო, პეტერბურგიდან დაბრუნებულ ეკატერინეს აჯანყებულებოსა და ივანიკა წვერას ამბავს რომ უყვებოდა. ეკატერინეს პეტერბურგში გამზავრების შემდეგ მზევიანარი მონაზვნად შედგა და სახელიც შეუცვალეს, ივდითი შეარქვეს. ახლა ივდითი შუა ღარბაზში იდგა და ტიროდა. ალბათ მთელი დღე ასე იტირებდა, ერთი ვიღაც მოხუცებული მონაზონი რომ არ მისულიყო და დაყვავებით გარეთ არ გაეყვანა.

მეხუთე დღეს დილიდანვე ისევ უამრავი ხალხი მოაწყდა სასახლეს. ღამე სასახლეში არავის ეძინა. გათენდა თუ არა, გასვენების თადარიგს შეუდგნენ. კინჩხის მთიდან მზე ამოიწვერა და პირველი სხივები გორდის გორაზე გაშენებულ დადიანების ბაღს მიამუქა, მაგრამ ბაღის შუაგულში გაშენებულ სასახლემდე, იქამდე, სადაც დედოფალი ესვენა, მაინც ვერ მიადწია. ქადრების, ნაძვების, მუხების, ცაცხვების, ფიჭვებისა და ძელქვების აშოლტილ, ერთიმეორეზე მიჯრილ რიგს, რომწყრივად დაყოლებულ ხეთა ხეივნებს უკუექციათ მთიდან გადმოტყორცნილი მზის სხივები. გულუზვად გაშლილ ბაღის ხეთა ფოთლებს მთლად დაებურა ირგვლივ ყოველივე და

აქ აგვისტოს ამ პაპანაქებაშიც გრილოდა. ხეთა ჯარი გარინდებულნი იდგა და ელოდა თავისი პატრონის გამობრძანებას. თვეზე მეტია, რაც ხეები ყოველ ცისმარე დილას ასე გარინდებულნი იდგან და ელიან პატრონის გამობრძანებას, მაგრამ ამაოდ, მათი პატრონი, მათთვის მზრუნველი არსად მოჩანს...

დილის ათი საათი იყო, თურჩას მთიდან ნიავმა რომ დაუბერა და ხეები უცნაურად ააწრიალა. დედოფლის ცხედარი გამოასვენეს და სასახლის წინ მოედანზე დაასვენეს. აივანზე სამეგრელოს ეპისკოპოსი ბესარიონი გადმოდგა და დედოფალს სიტყვით მიმართა. და ისევ გაირინდა ყოველივე. დამთავრდა სიტყვა და მარტვილის მონასტრის გუნდმა გულის დამაღონებელი ვალობა დაიწყო. ქალებმა ასწიეს დედოფლის კუბო. ისევ წამოუქროლა ნიავმა თურჩის მთიდან. ხეებმაც თავი დახარეს, რომ უკანასკნელად პატივი ეცათ ამ ბაღის დაუღალავი მზრუნველისათვის.

ეკა ჩიჩუას ათი უღამაზესი ქალი შეერჩია და ეს ღამაზმანები თეთრი, ქათქათა ქართული კაბებით გამოეწყო. თავზე ცისფერი თავსაფრები ეხურათ და ამ უბედურებაში განაფხულის შთაბეჭდილებას ახდენდნენ. დედოფალსაც თავისი საყვარელი თეთრი კაბა ეცვა, რომელსაც ოდნავ ცისფერი გადაჰკრავდა. კუბო ვერცხლისფერი თუნუქითაგან იყო გაკეთებული. კარგი დარი იდგა და დედოფლის ცხედარი მზეზე ბრწყინავდა. ძაძით მოსილი ქალებისა და კაცების ფონზე თეთრი, ქათქათა კაბებით დამშვენებული ეს ათი ქალი, რომელთაც კუბო მიჰქონდათ, ისე ანათებდნენ თითქოს სასახლის ეზოდან სიკვდილს ამევენენო.

იმავე საღამოს სამგლოვიარო პროცესია მარტვილის მონასტრის აღმართს მიადგა, დედოფლის ცხედარი მონასტერში დაასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს. შორე დღეს მარტვილის მონასტრის ეზოში სამგლოვიარო ცერემონიალი გაიმართა. ეზოში რამდენიმე, ქორო ვალობდა: მეჩონგურე ქალებისა, მარტვილის

სასულიერო სასწავლებლისა და მონასტრისა.

წესის აგებას აღასრულებდნენ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსები: გაბრიელი, ალექსანდრე და ბესარიონი. ვიდრე პარაკლისი დაიწყებოდა, იმერეთის ეპისკოპოსმა, მჭევრმეტყველებით განთქმულმა გაბრიელმა სიტყვა წარმოთქვა. შემდეგ პანაშვიდი დაიწყო.

პანაშვიდის შემდეგ ისევ სიტყვები გაგრძელდა. გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრე პოეტმა დავით გიორგის ძე დადიანმა შეცვალა. ჭერ ეკატერინეს ქებით მიმართა პოეტმა:

მას პქვანდა ნება, მეფეთა სწორის...

შემდეგ მწუხარებით შესთხოვა:

ნახაე ანდრის პირველწოდებულს,
მას შევედრე მისი მარტვილი,
ნუ დასცემს ტამარს, მის აღშენებულს,
დღეს, ვით სანაღვლოდ არის გარცენილი...

პოეტის სიტყვის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე დებეშების კითხვა დაიწყო. რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მესამის და საფრანგეთის იმპერატრიცას ევგენიას დებეშები რუსულ და ფრანგულ ენებზე იონა მეუნარგიამ წაკითხა და იქვე თარგმნა ქართულ ენაზე. ახლა მარტვილის მონასტრის და სა-

სულიერო სასწავლებლის გაერთიანებულმა გუნდებმა საეკლესიო გალობა დაიწყეს. სულ ბოლოს გამოასთროვარი სიტყვა გრიგოლ დადიანმა წარმოთქვა. კოლხიდელმა ბოხი ხმით დაიწყო, მაგრამ სულ მალე ცრემლი მოერია, სიტყვა შუაგზაზე გაუწყდა, თითქმის ტირილით ნათქვამი სიტყვები ბოლოს ქვეთინით დაასრულა: „შშვილობა ცხედარსა შენსა“.

სამგლოვიარო კრებულმა, როგორც ერთმა კაცმა, ისე დაიჩოქა და შვიდათასმა კაცმა ერთხმად გაიმეორა: „შშვილობა ცხედარსა შენსა“...

ხალხი დადუმდა, მარტვილის ზარებმა მოთქმა მოართეს. ზარები უტუნაური, გულისდამაღონებელი, სევდიანი ხმით მოთქვამდნენ.

შუადღე გადასული იყო, ზარების გრილში დედოფლის ცხედარი მონასტრის შიგნით, დავით დადიანის გვერდით გათხრილ საფლავში რომ ჩაასვენეს.

საქართველოს სამთავრო სახლის უკანასკნელ დედოფალს მარტვილის უძველეს მონასტრის მიწას აბარებდნენ...

მაგრამ სილამაზისა და მიჯნურობის ამ გაუხუნარმა მუხამ გულზე მიყრილი მიწის ბელტები გამოარღვია და თავისი ჩაუქრობელი სხივები მოგვაფრქვია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ ეს ამბავი გვეთქვა.



აილი მიხსნადა

სოსანი

საქართველოში ბევრი ბაღია,
შიგ ბევრი ტურფა ია-ვარდია,
თეთრი სუმბული და ზამბახია,
მეც ამ ბაღებში მინავარდია.

ხეებს, ხეივნებს ამბრი სდიოდა,
იღვა ვარდების გარიყრაეობა,
და ჩემი სიყრმე აქ დადიოდა,
აქ თამაშობდა ლალი ბავშვობა.

და მიხაროდა დრო აწინდელი,
როგორც ფერხული ცეცხლის
კოცინთან,
ქერა, შავთვალა, ლოყაწითელი —
ყველა მიყვარდა, ყველა მომწონდა.

ახლაც მზიბლავენ ნაირ-ფერებით,
მღერის ბულბული — ფრინველთ
მგოსანი,
მივალ, ფაქიზად მივეფერები,
შეიშმუშნება ჩემი სოსანი.

და მაინც ახლოს მინდა ვიხილო,
ნუ გიკვირთ, — ეშხით ეხლაც ვიწოდე,
გაჯახვევია ღვინას ღიღილო,
რას ჩურჩულებენ, ნეტავ ვიცოდე?

ბრწყინავს ყაყაჩო... ვარდის
ღიმილზე
თავს იწონებენ ჩრდილქვეშ იანი,
ამკობს თაიგულს ნაზი პირიმზე
და ფურისულა პეპლისფრთიანი.

მათ წინ ჩრდილებიც ქვეშ
გაფენილან.



ტანთ გაუხდიათ ლურჯი ბეწვები,
 გაფრენა სურთ და... ვერ
 გაფრენილან,
 რა ქნან? მიწაში უდგათ ფესვები.

და შრიალებენ ფარჩის კაბაში,
 ნიაგიც ჰქრის და — ლელავს
 ვარდნარი,
 კშვენიით ყვავილებს ბაღში თამაში,
 და სამაიას რხევა ნარნარი.

ვარდებს უმღერის ფრინველთ
 მგოსანი,
 ბულბული, — ფოთლებს
 შეფარებული,
 ბაღს ვერ ვშორდები... მე და სოსანი
 ვართ ერთმანეთზე შეყვარული.



დაპირბუღი

მხნეა

რომანი

წიგნი მერაბი

XIX

სწრაფად გაიბრინა შემოდგომამ. შემოდგომის ზამთარი მიჰყვა. დადგა გაზაფხული. თბილისის ბაღნარებში აღრეულად აყვავდა ნუში და ალუჩა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ იგრძნობოდა გაზაფხულის მწვევე სუსხი. საბურთალოზე აშარი ქარი დანავარდობდა.

ვახტანგს დაემთავრებინა ბაზარში მუშაობა და ახლა შინ ბრუნდებოდა. არ ეჩქარებოდა. ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა საქართველოს სამხედრო გზას.

ხელმარცხნივ, თერთმეტსართულიან სახლიდან დაწყებული, ვიდრე შუა აღმართამდე, გრეიდერებსა და ბულდოზერებს უკვე მოესწორებინათ კლდიანი ქანები. ზემოთ, ბაზრის მიმართულებით მიიწევდნენ. მოსწორებულ ადგილზე დემონტაჟებიანთ წეროებივით ცაში აკრილი ამწეები, რომლებსაც სწრაფად, მოხერხებულად გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ხრეში, აგური, რკინა-ბეტონი.

ვახტანგი შეჩერდა.

— რა სწრაფად მიდის ცხოვრება წინ.

— გაიფიქრა მან და მიაჩერდა ამწეების ქვეშ ფუტკარივით მოფუსფუსე მშენებლებს, რომლებიც გავრილ საძირკველში პირველ ბეტონს ასხამდნენ. მომავალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი თუ ადმინისტრაციული სახლები-სას.

ერთხანს გაკვირვებული შესცქერო-

და მუშების ფუსფუსს, ამწეების მოძრაობას. მერე გვერდით შებრუნდა და ისევ აუჩქარებელი ნაბიჯით დაჰყვა დაღმართს.

აგერ, ზოოპარკის თავზე, თეთრად გამოანათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლამაზმა შენობამ. ვარაზის ხევიც დიდი მუშაობა გაეჩაღებინათ მშენებლებს. პატარა მდინარეს ბეტონის არტახებში ამწყვედევდნენ, რომ მერე ხევი მიწით ამოვესოთ და ზედ ქუჩა გაეყვანათ

ვახტანგი გაოცებული იყო დღევანდელი მშენებლობით: — მალე თბილისს ვეღარ იცნობს კაციო, ამბობდა გუნებაში და თვალს არ აცილებდა ვარაზის უპირო ხევს, რომელსაც შავი ურჩხულივით დედო ხახა.

მზერა ისევ უნივერსიტეტის თეთრ შენობაზე გადაიტანა. უნებურად ვაახსენდა ის წლები, როცა აქ სწავლობდა; როცა ასპირანტურაში შესასვლელად ემზადებოდა. მაგრამ რაც ბაზარში მუშაობა დაიწყო, ასპირანტურა ერთხელაც არ გახსენებია. გულში მწვევე ტკივილი იგრძნო.

— ასე არ შეიძლება, — სინანულით წარმოთქვა მან, — ამ შემოდგომიდან თავს მივანებებ სამსახურს და აუცილებლად მოვეწყობო.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ფიქრი, რომელიც მაშინ წამოეჭრებოდა ხოლმე თავში, როცა უნივერსიტეტის დანახვა ძველ ტკივილებს გაუსხსენებდა. როგორც კი უნივერსიტეტი

თვალს მიეფარებოდა. ნათქვამი მაშინ-ვე ავიწყდებოდა.

ახლაც ასე დემარტა. ვახტანგის იდეალი აღარ იყო ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება. მისი ადგილი სხვა მიზანს, სხვა მისწრაფებას დაეკავებინა. ბაზარში ორი წლის მუშაობას და სპეკულიანტებთან ახლო ურთიერთობას სამუდამოდ ჩაეკლა მასში ყოველგვარი სწავლისადმი წყურვილი. მისი ჰქუა და გონება მხოლოდ ერთ საქმეს ემსახურებოდა: რაც შეიძლება მეტი ფული გაეკეთებინა.

თავისთავად იგი კიდევაც აკეთებდა ადრინდელზე მეტ ფულს, მაგრამ ნათქვამი, შადა ჭამაში მოდიხო და, რაც უფრო მეტს შოულობდა, უფრო და უფრო მეტი უნდოდა რომ ეშოვნა.

თურთმეტსართულიანი სახლის წინ ფაცის შეეფეთა შემთხვევით. ფაცის ნამტირალევი თვალეზი ჰქონდა, მოწყენილი სახით გამოიყურებოდა. ერთ კვირაზე მეტი იყო, რაც იგი აღარ ენახა, ნეტა სად დაიკარგა, ცუდი ხომ არაფერი შეემთხვაო. ფიქრობდა.

მისი დანახვა ძლიერ გაუხარდა.

— გამარჯობა, ფაცი, სად ხარ, რომ არ ჩანხარ?! — გაკვირვებით ჰკითხა და ცრემლიან თვალეზში ჩააქერდა.

— იქით წამოდი, არავინ დაგვიანახოს, გზა ადგილია! — უთხრა ფაციმ და მკლავში ხელი მოკიდა.

მაღაზიაში შევიდნენ. კარების კუთხეში გაჩერდნენ.

— ნეტავი კი მოვეკდე და აღარ ვიცოცხლო, მეტის ატანა უკვე აღარ შემიძლია!... — წარმოსთქვა ფაციმ გაბზარული ხმით. კედლისკენ შებრუნდა, სახეზე ხელები აიფარა და ჩუმად აქვითინდა.

— მითხარი, რაშია საქმე, რატომ ტირი? — თანაგრძნობით ჰკითხა ვახტანგმა. მკლავში ხელი მოკიდა და თავისკენ შემოაბრუნა.

ფაციმ ქვითინი შეწყვიტა და თვალეზიდან ცრემლები მოიწმინდა. თან აქვითინით გაიხედა, ხომ არავინ გვიყურებსო. რაჟი დარწმუნდა, რომ არავინ უყურებ-

და, ვახტანგს თვალი გაუსწორა და უთხრა.

— ცუდადაა საქმე, ვახტანგო, ვახტანგო! — გამიგო შენთან რომ დავდივარ, ვილაკ სპეკულიანტებს მიუტანიათ ამბავი, უნივერსალში: — შენი ცოლი საბურთალოს ბაზრის ჩეკის გამყიდველს ყვარობსო. საშინელი დღე დამაყენა. მთელი ერთი კვირაა ეჩხუბობთ. მეზობლებმაც კი გაიგეს ჩვენი ამბავი, სახლიდან თავი ვერ გამომიყვია სირცხვილით. ის ჩემზე უარეს მდგომარეობაშია. წნევამ აუწია და ლოგინში წვეს. დილას ექიმი გამოვიძახე. ექიმმა უთხრა: ნერვიულობის ნიადაგზე ხარ ცუდადო. შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, რადგან მალალი წნევა გაქვსო. ახლა წამალზე გამოვედი. თან ვიფიქრე, იქნებ შეგხვედროდი. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე... რა გავაკეთო...

— რას მეუბნები! — გაკვირვებით წამოიძახა ვახტანგმა, — რომელმა სპეკულიანტებმა მიუტანეს ამბავი, არ იცი?

— ჯანდაბა იმათ თავს. რას გაიგებ, — ცრემლიანი ხმით წარმოთქვა ფაციმ, — ალბათ სადმე დაგვიანახეს ერთად. ხომ იცი, ჩემს ქმარს ქვეყანა იცნობს, ყველა გადაწყვიდელი მასთან დაიარება უნივერსალში. ნეტავ იქ მაინც არ მუშაობდეს...

ფაცი გაჩუმდა. სული მოითქვა.

— შერე, იცი როგორ მიუტანიათ ამბავი? — განაგრძო მცირე ხნის შემდეგ. — შენი სახელი და გვარი ხომ უთქვამთ. გარეგნობაც კი აუწერიათ. მამინევი მიუტოვებია სამსახური და ჩვენს დასახვერავად წამოსულა ბაზარში. თურმე, სწორედ იმ დროს დაგვადაგა თავზე. როცა ჩვენ ერთად ვლაპარაკობდით. ახლოს მოსვლა რომ ვერ გაბედა, შორიდან გვითვალთვალედა. ალბათ მოერიდა აღელვებულს ცუდი არაფერი გაეკეთებინა და ხალხის მასხარა არ გამხდარიყო. როცა შენ წახვედი, იგი მაშინ მოვიდა ჩემთან. კაცის ფერი აღარ ედო სახეზე, მთელი ტანით ცახცახებდა. ხელი მოკიდა და მაშინვე სახლში წამიყვანა. უფრო სწორად, მე წავიყვანე

სახლში. ცოტა გაწყდა, დამბლა არ დაეცა.

— მერე რა გითხრა? — მოუთმენლად ჰკითხა ვახტანგმა.

— საშინლად განიცდის ამ ამბავს. ქალივით ტირის. მთელი ღამე არ სძინავს. მე ვარწმუნებდი, რომ ყველაფერი ტყუილია-მეთქი, მაგრამ ვერ დავაჭერე-ნეტა სულაც არ შეგხვედროდი, თუ ასე წვიდოდა საქმე. რომ იცოდე, როგორ მიძნელდება უშენოდ ცხოვრება. ერთი კვირაა, რაც არ შეგხვედრივარ და ასე მგონია, ერთი წელი არ მინახავხარ-მეთქი. ჯერ ხომ არ მიყვარდა იგი და ამის შემდეგ უფრო შემზიზლდა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გიყვივით ვარ. შენ ვერ წარმოიდგენ, ვახტანგ, როგორ ვიტანჯები. ღვთის გულისათვის, იქნებ მირჩიო რამე, როგორ მოვიქცე...

ფაცის ისევ მოერია ცრემლები.

— მე თვითონ არ ვიცი, რა გირჩიო, ფაცი. — მცირე ღუმილის შემდეგ უთხრა ვახტანგმა, — მე მესმის შენი მდგომარეობა, შენი ტანჯვა, მაგრამ ისიც ხომ აღაშინა? გინდა გაეყარო? თუ გაყრა გინდა, ეს უკვე შენი პირადი საქმეა და მე ამ საქმეში ვერ ჩავერევი. თუ გეცოდება და გაყრა არ გინდა, რომ არაფერი დაემართოს, მაშინ ცოტათი მაინც გაუთბე გული, უფრო სხვანაირად მიუღეკი. ბოლოს და ბოლოს დაარწმუნე, რომ ჩვენს შორის არაფერი... რომ ვიცოდე, ამბავი ვინ მიუტანა, შვ ღღეს დაეყრიდი, მაგრამ რომ არ ვიცი!...

ვახტანგს სიბრაზე მოერია.

— კარგი, ძვირფასო, კარგი! — უთხრა ბოლოს ფაციმ, — ბაზარში ვეღარ გამოვალ. ბაზარში კი არა, სახლიდან კარში არ მიშვებს. აი აქ შეგხვედები ხოლმე საღამოობით, როცა კი მოვახერხებ. ოხ... ღმერთო ჩემო, როგორ არ მინდა ახლა სახლში წასვლა... ნახვამდის! — ფაციმ ხელი მოუქირა ხელზე.

— ასე უცებ მტოვებ? — გაუღიმა ვახტანგმა.

— ერთ საათზე მეტია, გამოსული

ვარ. წავალ. თორემ კიდევ იფიქრებ რამეს.

— კარგი, წადი!.. ახლა ^{მეტივესული} ხვეწი-^{მეტივესული} ხვეწი საშუალება უნდა გამოვნახოთ, თორემ ქუჩაში თავისუფლად სიარული კარგს არაფერს მოგვიტანს.

— გეშინია ნელიმ არ გაგიგოს? — ოდნავ ბაგე გახსნა ფაციმ.

— წარმოდგენილი მაქვს რა „სიამოვნება“ მოჰყვება ამ ამბავს!

ორივეს გაეცინა.

— მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. კარგად იყავი! — ხელი დაუქნია ფაციმ და წავიდა.

— საწყალი, — გუნებაში წარმოთქვა ვახტანგმა და მცირე ხნის შემდეგ თვითონაც დატოვა მალაზია, — რა შესანიშნავი ქალია და რამხელა გული აქვს. აფსუსი არ არის, რომ კარგი ქმარი არა ჰყავს? თფუ... რამდენს აუწეწა ცხოვრება ომმა.

ვახტანგმა თვალი გააყოლა ფაცის ზედაედა, როგორ რჩებოდა უკან ფეხები და არ უნდოდა მისი დათმობა. ზოგჯერ კიდევაც შეჩერდებოდა, შემობრუნდებოდა, ხელს დაუქნევდა, მერე ისევ შეტრილდებოდა და გზას განაგრძობდა.

ვახტანგმა უყურა, უყურა და ის იყო. თვითონაც თავის გზით უნდა წასულიყო, რომ ზოოპარკის მხრიდან, ვილაც ახალგაზრდა, ატლეტური ტანის ბიჭმა მიიქცია მისი ყურადღება. ბიჭმა გადასასვლელი გადმოსჭრა და სწორედ იქით წამოვიდა, სადაც ვახტანგი იდგა.

მისმა კოხტად მოყვანილმა სპორტულმა აღნაგობამ ვახტანგს თვალი მოსტაცა. რა მშვენიერი ტანი აქვსო, გაიფიქრა და ახალგაზრდა თავითფეხებამდე შეათვალიერა.

მას ეცვა უბრალო შალის გახეხილი პიჯაკი, ასეთივე ნაჭრის შარვალი, საღებავგადასული ფეხსაცმელები, მაგრამ ყოველივე ეს ისე კოხტად ადგა, ოდნავადაც ვერ ჩრდილავდა მის მონდენილ აღნაგობას. პირიქით, კაცს ეგონებოდა. ამ ბიჭს იმიტომ უფრო ჩაუყვამს ეს უბრალო ტანსაცმელი, რომ

თავისი ტანის სილამაზე ამ უბარლოე-
ბაშიც გამოაჩინოსო.

ბიჭი შეგვერმანი იყო, შევთვალწარ-
ბა, მიწილდველი სახისა. შუბლზე ხში-
რი, ხუჭუჭი თმები ეყარა. იერზე ეტყო-
ბოდა, სოფლიდან იყო ჩამოსული. მო-
დიოდა შუა ტროტუარზე, ამაყად, დიდი
ნაბიჯებით. მოდიოდა და ისეთი შთაბეჭ-
დილება გრჩებოდათ, თითქოს თავისი
სოფლის სილადე თან წამოვლიათ.

ვახტანგს თვალი ზედ დარჩა. უყურა,
უყურა, და მის გაოცებას საზღვარი არ
ჰქონდა, როცა ახლოს მისვლისას ამ
ბიჭში ციცი შეიცნო.

სულ დაიწყო ფაციც და მისი უბე-
დური ქმარიც. მეორე წელი იყო, რაც
ციცი აღარ ენახა. მაშინაც მძინარეს
შეაგლო თვალი, აშურიანის ველზე,
როცა კოლმეურნეობას მოსავლის აღე-
ბაში ეხმარებოდნენ. მას შემდეგ თვა-
ლის დამკვრელი არ იყო ციცოსი და
აღარც ეთერის ამბავი იცოდა, რაც ნე-
ლი შეირთო. ერთხელ, ოშორაში ყოფ-
ნის დროს, ღიღილოსაგან გაიგო მისი
ავადმყოფობის ამბავი. ეს იყო და ეს.

ციცოს დანახვამ უნებურად გააღვიძა
მასში ძველი ტყვიელები. გაახსენდა ის
წუთები, როცა შუაუბანში ეთერის სა-
ნახავად ასულს, პატარა ციცი გადაუ-
დგებოდა ხოლმე წინ და ხვეწნას დაუ-
წყებდა: „ძია, დამსვი რა ველოსიპედ-
ზე. გამასეირნე რა, ძია“.

ციცი პირდაპირ ზედ მიადგა ვახ-
ტანგს.

— ციცი! — აღტაცება ველარ დაფა-
რა ვახტანგმა და წინ გადაუდგა.

ციცი შეჩერდა. ვახტანგს დააქვერ-
და. პირველად აზრზედ ვერ მოვიდა,
მაგრამ მალე იცნო. სახე გახსნა და მო-
რცხვად გაუღიმა.

— გამარჯობა, ციცი, რამხელა გამხ-
დარხარ, ბიჭო, ძლივს გიციანი, — გაკ-
ვირვებით უთხრა მან და ხელი გაუწო-
და. თან დააქვერდა. ციცოს მარტო ტა-
ნი ჰქონდა აყრილი. სახეზე ისევ გულ-
უბრყვილო, ბავშვური იერი დასთამა-
შებდა.

მან მძიმედ ჩამოართვა თავისი დაქარ-
ღვეული ხელი.

— აქეთ სად ყოფილხარ? — როდის ჩა-
მოხვედი სოფლიდან, რა ამბავია ოშო-
რაში? — ზედიზედ დააყარა კითხვები
ვახტანგმა.

— დილას ჩამოვედი!

— ახლა საიდან მოდიხარ?

— აგერ, აქეთ ვიყავი! — სახე მიაბ-
რუნა ციცომ საბურთალოსაკენ და ვახ-
ტანგს მზერა მოარიდა.

ვახტანგი მიხვდა, რატომ მოარიდა
მზერა ციცომ. თვითონაც უხერხულად
გრძნობდა თავს მის წინაშე. მაგრამ ეს
უხერხულობა, როგორც იყო, დასძლია
და ციცოს ჩვეულებრივი ტონით დაუ-
წყო ლაპარაკი.

— ხომ მშვიდობაა ოშორაში? — ჰე-
თხა ბოლოს.

— ჯერჯერობით! — მოკლედ უპასუ-
ხა ციცომ, ისე რომ ზედ არ შეუხედავს.

— ახლა სად მიდიხარ?

— სოფელში!

— რომელ მატარებელს უნდა გაკ-
ყვი?

— ბორჯომის მატარებელს გავყვები!

— მერე გვიან არ არის? შუალამისას
სად უნდა იხეტიალო?

— რას ვიზამ, საქმე მოითხოვს და უნ-
და იხეტიალო!...

— რა საქმე, ეთერი როგორ არის?! —
არ მოერიდა ვახტანგი და პასუხის მო-
ლოდინში სახეზე დააქვერდა.

ციციმ თავი დახარა.

— რა უშავს!...

ვახტანგმა თავისუფლად ამოიხუნთ-
ქა. ეგონა, ცუდ რამეს ეტყოდა. აღარ
გამოიძია მისი მდგომარეობა, რადგან
გრძნობდა, თვითონაც ძალზე ეუხერხუ-
ლებოდა მასზედ ლაპარაკი.

— ნუ წახვალ დღეს სოფელში, წამო-
დი ჩემთან! — უთხრა მორიდებით.

— სად?! — გაკვირვებით თავი ასწია
ციციმ და ვახტანგს მხოლოდ ახლა გაუ-
სწორა მზერა.

— მაღლა ავიდეთ რესტორანში, თი-
თო ბოთლი ღვინო დავლიოთ, თან ვი-
საუბროთ! — ვახტანგმა თერთმეტსაარ-

თულიანი სახლის მეორე სართულზე მიუთითა, სადაც რესტორანი „მოსკოვი“ იყო მოთავსებული.

— ო, არა! გმადლობთ! — ადგილზე შეტოვდა ციცი და უხერხულად მხრებში შეიშმუნა.

— ნუ გრცხვენინან, ბიჭო, წამოდი!

— არა, გმადლობთ... მატარებელზე დამავკიანდება. დღეს რომ არ მივიღე სოფელში, დედას ჭავრი ექნება! — ციციმ ისევ მიაბრუნა თავი გვერდით.

— რატომ ექნება ჭავრი. ამაღამ რომელიმე მატარებელს გაჰყვები და დილით სახლში იქნები. ერთი საღამო გინდ აქეთ, გინდ იქით! ჩვენ ხომ ჭერ ერთად პური არ გვიქამია. — ვახტანგმა მკლავში ხელი მოკიდა.

— ვერ წამოვალ... მპატიეთ, მაგრამ ვერ წამოვალ! — გაჩიუტდა ციცი და მკლავიდან ხელი გააშვევინა.

— ჩემთან პურის ჭამა არ გინდა? მითხარი, არ გინდა ჩემთან პურის ჭამა? — ვახტანგი სახეზე დააქებრდა ციცი.

— რატომაც არა, მაგრამ ახლა არ შემიძლია!.. — ისეთი ხმით უპასუხა ციცი, თითქოს მართლა არ უნდა, რომ აწყენინოსო.

— წამოდი, წამოდი! ბავშვობის შემდეგ აღარც კი მინახიხარ, ამხელა ვაჟკაცი გახდი. რაც არ უნდა იყოს, ერთი სოფლიდან ვართ, ერთი მიწა-წყლის!... ჩააცივდა ვახტანგი.

ციცი ისევ გაჩიუტდა, მხრებში შეიშმუნა, მაგრამ ვახტანგმა ხელახლა მოკიდა მკლავში ხელი და რესტორნისაკენ თითქმის ძალის ძალით წაიყვანა.

მეორე სართულზე ავიდნენ. გასახდელში ვახტანგმა პალტო გაიძრო.

რესტორანში შევიდნენ. ლამაზად მოხატულ, დიდ, ნათელ დარბაზში საგრძნობლად თბილოდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველაფერს „ცეცხლი ეკიდა“, ხალხს მაინც ბლომად მოეყარა თავი. მაგიდები თითქმის დაკავებული იყო. მოპირდაპირე მხარეს, ფანჯარასთან, მხოლოდ ერთი მაგიდა მოჩანდა თავისუფალი, რომელზედაც უწესრი-

გოდ ეყარა პურის ნარჩენები, დანაჩანგალი და ჭურჭელი. ეტყობოდა, ახლა აშლილიყო ხალხი.

ვახტანგმა სუფრა აალაგებინა მოსამსახურე ქალს და სკამებზე დასხდნენ.

ფანჯრიდან საუცხოოდ მოჩანდა გმირთა მოედანი, ზოოპარკი, ცირკის შენობა და ვერის აღმართი.

რესტორანში მუსიკა უკრავდა.

ვახტანგმა დარბაზს მოატარა მზერა. დარბაზის ბოლოში ახლა შენიშნა „მოუსვენარი თავები“, „ფაშისტი“ გაგნიძე და „გრძელი დათიკო“. ისინი სუფრას შემოსხლოდნენ და საუბარში გართულნი მხიარულად ხარხარებდნენ. „მოუსვენარ თავებს“ თვალები ჩასძრომოდა, „ფაშისტ“ გაგნიძეს ძლივს გაეხსნა მუდამ მოყამული სახე. „გრძელ დათიკოს“ კი ჩვეულებრივად დასწითლებოდა მსხვილი ცხვირი.

დარბაზის მეორე კუთხეში შიშმონი, ნინა, ნატაშა და ოთხი სხვა მათი ამხანაგი დანახა. ეტყობოდა ნინა და ნატაშა ახლა დაბრუნებულიყვნენ შორეულ მოგზაურობიდან. მათ შამპანურებით და შოკოლადებით აევსოთ მაგიდა და ტკბილად მუსაფობდნენ. მენაშე სიგარეტს აბოლებდა და ლაპარაკის დროს ბღღვრილა ოქროს კბილები მოუჩანდა.

განცალკევებით ისხდნენ ალი მამედოვი და ლიმაზი ვარა. საკმელებთან ერთად მაგიდაზე ორი ბოთლი ქინძმარაული დაედგათ და დარბაზის სვეტს ამოფარებულნი ტკბილად საუბრობდნენ.

ლამაზ ვარას ღვინისაგან ლოყები დაკვერებოდა, ალის ღმილით შესცქეროდა და, რომ იტყვიან, თვალებით სჭამდა.

— ჩემს გარდა ყველა აქ ყოფილაო, — გაიფიქრა ვახტანგმა და ზურგი შეაქცია. ციციც კენ შებრუნდა. ეტყობა, ციცი პირველად იყო ასეთ კეთილმოწყობილ რესტორანში. ყველაფერს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. განსაკუთრებით მუსიკოსებს არ აშორებდა თვალს.

რესტორანში მზიარული განწყობილება სუფევდა.

მზერა უნებურად ციციოს უბრალო ტანსაცმელზე შერჩა. კოსტუმზე დააცქერდა. კოსტუმი ძველი იყო, რამდენიმე ადგილას ამოკეცილი. მაჯებთან სახელოებიც ამოჩენილი ჰქონდა, მაგრამ ისე ოსტატურად იყო დაკერებული, თუ არ დააკვირდებოდით, ვერც შეამჩნევდით.

— ვინ იცის, როგორ უჭირთ ამ საწყულებს!.. — გაიფიქრა და ციციოს რომ არ შეემჩნია, მზერა დარბაზის სიღრმეში გადაიტანა, სადაც სქელკისერა, ლოყებდაყლაყა ოფიციანტი იდგა. იგი თავის საქმეში იყო გართული და კლიენტებისაგან ფულს იღებდა.

ვახტანგმა, როგორც იყო, დაიჭირა მისი „მწყალობელი“ მზერა და ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

— ამ წუთში, ბატონო! — ოფიციანტის ჩვეული ღიმილით გამოსძახა ლოყებდაყლაყამ. თან თითოთ ანიშნა, ერთი წუთი დამაკალეო.

ვახტანგი ისევ ციციოსკენ შებრუნდა.

— სოფელში რომ წახვალ, მერე როდის ჩამოხვალ? — ჰკითხა შეპარვით.

— ერთ კვირაში დავბრუნდები!

— როცა ჩამოხვიდე, გამოიარე ჩემთან, სამსახურში, კარგი? ხომ იცი სად ვმუშაობ?

— როგორ არა! — თავი დაუქნია ციციომ.

— სად ვმუშაობ, თუ იცი?

— საბურთალოს ბაზარში! — პირდაპირ მიახალა ციციომ.

— შენ რა იცი, რომ ბაზარში ვმუშაობ? — გაკვირვებით ჰკითხა ვახტანგმა.

— როგორ არ ვიცი. მე კი არა, მთელმა ოშორამ იცის!

— მთელმა ოშორამ იცის!.. — გუნებაში გაიშეორა ვახტანგმა და გივი, რუსულდანი, მასწავლებლები თვალწინ წარმოუდგა.

— გუშინ მეც ვნახე ბაზარში, — განაკრო ციციომ, — ქვითარს ჰყიდდი!

— კი... ქვითარს ვყიდდი!.. რას იზამ...

ხომ ხედავ, რანაირი ცხოვრებაა შემოდგომამდე ვიმუშაებ, მერე მივეტოვებ და ასპირანტურაში მოგვეწოდები... ვახტანგი გაჩუმდა, ღრმად ამოისუნთქა.

— რატომ არ მოხვედი ჩემთან, არაფერი ვინდოდა გეყიდა? — ჰკითხა მცირე დუმილის შემდეგ.

ციციომ მხრები აჩქინა.

— სოფლიდან რომ ჩამოხვიდე, აუცილებლად მნახე, კარგი? ხომ იცი, მე... — უნდა ეთქვა. ფულიანი კაცი ვარ, დაგეხმარებო, მაგრამ თავი შეიკავა. ხელახლა დააცქერდა მის ამოკეცილ კოსტუმს.

ციციო მიხვდა, რის თქმაც უნდოდა ვახტანგს, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— ახლა ეს მითხარი, ოშორაში ყველაფერი ძველებურადაა?

— ყველაფერი ძველებურადაა!

— გივი როგორ არის, ხომ მუშაობს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ?

— კი, მუშაობს!

— კარგად მიჰყავს საქმე?

— ძალიან კარგად. ხალხი მადლიერია!

— ხალხი მადლიერია... — თავისთვის წარმოთქვა ვახტანგმა.

— გუშინ ისიც იყო თბილისში. ერთად ჩამოვედით სოფლიდან. დილას წავიდა ოშორაში.

— რას მეთუბნები?!..

— ბაზარშიც ერთად ვიყავით. ტანსაცმელი იყიდა.

— არც ის მოვიდა ჩემთან, ხომ?

ციციომ ხმა არ ამოიღო.

— კარგი... კარგი... — თავის დაქნევით წარმოთქვა ვახტანგმა. გაჩუმდა. სწორედ ამ დროს სქელკისერა, ლოყებდაყლაყა ოფიციანტი თავზე წამოადგა. სიმსუქნისაგან კანში ვერ ეტეოდა, თეთრი ხალათი გასკდომაზე ადგა.

— რას გვიბრძანებთ, ბატონო?

— რა გავქვთ, კარგი?

— ყველაფერი კარგი გვაქვს, ბატონო, რასაც ინებებთ. არის შემწვარი წიწილები, ბატონის მწვადი, ზუთბო. ლოქო, ხიზილალა, სულგუნი. რასაც

ინებებთ, ყველაფერი გვაქვს, ბატონო!
— მამ მოგვიტანეთ წიწილებიც,
ბატონის მწვადიც, ზუთხიც, სულგუნიც
და, სხვა თუ რამ კარგი გაქვთ, ისიც!
თანაც ოთხი ბოთლი გურჯაანი მოაყო-
ლუ. ერთი სიტყვით, შენ იცი, რითაც
გვასიამოვნებ. დანარჩენი ჩემზე იქნება.

— არის, ბატონო! — ოფიციალტი
ცეკვით გავარდა სამზარეულოსკენ და
მკორე ხნის შემდეგ, მართლაც დიდ-
ბული სუფრა გააწყო.

ვახტანგმა ბოთლს წამოაწვლო ხელი
და ჭიქები ღვინით შეავსო. ერთი ცი-
კოს დაუდგა წინ, მეორე თვითონ.

— ამ ჭიქით ჩვენს შეხვედრას გაუ-
მარჯოს, ციკო. ჩვენ გაგვიმარჯოს, მე
და შენ გაგვიმარჯოს!... — უთხრა და
ჭიქა მიუჭახუნა.

მაგრამ ციკოს აღარ ესმოდა მისი
ლაპარაკი. ჭიქა ხელში გაშეშებოდა,
თვალეები უაზროდ გაშტერებოდა.

როდის როდის გამოერკვა ფიქრები-
დან. კრიჭა შეეკროდა, სუნთქვა უძნელ-
დებოდა, თვალეები გადიდებოდა. სახეზე
ხან ყვითელი ფერი გადაჰკრავდა, ხან
გაწითლდებოდა.

როგორც იყო, დასძლია გულზე შე-
მოწოლილი ბოლმა. ნერწყვი გადაყლაპა.
აქამდე თუ ბავშვური მორცხვობით
სახეზე ვერ უყურებდა, ახლა ეს გრძნო-
ბა თავიდან მოიშორა. ვახტანგს პირდა-
პირ ჩააქებრდა თვალბში და დინჯად,
სვენებ-სვენებით მიმართა.

— მე სიამოვნებით ვიქეიფებდი შენ-
თან, თუნდაც მთელ დამეს, მაგრამ მა-
პატე, რომ ამფსონობას ვერ გაგიწევს!
რა ვქნა, ვერ გაგიწევს! ჩემს ადგილას
ალბათ შენც ასე მოიქცეოდი. ამ სად-
ლეგრძელოზე მაინც არ აგიკრავ ხელს.
მოდი, როგორც შენ წარმოთქვი, ჩვენ
შეხვედრას გაუმარჯოს, ჩვენ გაგვი-
მარჯოს. მე ჩემი სიმართლით გამი-
მარჯოს, შენ შენი სიმართლით. მე ისე
გამიმარჯოს, როგორც ღირსი ვიყო შენ-
თან და საერთოდ ამ ქვეყნად, ყველას-
თან. შენ კი ისე გაგვიმარჯოს, რამდენა-
დაც ღირსი იყო ჩემთან, ჩვენს ოჯახ-
თან, ჩემსა და ეთერთან...

ციკო გაჩუმდა. სული მოითქვა ვახ-
ტანგმა კი, რომელიც არ შეეცდებოდა
ცოსაგან ასეთ ლაპარაკს და დაარსებნილი ყურებადმდე გაწითლდა.

— მე არ მინდა დაგწყველო, — განა-
გრძო ციკომ. — მაგრამ მაინც წყევლა
გამომივიდა. მე მოვკვდე, თუ შენთვის
ცული მოვიწადინო, ცული რამ გისურ-
ვო; მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრა:
შენ, ალბათ, არც კი იცი ის ამბავი, რომ
გუშინ მე და გვიმ ეთერი საბურთალოს
ტუბდისპანსერში დაეაწვინეთ. ახლა
სწორედ იქიდან მოვდივარ!...

ციკოს ხმა ჩაუწყდა. ვახტანგი სახ-
ტად დარჩა.

— დიახ, საავადმყოფოში დაეაწვინეთ
გუშინ, — განაგრძო ციკომ, დინჯად,
სვენებ-სვენებით, — მძიმედ არის ავად,
ტუბერკულოზით. არ ვიცი, გრძნობ თუ
არა. რომ მიზეზი მისი ავადმყოფობისა
შენა ხარ... თუ არ გრძნობ, შენ სინდის-
ზე იყო. ისე კი, არ გგვინოს თითქოს არ
ვიცოდე, რაც თქვენს შორის მოხდა. მე
ყველაფერი ვიცი, ჩემო ვახტანგ. მახ-
სოვს, კარგად მახსოვს, ჩემს ბავშვობა-
ში ველოსიპედით რომ ამოვივლიდი ხო-
ლმე ეთერის სანახავად, მე წინ გადაგი-
დგებოდი და ხვეწნას დაგიწყებდი: მა-
სერინე-მეთქი. შენ თავზე ხელს გადა-
მისვამდი, მომეფერებოდი, მერე შე-
მისვამდი ველოსიპედზე და მასეირ-
ნებდი. ბოლოს კი მეტყობდი: წადი ახ-
ლა და ეთერს დაუთახე, იქით გამოვი-
დესო. მე მაშინვე სახლში შევირზუნდი
და მშობლების ჩუმად ვეტყობდი: ძია
ვახტანგი გეძახის-მეთქი. დიახ, თქვენი
სიყვარულის მე ყველაფერი ვიცი. უფ-
რო მეტიც, მე ისიც ვიცი, რომ შენ ჩემს
დასთან ნაცხოვრები ხარ. ეს არავის უთ-
ქვამს ჩემთვის, მაგრამ ადრევე გავიგე-
იმ დღიდან, როცა, აშურაინის ველზე
კოლმეურნეობას მოსავლის აღებაში
ეხმარებოდი. მე მაშინ აჩრდილოვით
დაგდევდით უკან და ყველაფერი შე-
ვიტყე. შევიტყე და გულში დავიმარხე.
დედას არ ვუთხარი. მჯეროდა, რომ შენ
ეთერს არ უღალატებდი.

ვახტანგი შეიშმუნდა, თითქოს ჭინ-

კარმა დასუსტაო, და დარცხვენილმა თავის მაღლა აწევა ვერ გაბედა.

ციცო შეჩერდა. კვლავ ღრმად ამოისუნთქა. ისევ განაგრძო.

— მე არ ვიცი, ჩემო ვახტანგ, რისთვის დამპატიე ამ რესტორანში. იმიტომ ხომ არა, რომ ჩემი გული მოიგო? თუ ამას ფიქრობ, ძალიან სცდები. შენ ჩემს გულს ვერასოდეს მოიგებ. თუ ეთერი კარგად გახდა და თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, მე გაპატიებ ამ ცოდვას. გაპატიებ, ღმერთმაც რომ არ გაპატიოს. გაძლევ პატიოსან სიტყვას, ვაჟაკურ სიტყვას, რომ გაპატიებ, — ციცომ ხმას აუწია, — თუ არა და...

ზეზე წამოდგა, საესე კიქა მთელი ძალით მოიქნია, მაგიდას დაანარცხა და გულაფორიაქებულმა სწრაფად დასტოვა რესტორანი.

XX

ის ღამე თეთრად გაათენა ვახტანგმა. ძილი არ მიჰკარებია. ღრმად განიცდიდა თავის დანაშაულს. კარგად იცოდა, რომ მიზეზი ეთერის ავადმყოფობისა თვითონ იყო. რომ მისმა უდიერმა საქციელმა მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე.

მთელი ღამე ეთერზე ფიქრობდა. არც ციცოს სახე მოშორებია თვალთაგან. თითქოს ახლაც ჩაესმოდა ყურში მისი სიტყვები: მე არ ვიცი, გრძნობ თუ არა. რომ მიზეზი მისი ავადმყოფობისა შენა ხარ... თუ არა გრძნობ, ეს შენ სინდისზე იყოს. მაგრამ ნუ იფიქრებ, თითქოს არაფერი ვიციოდე, რაც თქვენს შორის მოხდა. თუ ეთერი კარგად გახდა და თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, გაპატიებ ამ ცოდვას. გაპატიებ, ღმერთმაც რომ არ გაპატიოს. გაძლევ პატიოსან სიტყვას, ვაჟაკურ სიტყვას, რომ გაპატიებ, თუ არა და...

ახლა უფრო მეტად გრძნობდა ვახტანგი თავის დანაშაულს, ვიდრე ოდესმე უგრძნვია. ახლა უფრო მეტად განიცდიდა სინდისის ქენჯნას. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რით გამოესყიდა ეს დანაშაული.

დილით უხასიათოდ ადგა. კარადიდან ასმანეთიანების მთელი შეკვრევა გამოიწო. ნელის უთხრა, საქმეზე მიმხედვებო და ფეხათრეული წავიდა სამსახურში.

ბაზარში თერთმეტ საათამდე იმუშავა. სამი შეკვრა ქვითარი გასცა ნისიად. მორჩენილი ერთი შეკვრა ჯიბეში ჩაიღო და პირდაპირ ტუბდისპანსერისაკენ გასწია.

ძას უნდოდა ეთერის წინაშე მოენაწიებინა თავისი ცოდვები და თანაც დახმარების ხელი გაეწოდა, რადგან მისი ფიქრით, აუცილებელი იყო მისთვის განსაკუთრებული ხელის შეწყობა, ყურადღება და, რაც მთავარია, კარგი კვება, რომლის საშუალებაც ოჯახს არ ჰქონდა.

მიდიოდა ვახტანგი საბურთალოზე და თავში ათასი სულის შემხუთველი ფიქრი უტრიალებდა. თვითონაც არ იცოდა, რა ნამუსით უნდა შეხვედროდა ეთერს. რა უნდა ეთქვა. რით უნდა ეცა ნუგეში, რომ მისი დაჩაგრული გული გაეხარებინა, მისი იარა დაეშუშებინა, მის დახმულ სულში სიხარულის ოდნავი იმედი მიანც შეეტანა.

ბოდიში მოეხადა?

ბოდიში უშველიდა საქმეს? ბოდიში შთაუნერგავდა ხელჩაქნეული ცხოვრების იმედს? ბოდიში მოხანდა იარას? განა ბოდიში დაუამებდა იმ ტკივილებს. რომელიც მან თავისი არასწორი და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით მიიყვანა?

ეს ხომ სისულელე იქნებოდა და მეტი. არაფერი?

ან ეთერი კი გაუწვდიდა ხელს დასახმარებლად? ვინ იცის, მასაც ზურგი შეეჭკია ციცოსავით. უფრო მეტიც. ის ფული, რომელიც მიჰქონდა გადასაცემად, იქნება სახეში ესროლა და თანაც მიეფურთხებინა. ეს ხომ უარესი იქნებოდა?

ვახტანგი გამოუვალ მდგომარეობაში იყო. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა გაეკეთებინა. წასულიყო თუ არა და ენახა, ეთქვა: მაპატიე ეთერ, მე

არ მეგონა, თუ ასე წავიდოდა შენი ცხოვრებაო...

ერთხანს კიდევაც განიზრახა გზიდან დაბრუნებულიყო. აღარ მისულიყო მასთან. აღარც ბოდიში მოეხადა და არც დახმარების ხელი გაეწოდა, ვითომც არ გაუგია მისი ავადმყოფობა, საბურთალოს ტუბდისპანსერში მისი წოლა, მაგრამ სინდისმა ძლიერ შეაწუხა. გადაწყვიტა ენახა ეთერი. ენახა რაც არ უნდა დამართოდა და ეკონომიურად დახმარებოდა.

თორმეტი საათი იქნებოდა ტუბსაავადმყოფოს რომ მიაღდა.

ვახტანგი საავადმყოფოს ეზოში შევიდა. ეზოში თეთრად გადაფეთქილიყო აკაციის ხეები. ხეების იქით მოჩანდა ოთხსართულიანი თეთრი შენობა, დიდი, ნათელი ფანჯრებით. ავადმყოფებს პალატები მიეტოვებინათ, დაბლა ბაღში სუფთა პაერზე ჩამოსულიყვნენ. სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ, ზურგი მზისათვის მიეფიცებინათ და თბებოდნენ. შიგადაშიგ გაისმოდა ყრუ ხველება.

ეზოში შესვლისთანავე უნებურად შეჩერდა ვახტანგი. ნაბიჯის გადადგმა გაუძნელდა. ფეხები არ ემორჩილებოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ეთერთან შეხვედრის წუთები, იმდენად უფრო ღელავდა, გული ეკუმშებოდა, სულში საშინელ ტკივილებს გრძნობდა.

თავს ძალა დაატანა და შორიდანვე სკამებზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარი ავადმყოფები შეათვალიერა.

აგერ ეთერიც. იგი განცალკევებით, მარტოდ-მარტო იჯდა მწვანედ შეღებილ გრძელ სკამზე, თეთრად გადაშლილი დიდი აკაციის ქვეშ. მუხლებზე მარჯვენა ნიდაყვი ჩამოედო. თავი ხელზე დაეყრდნო, თვალები ერთი წერტილისთვის გაეშტერებინა და მწარედ დაფიქრებული უძრავ ქანდაკებას დამსგავსებოდა.

მას საავადმყოფოს უბრალო, თბილი ხალათი ეცვა. ძალზე ფერმკრთალი სახე ჰქონდა. შავი თვალები უფრო გადიდებოდა. გრძელი წამწამები მარაოსა-

ვით დაჰყენოდა. ძალზე გამხდარი იყო მხრის თავები მოუჩანდა.

ვახტანგს გული შეუქანდა საშინელმა გრძნობამ თავიდან დაჰკრა და მთელს ტანში ქრუნატელივით დაუარა. ერთხანს შორიდან შესცქეროდა იმ ადამიანს, ვინც ოდესღაც საკუთარ თავს ერჩივნა; ურომლისოდაც ეს ქვეყანა ცარიელი ეჩვენებოდა; რომლის სიახლოვე და თმების სურნელება ერთ მოუთქმელ სიამოვნებას ჰგვირიდა და ტკბილი ოცნების ბურანში ხვევდა.

ღიახ. დადუმებული, ენაჩავარდნილივით მისჩერებოდა და მის გონებაში ნელ-ნელა ცოცხლდებოდა ყველა ის მოგონება, რომლებიც კი აკავშირებდა მასთან.

თვალწინ წარმოუდგა სტუდენტობის წლები. ის წლები, როცა მათ გულში პირველად ავიზვიხდა სიყვარულის მარად ჩაუქრობი ცეცხლი; როცა თბილისიდან ყოველ შაბათობით ერთად მიემგზავრებოდნენ ზოლზე ოშორამში და კვირა საღამოს ოშორიდან ერთად ბრუნდებოდნენ თბილისში.

თვალწინ წარმოუდგა ის საღამოც, მეზობელ სოფლიდან გულაძგერებული რომ მოჰქროდა ველოსიპედით ოშორისაკენ; თავი აეთანდილად რომ ჰქონდა წარმოდგენილი; ველოსიპედის წკრიალს რომ აყოლებდა სიმღერას და ოშორისაკენ მონაბერ ნიავს ტკბილ ამბორს ატანდა თავის თინათინთან; მთელი გულითა და სულით რომ მიეჩქარებოდა მისკენ. რათა დაძინებამდე როგორმე ჩაესწრო და თუნდაც მცირე ხანს. სულ ორიოდვე წუთს მაინც გაველოთ ერთად, დამტკბარიყო მასთან საუბრით, მისი სიახლოვით.

გაახსენდა ომამდელი საპირველმისო ქეიფიც, ქავკავაძის ქუჩაზე პატარა ოთახი, ერთი ღამე, ფრონტი, წერილები თუ ამანათები. თვითონ რომ იკლებდა და მას უგზავნიდა.

შემდეგ დაბრუნება, აშურიანის ველი, მთვარიანი ღამე, ქედნებისაგან გაღეღილი ძნა. და ბოლოს ისევ ორმოცდა-

ერთი წლის ღრუბლიანი დღე დაუდგა წინ.

აი, ახლაც თითქოს ცხადად ხედავს იმ სურათს. საშინელი ქარი ჰქრის. მატარებლის ღია ფანჯრიდან დაპყურებს გასაცილებლად მისულ ეთერს, რომელიც უხმოდ მიჰყვება ახლად დაძრულ მატარებელს მისი ფანჯრის პირდაპირ. ქარი უწყევტს შებლზე ჩამოშლილ თმას, კაბას უფერიალებს. ვერაფერს ეუბნება. მარტო ხელს უქნევს და ნაღვლიან თვალებიდან ცრემლები ჩამოსდის.

ვახტანგი ფიქრებიდან გამოერყვა. თავს ძალა დაატანა და ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ფეხები არც ახლა დაემორჩილა. ბოლოს, როგორც იყო, დასძლია სინდისის ქენჯნით გამოწვეული ყველა სიმძლე. მძიმე, მოშვეებული ნაბიჯით მიუახლოვდა და მის წინ დარცხენილი გაჩერდა.

ეთერი შეკრთა ვახტანგის დანახვაზე. არ მოელოდა. პირველად თავი სიზმარში ეგონა, თვალებს არ დაუჭერა, მაგრამ რომ დარწმუნდა ნამდვილად ვახტანგი იყო, სკამიდან წამოხტა, ხალათის კალთა შეისწორა, პირი შენობისაკენ იბრუნა და წასასვლელად ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ვახტანგმა მკლავში ხელი მოკიდა და შეაჩერა.

— გამარჯობა, ეთერ... მე გავიგე შენი ავადმყოფობა და მოვედი... როგორ ხარ?... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა მან და თვითონვე გაუკვირდა თავისი გამბედაობისა.

ეთერი ვახტანგისაკენ შემობრუნდა. სახეზე დააცქერდა. მას მეტად მკაცრი გამოიმეტყველება ჰქონდა, სევდასთან ერთად თვალებში გამკითხავი სიბრაზე ჩაგუბებოდა, წარბები შეჭმუხვნოდა, სახის ნაკვეთები დასკიმოდა. ერთხანს დუმლით მისჩერებოდა, კრინტი ვერ დაეძრა, კრიკა შეკვროდა. ბოლოს, როგორც იყო, თავს ძალა დაატანა, ბაგე გახსნა და კბილებიდან ორად-ორი სიტყვა გამოსცრა:

— რისთვის მოხვედი?!...

— შენ სანახავად მოვედი, ეთერ, როგორ ხარ, რა დაგემართა?... — ჩემ სანახავად?... ქმ... — დატონით წარმოთქვა მან, — რატომ სწუხებდები?!...

— გუშინ ციკო შემხვდა. იმას მითხრა. რომ ავად ხარ და აქ წევხარ. გადაეწყვიტე მენახე, ხომ არაფერი დამიშავებია?

ეთერი თვალებში ჩააშტერდა ვახტანგს. უყურა, უყურა... ცრემლით აევსო თვალის უბეები. მერე თავი ოღნავ გააქნია და ირონიით დასძინა:

— არა!.. არაფერი!..

— როგორ არაფერი, მე დამნაშავე ვარ შენთან, მე მესმის შენი სიტყვების ორაზროვნება. მე დიდი ბოროტება ჩავედინე შენს წინაშე, მაგრამ მაინც მოვედი, გესმის? მე მაინტერესებს შენი ჯანმრთელობა! — ენის ბორბიკით უთხრა ვახტანგმა და თავი ჩაღუნა.

— მხოლოდ ამიტომ მოხვედი?...

— ამიტომ მოვედი. მოვედი კიდევ იმისათვის, რომ დაგეხმარო!

— დამეხმარო?! — წარბები შეყარა ქალმა.

— დიახ, დაგეხმარო!

— რით?!

— ფულით, ფულით დაგეხმარო!

ვახტანგმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ასმანეთიანების მთელი შეკვრა ამოიღო და გაუწოდა.

ეთერი ჯერ ფულს დააცქერდა, მერე ისევ ვახტანგს გაუსწორა მზერა.

— და ამით გინდა გამოისყიდო შენი დანაშაული?

— როგორც გინდა, ისე ჩათვალე. მეტი რა შემიძლია გავაკეთო!...

— არა, მითხარი... ამით გინდა გამოისყიდო შენი დანაშაული?

ვახტანგს ენა ჩაუვარდა. სიტყვა ველარ დასძრა.

— უსინდისო, არც კი გრცხვენია... წაიღე ეგ ფული უკან, მე არ მჭირდება შენი დახმარება!

ეთერი უცბად მოწყდა ადგილს, ვახტანგი მიატოვა და თვალის დახამხამების უმაღლეს საავადმყოფოს შესასვლელში გაუჩინარდა.

ვახტანგი სახტად დარჩა. გაწვილილი

ხელი ჰაერში გაუშეშდა. ერთხანს გაოგნებული იდგა. არ იცოდა რა გაეკეთებინა, როგორ მოქცეულიყო. მერე როგორც იყო, მოვიდა გონზე. ფული ჰიბეში ჩაიდო და გულამღვრელი უკან გატრიალდა.

მიდიოდა ვახტანგი უკან, მიდიოდა მძიმედ, ხელი ნაბიჯით. მიდიოდა ღრმად ჩაფიქრებული, დაღონებული, გულჩათხრობილი. მიდიოდა და თვალთაგან არ შორდებოდა ეთერის გამხდარი ტანი, ფერმკრთალი სახე, დიდი, სევდიანი თვალები.

ის იყო, გასცდა საავადმყოფოს ეზოს. რომ ქუჩის თავში, მოსახვევთან ოშორელი ახალგაზრდები დაინახა. მათ შორის ოშორის საშუალო სკოლის მასწავლებლებიც შენიშნა. თითქმის ყველანი აქ იყვნენ: რუსუდანი, სტელა დვალი, მერი მესტირიშვილი, ლეილა ციხისთავი. მათ გივი მოუძღოდა წინ. კოჭლობით. ყველას რაღაც შეხვეული ეკავა ხელში. გივი ძლივს ერეოდა ვეება ჩანთას. ეტყობა, ახლა ჩამოყოლოდნენ ბორჯომის მატარებელს და ეთერის სანახავად მიდიოდნენ.

ვახტანგს ჭირის ოფლმა დაასხა სახეზე. ვისაც ერიდებოდა, სწორედ იმით შეეყარა. რაც ეთერი მიატოვა, არც ერთი მათგანი აღარ ენახა. ყველას გაურბოდა, აღარავის ეკარებოდა. ახლა კი, ვინ იცის, როგორი თვალით შეხედავდნენ ისინი მას, რას ეტყოდნენ. ან თვითონ რა პასუხს გასცემდა, რით იმართლებდა თავს.

განსაკუთრებით გივისთან უმძიმდა შეხვედრა. გივი ხომ ყველაზე უფრო ახლო მეგობარი იყო, რომელმაც დაწვრილებით იცოდა, რაც მათ შორის მოხდა. ვანა პირველმა არ აღიმაღლა ხმა ვახტანგის წინააღმდეგ, როცა მისი ღალატი შეიტყო?

— უსინდისო, მერე ეთერს რას ეუბნები, — ხმამაღლა უყვირა მაშინ, — თფუ! შენს ადამიანობას, მე მეგონა შენ კაცი იყავი, ვაჟაკი იყავი... როგორ მოვტყუებულვარ შენში. — მერე ისევ დაუტკბა და გულისტკი-

ვილით უთხრა: — დაუფიქრდი, ვახტანგ, კარგად დაუფიქრდი, ხელს ნუ ჰკრავ ეთერს. ნუ მიატოვებ ამ ქალღმერთ შვილს, რომელმაც შენ შემოგწირა მთელი თავისი სიხარული. ნუ ჩადგები იმის ცოდოში. ანგარიში გაუწიე მის ოჯახს. იცოდე, ასეთი უმართებულო საქციელით შენ დაკარგავ არა მარტო ეთერს, არამედ ყველა მეგობარს და მათ შორის მეც. ჩვენ ხომ სიყრმის მეგობრები ვართ, ბავშვობიდანვე ერთმანეთთან ძმებზეთ შეზრდილები. როცა შენ და ეთერმა სამუდამო სიყვარული შეპყვიცეთ, მაშინ ხომ პირობა მივეცი ერთმანეთს, რომ ხელის მომკიდეთ მე გამოგყვებოდით. ხოდა მოაწერე ხელი! მე მზად ვარ, გესმის? მზად ვარ.

სწორედ ამ სიტყვების შემდეგ აქცია ზურგი ვახტანგმა თავის მეგობარს. იმის შემდეგ აღარც შეხვედრიან ისინი ერთმანეთს. სათოფეზე აღარ გაჰყარებია გივის, რომელთანაც, ვინ იცის, რამდენი ტკბილი მოგონება აკავშირებდა.

ყველაფერს იფიქრებდნენ ისინი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდნენ, თუ მათ შორის ოდესმე შავი კატა გაიბრებნდა.

ვახტანგი წინდაწინ გრძნობდა, რა დამამკირებელი და შეურაცხყოფელი იქნებოდა ახლა მათთან შეხვედრა. თავის განდგომილ მეგობრებთან პირისპირ შეყრა. დიახ, გრძნობდა ყოველივე ამას და ამიტომაც არ უნდოდა სჩვენებოდა.

მუხლები მოუღუნდა, ყურებამდე გაწითლდა, გულმა ბაგა-ბუვი დაუწყო. მიწა რომ გარღვეულიყო და შიგ ჩაეარდნილიყო, ის ერჩივნა. ერთი სული ჰქონდა, ამ მეტად მძიმე და დაძაბულ მდგომარეობიდან რამენაირად დაეღწია თავი.

ქუჩას გახედა. ქუჩა სწორი იყო. ახლო-მახლო შესახვევი არსად ჩანდა. დაიბნა. არ იცოდა საით გაპარულიყო. ბოლოს მონახა გამოსავალი. ხელმარცხნივ პატარა სკვერი შენიშნა. შიგნით შევიდა, ეკალიპტის ბუჩქს ამოეფარა და იქიდან დაუწყო ქურდულად თვალთვალი.

აგერ ისინიც, სკვერს გაუსწორდნენ. ამხანაგის ბედით შეწუხებული მღუმარედ მიჰყვებოდნენ ტროტუარს. გივი ძლივს ერეოდა ვეება ჩანთას. მძიმედ აღგამდა პროტეზს.

ვახტანგი სათითაოდ ათვლიერებდა ყოველ მათგანს. თვითუელის სახეზე თითქოს კითხულობდა თავისთავისადმი ზიზღს, საყვედურს, გაკიცხვას.

ოშორელი ახალგაზრდები სკვერს გასცდნენ და იქით, სააქადმყოფოს ეზოს მიაღდნენ. ვახტანგმა თავისუფლად ამოისუნთქა. სკვერიდან გამოვიდა. შორიდან ერთხელ კიდევ შეათვლიერა ისინი. მერე ხელი ჩაიჭნია და ფიქრებით დამძიმებული თავის გზას გაჰყვა.

ისე დაუახლოვდა საბურთალოს ბაზარს, არც გაუგია. ფიქრებიდან მაშინ გამოერკვა, როცა ხალხში შეერია. მცირე ხნის შემდეგ ბაზრის ორომბრიალში ჩაება და სულ დაავიწყდა გივიც; ეთერიც და სხვა ოშორელი ახალგაზრდებიც.

XXI

ღილით გვიან გაეღვიძა ვახტანგს. თვალები რომ გაახილა, რვა ხდებოდა. ამ დროისათვის ერთი შეკვრა ქვითარი ყოველთვის გაყიდული ჰქონდა, ახლა კი ჭერაც არ ამდგარიყო ლოგინიდან. რაც ბაზარში მუშაობს, ასეთი რამ არასოდეს დამართია. დღეს რა ღმერთი გამიწყარო, გაიფიქრა და დაფეთებული ზეზე წამოვარდა.

ხმაურზე ნელიმ წამოყო ლოგინიდან თავი.

— ხომ არ დაგაგვიანდა? — იკითხა ნახევრად მძინარემ და ისევ მიღულა თვალები.

ვახტანგმა ხმა არ გასცა. მოერიდა ძილი არ დაეფრთხო საყვარელ მეუღლისათვის. ტანსაცმელს დასწვდა, რომელიც სკამზე იყო გადაკიდებული. დარბაზში გავიდა. სწრაფად ჩაიცივა, პირი დაიბანა და წასვლის წინ, ისევ საძილე ოთახში შეყო თავი.

მშვიდად ეძინა დედა-შვილს. პატარა რიტა გულადმა იწვა თავის პატარა საწოლში. ხვეული თმები ლამაზად ჩამოშ-

ლოდა-შებლზე, ლოყები დაკვერებოდა და ტბილად ფშინავდნენ.

ვახტანგს უნდოდა დაეკონცხა მისი ყვაილი, მაგრამ გაიღვიძებო, გაიფიქრა და ახლა ნელის გადახედა. როგორც რიტას, იმასაც ვარდისფრად დაკვერებოდა ლოყები და გრძელი წამწამები ლამაზად დაფენოდა თეთრ ლაწკებზე.

ვახტანგს რატომღაც მოუნდა ნელისთვისაც ეკონცხა. გულში ჩაეკრა ერთიც და მეორეც, დედაც და შვილიც, მაგრამ თავი შეიკავა. ის იყო, კარები უნდა გაეხურა, რომ ოთახში მოულოდნელი ტყაცანი გაისმა, თითქოს შუშა გატეხესო.

ვახტანგმა თვალები დააქიკა. ხმაურზე ნელიმაც წამოყო ლოგინიდან თავი.

— რა მოხდა?! იკითხა მან და თვალეები მოიფშვინა.

— აზრზე არა ვარ! — გაკვირვებით წარმოთქვა ვახტანგმა და ფანჯრის შინები შეათვლიერა. ისე მოეჩვენა, თითქოს ქეჩიდან ვიღაცამ ქვა გამოისროლა და შუშას მოხვდა, მაგრამ შუშები მთელი იყო.

— უი... ტრილიაეის სარკე გამტყდარა! — გოცებით წამოიძახა ნელიმ და საწოლიდან წამოვარდა. ვახტანგმა გვერდით მიიხედა. რიგიდან ჩამოტანილი, ძვირფასი, დიდი სარკე შუაზე იყო გადამსვდარი.

— ფთუ, მოგიცვდა გამკეთებელი! — წყრომით წარმოთქვა ნელიმ და ქმარს გადახედა. — კი, მაგრამ, რატომ უნდა გატეხილიყო?

— კარგს რომ უშვებენ, იმიტომ! — ხელი ჩაიჭნია ვახტანგმა. — არაფერია, გული არ გაიტეხო. მე რომ მკითხო, სულაც არ მომწონს ამ ფორმის სარკე. ერთ კვირაში უკეთესს დავდგამ.

საათზე დაიხედა.

— წავედი, ნელი, დამაგვიანდა. არაფერი იფიქრო. ჩვენს ზარალს მაგაზე გადაუვლია.

ეს რომ თქვა, ოთახი დატოვა, კიბეზე სწრაფად დაეშვა და პროსპექტზე გავიდა.

მოდრუბლული ცა მწუხარედ დაჰყურებდა თბილისს. ოდნავ სცრიდა. პრო-

სპექტი დასველებულიყო და გაზაფხულის დამახასიათებელი სასიამოვნო ნესტით გაელენთილიყო ჰაერი.

ვახტანგმა პირველი შემხვედრი მანქანა გააჩერა. დაჯდა. ათი წუთის შემდეგ უკვე ბაზარში იყო.

„ტალკუჩქა“ კვლავინდებურად ხალხით გავსებულიყო. ვართანასა და ანიჩკას ესარგებლათ ვახტანგის იქ არ ყოფნით, ბაზრის მთავარ შესასვლელთან გაჩერებულიყვნენ და გაცხარებით ყიღღნენ ქვეითრებს.

ვართანა მარცხნივ იდგა, ანიჩქა მარჯვნივ. „მოუსვენარი თავი“ თვალებს ეშმაკურად აცეცებდა და კლიენტი ჯერ არ დაახლოებოდა, რომ ქვეითარი შორიდანვე ჰქონდა ჰაერში გაწვდილი. ანიჩქა კი ბატვიით ბაჯბაჯებდა ერთ ადგილზე, ქვეითრებს ავტომატური სისწრაფით არიგებდა და თან მხიარულად როხროხებდა, „ხეირი ნახეთო“.

— როგორ ჩაუტეკითა შესასვლელი! — გუნებაში წამოიძახა ვახტანგმა. კოლეგები ირიბად შეათვალეირა და თან მაგარი შეუკურთხა: — დედას გიტირებთ, ავილო ქვეითარი!

ვახტანგმა სწრაფად გაუარა გვერდით. „ტალკუჩქა“ ჩაათვა და კანტორისაკენ დაეშვა. კანტორის წინ ანტონი და შალვა ქელიძე დაინახა.

გაუკვირდა. ამ ვახტანგულ მუშაობაში აქ რას დამდგარანო, გაიფიქრა და ნაბიჯს უფრო მოუმატა.

— ნუ ჩქარობ, ვახტანგ, ნელა წამოდი! — შორიდანვე შესძახეს მათ, როგორც კი თვალი მოკრეს მეგობარს.

ვახტანგი თვალის დახამხამების უმალ მათ წინ დაერჭო.

— აქ რას აკეთებთ, არა მუშაობთ? — გაკვირვებით ჰკითხა მეგობრებს და პასუხის მოლოდინში სახეზე დააქცერდა.

— დილას ვარაზანაშვილს დაურეკია გენოსათვის: ჩემს მოსვლამდე სიღამონიძეს, ტალიაშვილს და ქელიძეს ქვეითრები არ მისცე და სამუშაოზე არ დაუშვაო! — უთხრა ანტონმა.

— რატომ? — თვალეები დაქყიტა ვახტანგმა.

— რა ვიცი... რამდენი ხანია რაც ვუწუ

ლი არ მიგიცია? ვარაზანაშვილი

— თვეზე მეტი იქნება! ხიზლიჩოშვილი

— ჩვენც ასე. ალბათ ეს არის მიზეზი, სხვა რა უნდა ვიფიქროთ? — წარმოთქვა ქელიძემ.

— სად არის ახლა ვარაზანაშვილი? — ჯერ არ მოსულა. ველოდებით. დაუბარებია, მაღე მოვალო.

— მერე და. ამის გულისათვის გვაცდენს სამუშაოს? სად გავექცეოდით! აი, ახალი ამბავი!.. — ვახტანგმა კეფა მოიფხანა.

— სანამ მოვიდოდა, აქ, სადმე რომ გვეშოვნა ფული, დაკარგულ დროს ნაწილობრივ მაინც ავინაზლაურებდით.

— ჩილაპარაკა ქელიძემ.

— აბა აქ ვინ გასესხებს, — უთხრა ვახტანგმა, — სხვა ვხა არ არის, სახლებიდან უნდა მოვიტანოთ.

— მაშ თქვენ რაღა გაწვალთ, ბიჭებო, მე მოვიტან, — წამოიძახა ანტონმა და წასასვლელად მოემზადა.

— მაგას რა სჯობია, — კვერი დაურტყა ვახტანგმა. — დღესვე გავისწორდებით.

ანტონმა ხმა აღარ ამოიღო. სწრაფად გავარდა და ხალხში გაუჩინარდა.

ქელიძემ უცებ ვიღაც ნაცნობებს მოჰკრა თვალი, ვახტანგს ბოდში მოუხანა და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა მათკენ.

ვახტანგმა დაინახა, როგორ სიყვარულით გადაკოცნა შალვამ ისინი. ალბათ ნათესავეები იქნებიანო, დაასკვნა და ქელიძის ნაცნობები თავით-ფეხამდე შეათვალეირა.

ისინი ორნი იყვნენ. კაცი ოცდაოთხთმეტი წლისა იქნებოდა, დაბალი იყო. ბრგე, ჩასხმული, ქალი კი. მამაკაცზე უმცროსი ჩანდა. ჩაკმულობაზე და იერზე ეტყობოდათ, რომ პროვინციიდან იყვნენ ჩამოსულნი.

ვახტანგი აღარ დაელოდა მეგობარს. წავალ, „ტალკუჩქაზე“ გაივილიო. გაიფიქრა და ბაზარს აღმა აპყვა.

უნებურად წინდის გამყიდველ ქალეზთან შეჩერდა. ქალებში უცბად აზას

მოჰკრა თვალი. გაუყვირდა. იმ დღიდან, რაც ფაციმ შეწყვიტა ბაზარში სიარული, აღარც აზა დაუნახავს აქ.

აზამაც შეამჩნია ვახტანგი. მის დანახვაზე თვალეები გაუბრწყინდა და მოკრძალებით წამოვიდა მისკენ.

— გამარჯობა, აზა, როგორ არის ფაცი? — უთხრა მიახლოებისთანავე.

აზა მორცხვად მიესალმა. ვახტანგის კითხვაზე მხრები უსიამოვნოდ შეარხია და უბიდან წერილი ამოიღო.

— ფაციმ გამოგიგზავნა! — უთხრა და პაკეტი გაუწოდა.

ვახტანგმა წერილი გამოართვა. გახსნა, ჩაიკითხა.

„თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც გნახე, — სწერდა ის, — მაგრამ დამერწმუნე, რომ ეს პატარა დრო, შენს უბედურ ფაცისათვის მთელ საუკუნეს უდრის. ასეთ მძიმე მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. დამერთო ჩემო, მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება. გიყვით ვარ. რომ მელაპარაკებიან, არაფერი მესმის. უშენოდ ყოველი წუთი ჩემთვის ტანჯვაა, ჯოჯოხეთია, წამებაა. უფრომ მეტიც. ვერ წარმოიდგენ, ძვირფასო ვახტანგ, რა დღეში ვარ. ვწყველი იმ წუთებს, როცა პირველად შეგხვდი. თუ ასე წავიდოდა ჩემი საქმე, ნეტავ არასოდეს მენახე. ნეტავ ფეხი მომტეხოდა იმ დღეს, როცა მე ბაზარში გამოვედი. ასე რომ გავრძელდეს, არ ვიცი, რა დამემართება. ალბათ კჳუდიდან შევიწვლები. მე აქამდე ცხრაჯერ დავამთარებდი ჩემს ცხოვრებას თვითმკვლელობით, ამ ქვეყნად შენ რომ არ მეგულებოდე. აქამდე თუ ვარწმუნებდი ჩემს საცოდავ ქმარს, რომ ჩვენს შორის არაფერი იყო, ახლა ველარც ამას ვახერხებ. ვახერხებ კი არა, გუშინ ყველაფერი ვუთხარი. მას მთელი დამე არ უძინია. ისევ ავად არის, წევს. ტირის. ახლა აღარ მეჩხუბება. პირიქით, მეფერება, ტკბილად მელაპარაკება, მარიგებს. ალბათ ვეცოდები. დიახ ვეცოდები. აქამდე თუ მე მეცოდებოდა. ახლა იმას ვეცოდები. ეშინიან არაფერი დამემართოს. პურის მოსატანადაც კი არ

მიშვებს კარში. როგორ წავა ჩემი შემდგომი ცხოვრება, არ ვიცი ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩემი მდგომარეობა ყოველდღიურად თანდათან უფრო სასოწარკვეთილი და აუტანელი ხდება. ნეტავ სულაც არ მოვსულიყავ ამ ქვეყნად, თუ ასეთი უბედური ვიქნებოდი... როდემდის უნდა ვიტანჯო ასე დაუსრულებლად, არ ვიცი. აქამდე კიდევ მქონდა სიხარულის იმედი, რომ ათასში ერთხელ მაინც შეგხვდებოდი. ახლაც ეს იმედიც მომესპო. მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა ვნახო ხვალ. რაიმეს მოვიმიხეზებ და წამოვალ. რომ არ გამომიშვას, კარებს გამოვამტვრევ და მაინც მოვალ შენთან. არ დაუშალავ, ვეტყვი პირდაპირ, რომ შენთან მოვდივარ და რომ არ ვნახო გავგიჟდები. დიახ, ასე მოვიქცევი. თუ წინააღმდეგი წავიდა. მე უკვე აღარ შემოიძლიან მეტის ატანა. მელოდე ხვალ, ხუთი საათისთვის. მე მინდა ერთხელ კიდევ გავისეირნოთ ფუნიკულიორზე, თუნდაც უკანასკნელად. საქმე მაქვს შენთან. დიდი საქმე. ფაცი“.

ვახტანგმა წერილი მოკეცა და ჯიბეში ჩაიღო. რა საქმე უნდა მქონდესო, გაიფიქრა და ცოტა არ იყოს, კიდევაც შეფიქრიანდა.

— გადაეცი ფაცის, რომ ხვალ, ზუსტად ხუთ საათზე, აი ამ ადგილას ვიქნები! — უთხრა აზას. მერე გვერდით შებრუნდა და გზა განაგრძო.

ბაზარს ისევ აღმა აჰყვა. საკოსტუმენაქრების გამყიდველებისაკენ გასწია. ფაციზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. რა „დიდი საქმე“ უნდა მქონდესო, ფიქრობდა და ვერაფერს მიმხვდარიყო.

„ტალკუჩკა“ უკვე ავსებულოყო ხალხით. ვართანასა და ანიჩას მთავარი შემოსასვლელი მიეტოვებინათ და ფულის შოვნით დახარბებულები დაუღალავად დალაჯებდნენ ხალხში. სპეკულიანტებს ქვითრებს უსიჩავდნენ და ვახტანგის კლიენტებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ქვითრის აღებაზე, ძალით აღებინებდნენ.

ვახტანგი შორიანლო გაჩერდა. ჯერ „ბებერი ძროხა“ შეათვალიერა, მერე

„მოუსვენარი თავი“. „ბებერმა ძროხამ“ შენიშნა ვახტანგის ქურდული მზერა, ტუჩებში ჩაეცინა და ზურგი შეაქცია.

ვახტანგს შეუძმნეველი არ დარჩენია მისი დამცინავი ღიმილი. დედას გიტორებო, გაიფიქრა და ვართანსაყენ წავიდა.

— მოუსვენარო თავო, დაგრჩათ ბურთი და მოედანი, ხომ? — უთხრა მიახლოებისთანავე და თვალებით გახვრიტა.

ვართანამ ირიბად ახედა „სტუდენტს“.

— მაშ ყოველთვის შენ ხომ არ უნდა იპარპაშო! — უპასუხა ხრინწიანი ხმით, გვერდით შეტრიალდა და თავი მოარიდა.

— ანიჩკას მოკითხვა გადაეცი, მოუსვენარო თავო! — ხაჩიკას მაგივრად აყოცე დამპალ ტუჩებში, — მიაძახა ვახტანგმა და თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა.

ისევ მალლა აყვა ბაზარს. საკოსტუმენატრების გამყიდველებთან მივიდა. შიმშონს გამოელაპარაკა. როგორც კვლავ, შიმშონი ახლაც ლამაზ კოსტუმში იყო გამოწყობილი და ყელზე ახალმოდის, წერილი ჰალსტუხი გაეკეთებინა.

იგი ლულზე და ხინკალზე ეპატივა ვახტანგს, მაგრამ უარი უთხრა. უკან გამობრუნდა. ის იყო, ეკუპრამილის დუქნისკენ უნდა გადაეხედა, რომ მოულოდნელად გივის შეეჩხება. რომელსაც ტანსაცმელი ეყიდა ბაზარში და გაზეთში შეხვეული ილიაში ამოედო.

ვახტანგი დაიბნა. არ მოელოდა. იქ დაეაღწიე თავი და აქ მაინც შევხვდიო. გაიფიქრა. ალბათ ახლაც ისე მოიქცეოდა, მაგრამ გვიან იყო. მათ ერთდროულად შეხედეს ერთმანეთს და უნებურად პირისპირ შეჩერდნენ.

მათ შორის აღარ იგრძნობოდა ის თბილი, მეგობრული სიყვარულით აღსავსე განწყობილება, როგორც ადრე, როცა ერთმანეთის სიყვარულით ვერა ძღებოდნენ. როცა, ასეთ შემთხვევაში სიხარულით გადაეხვეოდნენ ხოლმე და ძმებოვით გადაკოცნიდნენ.

გივის მეტად სერიოზული სახე ჰქონდა. წარბები შეკუმხნოდა. შუბლზე არასასიამოვნო გრძობის გამომსახველი წვრილი ნაოჭები დასხდომოდა. ვახტანგს ცივად გაუწოდა ხელი და გამარჯობაო, უგულოდ უთხრა.

ვახტანგმაც ცივად ჩამოართვა ხელი. ისეთი თვალით შეხედა, როგორც ეს სჩვევიათ აღამიანებს, როცა ვინმეს წინაშე რაიმე დანაშაული მიუძღვით.

ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოვარდა მათ შორის. გივის ეგონა პირველი ვახტანგი დაუწყებდა ლაპარაკს, ბოდიშს მოუხდიდა; ეტყოდა: მბაბტიე ძმაო, მე ვარ დამნაშავე შენს წინაშეო, მაგრამ მოტყუვდა. ვახტანგი ხმას არ იღებდა. ისე ეჭირა თავი, თითქოს დამნაშავე თვითონ კი არა, გივი ყოფილიყო.

გივიმ უყურა, უყურა. ბოლოს გულმა ველარ მოუთმინა, სინანულით თავი გადააქნია და საყვედურით უთხრა:

— ეხ... ვახტანგ, მე არასოდეს ვიფიქრებდი, თუ ჩვენს შორის ოდესმე რაიმე გაუგებრობა მოხდებოდა. ნუთუ დაგავიწყდა ჩვენი ბავშვობა, ჩვენი ერთად გატარებული წლები, უნივერსიტეტი. მე არ მესმის, რა დაგიმსახურე, ბიჭო, შენს წინაშე იმისთანა, რომ ზურგი შემაქციე. იქნებ ის გეწყინა ვახტანგ, რომ ეთერის მხარი დაეიჭირე? თუ ამაზე შემდღერი, არა ხარ მართალი. კარგად იცი, შენმა უდიერმა საქციელმა სადამდე მიიყვანა იგი.

ამ სიტყვებზე ვახტანგმა თავი ჩაღუნა და ყურებამდე გაწითლდა.

— მეგობარი ვარ შენი და არ შემოძლიან პირში არ გითხრა. — განაგრძო გივიმ, — მე მახსოვს, ძვირფასო ვახტანგ, როცა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა არ გაკმაყოფილებდა და მეცნიერების მაღალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებოდი, ოცნებობდი ასპირანტურაში შესულიყავი. როგორ მოხდა, რომ ასპირანტურის მაგივრად ამ ჭუჭყიან ბაზარში ამოყავი თავი? ნუთუ ფულმა გაგიტაცა, ბიჭო?

— რა შუაშია ფული? — ველარ მოი-

თმინა ვახტანგმა და მეგობრის სიტყვებზე ჳირის ოფლმა დაასხა სახეზე. მალე აიხვედა. უნდოდა პირდაპირ შეეხებოდა მისთვის, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა და ისევ ჩაკიდა თავი.

— მაპატიე ამ სიტყვებს რომ გეუბნები, — არ მოერიდა გივი, — ხომ გითხარი, მეგობარი ვარ და არ შემოძლია პირდაპირ არ გითხრა. მე გავიგე, რომ შენ ფულელებში ბანაობ, მაგრამ არა მგონია ეს ფულები იმ საქმეს სჯობდეს, რომელსაც შენ იყავი შემდგარი. გული მწყდება, რომ შენს მიზანს დასცილდი.

— რას იზამ, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში...

— რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ ჩვენს შორის ეს არ უნდა მომხდარიყო. მე ძლიერ ვწუხვარ ამ ამბავს. კარგად მახსოვს შენი სიტყვები, ძვირფასო ვახტანგ: პირველი ვინც დაქორწინდებოდა, ერთ-ერთი ხელისმომკიდეთ უნდა გავყოლოდით. გახსოვს ხომ?

— მახსოვს! — თავი არ აუწევია, ისე უპასუხა ვახტანგმა.

— მერე რა მოხდა?

— რას იზამ, ასე ყოფილა ცხოვრება. ბრძოლა, ბრძოლა და ამ ბრძოლაში მეგობარიც გავიწყდება და ამხანაგიც.

— არა ხარ მართალი, ვახტანგ, ცხოვრება აქ არაფერ შუაში არ არის. ჳერ ეგ ბრძოლაც არ დაგეწყო, რომ ჳურგი მაქციე.

— ხომ გითხარი, ყველაფერი ხდება მეთქი ცხოვრებაში. შენ როგორ გგონია, განა მე არა ვგრძნობ ჩემს შეცდომას? ვგრძნობ, როგორ არა ვგრძნობ! მესმის, რა დიდი ბოროტება ჩავიდინე ეთერის წინაშე. მესმის და ამიტომაც მძიმე ლოდევით მაწევს გულზე ეს დანაშაული. მაგრამ ახლა რა ვქნა? თავი მოვიკლა? მოდი ამ საკითხს მოვეშვათ და სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მითხარი, როგორ არის სოფლის საქმე და რა წარმატებებს მიაღწიე კოლმეურნეობაში?

— თუ ძალიან გაინტერესებს, მოხვი-

დოდი სოფელში და შენი დეალოთ წახავდი. ჩვენ ორი წელია არ შევხვედრით ერთ და არავითარი ჳედმატერ არ ოქნება ერთმანეთს პირში ვუთხრათ სათქმელი.

— რა თქმა უნდა, ჳედმეტია, — არ დაიხია ვახტანგმა, — მე ახლა ცოლშეილი მყავს და მაქვს საკუთარი ოჯახი. რაც მოხდა, იმას ნუღარ გავიხსენებთ. უმჯობესია წამოხვიდე ჩემთან და გაიცნო ჩემი ცოლშეილი. აღვადგინოთ ჩვენი დაკარგული მეგობრობა.

— მე არასოდეს შემოქცევია შენთვის ჳურგი და არც არასოდეს ჩამოთვლია ჩვენი მეგობრობა დაკარგულად. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე ხარ. შენ ალბათ ასე თვლიდი, არა?

— არა ღირს-მეთქი წარსულზე ლაპარაკი, — ვახტანგმა მკლავი დაუჭირა გივის, — წამოდი ჩემთან. სახლში. ოქ ვილაპარაკოთ, თუ როგორ დავცილდი ჩემს მიზანს, ჩემს გზას.

გივი მიუხვედა რის თქმაც უნდოდა ამით.

— ვიცი, რომ შეძლებულად ცხოვრობ და ოჯახი კომფორტულად გაქვს მოწყობილი. მაგრამ ახლა ამის დრო არა მაქვს და ძალიან გთხოვ მაპატიო...

— არც მე მაქვს დრო, მაგრამ შენი გულისათვის მოვიცილი!

— მე კი, ვერ მოვიცილი. რა ვქნა, ვერ მოვიცილი, — უკან დაიხია გივიმ. — კოლმეურნეობაში იმდენი საქმეა მოძალებული. დღეს რომ არ წავიდე სოფელში, არ შემოძლიან.

— ესე იგი, კოლმეურნეობის საქმეს ვერ უღალატებ, არა? — თვალეებში ჩააცქერდა ვახტანგი.

— რა თქმა უნდა, ვერ უღალატებ! ვახტანგს ირონიით გაეცინა.

— კარგი, თუ ძმა ხარ, — უთხრა თავშეკავებული ღიმილით, — შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს იქაური არ ვიყო და არ ვიცოდე, თქვენი ქეციანი კოლმეურნეობა რას წარმოადგენს.

ეწყინა გივის მისი სიტყვები.

— დაიცინვას კაცი არ მოუკლავს, ჳე-

მო ვახტანგ. მიტუმეტეს, რომ შენც ჩვენი სოფლის შეილი ხარ!

— წამოდი, წამოდი! — ძალაუნებურად დაუტყბა ვახტანგი.

— ხომ ვითხარი, არ შემოძლია, — ხელი გააშვებინა გივიმ, — მასწავლებლები იქით მელოდებთან. ეთერის სანახავად ვიყავით. ახლა პირდაპირ სადგურში მივდივართ.

— წამოიყვანე ისინიც. დღეს ჩემი სტუმრები იყავით, არ შეიძლება?

— ო, არა!

— რატომ, არ წამოვლენ?

— როგორც გინდა, ისე მიიღე!

— პირი შეკართ ჩემს წინააღმდეგ, არა?

— რა თქმა უნდა! ისინი ეთერის ახლო მეგობრებიც რომ არ იყვნენ, მაინც არ უნდა გაგიკვირდეს. რაც შემეხება მე, არასოდეს იფიქრო, რომ გულიდან ამოვიღო. ახლაც ისეთივე მეგობარი ვარ შენი, როგორიც წინათ ვიყავი და ყოველთვის მზად ვიქნები ძმურად ხელი გამოგიწოდო, თუ კი საჭიროება მოითხოვს.

— ღმერთმა ნუ ქნას, სხვისი ხელის გამოწოდება დამკვირდეს! — სიტყვის დამთავრება არ აცალა, ისე უპასუხა ვახტანგმა.

— ღმერთმა ნუ ქნას! — გაიმეორა გივიმ და ხელი გაუწოდა, — კარგად იყავი, მეგობარო. მპატიე, რომ შენ სურვილს ვერ ვაკმაყოფილებ. დრო ამის საშუალებას არ მაძლევს. ისე კი, კარგს იზამდი, ხანდახან სოფელში ჩამოგველო და შენი თვალთ გენახა, რა გაკეთდა ახალი ამ ორი წლის განმავლობაში.

გივი წავიდა. ვახტანგი ადგილზე დარჩა. თვალი გააყოლა უბრალოდ გამოწყობილ, კოჭლობით მიმავალ ამხანაგს და ცოტა არ იყოს კიდევაც შეებრალა.

— საცოდავი... ვანა ღირს წვალუბად ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობა? რა უნდა აიღოს იქ თავისი შრომის საფასური? მეცოდება, ნამდვილად მეცოდება... როდის უნდა მოეწიოს ცხოვრე-

ბას... — გუნებაში წარმოსთქვა მან და თვითონაც უკან შეტრიალდა.

XXII

ანტონს უკვე მოეტანა ფული, ვარაზანაშვილისთვის მიეცა და კანტორის წინ ბიჭებს ელოდებოდა. ის იყო, ვახტანგიც მიუახლოვდა. ყაფაზების მხრიდან ჭელიძეც გამოჩნდა.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხეს მას მისეკლისთანავე.

— კარგად. ვარაზანაშვილს ფული უკვე მივეცი. ახლა შეგიძლიათ მუშაობას შეუდგეთ! — უთხრა ანტონმა.

— მერე და, აიღო? — ირონიულად იკითხა ჭელიძემ.

— რას არ აიღებდა! — ცინიკურად გადაიხარხარა ანტონმა. ამ სიტყვებს საერთო სიცილი მოჰყვა.

— ბიჭებო, ახლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, — წამოიწყო ჭელიძემ, — ჩემს ოჯახში ჯერ ხომ არ ყოფილხართ?

— მერე?

— მერე და, დღევანდელი დღე მაინც დაკარგულია, ვერაფერს გავაკეთებთ. მოდი, ჩვენსა წავიდეთ და ერთი კარგი პური ვჭამოთ. არ მოგწონთ ეს წინადადება?

— ახლა? — გაიკვირვა ანტონმა, — რომელი საათია?

ვახტანგმა საათზე დაიხედა.

— პირველი დაიწყო.

— ისევ დილა ხომ არ გგონიათ?! — გაეხარა ჭელიძეს, — ჭკითარს მაინც ვერ გავყიდით, თანახმა ხართ?

ანტონმა ვახტანგს შეხედა.

— წავიდეთ?

— წავიდეთ. მაგის დედაც ვატირე, ეს მეორე დღეა და დევის ხასიათზე ვარ და ვერა და ვერ მოვახერხებ!

— ბიჭებო, — მიმართა ჭელიძემ, — მე ახლა ერთ აჭარელ ცოლ-ქმარს გავაცნობთ. თქვენთან ერთად, ისინიც ჩემი სტუმრები იქნებიან. ბათუმში, ჯარში რომ ვმსახურობდი, იმათ სახლში ვცხოვრობდი. იმდენი სიკეთე აქვთ დათესილი ჩემზე. ვერ წარმოიდგენთ. სიმართ-

ლე გითხრათ, ძლიერ გამეხარდა მათი ნახვა. ამ დილას ჩამოსულან თბილისში, სავაჭროდ. ახლა ყაფაზებთან მელოდებიან. წავიდეთ, ნულარ დავაგვიანებთ!

— წავიდეთ! — გაიმეორა ანტონმა.

ყაფაზებისაკენ გაემართნენ.

ყაფაზების გადასწვრივ, ლუდხანის წინ, ჩოლახ აბასა მწვადებს აშიშხინებდა. შემწვარი მწვადის სუნი მთელ ბაზარში ტრიალებდა და მოშივნული ხალხი მყაჟს ბუზივით მისეოდა. ლუდხანა სავსე იყო მსხვილფეხა სპეკულიანტებით. ლუდის კასრზე „თათარიახნი“ პურმარბილი გაეშალათ ჩახტიას ბიჭებს და გემრიელად ილუკებოდნენ.

ჩახტიამ შორიდანვე დაუქნია ხელი თავის ერთგულ ფინამკრეფებს: აქეთ მოდიეთ, ლუდზე და მწვადზე დაგვეწვიეთო, მაგრამ ფინამკრეფებმა უარი უთხრეს, არა გვეალიანო და მარჯვნივ გაუხვიეს.

აქარელი ცოლ-ქმარი ისევ იქ იდგა, სადაც წელან ჭელიძემ დატოვა.

— დურსუნ, ნაილე! — შესძახა შალვამ მიახლოებისთანავე, — მოდიეთ, ჩემი ამხანაგები გაიცანით!

დურსუნი და ნაილე შორიდებით წამოვიდნენ მათკენ. ქალი მორცხვად ჩანდა. ეტყობა, პირველად იყო თბილისში. თავზე აბრეშუმის თეთრი ფოჩებიანი შალი მოეხვია და სახე ნახევრად დაემალა.

ვახტანგმა და ანტონმა ცოლ-ქმარს მოკრძალებით ჩამოართვეს ხელი.

„ტალუჩკას“ მალა აჰყვნენ. ნაპირ-ნაპირ, ერთმანეთზე მიწყობილი სავაჭროების გვერდით. მთავარ შემოსასვლელთან ხაჩიკას შეეყარნენ.

— ვახ, საით გაგიწევიათ, გვრიტებო?! — სახე გაებაღრა ხაჩიკას, მათ დანახვაზე.

— საქვიფოთ, ძია ხაჩიკ, არ წამოხვალ? — უთხრა ჭელიძემ.

— ამ გახურებულ მუშაობის დროს, ქეიფი? — არ დაიჭერა ხაჩიკამ.

— შენ ეგა თქვი! — დაუდასტურა ანტონმა. მაგრამ ხაჩიკამ ყურადღება არ მიჰქცია ანტონს. სწორედ ამ დროს, უქ-

ვითრო გამყიდველი გამოიჭირა და ქვეთარი მოუხია.

— ძია ხაჩიკ, — შესძახა ვახტანგმა, — მოხედე აქეთ!

ხაჩიკა უკან შემობრუნდა ლიმილით.

— ანიკას მოკითხვა გადაეცი, ანტონის მაგივრად დამიკონე!

ბიჭებმა ხმამაღლა გადაიხარხარეს. ხაჩიკასაც გაეცინა.

— ვახ, მწყევლი შე დალოცვილო? ანიკას რომ არ ეაკოცო, დუნიაზე ქალები გაწყვეტილან?

— მაშინ ვართანა, ფაშისტი ვაგნიძე და გრძელი დათიკო მომიკითხე, კარგი?

— კარგი. ეგრე იყოს!

— უთხარი დღეს ვაიხარეთ-თქო, ხვალიდან კი ანგელოსებს დავეუფრთხო!

ხაჩიკამ ფული გამოართვა გამყიდველს და ახლა კი მთელი ტანით შემობრუნდა ბიჭებისაკენ.

— მართლა საქვიფოთ მიდიხართ? — პირზე ნერწყვი მოადგა ხაჩიკას.

— მაშ, სატირლად ხომ არ წავალთ?

— აფსუს!... რატომ თავისუფალი არა ვარ!

— აფსუს!... — გამოაჯავრა ანტონმა და თან ხმამაღლა გადიხარხარა.

გზაზე გავიდნენ. ჭელიძემ მანქანა გააჩერებინა.

— მეგობრებო, — მიმართა მხიარულად ამხანაგებს, — ამიერიდან შე ვარ თქვენი მასპინძელი, ჩაბრძანდით მანქანაში!

ნაილე შოფრის გვერდით დასვეს. თვითონ უკან გამოიჭიმნენ.

— წავგიყვანე ხეთაგუროვის ქუჩით. მუხრანის ხილისაკენ! — უბრძანა შალვამ შოფერს და დიდაცურად საზურგეზე გადაწვა.

მანქანა სწრაფად მოსწყდა ადგილს და გეზი გმირთა მოედნისაკენ აიღო.

ჭელიძე ენაწყლიანობდა, მასხრობდა, მხიარულ გუნებაზე იყო. თვითონაც იცინოდა და სტუმრებსაც აციუნებდა. ანტონს და ვახტანგს არც ვაჰკვირვებიათ მისი ასეთი ვანწყობილება. თუმცა დიდი ხანი არ იყო, რაც იგი მათთან მუშაობდა, მაგრამ იცოდნენ, რომ იგი მე-

ტად გულდია, მხიარული და ამხანაგების მოყვარული ბიჭი იყო.

მანქანამ სწრაფად გაიჭროლა გმირთა მოედანი. ჩელუსკინელების ქუჩის გავლით პლუხანოვის პროსპექტზე შეუხვია, ვახტანგის სახლს გვერდით ჩაუქროლა, მარჯვნივ მოედნიდან ხეთაგუროვის ქუჩაზე გავიდა და ყოფილი ჩულურეთის უბნისაკენ დაეშვა.

ჯერ ბარათაშვილის ზიდს არ მიახლოვებოდნენ, რომ ქელიძემ მანქანა გააჩერებინა შოფერს.

— უკვე მოვედით, ბიჭებო! — შესძახა მხიარულად და მანქანიდან პირველი გადმოხტა, — გადმობრძანდით!

სტუმრები გადმოვიდნენ. შალვამ ხეთათუმნიანი გაუწოდა შოფერს. მერე გვერდით შეტრიალდა, ძველებური ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, რომელსაც ქუჩის მხრიდან რკინის დიდი აივანი ჰქონდა დატანებული, თითო მიაშვირა და ამყაღდ უთხრა:

— ჩემი ბინაა. ეგ კი ჩემი საკუთარი აივანია!

— მშვენიერი აივანი გქონია! — უპასუხა ანტონმა. — ეტყობა, ბინაც კარგი უნდა იყოს.

— ჯერ სახლში მობრძანდით და ბინაზე მერე ვილაპარაკოთ! — თავგამოდებით წარმოთქვა ქელიძემ.

შენობის პირველ სართულზე სამწვადე იყო მოთავსებული. შიგნიდან მწვადის სასიამოვნო სუნი გამოდიოდა. მის დანახვაზე ანტონს თვალეები გაუბრწყინდა.

— საქმე კარგად გქონია, შალვა! — მოსწრებულად მიამხა მან.

— მაშ როგორ გგონიათ, — თავი გამოიღო მასპინძელმა, — ყველაფრით მოწყობილი ვარ. ეგ ჩემი საკუთარი სამწვადეა.

ეზოში შევიდნენ ეზო საკმაოდ დიდი იყო, ორსართულიანი შენობებით გარშემორტყმული. შენობებს. როგორც დამლა, ისე მალდა, მთელ სივრცეზე, ხის ერთიანი აივნები ჰქონდა გაკეთებული, რომლებსაც ხისავე კიბეები ასდევდა.

ქელიძე წინ გაუძღვა სტუმრებს, მეორე სართულზე აიყვანა. მერე სახლის კარი თამამად გააღო და მასტუმრებს ოთახში შეიპატრია.

ოთახი დიდი იყო, მაღალჭერიანი. ქუჩის მხრივ ორი ფანჯარა და აივანზე გასასვლელი კარი ჰქონდა დატანებული. საიდანაც უხვად იღვრებოდა დღის სინათლე და დასავლეთით გადახრილი მზის სიკაშკაშე.

გარდა შესასვლელი კარისა, სასტუმრო დარბაზს ორი კარი კიდევ სხვა მხარეს ჰქონდა დაყოლებული. ეტყობა, ორი ოთახი კიდევ სხვა ჰქონდათ.

დარბაზი აზიურად იყო მოწყობილი. ერთ კუთხეში დიდი რიოილი იდგა, მეორე კუთხეში ძველებური ჭურჭლის მოჩუქურთმებული კარადა, რომელსაც სხვადასხვანაირი ზომისა და ფორმის ძვირფასი სარკეები ამშვენებდა. კედლები თითქმის დაფარული იყო აღმოსავლური ხალიჩებითა და ხალებით.

— ყოჩაღ, კარგი მოწყობილი ბინა გქონია! — გაკვირვებით უთხრა ანტონმა შესვლისთანავე და დარბაზს თვალი მოატარა.

— თქვენები არ არიან სახლში? — იკითხა ვახტანგმა.

— როგორ არა, დაბრძანდით. მალე ყველას გაგაცნობთ, ყველაფერი რიგზე იქნება! — შალვამ სტუმრებს სკამები შესთავაზა და თვითონ მეორე ოთახში გავიდა.

სტუმრები სკამებზე ჩამოსხდნენ. ნაილუე მორცხვობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ისინი ერთად იყვნენ, ხმა არ ამოუღია. მხოლოდ მაშინ გახსნიდა ბაგეს, როცა რაიმეს ჰკითხავდნენ. დურსუნე შედარებით უფრო თამამად იქცეოდა. თავისუფლად ლაპარაკობდა და ზოგჯერ კიდევაც მასხრობდა. ასეთი მოქმედებით მან მაშინვე მოიგო ვახტანგისა და ანტონის გული.

უცბად კარი გაიღო და დარბაზში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, რომელსაც ღიმილით შემოჰყვა უკან შალვა.

ქალი შავგვრემანი იყო, შავთვალწარ-

ბა, სიშვეთიური სახისა. სიარულზე ეტყობოდა, თეძოებიდან კოჭლი უნდა ყოფილიყო. ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს. ცდილობდა თავისი ნაკლი დაეფარა.

შალვამ ქალი წარუდგინა ამხანაგებს და მხიარულად მიმართა:

— იცნობდეთ, ჩემი ოჯახობაა!

როზამ მოკრძალებით ჩამოართვა ხელი ქმრის ამხანაგებს, მერე ნაილეს შეაფრქვია მზერა. მას ჯერ კიდევ ბათუმიდან იცნობდა, როცა ახალი დანიშნული იყო და შალვას სანახავად აღიოდა ხოლმე. მაშინ ნაილეს ოჯახში რჩებოდა როზა.

როზა მხიარულად შეხედა ნაილეს, მოიკითხა. ბოლოს სტუმრებთან ბოდიში მოიხადა და სუფრის გაწყობას შეუდგა.

ვახტანგი გაოცებული დარჩა ქელიძის მეუღლის გაცნობით. მას რატომღაც ეგონა, რომ შალვას თავისავით მოხდენილი, ლამაზი და წარმოსადეგი ცოლი ეყოლებოდა. იმ ამბავმა უფრო გააკვირვა, როცა შენიშნა, რომ როზა თეძოებიდან კოჭლობდა.

— ასეთ კოხტა ვაეყავს. ასეთი კარგი ოჯახის პატრონს, რა ძალა ადგა, რომ ეს კოჭლი ქალი შეურთავს ცოლად, თვალები სად ჰქონდა? — ფიქრობდა და ქურდულად გაპყურებდა მაგიდის ირგვლივ მოფუსფუსე დიასახლისს.

საუბარს შეჰყენენ. საუბარში დრომ სწრაფად გაიბრინა. როზამ სახელდახელოდ სუფრა გააწყო. შალვა უცბად სადღაც გაქრა და ორიოდე წუთის შემდეგ შამფურებზე ასხმული ცხელ-ცხელი მწვადი შემოიტანა. ოთახში შადის-აღმძვრელი სურნელება დადგა.

— ასე უცბათ სად შეწვი მწვადი! — თვალეზი დააქყიტა ანტონმა.

— ჩოლახ აბასას სამწვადეში, — მოკლედ მოუჭრა შალვამ და თან ხმაბალა ვადაიხარხარა, — ხომ ვითხარი, საკუთარი სამწვადე მაქვს-მეთქი. მწვადის მეტი რა არის იქ!

— შენ მართლაც კარგად გქონია მოწყობილი საქმე! — სიცილით სთქვა ვახტანგმა.

შალვამ საინზე მწვადი დასჭრა. ზემოდან თხლად დათლილი ხახვი მოეყარა და შუა სუფრაზე დადგა. საინს ტყეშალი მოუდგა გვერდით.

— აბა, მობრძანდით სუფრასთან! — განკარგულეზა გასცა მასპინძელმა.

სტუმრები სუფრას შემოუხსდნენ.

— ბიჭებო, მეგობრებო, ქალბატონო ნაილე, — დაიწყო მან რიხიანად და ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიტაცა, — ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, დღევანდელ ჩვენს პატარა პურის ჭამას გაუმარჯოს. მე ძლიერ მიხარია, რომ ჩემს საკუთარ ოჯახში ხართ, ჩემს ჭერქვეშ ხართ და პურს ერთად ვჭამთ. არასოდეს დამავიწყდება, ძვირფასო ვახტანგ და ძვირფასო ანტონ, ის ძმური დახმარება, რომელიც გამიწიეთ, როცა თქვენთან, ბაზარში დავიწყე მუშაობა. არასოდეს დამავიწყდება, ძმარ-სუნ და საყვარელო დეო ნაილე, ის სიბოზო, ის ძმური აღურსი. რომელსაც იჩენდით ჩემდამი, როცა თქვენს ოჯახში ეცხოვრობდი, ბათუმში. მახსოვს, კარგად მახსოვს ის ამბავი, ცხენით რომ მოგადგებოდით ხოლმე სახლში და თქვენ კი, ღვინით სავსე ყანწსა და შამფურზე ასხმულ მწვადს შემომამგებდით. მე არასოდეს დამავიწყდება ის სიკეთე, ძვირფასო მეგობრებო, რომელიც გამიწიეთ. და მე მიხარია, რომ თქვენ დღეს ჩემს ოჯახში ხართ, ჩემს ჭერ ქვეშ ხართ და პურს ერთად ვჭამთ. გაუმარჯოს დღევანდელ ჩვენს შეხვედრას და ჩვენს პურის ჭამას. ეს შეხვედრა ყოფილიყოს საწინდარი იმისა, რომ უფრო ახლოს მივსულიყოთ ერთმანეთთან და არასოდეს ერთმანეთი არ დაგვეკარგოს. აბა, ასწით ჭიქები შალვა. ისე უნდა ვიჭეიფოთ, დღევანდელი დღე არასოდეს დაგვევიწყდეს.

შალვამ ღვინო გამოცალა, ცარიელი ჭიქა ჰაერში შეათამაშა და მეგობრებს მხიარულად მიმართა:

— ყველამ უნდა დაცალოს!

ჭიქები მართლაც ყველამ დაცალა.

ქეიფი დაიწყო.

ბიჭები შალე ხასიათზე მოვიდნენ.

მასპინძელი ენად გაიკრიფა. ანტონმა მარტყოფელი სიმღერა წამოიწყო და მთელი დარბაზი აახმაურა. მას არც ღურსენი ჩამორჩა. ანტონმა რომ სიმღერა დაამთავრა, აქარელმა აქარული შემოსძახა, თან ხელები აატყაბუნა მაგიდაზე და სუფრას უფრო მეტი ეშხი მისცა.

ბლოს აქარელმაც დაამთავრა სიმღერა. სუფრაზე ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— შალვა, — მიმართა ვახტანგმა მასპინძელს, — რატომ მშობლებს არ გაგვაცნობ. სახლში არ არიან?

— ამ წუთში, — ზეზე წამოვარდა ქელიძე. მეორე ოთახში გავიდა და მცირე ხნის შემდეგ შუახანს გადაცილებული, დაბალ-დაბალი, შავგვრემანი, შავტუხა ქალი თითქმის ძალის-ძალით შემოიყვანა დარბაზში. იგი ორივე თემოებიდან კოჭლობდა და მორღვეულ ურემივით ხან ერთ მხარეს გადაიზნექებოდა, ხან მეორე მხარეს.

— მეგობრებო, — მიმართა შალვამ ამხანაგებს და ქალი წარუდგინა, — გაიცანით, დედაჩემია!

ქალმა სათითაოდ ჩამოართვა ხელი სტუმრებს და შალვას გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

— მამა სადღა არის? — იკითხა ანტონმა.

— მამა კახეთშია, იქ მუშაობს!

— იქ რაზედ მუშაობს, ბიჭო! — ვერ მოითმინა ანტონმა.

— გურჯაანში საათების შემკეთებელი სახელოსნო აქვს გახსნილი!

— შესაათვა?

— გახლავთ! — უპასუხა შალვამ, ზეზე წამოდგა და კიჭა ხელახლა ასწია, — მეგობრებო, მე რა თქმა უნდა, შეცდომა დავუშვი, რომ ეს სადღეგრძელო პირველად არ დავლიე. თქვენმა სიყვარულმა და ჩემს ოჯახში თქვენმა მოსვლამ ისე დამაბნია, რომ გამომრჩა. მაგრამ არაფერია. გამოვასწორებ!

შალვამ მშობლების სადღეგრძელო წამოიწყო. მისი სიტყვები ვახტანგს არც ესმოდა. იგი გაოცებული მისჩერებოდა

ქელიძის დედას და გუნებაში ფიქრობდა: ეს როგორი შალვას დედაა, არაფერი არა ჰგავსო.

ქალი წარბშეკრული იჯდა მაგიდასთან, მოყამული სახე წვიმის ღრუბელივით მოქუშოდა, შუბლზე კოპები დასხდომოდა და ხმას არ იღებდა. თითქოს შვილის მოყვანილი სტუმრები არაფრად ეპიტნავებო.

შალვამ დაამთავრა სადღეგრძელოს თქმა, კიჭა გამოცალა და სკამზე დაეშვა. მერე დედას ხელი გადახვია და ალერსიანად მიმართა:

— შენი შვილი ხომ ვარ, ხომ გიყვარვარ? მითხარი, ხომ გიყვარვარ?

ქალი წარბშეკრული იჯდა და ხმას არ იღებდა. მისი ლაპარაკი რატომღაც არ სიაშოვნებდა.

— არა, მითხარი, ხომ გიყვარვარ?! — არ ეშვებოდა შალვა.

დედამ ამჯერადაც უურადღება არ მიაქცია.

სტუმრებმა შალვას მშობლები აღდღეგრძელეს და ღვინო დალიეს. ქალმა ორი სიტყვით სამადლობელო თქვა, ზრდილობისათვის მცირე ხანს კიდევ დარჩა სუფრაზე. მერე ცივად ადგა და ისევ მეორე ოთახში გავიდა.

მასპინძელმა ახალი სადღეგრძელო წამოიწყო. სადღეგრძელოს კიდევ სხვა სადღეგრძელო მიყუა და ბიჭები ლაზთიანად შეზარხოშდნენ.

მაგიდაზე ღვინო შემოაკლდათ.

— როზა, — გასძახა შალვამ მეუღლეს, — ღვინო გამოიტანე!

მაგრამ როზა არა ჩანდა. შალვა ზეზე წამოდგა და ისიც მეორე ოთახში გავიდა.

ანტონმა ვახტანგს შეხედა.

— რა ოჯახი ჰქონია ქელიძეს, უყურებ?

— დიდებული! — დაუდასტურა ვახტანგმა.

— ამის მეტად თუ ყოფილხართ, აქ?

— მიუბრუნდა ანტონი ღურსენს.

— არა ბატონო, პირველად ვართ! — უპასუხა ღურსენმა.

ანტონს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა.

მაგრამ სწორედ ამ დროს, მეორე ოთახიდან, მოულოდნელად ქალის წივილ-კივილი გაისმა.

სტუმრებმა თვალები აჭყიტეს.

— ეს რა ამბავია?! — ვახტანგმა ანტონს შეხედა.

ანტონმა ტუჩები აბრია. აქარლებს სახეზე გაკვირება შეეტყო.

მცირე ხნის შემდეგ ხელახლა გაისმა კივილი. მას მოყვა მამაკაცის უშვერი გინება და დარტყმის ხმაური.

ვახტანგი ზეზე წამოვარდა. მას ანტონმაც მიბაძა. აქარლებიც აიშალნენ სუფრიდან.

— მგონი ჩხუბობენ! — წამოიძახა ვახტანგმა, კარებს ეცა და ოთახში შევიარდა. მას ანტონი და ღურსუნი მიჰყვნენ უკან.

ქელიძეს დედამისი აყუდებინა კედელზე, მთელი ძალით ურტყამდა მუშტებს და თან ხმამაღლა აგინებდა. როზაკი შუაში ჩაეარდნოდა მოჩხუბრებს, კიოდა, წიოდა და ქმარს მაინც ვერ აჩერებდა.

— ეს რა ამბავია, ბიჭო. დედას ურტყამ მუშტებს?! თფუ, შეგირცხვა ადამიანობა! — შესძახა ვახტანგმა და შალვას ზურგიდან ეცა. მას ანტონი და ღურსუნიც მიეშველენ.

შალვა მაინც არ ცხრებოდა. ხმამაღლა იგინებოდა და მუშტებს მუშტებზე სთავაზობდა დედას.

ვახტანგმა და ანტონმა, როგორც იყო, გააკავეს მასპინძელი. თითქმის ძალის-ძალით გამოათრიეს სასტუმრო ოთახში. გაავებული ქალი ლანძღვა-გინებით შემოჰყვა უკან.

— გამიშვით, მაგის დედა! — არ ცხრებოდა მასპინძელი. კვლავ საცემად მიიწევდა, მაგრამ ვახტანგი არ უშვებდა.

— გრცხვენოდეს, შალვა! გრცხვენოდეს, ბიჭო? დედას სცემ? ეგ რა ვაჟაკობაა, ეგ რა ადამიანობაა!...

— ბიჭო, ერთი ლუკმა პურის საქმელად მოგვიყვანე და ცხვირში ამოგვადინე? — საყუდურს ეუბნებოდა ანტონი, მაგრამ შალვა ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგებს.

ხეწნით რომ ველარაფერს განდნენ. ვახტანგმა ცალი ხელი საყუდურში მოჰკიდა, მეორე წელზე შემოხვდა, მოგვერდი მოუგდო და ტანტზე გულაღმა დასცა.

— არც ახლა გაჩერდები? მითხარი, არც ახლა დაწყნარდები? — გულზე ხელები დააბჯინა ღონივრად.

ქელიძემ კბილები გააკრაქუნა და ბოლოს მოტყდა.

— კარგი, გაეჩერდები, გამიშვი! — უთხრა ზენუთ. ძლივს სუნთქავდა, მუშტზე ოფლი გადასდიოდა.

ვახტანგმა ხელები აუშვა. ქელიძე ტახტზე წამოჯდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი მოიწმინდა, სული მოითქვა. მერე ზეზე წამოდგა და ამხანაგებს ბოდიშის მოხდით მიმართა:

— ბიჭებო, მეგობრებო... მამაკით, თქვენი ჭირიმი... ჩემი ბრალი არ არის, ქეიფი რომ ჩავაშხამეთ... თქვენ მართლა ხომ არ გგონიათ, ეს ჩემი საკუთარი ოჯახი იყოს, ეს დაფავული ქალი კი დედაჩემი! არა! მე ზედსიძე ვარ ან ოჯახში. ნეტავ რატომ ფეხი არ მომტყდა, როცა პირველად აქ მოკედი. ამათ შიშით, ვერც ამხანაგი მომიყვანია სახლში, ვერც მახლობელი. ყველაზე ცხვირს სწევენ, თითქოს არაფერი შემოქონდეს ოჯახში. მე უკვე აღარ შემიძლია მეტის ატანა. ჩემი გაჩერება აქ აღარ შეიძლება. მეც ხომ ადამიანი ვარ, კაცი მქვია. ვაჟაკად მომაქვს თავი.

შალვა გაჩუმდა. სული მოითქვა. ისევ განაგრძო.

— თფუ იმისთანა ვაჟაკს, ამხანაგი ვერ მიიყვანოს სახლში, ეშინოდეს... სიდედრის ეშინოდეს... თქვენ რამდენი სიკეთე გაგიწევიათ ჩემთვის, მეც მიწოდოდა სამაგიერო გადამხებადა, პატივი მეცა. ამათ კი, ცხვირი ამიბუფეს: ეს ვინ ოხრები მოგიყვანიაო. ხომ ჩაცეცხლეს, ადგნენ ახლა და წავიდნენო. ჩხუბი დამიწყეს. ღვინო ვერ მოვატანინე სუფრაზე...

ვახტანგი და ანტონი სახტად დარჩნენ. ღურსუნს გაკვირვებისაგან თვალები გადმოსაცეენი გაუხდა. შეშინებული

ნაილე კი აქეთ-იქით იხედებოდა და ქმარს კალთით ეწეოდა: ჩქარა წავიდეთ აქედანო, მაგრამ ღურსუნი ყურადღებას არ აქცევდა. დაქვეტილი თვალებით შალვას მისჩერებოდა.

— ბიჭებო, დაო ნაილე, თქვენ გენაცვალეთ, — ისევე განაგრძო შალვამ, — ნურაფერი გეწყინებათ ჩემგან. მე მყავს დედა, საკუთარი მშობელი, რომელმაც გამზარდა, ძუძუ მაწოვა, ავიკრავ ახლა ჩემს გულანაბადს და წავიდეთ დედაჩემთან, ნამდვილ დედასთან. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ იქ ტკბილ პურს გაქმევთ, ქვიფს არ ჩაგაშხამებთ. როზა, — მიუბრუნდა თავის მეუღლეს, რომელიც იქვე იდგა და გულამოსკენილი ქვიფინებდა, — ღმერთმა ხომ იცის, რომ მე დამნაშავე არა ვარ. ჩვენი დაცობება დედაშენს დააბრალე, თქვენს თავს დააბრალე, თქვენს ოჯახს დააბრალე.

შალვა სიდედრისაკენ შებრუნდა.

— არაფერი არ მინდა თქვენგან, ალალი იყოს, თუ რაიმე შემომიტანია ოჯახში, — სიტყვები უწყდებოდა პელიძეს. — ოღონდ დედაჩემის ნაქონი ოქროს საათი, რომელიც როზას მივართვი ნიშნობის დროს, მომეციოთ და, მე ჩემთვის, თქვენ თქვენთვის.

— არაფერსაც არ მოგცემ, — ხელები გაატატანა ქალმა, — ისიც მეტია შენზე, რომ ცარიელ-ტარიელი ოჯახში შემოვიყვანეთ და ნახევრად ჩვენს რჩენაზე იყავი.

— ძალიან გთხოვთ მომცეთ დედაჩემის ნაქონი საათი, — ხმას აუწია შალვამ, — ის მამაჩემის სახსოვარია და ევრ დავთმობ.

— ძალმა შენს მამასაც და შენს დედასაც, შენი გაზრდისათვის! — უხეშად შეუკურთხა ქალმა, ისე რომ სტუმრებისაც არ მოერიდა.

შალვამ კბილები გააკრაქუნა.

— ოხ, შენი დედა! — წამოიძახა და გასარტყმელად გაიწია, მაგრამ ვახტანგი გადაეღობა და შეაჩერა.

— რახან წასვლა გადაგიწყვეტია, მიაფურთხე ოქროს საათსაც და წამოდი! — უთხრა ვახტანგმა. მეგობრის მწარე ბე-

დმა სადღაც თავის წარსული გაახსენა და გული ეტყინა.

მარტინეშვილი

— მართალს გეუბნებ, მაგრამ ამდენი ღო აქამდე დადუმებულმა ანტონმა, რომელზედაც არანაკლებ ემოქმედა მეგობრის მწარე ბედს.

— ოჯახი დაინგრა და საათს მისტირი? — იყვირა აქარელმაც. — თავში უხლიათ ეგ საათი, შენისთანა ბიჭს რომ ვერ შეიფერებენ, ეს ხალხია?

— კარგით, მოვდივარ, ბიჭებო!.. — დაეთანხმა შალვა, — წიგნებს წამოვიღებ და წამოვალ.

პელიძე კარდასთან მივიდა, გააღო, მრავალი წიგნიდან ხუთიოდე ამოარჩია და ადგილზე აწრიალდა.

— წავიდეთ, ნულარ ვაყოვნებთ! — თითქმის ბრძანებით წარმოთქვა ვახტანგმა. შალვას აქეთ-იქიდან ხელი მოკიდეს და ძალის-ძალით წინ გაიგდეს.

კარში გავიდნენ.

მეზობლები ღია აივნებზე გამოშლილიყვნენ სეირის საყურებლად. ყველა მათ მიჩერებოდა.

ხმაურით ჩაიარეს კიბე და ეზოდან ქუჩაში გავიდნენ. ბინდებოდა. ამ საღამოს მოსულ წვიმას ქვაფენილი დაესველებინა და უსწორმასწორო ტროტუარზე წყალი გუბებდად დამდგარიყო.

შალვა შეჩერდა.

— ბიჭებო, — ყელი გაუწია ამხანაგებს, — ერთი წუთით ავალ მალა, ჩექმები დამრჩა და იმას წამოვიღებ. იმაზედაც ხომ უარს არ მეტყვიან.

— ოქროს საათი დასთმე და ჩექმებს მისტირი? არავითარ შემთხვევაში! — ხმამალა იყვირა ვახტანგმა.

— აბა შეხედე, როგორი ტალახია, დილაზე სამუშაოდ არ წამოვიდე? ტბა იქნება დამდგარი ტალუჩჩაზე! — გაჭიუტდა შალვა.

— კიდევ გინდა ალიაქოთი ატეხო? — შეუტია ანტონმა.

— გეფიცები ადამიანობას, რომ მხოლოდ ჩექმებს ჩამოვიტან!

— ნამდვილად? — თვალბეში ჩახედა ვახტანგმა.

— ნამდვილად!

— მაშ წადი, ანტონ, შენც აპყე! — მიუბრუნდა ვახტანგი ანტონს.

ანტონი უხმოდ დაემორჩილა. ეზოში გაუჩინარდნენ.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ხათაბალას არ გადაეეკიდეთ? — აჰარლებისკენ შებრუნდა ვახტანგი, — დღეს ფილარმონიაში უნდა წავესულიყავით, ვინ იცის, როგორ შელოდებინან სახლში. ახლა ეს მითხარი, ღურსუნ, შალვა სტყუის?

— როგორ გეკადრებათ, — თავი გააქნია აჰარელმა, — შე მავას კარგად ვიცნობ, შესანიშნავი ბიჭია, სულს არ დაგიჭერს. აფსუს, ვის ვადაყრია!

— ნამდვილად! — კვერი დაურტყა ვახტანგმა — მტრის კარს ზედსიძეობა. ეტყობა ღარიბი ოჯახიდან არის შალვა, მის ქონებას დაეხარბა.

— ალბათ, ასე იქნება! — დაეთანხმა ღურსუნი.

უცბად მათი ყურადღება მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა ახალგაზრდა, შავგვრემანმა ქალმა მიიპყრო. იგი კი არ მოლიოდა, თითქმის მორბოდა. სახეზე ალმური გადაყროდა და ჩქარი სიარულის გამო ძლივს სუნთქავდა. მან სირბილით ჩაუარა გვერდით და ქოშინით შევარდა ეზოში.

ვახტანგმა თვალი გააყოლა იმ ქალს. როზას და ზომ არ არისო, გაიფიქრა და აჰარლებისაკენ შემობრუნდა. ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა. რომ ზედა საართულიდან ბუნდოვანი წიოკობა გაისმა.

— კიდევ დაერია! — წამოიძახა ღურსუნმა და ვახტანგს შეხედა. თვალეზით თითქოს უთხრა: წავიდეთ, ჩამოვიყვანოთ თორემ რამეს მოახდენსო.

ეზოში შევიდნენ. ხის საფეხურებს აპყვნენ.

ვერც კი შენიშნეს, როგორ ჩამოუქროლა ზემოდან იმ ახალგაზრდა, შავგვრემანმა ქალმა, წედან ქოშინით რომ შევარდა ეზოში. იგი კარში გაიჭრა და ხეთაგუროვის ქუჩით მუხრანის ხიდისაკენ დაეშვა.

ვახტანგი და ღურსუნი მალე ავიდნენ. სიდედრს ჩექმები არ მიეცა შალვას-

თვის. შალვა გაჰირვეულბულიყო და ხელახლა მიიწედა საცემსად. შალვამ ანტონი წინ გააღლოზებოდა და ძლივს აკავებდა.

ვახტანგს ბრაზი მოუვიდა. რა გათახსირებული ქალი ყოფილაო, გაიფიქრა და ანტონს თვლით ანიშნა: გაუშვი მისცხოს, ახია მავაზეო...

ანტონმა არ დაუჭერა ვახტანგს.

— კარგი ახლა, გეყოფა. ნამუსიცი კარგი საქონელია! — შეუძახა კელიძეს. საყელოში ჩაავლო ხელი და თავისკენ შემოატრიალა, — ხომ არ გინდა გადაგვაყოლო ამ ამბავს, დაწყნარდი, ჭკუაზე მოღო.

შალვა მართლაც დაწყნარდა.

— შენ მამაძაღლო, რა მოგიტანია, რას თხოულობ? — არ ცხრებოდა გაავებული სიდედრი და სიძეს ზედ ვარდებოდა, — კიდევ კარგი, შენი ნაყიდი არაფერი არ არის ამ ოჯახში, თორემ სულს ამოგვართმევდი... შენა გგონია გაპატიებთ ამ ამბავს? არა შექდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი ეს ანდაზა. შენ რა ღირსი ხარ ჩვენი ოჯახისა. ცარიელტარიელი შეგიკედლეთ და შენ კი, ჭკუა ვერ მოიხმარე. გაეთრიე აქედან შენი ამხანაგებიანათ, თორემ აი ამ გრაფინით თავს გაგიხეთქავ, უსინდისო, სოფლელო ხიხო...

ანტონს შეეშინდა, გრაფინი მეც არ მითავაზოსო და შალვას შეუყვირა.

— წავიდეთ! წავიდეთ, ჩქარა, გეყოფათ მაიმუნობა!

— შოიცათ ბიჭებო, ისე როგორ წამოვიდე, ჩემს ბავშვს ერთი არ დავხედო.

— რა ღირსი ხარ, — მესამე ოთახის კარი გადაეცა სიდედრმა, სადაც ბავშვს ეძინა, — გაეთრიე აქედან. შენ რომ ბავშვი გეყვარებოდა, ასე არ მოიქცეოდი. წადი ახლა და შენმა ამხანაგებმა გიშველონ.

როზა ხმას არ იღებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიტყვა არ დაჟღენთა. სახეზე ხელები აეფარებინა და გულამოსკენით ტიროდა. ეტყობა, ვერც

დედისათვის ეწყენინებინა. ვერც ქმრის-თვის.

კიდევ კარგა ხანს იჯანჯლეს. ღვინის-გან ვადარეულ შალვას ბოღმა ერთი-თად უორკეცდებოდა და კვლავ სი-დედრზე მიიწევდა საცემრად.

— სულ შენი ბრაღია, მე და როზას შენ დაგვინგრიე ოჯახი, თორემ ეს ამ-ბავი არ მოხდებოდა! — ყვიროდა ხმა-მალა და კბილებს აკრაქუნებდა.

მასპინძელი ვერ იქნა და ვერ დააწ-ყნარეს ამხანაგებმა. ხვეწნით რომ ვე-რაფერს გახდნენ, ვახტანგმა საყელოში ჩაელო ხელი, მას ანტონი და ღურსუ-ნი მიეშველენ და თითქმის ძალით გაიყ-ვანეს გარეთ.

კბეზე დაეშენენ. ვახტანგი წინ მიუ-ძლოდა ჰელიძეს და საყელოთი მიათ-რევედა. უკან ანტონი და ღურსუნი მის-დედნენ.

ის იყო ჩათავეს საფეხურები, რომ ეზოს სიღრმიდან მოულოდნელი და უეცარი ყვირილი გაისმა:

— ხელები მალა!

მეგობრებმა თვალები აკვიტეს. ეზოს სიღრმეში, ელექტრონის მკრთალ სინათ-ლეზე, გარკვევით დაინახეს თავით-ფე-ხამდე შეიარაღებული მილიციის მუშა-კები, რომლებიც მოხერხებულ ადგი-ლას ჩასაფრებულიყვნენ. პისტოლეტე-ბი და შაუზერები მათთვის მიეშვირათ და ბრძანებას იძლეოდნენ დამორჩილე-ბოდნენ.

მათ დანახვაზე ანტონს ხარხარი აუტ-ყდა.

— უყურეთ ერთი. ბანდიტები ვგონი-ვართ! — წამოიძახა ხმა მალა.

მაგრამ ეს სიტყვები ვახტანგს არც გაუგია. მას უცბად გაახსენდა ამ ერთი კვირის წინ გაზეთში დაბეჭდილი მკაც-რი კანონი, რომლის მიხედვითაც მილი-ციის მუშაებს უფლება ეძლეოდათ ბა-ნდიტი ადგილზევე დაეხვრიტათ, თუ კი არ დაემორჩილებოდა. მან მაშინვე ას-წია ხელები და ამხანაგებს უყვირა, ისი-ნიც ასე მოქცეულიყვნენ.

ხელები ყველამ ასწია გარდა ანტო-ნისა. იარაღმომარჯვებული უშიშროების

მუშაყებუ გარშემო შემოერტყნენ. მი-ლიციის ერთმა ლეიტენანტმა ჩაქრა ანტონს. მას თავი სისხლი თქრიალით მოედო სახეზე.

ანტონმა იკადრა ხელების აწევა.

მილიციის მუშაყები სწრაფად მის-ცვიდნენ ბიჭებს, უბეებზე და ჭიბეებზე ხელები მოუფათურეს. რაკი იარაღი ვერ უპოვნეს, ხელები უკან დააწყობინეს და უბრძანეს, გაყოლოდნენ.

ერთი მილიციელი წინ გაუძღვა მათ, დანარჩენები აქეთ-იქიდან შემოერტყ-ნენ.

— იცოდეთ, — მკაცრად მიმართა მა-ლალ-მალაშმა, ჩასყენილმა მილიციის ლეიტენანტმა, — როგორც კი ხელს გაანძრევთ ან გაქცევას ეცდებით, იმ წუ-თში გესვრით!

— მართლა ბანდიტები ხომ არ გგო-ნივართ, თქვე კარგო ხალხო. — სიმწ-რით ამოიგმინა ანტონმა.

— ხმა ჩაიწყვიტე, თორემ მეორეც წამოვა! — დაუყვირა ლეიტენანტმა, — ვინცა ხართ, ადგილზე გამოვარკვეეთ!

ქუჩაში გავიდნენ. ქუჩა საესე იყო ხალხით. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი იქ შეგროვილიყვნენ. ზი-ზლით მისჩერებოდნენ „ბანდიტებს“, რომელთა დაქვრის ამბავი ელვისსის-წრაფით გავარდნილიყო მთელს იმ უბა-ნში.

— ბანდიტები შეიპყრეს, ბანდიტები შეიპყრეს! — გაჰყვიროდნენ აქეთ-იქი-დან ყველა ცდილობდა ახლოს მისული-ყო, რომ კარგად დაენახა ისინი.

ხეთაგუროვის ქუჩაზე ტრანსპორტი გაჩერდა. ტრამვაის ვაგონებიდან და მან-ქანებიდან მგზავრები გამოლაგდნენ. ცნობისმოყვარეობით სულწასულები ზღვასავით დაგუბებულ ხალხს შეუერ-თდნენ.

ალყაშემორტყმული „ბანდიტები“ მუ-ხრანის ხიდისაკენ წაიყვანეს მილიციის მუშაყებმა.

XXIII

მოქეიფენი მუხრანის ხიდის გვერდით მდებარე მილიციის განყოფილების სა-

მორიგეო ოთახში შეყარეს. მთელი მილიცია ფეხზე დადგა. დაიწყო გამოძიება.

— ჯერ ეს ბანდიტი გაჩხრიკეთ! — ბრძანა მილიციის უფროსმა გამოძიებელმა, კაპიტანმა არჩილ ადამაშვილმა და ხელი აქარელზე მიუთითა.

— ჩვენ ბანდიტები არ ვახლავართ, ბატონო. მე აჭარელი ვარ, ბათუმიდან. ამ დილას ჩამოვედი თბილისში, ცოლთან ერთად. ესენი საბურთალოს ბაზარში...

— კმარა ლაპარაკი! — ხმაძლია შეკვივრა ადამაშვილმა და ღურსუნს თვალები გადაუტრიალა, — ჯერჯერობით თქვენი განმარტება არ გვკირდება. ამ წუთში გამოვარკვევთ, ვინც ბრძანდებით!

ორი მილიციელი აქეთ-იქიდან ამოუდგა ღურსუნს. ჯიბეები გადმოუტრიალეს და ცოტაოდენ სამგზავრო ფულთან ერთად აჭარული ბებუთი ამოუდღეს.

— ჰმ... — კბილებში გასცრა ადამაშვილმა და შავგვერემანი სახე უფრო შეეკუმუნა, — კიდევ იტყვი, რომ ბანდიტი არა ხარ? მაშ რა ჯანდაბა ხარ! მოასწარი რევოლვერის გადაგდება? ამხანაგო ლეიტენანტო. — მიუბრუნდა ადამაშვილი იქვე მდგომ ლეიტენანტს, რომელიც „ბანდიტების“ დაკერის ოპერაციას ხელმძღვანელობდა და, რომელმაც რევოლვერით ანტონს თავი გაუტეხა, — წაიყვანე რამდენიმე ხელქვეითი და მთელი ეზო გადააბრუნეთ, იქ სადმე ხომ არ დაყარეს იარაღი. სწრაფად!

— არის, ამხანაგო უფროსო! — ხელი აუწია ლეიტენანტმა და რამდენიმე მილიციელთან ერთად კარში გავარდა.

ადამაშვილი ისევ ბიჭებისკენ შემობრუნდა.

— ტყუილა ეწვალებით, ამხანაგო კაპიტანო, — წყნარად მიმართა ჰელიძემ, — თუ დაგვიჯერებთ, ჩვენ არც ბანდიტები ვართ, არც იარაღი გვქონია!

— ჩაიწყვიტე ხმა! — სიტყვა შეაწყვეტინა ადამაშვილმა. — შენ არავინ გეკითხება და, როცა გკითხო, მაშინ მიბასუსხე! გაჩხრიკეთ ახლა ეს ვაჟბატონი! — ხელი ანტონზე მიუშვირა გამოძიებელმა.

— ზარბაზანი არ ამოიღოთ ჯიბიდან! — ამაყად უბასუხა ანტონმა. — უკვე მოესწრო გზაში ქვითრეხვის გადაწყვედა ახლა აღარაფერი ადარდებდა.

გამომძიებელს არ მოეწონა მისი სიტყვები.

— თქვენ მართლა ბანდიტები ხომ არ გგონივართ, აი ჩემი საბუთები, — ანტონმა ხელი წაიღო უბისაკენ, მაგრამ სანამ ჩაიყოფდა, მილიციელებმა ამასაც გადმოუტრიალეს ჯიბეები.

ადამაშვილს წარბები შეეკუმუნა, როცა ანტონს ვერაფერი უნახეს.

ისე უცბად, როგორ მოასწრო იარაღის გადაგდება, ჩვენმა მუშაკებმა ვერ შენიშნესო. გაიფიქრა და ჭიქურად მიაპყრო შხერა.

— მაშ ბანდიტი არა ხარ, ხომ? — კბილების კრაქუნით უთხრა მან და თვალებით გახვრიტა.

— რა თქმა უნდა, არა ვარ ბანდიტი! — რა უყავი იარაღი?

— იარაღთან მე არასოდეს მქონია საქმე. იარაღს დიდი სამამულო ომის დროს ვატარებდი, როცა გერმანელებს ვებრძოდი.

— რასაც გეკითხები, შენ იმაზე მიბასუსხე! — მკაცრად შეუყვირა ადამაშვილმა, — სად გადააგდე იარაღი?

— ხომ გეუბნები, იარაღს მაშინ ვატარებდი, როცა მტერს ვებრძოდი. და უნდა ვითხრათ, ძალიან ვაყვაცურადაც ვხმარობდი, რის გამოც, ჩვენმა სარდლობამ, არა ერთხელ დამაჯილდოვა ორდენით. მას შემდეგ, რაც მტერი დავაპარცხეთ და სახლში დავბრუნდი, იარაღი თვალითაც არ დამინახავს. თუ გინდათ გაიგოთ საქმის ნამდვილი ვითარება, ჰელიძეს ჰკითხეთ და ყველაფერს გეტყვით, გასაგებია?

ანტონმა პირდაპირ მიაპყრო შხერა გამოძიებელს და თვალი თვალში გაუყარა. გატეხილ თავიდან გადმომსკდარი სისხლი, სამი დღის გაუპარსავ პირის კანს, ლექვიით ჩაკვდომოდა.

— მართალს ამბობს ტალიაშვილი, ამხანაგო კაპიტანო, — ერთი ნაბიჯით წინ წარსდგა ჰელიძე. — მათქმევინეთ და

ყველაფერს გეტყვით, როგორც იყო საქმე.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — ხელახლა იყვირა ადამაშვილმა, — თქვენ როცა გკითხოთ, მაშინ მიპასუხეთ. გაჩხრიკეთ ახლა ეს სტუდენტი. — თითო ვახტანგზე მიუშვირა.

— სტუდენტობას დიდი ხანია მოვრჩი, ამხანაგო კაპიტანო, — დინჯად, წყნარი ხმით მიუგო ვახტანგმა, — მას შემდეგ, ომიც მოვიარე და სახლშიც დავბრუნდი. ნება მომეცით მოგახსენოთ საქმის ნამდვილი ვითარება და გაგარკვიოთ, ჩვენ მართლა ბანდიტები ვართ, თუ პატიოსანი ხალხი.

ადამაშვილმა არც ვახტანგის ნათქვამს მიაქცია ყურადღება და ხელქვეითებს თვალთ ანიშნა, კარგად გასინჯეთო.

მილიციელებმა ახლა ვახტანგს გადმოუტრიალეს ჯიბეები და საბუთებთან ერთად შარვლის წინა პატარა ჯიბიდან ასორმოცდაათი ცალი „ირანსკი“ ამოაცალეს.

ვახტანგი გაფითრდა. ამ არეულობაში და აყალმაყალში, თანაც ღვინისაგან გაბრუებულს სულ დაევიწყდა, რომ ჯიბეში გადაკეთებული ქვითრები ეწყო, რომელიც დღეს უნდა გაეყიდა. ახლა კი დაეიდუპეო. გუნებაში წამოიძახა და მთელი სხეული დამბლადაცემულივით გაუხდა.

ადამაშვილმა ირიბად შეათვალეირა ნორწამხდარი ვახტანგი. მილიციელს ქვითრების დასტა გამოართვა და დააცქერდა.

— რა არის ეს? — ჰკითხა და თვალებით გახვრიტა.

ვახტანგს ენა ჩაუვარდა.

— რა არის მეთქი, ეს! — გაუმეორა კითხვა გამომძიებელმა.

ვახტანგი ისევ სდუმდა.

— შენ გეკითხები, რა ენა ჩაგივარდა? — ხმას აუწია ადამაშვილმა.

— ქვითრებია! — ძლივს ამოღერდა ვახტანგმა.

— რის ქვითრები?

— ბაზრის ქვითრები!

— სად მუშაობთ?

— საბურთალოს ბაზარზე!

— ესენიც?

— დიახ, ეგენიც, გარდა აქარელი ბაზარში გაგვაცნო ქელიძემ, თავის მეუღლესთან ერთად. ამ დილას ჩამოსულან ბათუმიდან.

— რაზედ მუშაობთ საბურთალოს ბაზარზე?

— ფინამკრეფებად!

— ქვითარს ყიდით?

— დიახ, ქვითარს ვყიდით!

— გასაგებია! გაჩხრიკეთ ახლა ეს ვაეხატონი! — ადამაშვილმა ქელიძეზე მიუთითა.

მილიციელებმა ქელიძეც გაჩხრიკეს და ორმოცდაათცალამდე გადაკეთებულ ქვითართან ერთად, ბლომად ფული ამოაცალეს ჯიბიდან.

ბოლოს ისევ ანტონზე შეაჩერა მზე-რა ადამაშვილმა.

— ამასაც ექნება ქვითრები, აბა კარგად უნახეთ ჯიბეებში.

მილიციელებმა ხელახლა გაჩხრიკეს ანტონი და ხალათის ზედა ჯიბიდან, მართლაც ათი ცალი ქვითარი ამოუღეს, რომელიც წელან, გადაყრის დროს, სიჩქარის გამო ჩარჩენოდა.

ანტონი საბტად დარჩა. არ მოელოდა. ეგონა ყველაფერი რიგზე იყო და შიში აღარაფრის ჰქონდა. მაგრამ...

ადამაშვილმა ანტონის ქვითრებიც გამოართვა მილიციელს. მაგიდაზე ცალკე დაწყო. მერე სათითაოდ საბუთები გაუსინჯა. რაკი შიგ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა, წყნარად მიმართა.

— დაბრძანდით!

ბიჭები ერთმანეთის გვერდით ჩამოსხდნენ გრძელ სკამზე. ადამაშვილმა პაპიროსს მოუკიდა.

— ნება მომეცით მეც მოვწიო პაპიროსი, ამხანაგო კაპიტანო! — ზეზე წამოღდა ვახტანგი.

ადამაშვილმა ოდნავი თავის დაქნევით ანიშნა, მოსწიეო.

ვახტანგმა ჯიბეებზე ხელები მოიფათურა. ახლა მიხვდა, რომ პაპიროსი ქელიძის სიდერდრის ბინაში დარჩენოდა.

გამომძიებელმა იგრძნო ეს და თვითონ გაუწოდა პორტიგარი.

— გმადლობთ, ამხანაგო უფროსო. მაპატიეთ რომ გაუწხებთ! — უთხრა და პაპაროსის ასაღებად დაიხარა. გამომძიებელმა შენიშნა, რომ ხელი უკანკალებდა და პაპაროსის აღება უძნელდებოდა.

— თქვენ ამბობთ, რომ ბანდიტები არა ხართ და არც იარაღი გქონიათ, — თვალბში ჩააცქერდა ადამაშვილი. — მაშ რაშია საქმე, გამაგებინეთ. ან ამ აქარელს საიდან იცნობთ, ან იმ ოჯახში როგორ მოხვდით.

— გეტყვით, ყველაფერს გეტყვით, შეიძლება? — ზეზე წამოდგა ქელიძე.

— თქვი! — თავი დაუქნია ადამაშვილმა.

— ესენი ჩემი ამხანაგები არიან, — დაიწყო ქელიძემ, — ჩვენ ერთად ვმუშაობთ საბურთალოს ბაზარზე, ფინანსურებზე. ეს კი, აქარელია. ბათუმში, არმიაში რომ ვმსახურობდი, ამათ სახლში ვცხოვრობდი ქირით. დილას ბაზარში შევხვდი შემთხვევით. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამეხარდა. ჩვენ საქეიფოდ მოვდიოდით ჩემი სიდედრის ოჯახში, სადაც წელან დაგვაპატიმრებდა, ესენიც თან წამოვიყვანე.

— ესე იგი, თქვენი სიდედრის ოჯახში ქეიფობდით, ხომ? — სიტყვა შეაწყვეტინა ადამაშვილმა.

— დიახ, იქ ვქეიფობდით. უფრო სწორად, ის ოჯახი, ჩემს ოჯახად მიმაჩნდა, რადგან მე ზედსიძედ ვარ შესული.

— მჭრე რა მოხდა? — მოთმინება არ ჰყოფნიდა გამომძიებელს.

— რა მოხდა და... მოგეხსენებათ, ზედსიძედ შესული კაცის ამბავი... მე რომ თავიდან მკოდნოდა, სათოფედ არ გავეკარებოდი ამ ოჯახს. მაგრამ ახლა გვიანაა. ჩემი შეტანილი არაფერი არ ჩანდა, ჩემს აღებულ ფულს მაღლი არა ჰქონდა, ყველაფერზე ცხვირს მიბზუებდნენ. დიდი გული ჰქონდათ. ჩემმა ნათესაებებმა ყველამ ფეხი ამოიკვეთა ჩემთან. აღარც დედა მოდიოდა ამ ბოლო დროს.

დედამ არაფერი არ მითხრა, მაგრამ ეტყობა, იმასაც აწყენდნენ. შალვამ ღრმად ამოიხუნტა მუცხანგარძო.

— მართალია, ნაწილობრივ ცოლიც მშობლების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ მაინც მიგებდა. მე აღრევე შემეძლო მიმენებებია თავი, მაგრამ არ მინდოდა ოჯახი დამეგრია, ბავშვი სხვის ხელში ჩამეგდო. ასეთი რამ სხვისი მეჭავრება და მე როგორ გამეკეთებინა...

ქელიძე ისევ გაჩუმდა, სულის მოსათქმელად. ეტყობა, ძალზე უძნელდებოდა ლაპარაკი.

— მაინც რა მოხდა ბოლოს, რამაც აქამდე მოგიყვანათ? — მოთმინება დაკარგა ადამაშვილმა.

— ხოდა, იმას გეუბნებოდით... იმათ შიშით, ვერც ამხანაგი მიმეყვანა სახლში, ვერც მახლობელი. ყველაზე ცხვირს სწევდნენ, ტუჩს მიბზუებდნენ. როგორც წყლან მოგახსენეთ, ესენი ჩემი ამხანაგები არიან. ამ აქარელს დიდი პატივისცემა აქვს დათესილი ჩემზე, როცა მათ ოჯახში ვცხოვრობდი ბათუმში. ამათაც დიდი სიკეთე მიუძღვით. მე მათ ოჯახებში ვყოფილვარ და მაგრადაც მიქეიფია. მეც წავიყვანე სახლში, მინდოდა პატივი მეცა. სიკეთე სიკეთით გადამეხადა. მაგრამ... სუფრაზე ღვინო შემოგვაკლდა. მეორე ოთახში გავედი და სიდედრს ცოლის თანდასწრებით ვუთხარი, ღვინო მოიტანეთ-მეთქი. ეს ვინ ოხერტიალეები მოგიყვანიაო, იყვირა სიდედრმა, სამაგათო ღვინო სადა გვაქვსო, ისიც უყოფათ, რაც ჩაცეცხლეს, ადგნენ ახლა და წავიდნენო. უარი მითხრა ღვინის გამოტანაზე. როგორი ამბავია, ამხანაგები სახლში მიიყვანო და სიდედრმა ამისთანა საქმე გავიკეთოს? სისხლი ყელში მომაწვა. მერე აღარ მახსოვს რა გავაკეთე... როგორ არ მახსოვს, გეტყვით. არაფერს დაგიმაღავთ. აედექი და, მეც მაგრად ვურტყი...

ადამაშვილს გაეცინა. მილიციის მუშაკებს ხარხარი აუტყდათ...

— მერე?

— ვერ და, სულ ეგ იყო. მე არ ვიცი, ვინ შეგატყობინათ თქვენ, რომ ჩვენ ბანდიტები ვართ და ოჯახს დავეციტ გასაძარცვავად. გთხოვთ მოიყვანოთ ის ადამიანი და დაგვიმტყიცოს...

ქელიძე სკამზე დაჯდა. ადამაშვილმა პაპიროსი მოქანა. სწორედ ამ დროს ლეიტენანტი შემოვიდა სამორიგეოში, რომელსაც რამდენიმე მილიციელი შემოყვა.

— იარაღი ვერ ვნახეთ, ამხანაგო კაპიტანო, მთელი ეზო გადავაბრუნეთ. სახლშიც ვიყავით, სადაც ესენი ჭეითობდნენ, მაგრამ...

— კარგი, კარგი, აღარაა საჭირო, — სიტყვა შეაწყვეტინა გამომძიებელმა ლეიტენანტს, — ახლა ეს მითხარი, ვინ იყო ის ქალი, რომელმაც შეგვატყობინა ბანდიტები დაგვეცნენო?

— იმ ოჯახიდან არის, ახლაც იქ ვნახეთ!

— ჩემი ცოლისდა იქნება, სხვა ვინ! — წარმოთქვა შალვამ.

— ამ წუთში დაჩქეი მანქანაზე და აქ მოიყვანე! — უბრძანა ადამაშვილმა ლეიტენანტს.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — გაეჭიმა ლეიტენანტი.

— შენი ჭირიმე, უფროსო, — ზეზე წამოვარდა აჭარელი... ძალიან გთხოვთ მეც გამაყოლო მანქანას. ცოლი ქუჩაში დარჩა და მეშინიან არ დაიკარგოს. პირველად არის თბილისში.

— ნუ გეშინიან, არსად დაიკარგება! — სიტყვა ბანზე აუგდო გამომძიებელმა.

— როგორ არ დაიკარგება... ნათესავიც არა გვყავს თბილისში, რომ მივიღეს.

— თუ დაიკარგება, სხვა იშოვნე! — მოკლედ მოუჭრა ადამაშვილმა და წარბები შეკრა.

ამ სიტყვებზე დურსუნმა თვალები გადაატრიალა და სიმწრით ტუჩები მოიყვინტა.

— დაბრძანდით, ტყუილა ნუ იწუხებთ. თავს ზეზე დგომით. გამომიება

ჯერ არ დამთავრებულა! — მწყურალად მიმართა ადამაშვილმა.

დურსუნი დაჯდა. ადამაშვილმა ხანს ჩაფიქრებული იყო. ბოლოს მზერა ისევ დურსუნზე გადაიტანა და მიმართა:

— აჭარელო, შენ თუ კარგი კაცი ხარ, ეს ბებუთი რატომ დაგქონდა ჯიბით? დურსუნი ისევ წამოდგა ზეზე. თავპირი ჩამოსტიროდა. სიბრახით თვალებს აბრიალებდა.

— უბებუთოდ ბათუმში არ გამივილია დი თბილისში როგორ წამოვიდოდი! — მკვებედ უპასუხა მან.

არ მოეწონა ადამაშვილს მისი პასუხი.

— ისე რომ ჩამოსულიყავი, მოგიტაცებდნენ?

— ჩემი მომტაცებელი ჯერ არავინ დაბადებულა, ბატონო კაპიტანო, მაგრამ ცოლით წამოვედი და, ეს ბებუთი თან იმიტომ გამოვიყოლე. რა ვიცი, ათასი რამ ხდება გზაში.

— შენ კარგი კაცი არ უნდა ჩანდე. აჭარელო! — თვალები გაუყარა ადამაშვილმა. — მითხარი სიმართლე, რატომ ატარებ ჯიბით ცივ იარაღს?

— მე უკვე გითხარი ჩემი სათქმელი! — მოკლედ მოუჭრა დურსუნმა.

— კითხვაზე გამეცი პასუხი! — ახლაკი მწყურალად შეუტია ადამაშვილმა.

— ზომ გითხარი, — ხმას აუწია დურსუნმა. — მე უბებუთოდ ქუჩაში ვერ გავივლი.

— ზომ იცი, ბებუთებს, ვინ ატარებენ ჯიბით?

— მაგის მეტი რა ვიცი! ბანდიტები ატარებენ ჯიბით ბებუთებს, მაგრამ მე დიდი ხანია მაგ ხელობას გამოვეთხოვე. ამის ტარებას კი ვერ გადავეჩვიე. იმიტომ კი არა, რომ ვინმეს რამე დავუშავო, არა! ისე!..

— არა, შენ ამ ხელობას არ გამოსთხოვებია, აჭარელო! — თითი დაუქნია ადამაშვილმა.

— თუ არა გჯრათ, დარეკეთ რესპუბლიკის მილიციის სამმართველოში და იქ გეტყვიან! — გული მოუვიდა დურსუნს.

— რას მეტყვიან იქ? — თვალეები გაუფართოვდა ადამაშვილს.

— რასაც გეტყვიან და გაიგებ! ორ წელიწადს ტყეში ვიყავი გასული და კაცმა ვერ შემაშინა, ნაწყებიას რომ არ შევერიგებინე. შენ ვინა ხარ, რომ შემაშინო? დაურეკე ახლავე ნაწყებიას, ან მე დამარეკინე! იმან კარგად იცის, ვინ ვიყავი და რა ვარ ახლა.

ადამაშვილი ცოტა არ იყოს შეკრთა ნაწყებიას ხსენებაზე. ანტონმა და ვახტანგმა გაოცებით გადახედეს აქარელს.

ის იყო, ლეიტენანტიც გამოჩნდა კარებში და ჭელიძის ცოლის დასთან ერთად ნაილევ შემოიყვანა სამორიგეოში.

— ეს ქალი ვილა? — იკითხა ადამაშვილმა.

— აქარელის ცოლია. ეზოს კარებთან კანკალებდა საცოდავი და თან წამოვიყვანე.

— ჩასხი ესენი მანქანაში და სადაც გეტყვიან, იქ გაავაზვანე. სად უნდა გაათენოთ ღამე? — მიუბრუნდა ადამაშვილი ღურსუნს.

— სასტუმროში! — მოკლედ უპასუხა ღურსუნმა და ტუჩებში ჩაელიძე.

— აი შენი საბუთები და ფული, მხოლოდ ბეზუთს ვერ მოგკემ. გაჰყეთ ახლა ლეიტენანტს და წაგიყვანთ!

— გმადლობთ. ბიჭებო, კარგად იყავით, თქვენი ჯავრი მიმყვება თან! — თანაგრძნობით შესძახა აქარელმა და ცოლთან ერთად სამორიგეო დატოვა.

— ეს ვინ არის თქვენი? — მიუბრუნდა ადამაშვილი ახალგაზრდა, შავვკრემან ქალს და ჭელიძეზე მიუთითა.

— დის ქმარი! — მოკლედ უპასუხა მან.

— თუ ბანდიტი? — შუბლი შეიკრა ადამაშვილმა.

— უუარესი! — მწყრალად წამოიძახა ქალმა.

— თქვენ გეკითხებით და სწორად მომიგეთ, — ხმას აუწია ადამაშვილმა დის ქმარია, თუ ბანდიტი?

— დიახ, დის ქმარია!

— ესენი?

— მაგის ამხანაგები!

— საჭეიფოდ მოიყვანა თქვენთან?

— დიახ!

— მერე და, ორი ბოთლი ღვინო დაგენანათ?

— დედას სცემა! განა შეიძლება სიძემ, რომელიც ცოლის სახლში, ცოლის ოჯახში ცხოვრობს, სიდედრს სცემოს?

— მაგრად უნდა ეცემა! რატომ სწორად არ მოიტანე ამბავი. უკუღმა რათ გეითხარი, ბანდიტები დაგვეცენონ? იცი თუ არა, რომ ესენი ბეწვზე გადარჩნენ და არც ჩვენ დაგვადგებოდა კარგი დღე? პირადად შენც!

— რატომ არ ჩახოცეთ, უკეთესი იქნებოდა! — არ დაიხია ქალმა.

— მე რასაც გეკითხები, იმაზე მიპასუხე, — ხმა აიმაღლა ადამაშვილმა, — შენ აგებდი პასუხს, რომ ჩაგვეხოცა? რატომ არ მოიტანე სწორად ამბავი?

ქალი გაჩუმდა.

— ამხანაგო კაპიტანო, — წარმოთქვა მილიციელმა, რომელიც ის იყო, სამორიგეოში შემოვიდა, — ეზოს ღია აივანზე გამოშლილი მცხოვრებლები რომ არ დაგვენახა, შეიძლება გვესროლა, მაგრამ იმათმა მშვიდმა ფუსფუსმა დაგვაეჭვა, რომ ჩვენ ბანდიტებთან არ უნდა გქონოდა საქმე. ამიტომაც შევიკავეთ თავი სროლაზე.

— შევადრეთ კამერაში! — გასცა განკარგულება ადამაშვილმა და ქალი ხელისკვრით გაიყვანეს გარეთ.

გამომძიებელმა ხელახლა მოუყიდა პაპიროსს. მოქაჩა ერთხანს ქვითრებს ათვალეირებდა, სინჯავდა, აკვირდებოდა, თავისთვის რაღაცას ფიქრობდა. მერე ბიჭებს მზერა გაუსწორა და დინჯად, წყნარი ხმით მიმართა:

— მჯერა, რომ თქვენ, არც ბანდიტები ხართ, არც ავაზაკები. თუ გინდ, იმასაც დავანებოთ თავი, რომ შენ სიდედრი გალახე, ამხანაგო ჭელიძე. თქვენს ადგილას შეიძლება მეც ასე მოგქცეულიყავ. მაგრამ მიპასუხეთ, ეს ქვითრები რატომ გქონდათ ჯიბეში? ქვითარს ხო? მაშინ ღებულობთ ბუხბალტერიიდან, როცა მუშაობას იწყებთ, და ფულთან

ერთად აბარებთ მაშინ, როცა ამთავრებთ?

ფინამკრეფებს ჭირის ოფლმა დაასხა სახეზე. მიხვდნენ, რომ გამოძიებული ამ საქმეშიც ჩახედული იყო. რომ მას კარვად უნდა სცოდნოდა ბაზრის საქმიანობა.

არც გაკვირვებით, რადგან საბურთალოს ბაზრის ფინამკრეფებს, ფულის გაკეთების მხრივ, სახელი გავარდნილი ჰქონდათ მთელს თბილისში.

მაინც არ შედრკნენ ბიჭები. გადაწყვიტეს თავი ემართლებინათ და არ გატეხილიყვნენ დანაშაულში.

— ბი როგორ იყო საქმე, ამხანაგო კაპიტანო, — წამოიწყო ვახტანგმა. — როგორც მოგეხსენებათ, დღეს შაბათი დღეა. შაბათობით ებრაელები საერთოდ არ ვაჭრობენ. მუშაობა ნაკლები გვექონდა. უფრო სწორად, არ ღირდა გვემუშავა, რადგან ჩვენ, ფინამკრეფები ისედაც ბევრნი ვართ „ტალუჩაზე“. ამიტომ ადრევე დავეთხოვეთ ღირეჭტორს და წამოვედით. სულ დაგვაფიწყდა, ქვითრები ბუხპალტერიაში ჩაგვებარებინა.

— დიას, ზუსტად ასე იყო, ამხანაგო კაპიტანო, — მოეწონა შალვას ამხანაგის გამჭირიანობა.

— შენ რაღას იტყვი? — ადამაშვილმა ახლა ანტონს შეხედა.

— სრული ჭეშმარიტებაა, ბატონო გამოძიებელო. — დაეთანხმა ანტონი. — საჭეიფოდ მოვდიოდით და ქეიფის ეშნით საღერღელ აშლილებს ქვითრების ჩაბარება არც გავგეხსენებია.

— მერე და, წინდაწინ რატომ დაგიწერიათ ქვითრებზე რიცხვი, თქვენ ხომ მაშინ უნდა დააწეროთ, როცა გასცემთ?

— მართალი ბრძანდებით. — უპასუხა ვახტანგმა, — მაგრამ დიდი მუშაობის დროს დაწერას ხშირად ვერ ვასწრებთ ხოლმე და ამიტომ ქვითარს წინდაწინ ვავსებთ.

— დღეს ხომ ნაკლები მუშაობა გქონდათ? — თვალბში ჩააცქერდა ადამაშვილი.

— სულ არ გვეგონა, რომ დღეს შა-

ბათი იყო! — ვახტანგის შეცდომა კეტლიძემ გამოასწორა.

— ნამდვილად ასე იყო! — დაუფიქრა ვახტანგმა.

— კარგით! — თავი მაღლა ასწია ადამაშვილმა და ქვითრები ხელში აიღო. — რატომ არის ასე დაფურცლული? ბუხპალტერიიდან დაფურცლულებს ღებულობთ?

— მთელს ვლებულობთ, მაგრამ ხშირად ისე უხარისხოდ არის შეკრული, ხელშივე იშლება. მით უმეტეს, ესენი ჭიბეში გვეწყო.

— კი მაგრამ, ნუმერაცია რომ არ მიყვება ერთი მეორეს!

— არა მგონია! — ხმა აუკანკალდა ვახტანგს.

— თქვენი თვალთ ნახეთ, თუ არა გჯერათ!

ვახტანგი გაჩუმდა. ქელიძეს ხმა ჩაუწყდა.

— ლიპაა! — წამოიძახა მილიციელების მხრიდან ვილაყამ.

— როგორ გეკადრებათ! — გიჟივით შეტყვირა ქელიძემ.

ქელიძის უცნაურ ყვირილზე მილიციის მუშაკებს ხარხარი აუტყდათ. ადამაშვილს არ მოეწონა ეს ამბავი და უბრძანა, გარდა მორიგესი, ყველას დაეტოვებინა სამორიგეო.

მილიციის მუშაკებმა ხარხარით დატოვეს ოთახი.

— მაშ ეს ქვითრები ყალბი არ არის?

— ადამაშვილმა თვალბთან მიუტანა ის ფურცლები, რომელთაც აშკარად ეტყობოდათ გადაკეთება.

ვახტანგმა და შალვამ თავები ჩაკიდეს. მიხვდნენ, რომ მახეში იყვნენ გაბმულნი, რომ ფაქტი ჭიუტი იყო და თავის მართლებას არავითარი აზრი არა ჰქონდა.

— არა, მითხარით, არ არის ყალბი ქვითრები? — ხმას აუწია ადამაშვილმა, — ჩვენ მაინც შევამოწმებთ დილაზე, თქვენს ბუხპალტერიაში.

მაგრამ ეს სიტყვები ვახტანგს არც გაუგია. უცბად თვალწინ წარმოუდგა: თავისი გაფრენილი ბავშვობა, შამა-პა-

პური ჭეტიკირის სახლი ოშორაში, სიღარიბეში გატარებული წლები. შემდეგ გაახსენდა სტუდენტობა, ლოტკინის გორაზე, თედოს ოჯახში ცხოვრება, მეცნიერების მაღალი მწვერვალების დასაპყრობად გაწეული თავგანწირული ბრძოლა, ნახევრად მშვიერ-მწყურვალ ასპირანტურაში შესასვლელად რომ ემზადებოდა და ღამეებს თეთრად ათენებდა.

ის წლები, რომლის გახსენებაც უკანასკნელ ხანებში ჟრუანტელს გვრიდა და ცუდ განწყობილებაზე აყენებდა, ახლა თავისი სიცოცხლის ყველაზე ძვირფას, ყველაზე ბედნიერ წლებად წარმოუდგა. სასწაულომოქმედი ღმერთი რომ გამოცხადებოდა და ცხოვრება ისევ იმ წლებიდან შეეთავაზებინა, იგი უბედნიერეს ადამიანად ჩათვლიდა თავს.

ამ ფიქრებიდან ისევ გამომძიებლის ხმამ გამოარკვია იგი.

— მითხარით, რითი შეგიძლიათ ვაიმართლოთ თავი?

— არაფრით, ამხანაგო კაპიტანო! — ზეზე წამოდგა ვახტანგი. მას თვალეზი ჩანავლებულ ნაღვერდალივით გახდომოდა და ნერვიული დამაბულობისაგან სახე მოთენთოდა. ისეთი შეხედულება ჰქონდა, თითქოს ერთ კვირას არ უძინაო.

ადამაშვილი ვახტანგს დააქვარდა. გაუკვირდა. ამ ორიოდ წუთში როგორ შეიცვალაო, გაიფიქრა და ეს ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე, მშვენიერი შესახედობის ვაჟკაცი, ცოტა არ იყოს, კიდევაც შეეცოდა. თანაგრძნობით დაუწყო ცქერა და სინანულით თავი გააქნია.

— ხომ არაფრის თქმა გინდათ, სიღამონიძე? — წყნარად, თითქმის მოფერებით მიმართა ადამაშვილმა.

— დიახ, მინდა ერთი რამ ვითხრათ, უფრო სწორად, გთხოვთ, ამხანაგო კაპიტანო, — დაიწყო ვახტანგი. — რა თქმა უნდა, ჩვენს თავს ველარ ვიშართლებთ და არც შეგვიძლიან ვაეიშართლოთ, იმიტომ რომ ფაქტი ჭიუტია. მაგრამ მიიღეთ მხედველობაში ის ამბავი, რომ ჩვენ წლობით გვიბრძოლია დიდ

სამამულო ომში გერმანელებს წინააღმდეგ და არასოდეს ჩვენი ნამუსისთვის არ გვილაღატია. ეს არის ჩვენი ცხოვრების გარიყარაქზე პირველი შეცდომა. დიახ, დაუფიქრებლად გადაღებული პირველი ნაბიჯი, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მოგვიყვანა. მართალია, ჩვენ ამჟამად დამნაშავეები ვართ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან ეს დანაშაული კეთილსინდისიერი შრომით გამოვასწოროთ. ძალიან გთხოვთ, ნუ დაგვლუბავთ. თქვენ შეგიძლიათ ეს საქმე მოსპოთ, სანამ ახალია, სანამ თქვენს ხელშია. და მოგვხსენებთ, ჩვენც ხალხნი ვართ... ჩვენც ვიცით პატივისცემა...

უკანასკნელი სიტყვები ვახტანგმა დამარცვლით, მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა.

ადამაშვილი თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან და დუმილით უსმენდა ვახტანგის ლაპარაკს.

— ამხანაგო კაპიტანო, ნება მომეცით ერთი სიტყვა მეც ვთქვა, — ზეზე წამოდგა ჭელიძე და არც დალოდებია მის თანხმობას, ისე დაიწყო. — მიგვიღეთ, როგორც თქვენი საკუთარი უმცროსი ძმები. ნუ გაგვიმეტებთ დასალუბად. ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგვიძლიან ჩვენი საშობლოს სასარგებლოდ. ჩვენ ხუთი წელიწადი ვებრძოდით შემოსეულ მტერს და არასოდეს შეგვირცხვენია საბჭოთა ოფიცრის სახელი, რის გამოც არა ერთხელ დაუჭილდოებივართ ორდენებით და მედელებით. ნუთუ ერთი შეცდომა არ უნდა გვაპატიოთ? ნუთუ ჩვენ, რომლებიც ხუთი წლის დამაბული ბრძოლის შემდეგ მხოლოდ ახლახან დავბრუნდით სახლებში, ოჯახს მოვეკიდეთ, ღირსი ვართ იმისა, რომ ციხეში ჩაგვეყაროთ და გადაგვასახლოთ? ეს ხომ სიკვდილი იქნება ჩვენთვის, ეს ხომ განადგურება იქნება ჩვენი ოჯახებისა, ჩვენი ცოლ-შვილისა, ჩვენი მშობლებისა. ბატონო გამომძიებელო, გთხოვთ შეხვიდეთ მდგომარეობაში და მოსპოთ ეს საქმე. გაძლევთ პირობას, რომ აღარ დაგვე-

მართება ამისთანა რამ. ბოლოსდაბოლოს ჩვენც აღამიანები ვართ, შეგვიძლიან პატივისცემა... მოგვთხოვეთ რამდენიც გინდათ!..

აღამაშვილმა ყურადღება არ მიაქცია ჰელიძის უკანასკნელ სიტყვებს. თავი მალა ასწია და ბიჭებს პირდაპირ გაუსწორა მხერა.

— შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, — ოდნავი გულისტკივილით უთხრა მან, — მაგრამ არ შემიძლია ეს თხოვნა დავაკმაყოფილო. მე გამომძიებელი ვარ და სიმართლის დადგენას ვემსახურები. ვერ ვულალატებ ვერც სიმართლეს, ვერც ნამუსს. რა ვქნა, ვერ ვულალატებ და გთხოვთ მაპატიოთ. თქვენს საქმეს სასამართლოს გადაეცემთ, როცა გამოძიებას მოვრჩებით. სასამართლო იმსჯელებს და ის გაპატიებთ, თუ საპატიებელი ხართ. თუ არა და, დანაშაულზე პასუხი უნდა აგოთ. ასეთია ჩვენი მართლმსაჯულების კანონი.

აღამაშვილმა ისეთი მტკიცე ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ შალვამ და ვახტანგმა მასთან, ამ საკითხზე ლაპარაკი, ზედმეტად მიიჩნიეს. არაფერი გამოვაო, გაიფიქრეს. უიმედოდ ხელი ჩაიჭინეს და მუხლბეზოწყვეტილები დაეშენენ სკამებზე.

ახლა ანტონი წამოდგა ზეზე.

— ამხანაგო კაპიტანო, მე არ ვეთანხმები ჩემს ამხანაგებს იმაში, რომ ესენი ჩემი სახელით თავს დამნაშავედ აცხადებენ, — დაიწყო მან, — მე მაგათ საქმისა არაფერი ვიცი და არც ვეხები. თავის საქმისა ყველამ თვითონ იცის და პასუხსაც თვითონ აგებს. პირადად მე, არავითარ დამნაშავედ არ ვთვლი თავს. ჩემი ქვითრები თავიდან ბოლომდე სწორია, ნუმერაციაც აქვთ და, გამადიდებელი შუშით რომ გასინჯოთ, იმ ათიდან, ერთ ვადაკეთებულს ვერ იპოვნით!

ვახტანგს და შალვას თვალები გაუბრწყინდათ მეგობრის სიტყვებზე. აღამაშვილმა თავი ასწია მალა.

— ნამდვილად? — ირონიით ჩაეცინა გამომძიებელს და ანტონის ქვითრებს

დააცქერდა, — აბა სადა აქვს ნუმერაცია, მაბრმავებ?

— როგორ გეკადრებათ, პიტანო, იქნებ აგერიათ?

— კი მაგრამ, ეს შენი ხელმოწერა არ არის? — ქვითრები თვალებთან მიუტანა აღამაშვილმა.

— დიხ, ჩემი ხელმოწერაა!..

ანტონი ქვითრებს დააცქერდა. მერე უცბად ხელიდან გამოსტაცა, სწრაფად მოკმუჭნა და თვალის დახამხამებზს უმაღ პირში გადააუძახა.

აღამაშვილი შლეგიანივით წამოვარდა ზეზე. საღ მომატყუაო, გაიფიქრა. მორიგეს შესძახა, მომეშველეო. ორივენი ეცნენ, ნიკაში ხელი ამოსდეს და კისერი გადაულრიცეს, რომ პირიდან გადმოეგდებინებინათ, მაგრამ ანტონმა მოასწრო გადააულაპავა.

— გაიყვანეთ ეს ბანდიტები და ჩაყარეთ კამერაში! — ხმაშალა იყვირა აღამაშვილმა და ამ მოულოდნელი ამბით გაოგნებულმა იარაღისკენ წაიღო ხელი.

ვახტანგი და შალვა გაოცებულნი დარჩნენ. მათ ვერც წარმოედგინათ, თუ ანტონი ამისთანა რამეს გააკეთებდა.

აღამაშვილის ყვირილზე მილიციის მუშაკები შემოცვივდნენ სამორიგეოში. ფინამკრეფებს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, დერეფანში გაიყვანეს და სადაც წელან ჰელიძის ცოლისდა შეაგდეს, ესენიც იმ საკანში შეაბრძანეს.

ის იყო, ეჭვსჭერ ჩამოპკრა კედლის საათმა. თენდებოდა...

X XII

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს ნელის. ათასი სულის შემხუთველი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. ხან რას იფიქრებდა ვახტანგზე, ხან რას. ჯერ ეგონა საქეიფოდ თუ სადმე წავიდაო. ბოლოს, ძლიერ რომ დაიგვიანა, შიშმა შეიპყრო, ცული ხომ არაფერი შეემთხვაო.

თათიაც ცხვირჩამოშვებული იჯდა სახლში. როგორც ნელი, ისე ის განიცდიდა სიძის შინმოუსვლელდბას. ზოგ-

ჯერ დილანდელი სარკის ვატების ამბავი გაახსენდებოდა და ათასი სულის შემხუთველი ფიქრები აეშლებოდა თავში.

არც პატარა რიტას ეძინა ტკბილად, მოსვენებით, როგორც მას სჩვეოდა ხოლმე. შუალამემდე ბორგავდა, შფოთავდა. ხშირად წამოიყენებოდა და ტირილს გააბამდა.

— ალბათ შეეშინდაო, — ასკვნიდა თათია, — დილაზე აუცილებლად უნდა შეველოცინოთ.

ნელის ის ამბავი უფრო აწუხებდა, რომ სახლში დიდძალი ფული ჰქონდათ და მისი ფიქრით, რაიმე რომ მომხდარიყო, უსათუოდ უნახავდნენ. ნეტავ რატომ ადრე არ ავიტანეთ თედოსთანო, ფიქრობდა და მოუსვენრად წრიალებდა.

გათენებისას ჩაეძინათ დედა-შვილს, მაგრამ ისევ მალე გამოეღვიძათ. მოსკოვიდან რადიო უკვე გადმოსცემდა უკანასკნელ ცნობებს. დიქტორი ხუთწლიან გეგმებზე ლაპარაკობდა და მსმენელებს აუწყებდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ჩვენს ქვეყანაში ამ წლების განმავლობაში.

ნელიმ რადიო გამოართო. პირი დაიბანა. ფანჯარასთან მივიდა და პროსპექტს გადახედა. უკვე იღვიძებდა ქალაქი. პროსპექტზე კანტი-კუნტად მიმოდინდნენ მოქალაქენი. მსუბუქად გაიქროლეს პირველმა ტროლეიბუსებმა და მალე ქუჩა ხალხით გაივსო.

ნელი ფანჯარას მოსცილდა, საწოლ ოთახში შევიდა, სადაც ბავშვი იძინებდა ხოლმე, მაგრამ რიტა იქ არ დახვდა. თათიას სამზარეულოში გაეყვანა და ფუას აჰმევედა.

უნებურად გაბზარულ სარკეს დააცქერდა. სარკეში კედელზე დაკიდებული თავისი და ვახტანგის ერთად გადაღებული სურათი მოჩანდა, რომელსაც ბზარი ნაპრალივით შუაზე ყოფდა.

— დასწყევლოს ესმაცმა, — გუნებაში გაიფიქრა მან. — როცა გეშინიან, ყველაფერი მშინ მოგელანდება.

დარბაზში შებრუნდა. ასეთ ცუდ განწყობილებაზე არასოდეს ყოფილა, თა-

ვი სტკიოდა, გული უკვნესოდა, თანდათან შიში და მოუსვენრობა ეპყრობოდა.

— ღმერთო ჩემო, ვინმე არასოდეს დარჩენილა სხვაგან, ნეტავ რა შეემთხვა, რომ კიდევ არა ჩანსო, — ფიქრობდა და ვერაფრით აეხსნა ეს გარემოება.

ბოლოს მთლიანად აიტანა შიშის კანკალმა. გული რაღაც ცუდს ეუბნებოდა. თითქოს გრძნობდა, რომ მის თავზე რაღაც უბედურება უნდა ყოფილიყო.

ტახტთან მივიდა, სახურავი ახადა და მარჯვენა მხარეს მჭიდროდ ჩათაკრულ ფულს დააცქერდა. ერთ ხანს გადაწყვიტა ამოეღო იქიდან ეს ფული და უფრო უშიშარ, საიმედო ადგილას შეენახა. მაგრამ ასეთი ადგილი მას არც ეგულებოდა სახლში. ტახტი ისევ დახურა, გადასაფარებელი გაასწორა და ოთახში კვლავ უაზროდ დაიწყო წრიალი.

ღერეფანში უცბად ზარის წყრიალი გაისმა. ნელის გული შეუქანდა. თათიამ სამზარეულოდან გამოყო თავი, ბავშვ ტახტზე დააგორა და კარების გასაღებად გაემართა, მაგრამ თათიას ნელიმ დაასწრო. სწრაფად გავარდა ღერეფანში და როდესაც კარი გააღო, ვახტანგის ნაცვლად, პროკურატურის სამი მუშაკი დახვდა.

ნელის ელდა ეცა, შეშინებულმა უკან დაიწია.

— აქ ცხოვრობს ვახტანგ სიღამონიძე? — იკითხეს პროკურატურის მუშაკებმა.

— დიახ, აქ ცხოვრობს! გამაგებინეთ რაშია საქმე, სად არის ჩემი ქმარი?! — ცრემლიანი ხმით შეჰყვირა მან და კარების შუა ჩადგა, თითქოს არ უნდა, რომ სახლში შეუშვასო.

— თქვენი ქმარი დაპატიმრებულია, ქალბატონო. ნება მოგვეცით სახლი გავჩხრიკოთ — მიმართეს მათ და გაჩხრეკის ნებართვის ორდერი გაუწოდეს.

ნელის გული შეუღონდა. თითქოს თავში რაღაც ჩაართყესო, წაბარბაცდა და კარებს რომ არ ჩასკიდებოდა, უსათუოდ წაიქცეოდა.

არც თათიას დაადგა ნაკლები დღე.

პროკურატურის მუშაების დანახვაზე წნევამ დაარტყა და ენა ჩაუვარდა.

პატარა რიტა კი ტახტზე წამომჯდარიყო და დიდი თვლებით შესცქეროდა დაუპატივებელ უცხო ძიებს.

პროკურატურის მუშაები, მეზობლების თანდასწრებით, სახლის გაჩხრეკას შეუდგნენ.

XXIII

აქ შეწყვიტა ვახტანგმა თავისი ტრაგიკული ცხოვრების ამბავი. მატარებელი უკვე ქარელს ვასცდნოდა და მთელი სისწრაფით მიჰქროდა ბორჯომისაკენ.

მე ძლიერ ჩამაფიქრა მისმა მდგომარეობამ. გული მატკინა.

— აი თემა, ცხოვრება გზასაცდენილი ადამიანისა, რომელზედაც შეიძლება დაიწეროს ნაწარმოები. სადღა მიდიხარ? — შევეკითხე ჩემს თავს.

— ალბათ, გაინტერესებს როგორ დამთავრდა ჩვენი სიყვარულის ამბავი, არა? — მითხრა ბოლოს და პაპიროსს მოუყიდა, — გეტყვი, რა თქმა უნდა. უამისოდ ინტერესმოკლებული იქნება ის, რაც მოგიყვები.

ვახტანგმა პაპიროსი მოქაჩა და კვამლი ღრმად ჩაისუნთქა.

— ნათქვამია, კოკა წყალზე გატყდებო და აი, როგორც ხედავ, ჩვენი ბედის კოკაც გატყდა, — განაგრძო მან. — ჩვენი დაპატიმრების ერთი თვის შემდეგ გავვასამართლეს და თხუთმეტ-თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მოგვისაჯეს.

სანამ თბილისში ვიყავი პატიმრობაში, წელი ხშირად მოდიოდა ჩემთან. მოჰქონდა საშემლო, ფული. მერე როცა შორეულში გავვაგზავნეს, მე და წელი სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს.

პირველ ხანებში, მართალია, ხშირად ელებულობდი მისგან წერილებს. სწუხდა ჩემს ბედზე. მაგრამ მერე თანდათან მოუკლო წერილების წერას და ბოლოს მთლიანად შეწყვიტა.

ექვები ამეშალა. ათასი სულის შემხ-

უთველი ფიქრი ირეოდა ჩემს გულში. მესიზმრებოდა, თითქოს წელი სხვაგან მაკაცებთან დადიოდა, ხან თითქოს ცხუნთხოვილიყო.

წერილს წერილზე ვაგზავნიდი, როგორც წელიწადს. ისე სოფელში ვთხოვდი, პასუხი გამოეგზავნათ ჩემთვის. სოფლიდან კი მომდიოდა პასუხი, მაგრამ წელიწად არაფერს მწერდნენ.

— რა დაგემართათ, მაცნობეთ რაშია საქმე, წელის ამბავი გამაგებინეთ-მეთქი, გაბრაზებით ვუთვლიდი დედას. ძმებს, მაგრამ ამაოდ.

მოულოდნელად მეზობლებისაგან მივიღე წერილი. ისინი მწერდნენ, რომ წელი ჩემი ღირსი არ იყო და სამუდამოდ დამევიწყებინა. ბოლოს მატყობინებდნენ, რომ წელი სხვასთან დადიოდა.

ამ ამბავმა თავზარი დამცა. აბა როგორ გადმოგვით ის ტანჯვა, ის წამება. რომელსაც მაშინ განვიციდი. სიკვდილი მერჩინა სიცოცხლეს და ვწყველიდი ჩემი გაჩენის დღეს.

მაშინ მივხვდი პირველად, რომ გზასაცდენილი ვიყავი. მაშინ უფრო ღრმად ვიგრძენი ჩემი დანაშაული ეთერის მიმართ. უფრო ნათლად დავინახე ის უფსკრული, რომელშიაც ჩემი დაუფიქრებლობისა და გამოუცდებლობის გამო ასე სამარცხვინოდ გადავვარდი.

ამ ამბის შემდეგ მთელი სიმწვავეით ვიგრძენი სინდისის ქენჯნა. და არ ვიცი, ავიტანდი თუ არა სასჯელს, ამნისტიას რომ არ გაენახევრებინა. ერთი კვირაა, რაც ვადასახლებიდან დავბრუნდი. იქ გავიგე შემდეგი ამბავი: წელის თურმე ხელი ჩაეჭნია ჩემზე, გათხოვილიყო.

ალარც დავინტერესებულვარ იგი მენახა. ან რა საჭირო იყო? ჩემთვის ის უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ ბავშვის ნახვა მოსვენებას არ მაძლეოდა.

კითხვა კითხვით მივაგენი იმ სკოლას, სადაც ჩემი პატარა გოგონა სწავლობდა. გზაში ხშირად ვეკითხებოდი ჩემ თავს, ვიცნობდი თუ არა ჩემს ყვავილს.

კლასში მისვლისას მე არ დამჭირებია მეკითხა, თუ რომელი იყო ჩემი

შვილი. ოცდათხუთმეტ ბავშვში თვალის ერთი გადავლებით ამოვიცანი ჩემი სისხლის ნაწილი, ჩემი საყვარელი ბუნჩულა გოგონა. გულში ჩავიკარი და ვკითხე: „ვისი ხარ-მეთქი“.

მან ჩემი სახელი და გვარი მითხრა. გამოვიკირდა. სულ არ მოველოდი ამას. კიდევ კარგი, მის დედას იმის ნაშუსი მაინც შერჩენოდა, რომ ბავშვის ცნობიერებაში მამის ვინაობა არ წაეშალა.

გულში ვიკრავდი ჩემს გოგონას, ეკოცინდი, ვეალერსებოდი. პირველად არ შეკარებოდა, განზე გამიბოლოდა. მაგრამ მალე იგრძნო ის მშობლიური, რაც ჩვენ, მამასა და შვილს გვაკავშირებდა. თანდათან გამიშინაურდა და წამოსვლისას ცრემლიანი თვალები გამომჟაფოლა თან.

იქიდანვე გავწიე საბურთალოს ბაზრისკენ, რათა იქნებ ვინმე მენახა ჩვენი ბიჭებიდან. შემეტყო ანტონისა და შალვას ამბავი, რომლებსაც გადასახლების დროს დავეცილდი. ისინიც ხომ, ჩემსავით, თავიანთი ახალგაზრდული დაუფიქრებლობით ჩაცვიფდნენ ციხეში. ამას გარდა, მაინტერესებდა გამეგო, ძველი თანამშრომლებიდან მუშაობდა თუ არა კიდევ ვინმე.

მაგრამ ოი, საკვირველებავ... თვალებს არ დავუჯერე. სიზმარში მეგონა თავი. სადღა იყო საბურთალოს ბაზარი, მისი ერთმანეთზე მიწყობილი წვრილ-წვრილი სავაჭროები, ან ბაზრის გარშემო გაფანტული ალიზის შენობები. ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჩვენი „ტალკუჩკა“ იყო, სპორტის სასახლის უზარმაზარი შენობა აქიმილიყო და თავისი გრანდიოზული შესახედაობით, თითქოს მანამდე აქ არსებულ ქობინებს დასცინოდა.

საბურთალოს ნახვამ ხომ პირდაპირ გამოცა. ვინ იფიქრებდა რომ ასე შეიცვლებოდა აქაურობა.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ზღაპარია, ნამდვილი ზღაპარი. — ვდუდუნებდი გულში და ვერ დავრწმუნებულყავ სიზმარში ვიყავი თუ ცხადში.

აღარც თედოს ქვატალახა სახლი და

მხედა ლოტკინის გორაზე. ის კლდე მთლიანად ჩამოეღოთ მშენებლებს და თბილისის ზღვისკენ ფართო მარჯვენა-ლი გაეყვანათ. თედოსთვის კი ოთხოთა-ზიანი ბინა შეეთავაზებინათ ოქტომბრის პროსპექტზე, მაგრამ უარი ეთქვა. ზღვის მახლობლად ნაკვეთი აეღო, უკეთესი სახლი გაეკეთებინა და თანაც, მშვენიერი ბაღი გაეშენებინა.

ერთი სიტყვით, მე ვერავინ ვნახე ძველი თანამშრომლებიდან და ვერც ანტონისა და შალვას ამბავი შევიტყვე. მხოლოდ ახა შემხედა ქუჩაში შემთხვევით. ნეტავ არც ის მენახა. მისგან გავიგე მეტად საშუხარო ამბავი. მაშინ, მეორე დღეს, საღამოს ხუთ საათზე, ფაცი მართლაც მისულიყო საბურთალოს ბაზარში, ჩემს სანახავად, მაგრამ ჩემი დაპატიმრება რომ შეეტყო, საწამლავე დაეღია და ორი საათის ჯოჯოხეთური ტანჯვის შემდეგ საავადმყოფოში გარდაცვლილიყო. დღესაც ვერ გავიგე, რა „დიდი საქმე“ ჰქონდა ჩემთან.

რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე. შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი სიცოცხლე ჩემს სიყვარულს ზეარაკად მოუტანა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ მე არავითარი დამნაშავე არა ვარ მასთან.

გულში წავედი განათლების სამინისტროში. ჩემი დანაშაულის შესახებ ყველაფერი გულწმინდად ვუამბე. ვთხოვე გავგზავნენ რაიონში სამუშაოდ ჩემს სპეციალობაზე. და თანაც პირობა მივეცი, რომ იქ კეთილსინდისიერი მუშაობით გამოვიწყიდდი დანაშაულს.

მათ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილეს. გამაგზავნეს ჩემსავე რაიონში სამუშაო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. და აი, როგორც მხედავთ უკვე მივდივარ. მაგრამ იქაც დიდი გაწითლება მომეღის.

წელან, სანამ შენ გნახავდი, ერთ ჩვენებურ კაცს შევხვდი მატარებელში. ის ზაქესში ჩავიდა რაღაც საქმეზე. გამოეკითხე სოფლის ამბავი. ეთერიზეც ჩამოუვგდე სიტყვა. მისგან გავიგე, რომ ეთერი იმ სკოლის დირექტორი ყოფი-

ლა, რომელშიაც ახლა მე მივდივარ სამუშაოდ.

ვახტანგი გაჩუმდა. ღრმად ამოიოხრა. მერე პაპიროსს მოუკიდა და განაგრძო.

— თბილისში რომ გამეგო ეს ამბავი, სადგურიდანვე გავბრუნდებოდი უკან. ისევ მივიდოდი განათლების სამინისტროში მინისტრთან და ვთხოვდი გავეგზავნე სხვაგან, შორს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად უკვე გვიან არის.

დიას, ახლა მე ეთერის წინაშე უნდა წარვსდგე და განათლების სამინისტროს მიმართო მივცე. ესეც ჩემი ბედი.

ვახტანგმა ის იყო დაამთავრა ამბის თხრობა, რომ მატარებელიც ხაშურის სადგურში შეიკრა.

— აი ჩემმა უღირსმა საქციელმა სადამდე მიმიყვანა, — მითხრა მან, ზეზე წამოდგა და გამოსამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა. როგორც ხედავ ჩემი უბედურების ყველა მიზეზი მაინც ნელია. აღამიანს თუ სურს ტკბილად და ბედნიერად იცხოვროს, ქალის სიმდიდრე და სილამაზე მხოლოდ მის სულში უნდა ეძებოს. მე კი... ეხ... — ხელი ჩაიქნია და აღარ დაამთავრა.

ვახტანგმა უკანასკნელად კიდევ ჩამომართვა ხელი და მერე ჩასასვლელი საკენ გაემართა, მაგრამ ორი ნაბიჯი

რომ გადადგა, უცბად შეჩერდა. თათქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად შემობრუნდა ჩემსკენ და ლიწობით მიმხრა:

— კაცო, მე სულ დამავიწყდა, რომ შენ მწერალი ხარ. თუ ძმა ხარ, ჩემი ამბავი კი არ დაწერო!

— კიდევაც რომ დავწერო, ვანა დანაშაული იქნება? ნათქვამია, წინა კაცი უკანასი ხილიაო. შენი მაგალითი ბევრს გამოადგება გაკვეთილად.

ვახტანგი ერთ წამს ჩაფრქვდა, მერე მითხრა:

— თუ კი ჩემი მაგალითი სხვას იხსნის ამნაირ მცდარ გზისგან, დაწერე! მაგასაც ავიტან! ჩემი ამბავი, ალბათ, მთელმა ჩემმა ნაცნობებმა იციან. დასამალი უკვე აღარაფერია.

მატარებლიდან ხალხი ჩალაგდა. დაორთქლილი შუშა გაზეთის ნახევით გავწმინდე და კარში გავიხედე. საშინელი ამინდი იდგა. ტელეგრაფის მავთულებს წივილი გაქჟონდა.

დაძრული მატარებლიდან ერთხელ კიდევ მოვკარი თვალი ვახტანგს. ქუდი შუბლზე ჩამოეთხატა, კისერი საყელოში ღრმად ჩაერგო. ხელები, ჭიბეებში ჩაეწყო და ამ ამინდით გულაფორიან ქებული სადგურის უკან თოვლის ბუქს მიარღვევდა.

თამაზ ჭილაძე

ახალი ღექსები

1

უცებ გათავდა ეს შემოდგომა,
მოვიდა წვიმა, დაბერა ქარმა
და ცამ შეფარვით, ჩუმად მოთოვა
სველი ფოთლების მწუხარე ქარვა.

და საიდუმლო გზები ბუნების
გაივსო ალბათ ლტოლვილ ურმებით,
ქადრების მწვანე თავსაბურებით
და გაზაფხულის დაქრილ ღრუბლებით.

ჩუმი ცრემლები სინანულისა,
ვით მოწყალების ერთგული დები,
მისდევენ ურმებს, როგორც გულის ხმა,
ისმის ნისლებში შრიალი მთების.

2

ნაყვავილევი და მკაცრი სახე
პლანეტის, ჩვენ რომ ვეძახით მთვარეს,
მოჩანს სურათზე და ცა ჩახჩახებს,
ვით ოკეანეს აღელვებს თვალებს.
მთვარის ვერცხლისფერ ქვებს და
ვულკანებს

ედება ქარი არაგვის პირის,
მერე შემკრთალი მორბის უკანვე
და ჩემი ფანჯრის რაფაზე ტირის.
ჩემთან შემომყავს, მერე დილამდე
ვეალერსები და თავს ვეველები
და ჩემს ხელებზე უცხოდ ბრწყინავენ
მთვარის მწვანე და მძიმე ცრემლები.

3

ბინაში ღიად დარჩენილ ონკანს
გავს მოგონება, რომელიც გინდა,
შენივე ხელით შენს გულში მოჰკლა,
დაფაროს ფერფლმა, მიწამ და ბინდმა.
ის კი გადმოდის, გადმოდის, ნელა
ავსებს გულს, გულის კედლებსაც
არღვევს
და დაუნდობლად აჩვენებს ყველას
შენს შემკრთალსა და უნიღბო სახეს.

4

ციხე ხერთვისის, ციხე აწყურის —
ფოლადი, ჯავრი და გამძლეობა,
ცას ყაყაჩო აქვს თმაში ჩაწნული
და სანთელივით მოაქვს ხეობას.
მისი წითელი, ცახცახა შუქი
ანათებს კლდეებს და როგორც წყარო
გადარბის ქვებზე, ღამდება უკვე
და ამიტომაც წვალობს და ჩქარობს.
და აი, უკვე მოჩანს ვარძიაც,
ათასთვალეზას რომ ჰგავს მოლოდინს,
ქარს ვისი სიტყვა დაუმარცვლია:
იდექ ბოლომდის! იდექ ბოლომდის!

5

ნელა ამოდის მზე — ოქროს ბურთი
და სველ ქუჩაში, დილაადრიან,
თავგადააპარსულ ბავშვების გუნდი
აჩქარებული მიჰყავს გადიას.
დილის მკრთალი და მკაცრი პროფილი
ამოკვეთილა ბრინჯაოს ცაზე
(ლომი მწუხარე და შეპყრობილი,
იდუმალეების სინაზით სავსე)...

6

ცა მარტის ღრუბლებმა შებოლეს,
ცა მარტის ღრუბლებმა შებოლეს,
ვიღაცა იძახის გაღმიდან,
ნისლიდან იძახის:
— მეზორნე!
ვინ არის, ვინ არის, ვინ არის,—
ჩურჩულებს ტირიფი მტირალი.
რიყეზე ფენია რიყრაყი
და თეთრი პერანგი მდინარის...



7

რა დამაძინებს, როცა რიონი
სარკმელს მომდგარი რაღაცას მღერის,
როცა ფიჭვები უნაპირონი
იბადებიან გულიდან ლხენით.
რიონს ისეთი გრილი მკერდი აქვს,
ისეთი წყნარი, ლურჯი თვალები,
რომ უსათუოდ შემიკედლებენ
მეგობარივით მისი ტალღები.
ნუთუ მართლაც ასე იოლი
სიცოცხლე...

აჰა, დაძრულან დღენი.

რა დამაძინებს, როცა რიონი
სარკმელს მომდგარი რაღაცას მღერის.

8

ფოსტოვსკის საფლავი

რეკავს მონასტრის მწვანე ზარი
და შემოდგომა
ანათებს ხეებს, ქვაფენილებს
ყვითელი შუქით.
შუშისთვალემა, მრისხანე ღმერთო,
ნუთუ არ გესმის,
რომ ჩემს ვარდასულ ცხოვრებაზე
ქვითინებს ზარი.
შენ მომიგონე, შენ შემქმენი
მორჩილი მნათე,
მე კი ჩემს სულში ჩემი ხელით
დავანთე ცეცხლი,
მერე ღვთის კრავი და სატანა —
კარამაზოვი
ორივე ერთად,
ერთ საკანში ჩაგვკეტე ასე.
მომეცი კარი, ან სარკმელი,
ან ჭუჭყრუტანა,
რომ გაეტიოს ჩემი სული
ცეცხლმოდებული.
თეთრი და შქიმე,
უსიცოცხლო —
ლოლუებივით
შენი ხელები
მაწყვია მხრებზე...



9

ბოლო სარკმელშიც ჩაქრება შუქი,
თითქოს გაწყდება ჩონგურის სიმი,
რუხის ციხესთან ბებერი მუხა
ირთვება წითელ სიზმრების მძივით.

გადანათებს ენგურის მხარეს,
მთვარე წაპყვება ლერწმების წივილს
და სამეგრელოს ჭორფლიან ღამეს
გადაპყვებს მკრთალი ალვების მწკრივი.

გაქლიაღდება ციხის აბჯარი,
ფათალოს ნესტივ ტანზე მიმზრალი:
მაჩუქე, მუხნავ, ერთი მარჯანი,
ერთი სიცოცხლე, ერთი სიზმარი.

ჩუ! მთვარის თოკით ხელ-ფეხ შეკრული,
ბროლისთვალემა ბორგავს ენგური.

10

ისევ გეძახდი. ღამის წყვდიადში
ელავდა მხოლოდ მდინარის ტანი
და ღამე იყო ისეთი მშვიდი,
ისეთი ნაზი და ასატანი,
მეგონა, აქვე იყავი ახლოს,
მდინარის სული მისდევდა ქუჩას
და როგორც გამვლელს უყუფდა ძაღლი-
რადგან ელავდა უცხოვ და ლურჯად.
და უცხო იყო ყოველი ბგერა,
ვით ყრუ-მუნჯების თავშესაფარი.
იღვა წყვდიადი: დარაჯის მზერა
და ჭინჭარივით მწარე საბანი.
და დერეფანში ენთო სანთელი,
ვით მერცხლის ლურჯი, პაწია ბინა...
იღვა სიჩუმე ტანჯვით ნათრევი
და მოტანილი მდინარის პირას.
და ერთი წამიც და როგორც ლოდი
დაასკდებოდა მდინარის ტალღას,
ეს როდის იყო, გუშინ თუ როდის,
იქნებ დღეს, იქნებ ამ წუთას, ახლა.
და მე გეძახი და ამ ძაბილით
ცოცხლდები ჩემგან გამოგონილი
და ყველა ცრემლი შენთვის დაღვრილი-
ყელზე გაბია რკინის რგოლივით.

11

მოდის თერგი და თითქოს მთერალია
ეჭაჯგურება კლდეებს და ჯაგებს,
ამოვა მზე და ვიწრო დარიაღს
საკინძესავით ჩაპკრავს და ჩახეუვს.

ამოდი, გულო, ამოსკიდი ბარემ,
თქვი რა ვინდოდა, გაბედე, რა გსურს,
მერე სიმხდალეს სხვას დააბრალებ,
როს სიქაბუჯე წაპყვება წარსულს.

დილა მთერალია თერგის ღრიალით,
იქნება კიდევ დაიგვიანე,
ვის რად უნდისარ ფრთხილი, ჰკვიანი—
ბრმასავით მოდის ქვებზე მდინარე.

12

ღმერთო, რა არის სიცოცხლე კაცის,
ანდა საიდან პოულობს ძალას...
ნუთუ ჩვენივე ხელუბით დავწვით
სიცოცხლე, რათა გვექცია ალაღ.
რის განათება გვეწადა შაინც,
რატომ ვწვალობდით... იქნებ საკუთარ
სახეს ვეძებდით, ანდა იმ მაისს,
იმ თეთრ იალქნებს და ნავსაყუდარს,
სიზმარს რომ ახლდა, ბავშვობის
სიზმარს,

ნუთუ ეს იყო მხოლოდ ცდუნება,
თითქოს ჩამქრალი თვალუბით გვსინჯავს
და თავისი გზით მიდის ბუნება.

13

დიდი, წითელი ველოსიპედი
ბავშვის სიცილი და პროექტორი
და წარმოდგენის მთელი იმედი,
ბრძენი და მკაცრი, როგორც რეჰტორი
გარინდებული ინდური სპილო...
უკრავს საყვირი, ქრება სინათლე,
ასე თავდება ერთი კვირადღეც...
შენს დავიწყებას ამოდ ვცდილობ.

14

მზე, აწყურის მზე,
ნახანძრალი მთა,
სათოფურში ცა,
როგორც ჩიტის ფრთა.

მზე, აწყურის მზე,
ერთი კენჭი კლდის.
ხელისგულზე
ცრემლოვით რომ თრთის.

15

გაფრინდი, გაფრინდი და გადაიარე
უდაბნო სულისა,
არავინ უწყის დრო დასასრულისა,
ამიტომ არასდროს არ არის გვიანი.

უდაბნო სულისა,
უდაბნო რისხვის
და უდაბნო შურისა...
ფიქრები, ფიქრები,
არავინ უწყის დრო დასასრულისა,
ჩემსავით ჩუმი ნუ იქნები..



ალმასეღის მოსტაღი

ნესრულდა გამომწილი ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის დაბადებიდან 100 წლისთავი. წვენი მეთხველისათვის კარგად არის ცნობილი მისი შემოქმედება; უელსის ნაწარმოებები თარგმნილა კართულ ენაზე.

ბ. უელსი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი-რეალისტიკა, რომლის რომანებშიაც არა ერთი და ორი სოციალური პრობლემა განმხილული დიდი ობტატობით არის დანახული და საამყარაოზე გამოტანილი მისი ეპოქისათვის ფრიალ დამახასიათებელი მოვლენა—ტექნიკის პროგრესული განვითარება და საზოგადოებრივი მორალის დაცემა. ბურჟუაზიული ტექნიკის კრიტიკოსები ნამდვილად დიდ შედეგის უშვებენ, როდესაც უელსს მხოლოდ ფანტასტიკურ ნაწარმოებთა მწერლად თვლიან.

მართალია, ბ. უელსის ნიჭი და შესაძლებლობანი ყველაზე მეტად მეცნიერულ-ფანტასტიკურ ნაწარმოებებში მტლენდება, მაგრამ მისი რომანები მხოლოდ თანამუსაქციევი, სინტერესოსლ აკინქული ზღაპარი არ არის. მათში რეალურად, ყოველგვარი მისტიკური ბურუსის ვარემე, ცხოვრობენ, იღწვიან, ამენებენ კეთილნიმავალს კონკრეტული ადამიანები.

ბ. უელსის ძალიან მალალ შეფასებას აძლევდა მკჟიმ ბორკი.

1920 წელს ბ. უელსი საბჭოთა კავშირს წწვია, პირადად ესაუბრა ვ. ი. ლენინს.

წინა—„რუსეთი ბურესში“—უელსმა უძღვნა პროლეტარიატის მტლადს, დიდ ლენინს. 1934 წელს უელსი ხელმეორედ წწვია საბჭოთა კავშირს. თავის წერილებში იგი აღნიშნავდა სოციალისტური მშენებლობის გიგანტურ მიღწევებს.

მოსტრობა

სამსახურში საღამოს ცხრა საათამდე დავყოვნიდი. ძალიან დავიქანსცე. სუფთა ჰაერზე გავლა მომინდა და გადავწყვიტე. შინ ფეხით დავბრუნებულეიყავი. თბილი, საამო საღამო იღგა. გზა მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა. ყველაზე მომხიბლავი დრო ზომ ღამეა მდინარის პირას. ხედავთ, თუ როგორ გაიფლევებს აქა-იქ შავი მდინარის ზედაპირი და გრძნობთ თბილი ნიავის მიერ საღლაც, შორიდან მოტანილ ზღვის სურნელს. ერთ ადგილას შევჩერდი და შავ წყალს დავა-ცქერდი.

„რა თბილი ღამეა“, — მომესმა გვერდთან, მოვიხედე. სიბნელეში კაცის პროფილი გავარჩიე. იგი მდინარეს ჩამტკრებოდა. ყბა ყბაში ვართხმული, ფერთათალი, ჭუჭყიან, ძველ პალტოში

6. „მსოფიბი“, № 12

გამოხვეულიყო. სახეზე წვერმოდებულს, თმა უწესრიგოდ ეყარა შუბლზე.

ცნობისმოყვარეობით შევათვალიერე. ვინ იყო? პასუხი რომ გამეცა, მოწყალეებას ზომ არ მთხოვდა.

„დიხა, ძალიან თბილია“, — ვთქვი ბოლოს.

„რა წარმტაცია“, — განავტობო უცნობმა ისე, რომ მდინარისათვის თავალი არ მოტცილებია. — „კარგია მომქანცავე მუშაობის შემდეგ ასეთი მყუღრო ალაგის პოენა ლონღონში. არც თქვენთვის იქნება უტხო ხილი მძიმე სამუშაო, თორემ აქ არ მოხვიდოდით ჩემსავით. ოლონდ არა მგონია, ჩემდაგვარად ილაგ-გაწყვეტილი იყოთ. რამდენჭერ მიფიქრია, იქნებ ეს ჩალადაც არა ღირს-მეთქი, მაგრამ გული მაინც ვერ ავყარე“...

უცნობი გაჩუმიდა. გაკვირვებულმა ერთხელ კიდევ შევავლე თვალი. მან რაღაც მძიმე სამუშაო ახსენა. რა უნდა ყოფილიყო მისთვის ასე აუტანელი? სად მუშაობდა? ბოლოს შევეკითხე.

„დარწმუნებული ვარ, არ დამიჯერებთ“, — დაიწყო უცნობმა, — „მაგრამ მაინც გეტყვით. მე ერთი დიდი საქმის წამომწყები ვარ, ძალიან დიდი საქმისა. მე გამოვიფიქრე... თუ როგორ უნდა დამხადდეს ხელოვნური აღმასი“.

მან ჯიბიდან პატარა პარკი ამოიღო, გახსნა და მოყავისფრო თვალი გამომიწოდა. ცოტა რამ გამეგება ფიზიკასა და მინერალოგიაში. თვალი საკმაო ინტერესით დავათვალიერე. ის მართლაც გავდა ყველაზე მუქი ხარისხის ბუნებრივ, გაუთლელ აღმასს, ოღონდ მასთან შედარებით ძალიან დიდი იყო. ჯიბის დანა ამოვიღე და აღმასზე ხაზის გავლება ვცადე. არაფერი გამომივიდა. გაზის ლამბისაკენ გავიწიე და აღმასი ჩემი მაჯის საათის შუშას გავუსვი. შუშაზე თეთრი ხაზი დარჩა. მინა უფრო რბილი გამოდგა.

გასაოცარი ამბავი იყო.

„სად იშოვნეთ?“ — ვკითხე უცნობს.

„მე გავაკეთე“, — მიპასუხა მან, — „მაგრამ დამიბრუნეთ უკან, თუ შეიძლება“.

მან ფაცი-ფუცით შეინახა თვალი პარკში.

„თუ გნებავთ მოგყიდით ას გირვანქა სტერლინგად“. — თქვა უცნობმა წყნარი ხმით.

ამან უფრო განმაცვიფრა. ნუთუ, მართლა აღმასი იყო? რა თქმა უნდა, გავდა, მაგრამ თუ მართლა აღმასია, მაშინ სად უნდა ეშოვნა. ანდა, რატომ ყიდდა ას გირვანქა სტერლინგად, როდესაც ამხელა აღმასი ასი კი არა, რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი ღირდა? ესეც რომ არა, ვინ იყიდდა ასეთ აღმასს ვიღაც მაწანწალისაგან, ისიც დამით, გაზის შუქზე.

„მაინც სად იშოვნეთ?“ — ერთხელ კიდევ ვკითხე უცნობს.

„მე თვითონ გავაკეთე“. — მიპასუხა მან. — „თუმცა, ჯერ ნება მიბოძეთ, ცოტაოდენი რამ მოგახსენოთ ჩემს შესახებ“. — უცნობი შეჩერდა. — „მაგრამ დამიჯერებთ კი?“ — განაგრძო ეჭვნარევი ხმით. — „არა მგონია, დამიჯეროთ“.

„განაგრძეთ“. — წყნარად ვუთხარი მე.

„დიდი ხანია ქიმიკოსებისათვის ცნობილია, რომ აღმასი შეიძლება დამხადდეს დაკრისტალბული ნახშირბადისაგან.“ — დაიწყო უცნობმა. — „მაგრამ საქმე ის იყო, მიეგნოთ ლითონისათვის, რომლისგან გაკეთებულ ჰურბულში შეიძლება იქნებოდა ნახშირბადის გათხევადება, ვადნობა. შემდეგ კი ისეთი წნევის მიღება, რომელიც უკვე სასურველ შედეგს გამოიღებდა. ამრიგად, აქამდე ქიმიკოსების მიერ ხელოვნურად მიღებული აღმასი მეტად მუქი ფერისა და ძლიერ პატარა იყო. მე კი მშვენიერი, დიდი აღმასების შექმნა გადაწყვიტე. მთელი ჩემი ცხოვრება ამ საქმეს შევალე. დღე და ღამე ვასწორებდი. მუშაობა ჩვიდმეტი წლისამ დავიწყე. ახლა კი ოცდაათორმეტისა ვარ. რასაკვირველია, თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს მეტად მძიმე სამუშაო იქნებოდა, მაგრამ მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი გულისთვის ყოველგვარი გაკვირვების ატანა ღირდა“.

„ოცდაერთი წლისას“, — განაგრძობდა უცნობი, — „ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი მქონდა. მეგონა, ეს ფული და კიდევ ცოტაოდენი განათლება სრულიად საკმარისი იქნებოდა ჩემი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. ერთი-ორი წლის მანძილზე ვსწავლობდი. ხოლო შემდეგ ისევ ჩემს ექსპერიმენტებს დავუბრუნდი. მინდოდა ეს საქმე საიდუმლოდ შემენახა. სულ მარტოდმარტო ვმუშაობდი. ცდებს ქალაქ კენტში. ერთ პატარა ოთახში ვატარებდი. დამე პირდაპირ იატაკზე მეძინა, ჩემი ხელსაწყოების გვერდით. ფული დღითიდღე მადნებოდა ხელში, გაკვეთილების მიცემას შევეცადე, მაგრამ არც ისეთი კარგი მასწავლებელი გამოვდექი. არც უნივერსიტეტის

დამთავრების მოწმობა მქონდა. ესეც რომ არა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რამდენი უმუშევარი მასწავლებელი დაიარება ამ ქვეყანაზე. ბოლოს და ბოლოს, წყლის ნაყვა და დროის ფუჭად დაკარგვა გამოდგა ამ ადგილის ძიება. ლითონის შერჩევის საკითხი სამი წლის წინ გადაწყვიტე. შემდეგ მთელი ჩემი ძალა წნევის ამოცანას შევალე. სამ წელზე მეტ ხანს ვიძუშავე კიდევ სულ-მოუთქმელად და ამ პრობლემასაც მოვაბი თავი. ოღონდ თვალზე მისაფარებელი კაბიციც აღარ დამრჩა. არც კი მახსოვს, რას არ ვაყეთებდი ამ სამი წლის მანძილზე, ოღონდ როგორმე მეშოვნა ფული. მგონი, ვყიდდი გაზეთებს, ვმეჭინებობდი, ეკიპაჟის კარს ვუღებდი ვილა-ვილაციებს; მახსენდება, რამდენიმე კვირა კონვერტებს ვაწერდი მისამართებს. დრო იყო, როდესაც მთელი თვე დღიურ ლუქმაზეც ვერ გამოვიდიოდი და მაშინ კი ხელგაშვერილი დავდიოდი. ო, რა დრო იყო!

„აი, ასე... ამ სამი კვირის წინ უკანასკნელი ექსპერიმენტი დავამთავრე. ხელსაწყოში სამი მოზრდილი და ხუთი პატარა ალმასი დამხვდა. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და ჩემი მეზობელი დამადგა თავს. ჩვეულებისამებრ, ის ამჯერადაც ღვინით გახეთქილი გახლდათ. „ანარქისტობ?“ — დაიღრიალა მან. „თქვენ ახლა მთვრალი ხართ — ვუპასუხე მე. — წადით აქედან“. — მან ფეხიც არ მოიცივალა. კარი და ბანი აღარ დამიგდო. ის კი წამოსცდა, რომ დილით უკვე ეცნობებინა პოლიციისათვის ჩემი მუშაობის შესახებ. არ მინდოდა ეს საიდუმლოება პოლიციისათვის, ჩამეგდო ხელში. მეტი რა ჩარა მქონდა... ავიყარი გულა-ნაბადი, ამოვკრიფე ალმასები და მოვიცილდი იჭაურობას. საღამოს გაზეთი

ჩემს ოთახს „ყუმბარების სახელოსნო“ უწოდებდა.

ახლა კი აღარც თავშესაფარი მქონდა არც ფული და არც ლუქმა პური. ალმასების გაყიდვაც ვერაფრით მოვახერხე. რომელ იუველირსაც კი არ მივაკითხე, ყველამ მთხოვა მომეცადა ცოტახანს, რათა ჩემად კლერკი ეფრინებინა პოლიციის მოსახმობად, ამიტომ წინასწარ ვაფრთხილებდი, რომ ვერ დავუცდიდი. ისიც კი ვცადე, ალმასი ნაპარევი საქონლით მოვაჭრისთვის მიმიყიდა. მან კი, არც აცია, არც აცხელა, გამომართვა ალმასი და აღარ დამიბრუნა. თქვენ პირველი ადამიანი ხართ, ვისაც ჩემი გულისტკივილი გავანდე. უბრალოდ, თქვენი გამომეტყველება მომივიდა თვალში. თანაც ქანცი გამიწყდა ასეთი სვეგამწარებული სიციხლისაგან.“

უცნობი პირდაპირ თვალეში მომაჩერდა.

„თქვენი ალმასების ყიდვა ახლა არ შემიძლია,“ — წამოვიწყე მე, — „უბრალოდ, ფული არა მაქვს თან. მაგრამ, რაც მომიყევით, მჯერა. იცით, როგორ მოვიქცეთ? მოდი ხვალ ჩემს სამსახურში“...

„რომ ციხეში ამომაყოფინოთ თავი?“ — გამაწყვეტინა მან — „არა, მაგ პირობას ვერ მოგცემთ“.

„აი, ჩემი სადარბაზო ბარათი. მოდი, როდესაც გინდათ“. — ვუთხარი უცნობს და ბარათთან ერთად ნახევარი კრონიც გავუწოდე.

„თქვენ ფულს ოდესმე პროცენტით დაგიბრუნებთ“. — თქვა მან და ფული გამომართვა სადარბაზო ბარათითურთ. — „მხოლოდ ძალიან გთხოვთ, გეთაყვა, ნურავის გაუმხელთ ჩემს ამბავს და... ნურც ამედევენებით“.

ამ სიტყვებით უცნობი გამშორდა. მას შემდეგ აღარსად გამოჩენილა.

ინგლისურიდან აარგმნა
ზურაბან ზამბაზუშვილმა.



სეპლიანი სიმღერა

მოთხრობა

ორმოცდაოთხი წლის ზამთარში ჯარის საბარგო-სატრანსპორტო მანქანით ლუქსემბურგიდან გერმანიის ფრონტისპირა ქალაქ პოლცჰაფენისაკენ მივემგზავრებოდი. კარგა ძვირი დაგვიჯდა ეს მგზავრობა — ოთხი გახვრეტილი საბურავი, სამი შემთხვევა ფენის მოყინვისა (რაც საქვეყნოდაც გამოაცხადეს) და, თუ მეტი არა, ერთი პნევმონია.

ორმოცი კაცი შეგროვილიყო საბარგო მანქანაში, მეტწილად, ქვეითი ჯარის შეესება. მათგან უმრავლესობა ინგლისის პოსპიტლებიდან გამოწერილიყო; ომის პირველივე დღეებში დაქრილებს უკვე მოეშუშებინათ კრილობები და, გაჯანსაღებულები, თავიანთ დივიზიას უბრუნდებოდნენ. დივიზიის მეთაურზე ყვებოდნენ — ისე არ ჩაჯდება შტაბის მანქანაში, ცალ მხარზე ნაგანი თუ არ ჩამოიკიდა და მეორეზე ფოტოაპარატი; ეს მეომრად დაბადებული კაცი თურმე, იმით იყო ცნობილი, რომ მტერს, თუ იგი დასჯაბნიდა და ალყაში მოაქცევდა, სულ მზამიან წერილებს უგზავნიდა.

ისე გავიდა რამდენიმე საათი, რომ, მანქანის ჯაყჯაყში, თავიც კი არ ამიწევია, არავისთვის შემხიხედავს.

მანამ ჩამობნელდებოდა, ჯარისკაცები ერთ ამბავში იყვნენ, ერთობოდნენ. ცდილობდნენ საომრად მოწოლილი სისხლი დაეოკებინათ, ხელადვე შეატყობდი, რომ ერთი სული ჰქონდათ, მანამ

კვლავ შეებმოდნენ მტერს. ორ ჯგუფად გაყოფილები ერთმანეთს ექილიყებოდნენ, საქმის ცოდნით მსჯელობდნენ სახელმწიფო მოღვაწეებზე. მღეროდნენ ომახიან, მხედრულ სიმღერებს; ბროდვეელ პატრიოტებს შეეთხზათ ეს სიმღერები, მაგრამ, ვაგლახ, ბედის უკუღმართობის წყალობით, ის კი ვეღარ მოეხერხებინათ, რომ თვითონვე წასულიყვნენ საომრად. ერთი სიტყვით, სიმღერებისა და მზიარულებისაგან ჩვენს საბარგო მანქანას სულ ზრიალი გაუდიოდა, მანამ ერთბაშად არ ჩამოწვა ლამე და არ ჩამობნელდა. ხოლო როცა დაბნელდა, ზოგს მაშინვე ჩაეძინა, ზოგს ყინვა გაუჯდა და მიასულმკვდარა, მარტო ორნი ვფხიზლობდით — მე და ის კაცი, ვინც ეს მიამბო. მას სიგარეტები აღმოაჩნდა, მე კი ყურები.

მეტი არაფერი ვიცი ამ კაცისა.

რედფორდი ერქვა. გვარი არ ვიცი, არ უთქვამს. ლაპარაკში ოდნავ სამხრეთულად უქცევდა და ქრონიკული ხველა ჰქონდა, სანგრებისათვის დამახასიათებელი. სამედიცინო სამსახურის კაპიტანის ნიშანი და წითელი ჯვარი ქულზე ეკეთა, როგორც იმ დროს იყო მიღებული.

ეს არის და ეს, მეტი არაფერი ვიცი მისი, რა თქმა უნდა, იმ ამბის გარდა, რასაც ამ მოთხრობაში წაიკითხავთ. ასე რომ, თუ ღმერთი გწამთ, დამატებით ცნობებს ნულარ მომთხოვთ, მე ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია ამჟამად თუ არა.

ამ თხოვნით უმთავრესად იმათ მიემართა, ვისაც მოთხოვნაში ჩვენი ქვეყნის გარკვეული ნაწილის ძაგება მოეჩვენება.

ძაგება სულაც არ არის ეგ — არც არაფრისა და არც არავისი. ეს არის პატარა მოთხოვნა შინ გამომცხვარ ვაშლის ღვეზელზე, ყინულზე ჩაიცებულ ლუღზე, „ყოჩალი ბრუკლინელების“ გუნდზე, სატელეფიზიო გადაცემებზე... ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რისი გულისთვისაც ვომობდით. თუმცა ეგ ისედაც ცხადია, თვითონვე დაინახავთ.

რედფორდი ეიჯერსბურგელი იყო. ტენესის შტატიდან. ეს ქალაქი დაახლოებით ერთი საათის სავალზეა მემფისიდან, როგორც თვითონვე თქვა, რედფორდმა. ეტყობა, მართლაც დიდებული ქალაქია. ერთი ქუჩაა თურმე იქ, — მისს პეკერ სტრიტი. უბრალოდ პეკერ სტრიტი კი არა, არამედ მისს პეკერ სტრიტი. ეს იქაური მასწავლებელი ქალის გვარი ყოფილა, რომელსაც სამოქალაქო ომის დროს სკოლის ფანჯრიდან ჩრდილოელების თითქმის მთელი რაზმი ამოუხოცავს. დროშის ფრიალს კი არ მოჰყოლია რომელიმე ბარბარა ფრიტჩის მსგავსად. არა, მიზანში ამოუღია და ზედიზედ დაუხლია, ხუთი ლურჯმუნდირიანი ყმაწვილი იქვე გაავარა თურმე, მეტი კი ვეღარ მოასწრო, ნაჯახით მივარდნენ. ცხრაშეტი წლისა ყოფილა ის ქალი.

რედფორდის მამა წარმოშობით ბოსტონელი ყოფილა, სავაჭრო აგენტად მუშაობდა თურმე საბუკდი მანქანების მწარმოებელ ფირმაში; პირველი მსოფლიო ომის წინ სამსახურის საქმეზე ეიჯერსბურგში შეუვლია, ერთი ქალი გაუცვნია, შეძლებული ოჯახის შვილი, და ორ კვირაში დაქორწინებულია კიდევ. აღარც ბოსტონში დაბრუნებულია ამის შემდეგ და არც ძველ სამსახურში — ერთი და მეორეც ისე ამოუშლია თავისი ცხოვრებიდან, რომ ერთი ბეწო სინანული არ უგარქვნია. საერთოდ, თავისებური კაცი ყოფილა. ცოლი შვილს

გადაყოლია. და ერთ საათსაც კი არ გაუვლია ცოლის სიკვდილის შემდეგ, რომ ეს კაცი ტრამვაიაში ჩამჯდარა ქალაქგარეთ გასულა და იქ ნახევრად გაკოტრებული, მაგრამ ისე კი საპატიო საგამომცემლო საქმე შეუძენია. გავიდა ამის შემდეგ ექვსი თვე და მან გამოაქვეყნა თავისი წიგნი „სამოქალაქო პროცესუალური უფლებები ამერიკელთათვის“. ამ წიგნს მალე მოჰყვა მთელი სერია ყოვლად ბუნდოვანი სახელმძღვანელოებისა — „საცნობარო სერია ამერიკის საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის“. დღემდეც კი ფართოდ არის ჩვენში ცნობილი ეს წიგნები. მე თვითონ კარგად მახსოვს — მისმა წიგნმა „ამერიკელებს — მეცნიერების საკითხებზე“, მგონი ოცდათორმეტ წელს, ფილადელფიის ყველა სკოლა მოიარა.

უჩვეულო ბავშვობა გაატარა რედფორდმა მამის სახლში. მამა, ეტყობა, ვერ იტანდა იმისთანა ხალხს, ვინც უბრალოდ კითხულობდა წიგნს. პატარაობიდანვე დააწყებინეს რედფორდს ვარჯიში და წრთვნა, ვერ კიდევ იმ ხნისას, როცა ბიჭებმა მარმარილოს პაწია ბურთებს გარდა წესით არაფერი არ უნდა იცოდნენ. მიადგამდა სკამს წიგნის კარადასთან და მანამ ლექსიკონში ამათუიმ სიტყვის მნიშვნელობას არ მოძებნიდა. არ მოეშვებოდა. სუფრას რომ უჯდა, მანამ მთელს პლანეტებს არ ჩამოთვლიდა, — და ისიც არა დაკანონებული მწკრივის, არამედ სიდიდის მიხედვით, — ისე ცერცვის შეკვამანდს არ აღირსებდნენ. ყოველკვირულ ათ ცენტ ჯიბის ფულს ისე არ მისცემდნენ, თუ ამათუიმ ისტორიული პირის დაბადების, გარდაცვალებისა და გამარჯვება-დამარცხების თარიღებს არ იტყოდა. ერთი სიტყვით, თერთმეტი წლის რედფორდმა დაახლოებით ისე იცოდა აკადემიური საგნები, როგორც საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულ მოსწავლეს მოეთხოვება, ხოლო მარტო აკადემიურ საგნებს თუ არ ვიგულისხმებთ, უფრო მეტიც კი. საშუალო სკოლადამთავრებულმა სულაც არ იცის, მაგალითად, როგორ შეიძლება

კაცმა ღამე გაათიოს სარდაფში უბალი-
შოლა და უსაბნოდ.

მაგრამ რედფორდის ბავშვობას ორი
მნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა.
მამის წიგნებში არა ყოფილა ეს მოვლენ-
ები, მაგრამ ისე კი საკმაოდ ახლო იყო
და ნათელსაც ჰფენდა მის ცხოვრებას.
ეს იყო ერთი კაცი, რომელსაც შავ
ჩარლზს ეძახდნენ და პატარა გოგონა
პეგი მური.

პეგი და რედფორდი ერთ კლასში
სწავლობდნენ. თუმცა მთელი წელიწადი
ისე გავიდა, რედფორდს ზედაც არ
შეუხედავს, მართო ის შენიშნა, რომ
გოგონას ყოველთვის პირველს გამოის-
ტუმრებდნენ ხოლმე მართლწერის და-
მატებითი გაკვეთილიდან. მხოლოდ მას
შემდეგ დააფასა იგი, როცა ერთხელ
თვალი მოჰკრა, თუ როგორ მიიწემა
პეგიმ კევი ყელთან, ზედ ლავიწის
ძვლებს შორის; შერხებს შუა გასასვ-
ლელი იყო, და ერთ მხარეს რედფორ-
დი იჭდა, მეორე მხარეს — პეგი. გოგო
კია, მაგრამ კობხად გამოუვიდაო, მა-
შინვე ის გაიფიქრა ბიჭმა. უცებ დაი-
ხარა და შერხებში ჩაძვრა, თითქოს ფან-
ქარს ეძებდა, ჩურჩულთ გასძახა პეგის:
— ჰეი! სულ ასე იწებებ ხოლმე
კევის?

პატარა ლედიმ მოუხედა, პირი ოდნავ
გააღო და თავი დაუკრა. ნასიამოვნები
ჩანდა. მთელი წლის განმავლობაში პი-
რველად გამოელაპარაკა რედფორდი
ასე, უსაქმოდ.

ბიჭი შერხებში დაფათურობდა, არ-
არსებულ ფანქარს ეძებდა.

— გინდა, ერთი ჩემი მეგობარი გა-
ვაცნო გაკვეთილების შემდეგ?

პეგიმ ზელი პირზე აიფარა, თითქოს
ჩაახველა.

— ვინა? — ჰკითხა მან.

— შავი ჩარლზი.

— შავი ჩარლზი ვიღაა?

— არის ერთი კაცი. როიალს უკრავს.
უილარდ სტრიტზე. ჩემი მეგობარია.

— უილარდ სტრიტზე არ გამიშვებენ.

— დიდი ამბავი!

— შენ როდის წახვალ?

— პირდაპირ სკოლიდან წავალ. დღეს

ალარ დაგვტოვებს მასწავლებელი. თვი-
თონვე მომზერდა... წამოხვალ?

— წამოვალ.

და იმავე დღეს წავიდნენ უილარდ
სტრიტზე. პეგიმ შავი ჩარლზი გაიცნო,
შავმა ჩარლზმა — პეგი.

ერთი იაფფასიანი კაფეტერია ჰქონ-
და შავ ჩარლზს, სასაუბრეს უფრო
ჰგავდა, პირდაპირ ტროტუარიდან იყო
შესასვლელი. ქალაქის მმართველებს
თვალში ეკალივით ესობოდა, მთელი ის
ქუჩაც დასანგრევად იყო განწირული,
სულ ეგ საკითხი იღგა მუნიციპალიტე-
ტის სხდომებზე, და გადაწყვეტილიც
ჰქონდათ, ქალაღზე, რაღა თქმა უნდა.
მშობლები საოჯახო მანქანიდან ცერად
გახედავდნენ ხოლმე ამისთანა კაფეტე-
რებს და კბილებში გამოცირდნენ:
„ნამდვილი სოროა! რა სიბინძურეა!“
ერთი სიტყვით, დიდებული კაფეტერია
იყო. რა ბრძანებაა! შავი ჩარლზის ახალ-
გაზრდა კლიენტებს ერთხელაც არ
წამოსტკივებიათ მუცელი ქონში აშიშ-
ხინებული გემრიელი ძეხვისაგან, რი-
თაც განთქმული იყო ეს ადგილი. თუმ-
ცა, კაცმა რომ თქვას, საჭმელად არც
კი დადიოდნენ შავ ჩარლზთან. არა, რა-
კი მიხვალ, ჰამ კიდევ, მაგრამ საგანგე-
ზოდ საჭმელისთვის კაციშვილი არ მი-
დიოდა.

თვითონ შავი ჩარლზის მოსასმენად
დადიოდა ხალხი, როიალს უკრავდა.
ღმერთივით, გამოჩენილი მემფისელი
პიანისტი გეგონებოდა, უკეთესიც იყო.
სვინგსაც უკრავდა, და ზორბადაც, რო-
ცა არ უნდა მისულიყავი, იჭდა და უკ-
რავდა; მიხვიდოდი — უკრავდა, წამოხ-
ვიდოდი — უკრავდა. ეგ კიდევ არაფე-
რი. ნამდვილ მუსიკოსს რა დადღის. ეგ
რა გასაკვირია. კიდევ ჰქონდა ერთი კარ-
გი თვისება, რითაც თეთრკანიანი მუსი-
კოსები იშვიათად თუ დაიკვებნიან. გე-
თილი კაცი იყო; მიხვიდოდი, სთხოვდი,
ეს დაუკარო, ან ისე გამოელაპარაკე-
ბოდი, მუდამ ვისმენდა. თვალებში შე-
მოგყურებდა. სხვებს კი არა ჰგავდა, ზე-
დაც რომ არ შემოგხედავენ.

მანამ რედფორდი პეგის მოიყვანდა
იქა, ეტყობა, თვითონ იყო შავი ჩარლ-

ზის ყველაზე ახალგაზრდა მუსტარი. უკვე ორი წელიწადი იყო, რაც აქ დადიოდა, მარტოდმარტო, კვირაში ორსამჯერ. და თანაც მუდამ დღისით, საღამოთი ვინ გაუშვებდა შინიდან! ამიტომ რედფორდი არა ყოფილა იმ რიარისი და ღრიანცელის მოწმე, რითაც შავი ჩარლზის კაფეტერია იყო ვანთქმული ღამით. მაგრამ დღისითაც არა ნაკლებ ერთობოდა, თუ უკეთესად არა. შეეძლო გამუდმებით ესმინა შავი ჩარლზის ყველა საუკეთესო ნომერი. ოღონდ კი ვაეღვიძებინა! და ერთადერთი გასაჭირიც სწორედ ეგ იყო. დღისით ეძინა ხოლმე შავ ჩარლზს, გამუდმებით ეძინა.

პეგისთან ერთად უილარდ სტრიტზე გავლა და შავი ჩარლზის მოსმენა კიდევ უფრო ტკბილი გამოდგა. მარტო მასთან ერთად იატაკზე ჯდომა კი არ ყოფილა სასიამოვნო, მოსმენაც სასიამოვნო იყო. პეგი ჩაქდებოდა, თავის ერთიანად დალილავებულ-დაბეჭილ მაღალ და მაგარ კანკებს შემართავდა და მუხლებზე ნიკაბით დაეყრდნობოდა, ხელებს კი კოჭებიდან შემოატარებდა და თითებს ერთმანეთში გადახლართავდა; ძალიან მოსწონდა ეს რედფორდს. ისიც მოსწონდა, პირით რომ დაეკვროდა მუხლებს გოგონა და სულგანაბული უსმენდა შავ ჩარლზს, ფეხებზე კი შერე კბილების ნაჭდევები აჩნდა. ახლა შინ რომ ბრუნდებოდა, ისიც უნდა გენახათ: ერთხელაც კი არ გაიღებდა ხმას, დროდადრო პატარა კენჭსა და კონსერვის ქილას თუ წამოჰკრავდა ფეხს, ან, ჩაფიქრებული, პაპიროსის ნაწიწეს თუ გასრესდა. ღმერთითივით გოგო იყო, თუმცა რედფორდი, რაღა თქმა უნდა, ამას არ ეუბნებოდა. ერთი სახიფათო ჩვეულება ჰქონდა — სულ ცოტა რამე და გული აუჩვილდებოდა, ალერსად იქცეოდა, ბევრი საბაბი არც კი სჭირდებოდა.

ისე, სიმართლე არ უნდა დაუკარგო აღამიანს — შავი ჩარლზის ვალვიძებასაც კი შეეჩვია.

ერთხელ, ოთხი საათი იქნებოდა, როცა, ჩვეულებრივ, კაფეტერიაში შევიდნენ.

— რედფორდ, დღეს მე გავადვიებ რა!

— მიდი! თუკი მოახებდები ^{გარკანსული} ~~ლირთხა~~ შავ ჩარლზს ფეხსაცმელები გაეხადა და ძველ, მაგარ ტახტზე დაწოლილიყო. ეძინა. თავის საყვარელ როიალისგან რამდენიმე შავილით იყო დაშორებული.

პეგი უფრო მეცნიერული სიფრთხილით შეუდგა საქმეს.

— რაღას უყურებ! მიდი, გააღვიძე.

— დამაცა, ხელს ნუ მიშლი. ახლაც ვაეღვიძებ.

რედფორდი ამაყად შესცქეროდა.

— ეპ-ეპ! ასე ძვრასაც ვერ უზამ. ზომ ნახე, მე როგორ ვაღვიძებდი? ადგილი უნდა შეარჩიო. ზედ თირკმელებთან. არ გახსოვს?

— აქა? — პეგიმ თითი ატაკა ჩარლზს ზურგის მგრძნობიარე ნაწილთან, რომელსაც იასამინსფერი აკიმი გასდევდა ზოლად.

— მიდი, მიდი.

პეგიმ ხელი მოიმარჯვა და დაარტყა. ერთი კი შეიშმუნა შავი ჩარლზი, მაგრამ გვერდზედაც არ გადაბრუნებულა, არხეინად ეძინა.

— ვერ მოახვედრე. თან, უფრო მაგრადაც უნდა.

პეგიმ გადაწყვიტა, უფრო გამეტებით დაერთყა თავისი მარჯვენა ხელი — მუშტი შემართა, ცერი სალოკ თითსა და არათითს შუა გამოჩარა და ხელი მოიმარჯვა, მოემზადა.

— ცერს მოიტეხ! გესმის?.. ცერი გამოსწი.

— ნუ მიშლი, — ჩაკვივით მოიქნია პეგიმ ხელი, ზურგზე სდრუნა მძინარე ჩარლზს.

ამან მართლაც გასკრა. ჩარლზმა ერთი გულისშემლონებლად შეჰყვირა და ორ მტკაველზე შეხტა ჰაერში — გაუნიავებელი სასაუნზმის შეხუთულ ჰაერში. და ჯერ ისევ ჰაერშივე იყო, როცა პეგი შეეხვეწა:

— შენი ჭირიმე, ჩარლზ, „ლედი, ლედი“ დაუკარი რა!

ჩარლზმა თავი მოიქექა. ტატყა ფეხებზე წინდები წამოიკცა და პიზღაპირ პა-

პიროსის ნამწვებით მოფენილ იატაკზე დაეშვა, თვალი მოჭუტა.

— აჰ, შენა ხარ, პარგარეტ?

— ჰო, ეს არის მოვედით. აქამდე არ გამოგვიშვებს სკოლიდან. შენი ჭირიმე, „ლელი, ლელი“ დაუქარი რა.

— ორშაბათიდან საზაფხულო არდადეგები გვაწყება, — მხიარულად შენიშნა რედფორდმა. — ყოველდღე ვივლით.

— მართლა? დიდებულია, — თქვა ჩარლზმა. თქმა ცოტაა — სულთ და გულით გაიხარა. წამოდგა, წამომართა ამხელა გოლიათი, დამძიმებული, ნაბახუსევი შუბლი მოიფშენიდა და როიალის მიმართულებით გაემართა.

— და უფრო ადრეც მოვალთ ხოლმე. — აღუთქვა პეგიმ.

— მაგას რა აჯობებს, — უპასუხა ჩარლზმა.

— სად მიდიხარ, ჩარლზ, — შესაბამისად რედფორდმა, — მანდეთ ხომ ქალების ოთახია.

— ჯერ არ გაუღვიძია, რედფორდ. მიდი ერთი, კიდევ ამოჰკარი.

კარგი ზაფხული იქნებოდა, აქედან რომ ვუკვირდები — ჩარლზის როიალის ბეგრებით გაქლენთილი. თუმცა ვერ დავივიწყებ: რედფორდს ხომ მთელი თავგადასავალი არ უამზნია, ერთ ამბავს მომიყვა.

ამის შემდეგ მან ნოემბრის ერთი დღის ამბავი მომითხრო. კულიჯის დროს მოხდა ეს, ოლონდ რომელ წელს, ამას ვერ გეტყვი. კულიჯის წლები ხომ ყველა ერთმანეთსა ჰგავს.

მზიანი დღე იყო. ეიჯერსბურგის სკოლის მოსწავლეებმა ერთბაშად ფეთეს სკოლის კარები, ქუჩაში გამოდგრილდნენ და გაიფანტნენ. მარტო რედფორდი და პეგი დარჩა. მისს პეკერ სტრიტზე დიდ სახლს აშენებდნენ და ეგენიც იქ იყვნენ, ყველაზე წვრილი ნივნივი შეერჩიათ სულ მალლა და ზედ გადამჯდარიყვნენ. ირგვლივ არავინ ჩანდა, რომ დაეშალა.

მთელი სართულის სიმაღლეზე ისხდნენ, ფეხებს აქანავებდნენ ქვეყნის მთელ ამბებზე ლაპარაკობდნენ. მკვნიის მოლურჯო კვამლზე, რომერტ პერმანსონის ყურებზე, ელის კოლდუელის კბილებზე, იმაზე თუ როგორი კენჭი ჯობს სასროლად, პაპიროსის კვამლი ცხვირიდან როგორ უნდა გამოუშვა, მელტონ სალზე, ხალზე, რომელთაც პირი უყართ, რამსიგრძე დანა უნდა გქონდეს. რომ კაცს ყელი გამოდადრო...

თავიანთ ფიქრებს უზიარებდნენ ერთმანეთს. პეგი სამხედრო სანიტარი უნდა გამხდარიყო, როცა გაიზრდებოდა. მერე კინომასხიობი, პიანისტი და ბანდიტი, ბრილიანტებსა და დიდ საგანძურს რომ მოხვეტავენ ხოლმე, ოლონდ ცოტას ღარიბებსაც რომ უწილადებენ, სულ არაფრის მქონეებს. რედფორდი მარტო პიანისტობას დასჯერდა. თუმცა, თავისუფალ დროს, ავტომობილბაზეც არ იტყოდა უარს, შოფრის სქელი სათვალეები უკვე ჰქონდა.

მერე შორს გადაუტოპყებიაზე დანამლევენ. მაგრამ ყველაზე დაძაბულ მომენტში წაგებულ მხარეს ჯემპრის ჯიბიდან ძვირფასი საპულდრე ამოუვარდა. დაფაცურდა, დაბლა ჩასვლა მოინდომა, მაგრამ უცებ მოწყდა და ასე, მეტრანხვერის სიმალიდან ჩავარდა, ახალ გაშალაშინებულ ფიცრის იატაკზე დაებერტყა.

— ცოცხალი ხარ? — ჩასძახა მეგობარმა, რომელსაც არც კი უფიქრია მიშველება.

— თავი, თავი, რედფორდი! ვკვდები!

— კარგი, ერთი, ტყუი!

— არ გეხუმრები, მართლა ვკვდები. აბა, ხელი დამაღე.

— შეტი საქმე არა მაქვს, ჩამოვალ და კეფას გაგისინჯავ.

— ჩამოდი რა, — შეეხვეწა პეგი.

ამ ხალხის საქმე მიკვირსო, დუღლუნს მოჰყვა რედფორდი, უთავოდ დადიან, წინ არც კი იყურებიანო, და ჩავიდა.

შუბლიდან შავი, ირლანდიური კულულები გადაუწია დასახიჩრებულს და საქმიანად ჰკითხა:

— სადა გტყვია?

— ყველგან...

— არაფერიც არა გტყვია. დაზიანებაც კი არა გაქვს კანის ქსოვილზე.

— რაო?

— დაზიანება... არც სისხლი გაჩნია, არც განაყწირი. კობიც კი არ დაგჯდომია, — დაეკვებით შეათვალეო და უკან დაიწია, — თავი არც დაგირტყამს, მგონი.

— დავარტყი, როგორ არა. აბა, კიდევ ნახე... აბა, აგერ. აი, სადაც ხელი გიდევს...

— არაფერიც არა გაქვს. მე ისევ მალლა ავძვრები.

— დაიცადე, — შესძახა პეგიმ, — ჯერ აქ მაკოცე. აი, აქა.

— გაკოცო კი არა! ძალიან კი მეხალისება შენი კოცნა!

— მაკოცე, რა. აქ მაინც მაკოცე, — ლოყახე მიიღო თითი პეგიმ.

მობზარდა რედფორდს, შეეცოდა კიდევ და დიდი აღამიანური გულმოწყალება გამოიჩინა — შეუსრულა ეს თხოვნა.

და მაშინვე ვერაგულად განუცხადეს:

— მორჩა, ჩვენ ახლა დანიშნულები ვართ!

— ვერ მოგართევს!.. წავედი მე. ჩარლზს შევევლი.

— არ შეიძლება. არ გახსოვს. დღეს ნუ მოხვალთო. სტუმრები ჰყოლია დღეს.

— არა უშავს, არ გამოიბრაზდება. სულერთია, შენთან მაინც არ დავრჩები. გადაპურჭყება შენ არ იცი და წესიერი ჯდომა. კაცმა თუ შეგიცოდა — აღერსად დაიღვრები.

— როდის, აბა!

— მოკლედ, წავედი. კარგად იყავი.

— დაიცა, მეც მოვდივარ!

კაცის ჭკუანება არ ჩინდა ირველივ, პაერი მშენებლობის ტკბილი სურნელით იყო გაკლენთილი, გამოძვრნენ და შემოდგომის ქუჩებს დაუყვანენ, შავი ჩარლზისკენ გაემართნენ. ნაძვის ქუჩაზე მთელი თხუთმეტი წუთი იდგნენ და უყურებდნენ, როგორც გამწარებით

ფაფხურობდა ორი გულმოსული მებანუძრე, ნაძვის ხის კენწეროზე კმეჭერულ კნუტის ჩამოყვანას ცდილობდნენ. თქმვე ვილაც დედაკაცი იდგა, იპონური კომონო ეცვა, საშინლად გაკაპანებულიყო და დარიგებას იძლეოდა — ასე და ასე ჩამოიყვანეთო. ბევრებმა ჯერ ამ ქალს მოუსმინეს, მერე მებანძრეებს გადახედეს, და ერთმანეთისთვის არც კი გაუმხელიათ ისე, ორივეს შეეცოდა კატა. მაგრამ კნუტს სულაც არ აწუხებდა ამათი ფაცხა-ფუცხი, ისეუბა უცებ, ერთ-ერთ მებანძრეს თავზე დაეცა და რიკოშეტით მეორე ხეზე ავარდა. რედფორდმა და პეგიმ გზა განაგრძეს, ჩაფიქრებულიყვნენ, თითქოს შეცვლილიყვნენ კიდევ. ამ დღემ, რატომღაც, სამუდამოდ დაამახსოვრა მათ მზით დაფერილი ხე, მებანძრის მუზარადო და ერთი კნუტი, რომელიც ისე დახტოდა, რომ შენი მოწონებული!

— რომ მივალთ, კარებზე დავრეკათ, — თქვა რედფორდმა, — პირდაპირ შესვლა დღეს არ შეიძლება.

— აბა.

კარი თვითონ შავმა ჩარლზმა გაუღო. ეჩინა რა სათქმელია! გაპარსულიყო კიდევ. პეგიმ ხელად მიახალა:

— ნუ მოხვალთო, შენ გვიტხარი, მაგრამ რედფორდს მოუნდა.

— შემოდით, შემოდით, — გულიანად მიიპატიჟა შავმა ჩარლზმა. სულაც არ გაბრაზებულა.

რედფორდი და პეგი დარცხვენით შეჰყვანენ, თან თვალებს აციეებდნენ, სტუმრებს ეძებდნენ.

— დისშვილი მესტუმრა, — უთხრა ბავშვებს შავმა ჩარლზმა, — დედასთან ერთად ჩამოვიდა სამხრეთიდან, ფლორიდიდან — ჩვენ იქაურები ვართ.

— ისიც უკრავს? — ჰკითხა რედფორდმა.

— არა, მომდერალია.

— ფარდები რატომ არის ჩამოშვებული? — ჰკითხა ახლა პეგიმ, — რატომ არ ასწიე, ჩარლზ?

— მე სამხარეთლოში ვითითხნები რომ დამეხმარებოდეთ და ასწევდეთ.

კარგს იზამდით, — და ისევ სამზარეულოში გავიდა ჩარლზი.

ბავშვები ფანჯრებს მიცვივდნენ და ფარდების აწვეა იწყეს, ერთი ერთ ბოლოდან მოჰყვა, მეორე — მეორედან. სახლში თანდათან შემოვიდა დღის შუქი. უკვე გათამამდნენ, მორცხვობას სძლიეს: ჩარლზის დიშვილი ყოფილა, სადაური სტუმარია!

მაგრამ როიალს რომ გაუპირდაპირდა რედფორდი, ერთბაშად შეეკრა სუნთქვა: როიალს ვიღაც უჭდა და მას შეჰყურებდა. რედფორდმა უნებურად შეუშვა ხელი ზონარს და ფარდა შრილობით აგარდა.

— და სტქვა უფალმა — იყავნ ნათელი, — წარმოთქვა როიალთან მჭდარმა ქალიშვილმა. ესეც ჩარლზივით შავი იყო, — ესეც ასე. ჩემო ძმობილო, — წყნარად დასძინა მან.

ყვითელი კაბა ეცვა, თმაზედაც ყვითელი ბაფთა ეკეთა. რედფორდის შემოშვებული სინათლის ქავლი მარცხენა ხელზე მოხვდა. ხელი ჩარლზის როიალის ხუფზე ედო და გრძელი, ჩამოქნილი თითებით რაღაც ნელი, და ძალიან თავისებური მელოდია გამოჰყავდა. მეორე ხელში ჩაფერფლილი სიგარეტი ეჭირა. ულაშაზო ქალი იყო.

— ფარდა აეწიე, — ძლივს ამობლულულულა რედფორდმა.

— ვხედავ, — მიუგო ქალმა, — ყოჩაღ!

ქალი იღიმებოდა.

პეგიც მოვიდა.

— გამარჯობათ, — თქვა მან და ხელები ხურგზე დაიწყო.

— შენც გაგიმარჯოს, — მიუგო ქალმა. რედფორდმა შენიშნა, რომ ფეხსაცმი იგი რაღაც რიტმს აყოლებდა.

— ჩვენ თითქმის სულ აქა ვართ, — განმარტა პეგიმ, — ჩარლზის საუკეთესო მეგობრები ვართ.

— ყოჩაღ! — თქვა ქალმა და თვალი ჩაუკრა.

სამზარეულოდან, თავისი დიდი, ლამაზი ხელების წმენდით, შავი ჩარლზი გამოვიდა.

— ლიდა-ლუიზა, — მიმართა მან/დისწულს, — ესენი ჩემი მეგობრებია, — მისტერ რედფორდი და მისი მარგარეტი, — მერე ბავშვებს მიუბრუნდა, — ეს, კიდევ, ჩემი დისწულია, მისს ლიდა-ლუიზა ჯონსი.

— ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, — მიუგო დისწულმა, — ლორდ პლიუშზადთან გავიცანი. იმ კვირია აგერ ამ ყმაწვილთან, — თავით რედფორდი უჩვენა, — მადჯონგიც ვითამაშეთ ვერანდაზე.

— იქნებ უმღერო რამე ბავშვებს, — სთხოვა ჩარლზმა.

ლიდა-ლუიზას თითქოს არც გაუგონია. პეგის შეჰყურებდა.

— შეყვარებულები ხართ? — ჰკითხა მან პეგის.

— არა, — დაასწრო რედფორდმა.

— დიახ, — მიუგო პეგიმ.

— რა მოგწონს მერე ამ ბიჭისა? — ჩაეკითხა ლიდა-ლუიზა.

— რა ვიცი, — უპასუხა პეგიმ, — მასწავლებელი რომ გამოიძახებს დაფასთან, მაშინ მომწონს.

რედფორდს აღმამფთოთებელ სისულელედ მოეჩვენა ეს სიტყვები;

— გაიგონე, ძია, პატარა მარგარეტმა რა თქვა? — გასძახა ლიდა-ლუიზამ შავ ჩარლზს.

— არა. რაო? — შავმა ჩარლზმა როიალის ხუფი ასწია, და სიმებზე რაღაცას დაუწყო ძებნა — იქნებ სიგარეტს, ან საწებელის საცობს.

— დაფასთან დგომა უხდება ამ ბიჭს და იმიტომ შემიყვარდაო.

— რას ამბობ? — თავი აიღო და მობრუნდა შავი ჩარლზი, — უმღერე რამე ბავშვებს, ლიდა-ლუიზა.

— სიამოვნებით. როგორი სიმღერა უყვართ?.. ნეტა, ვინ ამაცალა სიგარეტები! აქა მჭონდა.

— ძალიან ბევრსა სწევ, ლიდა-ლუიზა. არაფრის ზომა არ იცი. მაგას ისა ჯობს, იმღერო, — უთხრა ბიძამ. ის უკვე როიალთან იჯდა, — უმღერე ბავშვებს — „არავის ვუყვარვარ, არავის მიბრალებს“.

— ეგ სადაური საბავშვო სიმღერაა.

— ამ ბავშვებს სწორედ მაგისტრის სიმღერები უყვართ.

— კი, ბატონო, — ადგა და როიალთან გაეჩრდა. მაღალი ქალი იყო. რედფორდსა და პეგის, რომელთაც უკვე მოესწროთ იატაკზე ჩაჯდომა, კისერი მოედრით მალა ყურებით.

— რომელი გასაღები გინდა?

ლიდა-ლუიზამ მხრები აიჩეჩა.

— ჩემთვის სულერთია, — მიუგო მან და ბავშვებს თვალი ჩაუკრა, — მწვანე იყოს, ჩემს ფეხსაცმელებს მოუხდება.

შავმა ჩარლზმა აკორდი აიღო, და მისი დისწულის ხმა ვაძვრა ნოტებს შორის და ხელადვე მათ შეერია. ის იმღერა — „არავის ვუყვარვარ, არავინ მიბრალებს“. როცა დაამთავრა, რედფორდს ერთნაირი უვლიდა ტანში. პეგის შეკრული მუშტი მისი ქურთუკის ჯიბეში აღმოჩნდა. ბიუს არც კი გაუგია, როდის ჩაუყო ხელი, მაგრამ ახლაც არაფერი უთქვამს, გაჩუმდა.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, რედფორდი ცდილობდა განემარტა ჩემთვის, რომ ლიდა-ლუიზას ხმა რაღაც განსხვავებული იყო, და ამის აღწერასა თუ გადმოცემას ვერავინ მოახერხებდა. ვიცი, რასაც გულისხმობ, თითქმის მისი ყველა ჩანაწერი მაქვს-მეთქი, ვუთხარი. თუმცა მე მგონი, მაინც შეიძლება სცადოს ეს კაცმა.

ძლიერი და რბილი ხმა ჰქონდა ლიდა-ლუიზას. ყოველ ნოტზე თავისებურ, ოდნავ შესამჩნევ, დეტონირებას აძლევდა ხოლმე. ნახად და ალერსით შემოძვრებოდა შენს სულში (ავიფორიაქებდა სულს). მისი ხმის აღწერას ვერავინ მოახერხებსო, ამით, ალბათ, ის უნდოდა ეთქვა, რომ ვერაფერს შეადარებდი ამ ხმას. და ამას მართალს ამბობდა.

სიმღერა რომ დაამთავრა, ბიძის სკამქვეშ თავისი სიგარეტები შენიშნა.

— აჰ, აჰ ბრძანებულხართ! — თქვა მან, დაიხარა, გამოიღო და მოუკიდა.

ბავშვები მონუსხულებივით შეჭყურებდნენ.

შავი ჩარლზი წამოდგა.

— ცივად მოხარული ხორცი მაქვს, განაცხადა მან, — ვინ ინებებს?

შობის კვირას, საღამოობით, უკვე საჯაროდ გამოდიოდა ლიდა-ლუიზა ბიძის კაფეტერიაში და მღეროდა. ორშაბათ საღამოს რედფორდმა და პეგიმ შინ განაცხადეს სკოლაში მიედღივართ ჰიგიენის ლექციებზე და ლიდა-ლუიზას პირველსავე გამოსვლას დაესწრნენ. შავმა ჩარლზმა განაპირა მაგიდაზე დასვა ისინი, ზედ როიალთან და თითო ბოთლი კენკრის ბურახი დაუდგა, მაგრამ ისე დღეადნენ, რომ ბურახი ვიღას გაახსენდებოდა. პეგი ნერვიულად ურტყამდა კბილებს ბოთლის ყელს, რედფორდი კი სულაც არ გააკარებია თავის ბოთლს. ხალხმა მაშინვე შენიშნა ბავშვები, „ანგელოზებივთ არიანო“. სულ ახალგაზრდობა შეყრილიყო, არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტები. შეიქნა ჩურჩული და გადალაპარაკება, ბავშვებზე ანიშნებდნენ ერთმანეთს. ცხრა საათი იქნებოდა, კაფე სულ გაქედილიყო ხალხით, როცა შავი ჩარლზი წამოდგა და ხელი ასწია. მაგრამ სადღესასწაულოდ განწყობილ, გამხიარულებულ ხალხზე ამან ვერ გასჭრა, ღრიანცელი მაინც არ დაცხრა. მაშინ პეგი, რომელიც არასოდეს არ გამოიჩინოდა დიდი თავზიანობით, თავისივე სკამზე შემოტრიალდა და იწვილა: „რა ამბავია, აღარ გაჩუმდებით!“ ახლა კი მართლაც დაწყნარდა ხალხი. ჩარლზმა მოკლედ მოკრა.

— დისწული შესტუმრა, — გამოაცხადა მან, — ლიდა-ლუიზა. და ახლა იმღერებს.

ჩარლზი დაჯდა, გამოვიდა თავის ყვითელ კაბაში ჩაცმული ლიდა-ლუიზა და როიალის მახლობლად გაეჩრდა. ხალხმა თავზიანობის ვალი მოიხადა, ტაში დაუკრეს, თუმცა დიდს არაფერს მოელოდნენ. ლიდა-ლუიზა რედფორდისა და პეგის მაგიდასთან დაიხარა, თითები რედფორდის ყურთან გაატაკუნა და ჰკითხა: „არავის ვუყვარვარ, არავინ მიბრალებს?“ და ბავშვებმა ერთხმად წამოიძახეს — „ღიახ!“

იმღერა ლიდა-ლუიზამ ეს სიმღერა, და თითქოს ყველაფერი თავდაყირა დადგა. პეგის ტირილი წასკდა, რა მოგივიდაო, რედფორდმა ჰკითხა. „არ ვიცი“, ზღუქუნით უპასუხა გოგონამ. რედფორდზეც მაგრად ემოქმედა სიმღერას. უცებ, არც აცია არც აცხელა, პირდაპირ მიახალა: „ძალიან მიყვარხარ პეგი!“ ამაზე კი ისეთი ტირილი ამოუშვა გოგონამ, რედფორდი იძულებული გახდა შინ წაეყვანა.

აღბათ, მთელი ნახევარი წელიწადი გამოდიოდა ლიდა-ლუიზა სადამოობით შავი ჩარღვის კაფეტერიაში. მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, ლუის პაროდ მედოუზმა მოუსმინა და მემფისში წაიყვანა. გაყოლით კი გაჰყვა ლიდა-ლუიზა, მაგრამ რაღაც არ ეტყობოდა. დიდად ვახარებოდეს წინ გადაშლილი „ბრწყინვალე შესაძლებლობანი“. რედფორდის აზრით, ვინმეს გადავეყრებით, ფიქრობდა. ან მე მომძებნის ვინმეო. ყოველ შემთხვევაში, მე ჰკუთხათან ახლოს მეჩვენა ეს მოსაზრება.

მანამ ეიჯერსბურგში იყო ქალი, იქაური ახლაგაზრდობა ჰკუთხა ჰეარგავდა მასზე, თაყვანსა სცემდა. თითქმის ყველას ესმოდა მისი ფასი; ვისაც არ ესმოდა, თავს ისე აჩვენებდა, მესმისო. შაბათობით ნაცნობებს იწვევდნენ ხოლმე ქალაქში მის მოსასმენად. ინსტიტუტების განუთებში ვინც აგზავნიდა კორესპონდენტციებს. იმათ ცამდე აჰყავდათ, მოხდენილი პროზით ასხამდნენ ქებას. სხვები ქედმალურად ჩაიციებდნენ, როცა სხვა ქალაქიდან ჩამოსული სტუდენტი ლაპარაკში ვაიოლეტ ჰენრის, ელის მისი სტარბეკს, პრისცილა ჯორდანს ახსენებდა; ესენი იყვნენ ბლიუზების სახელგანთქმული შემსრულებლები; ჰარლემელებს, ახალ ორლეანელებსა და ჩიკაგოელებს ამ მომღერლებით მოჰქონდათ თავი. თქვენ ვინა ხართო, ეუბნებოდნენ, თქვენს ქალაქში ლიდა-ლუიზს არ უმღერია, ვინა მყევხართ, რაღა უნდა გელაპარაკოთ!

ლიდა-ლუიზაც სათანადოდ უპასუხებდა ხოლმე ეიჯერსბურგელი ყმაწვი-

ლების ასეთ სიყვარულს. რაც არ უნდა ეთხოვათ, და რამდენიც აჩუქნდა ეთხოვათ ზედისზედ, „დიდებულნი“ სიმღერააო“, იტყოდა და იმღერებდა.

ერთ შაბათ სადამოს სმოკინგში გამოწყობილი ყმაწვილი, — იელის უნივერსიტეტის სტუდენტი ვარო, ამბობდა, — როიალს მიუახლოვდა და ლიდა-ლუიზას ჰკითხა:

— შემთხვევით, „ჰექსონვილის საფოსტო მატარებელი“ ხომ არ იცით?

ლიდა-ლუიზამ ჯერ ისე ახედა, მერე კარგად დააკვირდა და უთხრა:

— სად მოგისმენიათ ეგ სიმღერა, ყმაწვილო?

იელს სტუდენტად გასადებულმა ჰპაუტმა უპასუხა:

— ნიუიორკში უკრავდა ერთი კაცი.

— შავკანიანი?

სტუდენტმა სწრაფად დაუკრა თავი.

— ენდიკოტ უელსონი ხომ არ იყო? არ იცით? — ჩაეკითხა ლიდა-ლუიზა.

— ვერ გეტყვით. ერთი დამპალი კაცი იყო. უღვაშა.

ლიდა-ლუიზამ თავი დაუქნია.

— ახლაც ნიუ იორკშია? — ჰკითხა მან.

— მე საიდან მეცოდინება, ახლა სად არის. აღბათ იქვეა... ჰა, არ იმღერებთ?

ლიდა-ლუიზამ ისევ დაუქნია თავი და თვითონვე მიუჯდა როიალს. თან უკრავდა და თან მღეროდა „ჰექსონვილის საფოსტო მატარებელს“.

ვინც იმ დროს იქ იყო, ერთხმად აღიარეს, დიდებული სიმღერააო. ყოველ შემთხვევაში თავისებური მგლოდია იყო. ერთი ბედნავი ბიჭის ამბავია — პერანგის საყვლოზე პომადის ლაქა დასჩენოდა. როგორც რედფორდი ვარაუდობდა, და მეც ასე მგონია, მაშინ იმღერა და ის იყო და ის, მეტად აღარც უმღერია ლიდა-ლუიზას ეს სიმღერა. თუ არ ცვდები, ჩაწერილიც არ უნდა იყოს.

ახლა ჯანის ისტორიასაც გადავაყოლოთ თვალი. ლიდა-ლუიზა თითქმის მთელი ოთხი თვე მღეროდა ლუის პაროდ მედოუზის განთქმულ საჯარო ცენტრში. ბილ სტარბეკ. მემფისში

(1927 წლის მაისის ბოლო იყო, რომ მივიდა, და იმავე წლის სექტემბერამდე გამოდიოდა). ცოტა დრო იყო თუ ბევრი, ეს, როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. ორი კვირის მისული არც კი ყოფილა ლიდა-ლუიზა ბილ სტრიტზე, და მის გამოსვლამდე თითო საათით ადრე უკვე ხალხი აწყდებოდა შესასვლელს. გრამფირფიტების კომპანიებმა თითქმის თავიდანვე შეუტეხეს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ. პირველივე თვეში მთელი ცხრა ფირფიტა ჩაიწერა, მათ შორის— „ღმილის ქალაქი“. „შეტუხა გოგოს“, „არავის ვუყვარვარ, არავინ მიბრალეებს“ და „ასე მგონია, შინა ვარ-მეთქი“.

ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა ჯახთან (ნამდვილი ჯახი იგულისხმება), ჩამოდიოდნენ და ისმენდნენ, მანამ ლიდა-ლუიზა იქ გამოდიოდა. რასეღ ჰაიტონი, ჯონ რეიმონდ ჯული, იზი ფელი, ლუი არმსტრონგი, მარ მაკ ნილი, ფრედი ჯენკსი, ჯეკ ტიგარდენი, ბერნი და მორტი გოლდი, უილი ფუქსი, გუდმენი. ბაიდერბეკი, ჯონსონი, ერლ სლეიგლი... ერთი სიტყვით, ყველანი.

ერთ შაბათ საღამოს მედოუსს დიდი სედანი მოადგა ჩიკაგოდან. ჩამოსულთა შორის ჯო და სანი ვარიონიც აღმოჩნდნენ. მეორე დღეს სხვა ჩამოსულები უკანვე გაბრუნდნენ, ესენი კი დაჩანენ. ორი დღე ისტდნენ სასტუმრო „პიზოდში“ და სიმღერას თხზავდნენ. ჩიკაგოში გამგზავრების წინ კი ლიდა-ლუიზას „პატარა პეგი“ უძღვნეს. ეს იყო სიმღერა სენტიმენტალურად განწყობილ გოგონაზე, რომელსაც თავისივე კლასელი ბიჭი შეუყვარდება, დაფასთან მდგარი. (ახლა ვერასდიდებით ველარ იპოვი „პატარა პეგის“ ლიდა-ლუიზას შესრულებით. მეორე გვერდზე ჩაწერილ სიმღერას რალაც დეფექტი აღმოაჩნდა და კომპანიამ სულ რამდენიმე ცალი ფირფიტა გამოუშვა).

დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რატომ მიატრია ლიდა-ლუიზამ მედოუსი, და საერთოდ მემფისიდან რად გაემგ-

ზავრა. რედფორდი და კიდევ რამდენიმე კაცი ვარაუდობდნენ, ^{უკანა} უსაფუძვლოდ, — რომ ^{შესვლა} რამდენადმე, და იქნებ მთლიანადაც, დაკავშირებული იყო იმ ამბავთან, რაც ბილ სტრიტის კუთხეში მოხდა.

მედოუსიდან წასვლის დღეს, თორმეტ საათზე, ლიდა-ლუიზა ქუჩაში უნახავთ, ვილაც დაბალ-დაბალ, კარგად ჩაცმულ შავკანიან ჯენტლმენს ელაპარაკებოდა. კაცმა არ იცის, ვინ იყო, ოღონდ ეს კი დაუნახავთ, რომ უცებ ლიდა-ლუიზამ მოიქნია და თავისი ჩანთა სახეში სთხლიშა იმ ვეებატონს. მერე მედოუსის რესტორანში შევარდა, ოფიციატებსა და ორკესტრანტებს შორის გაძვრა, თავის საპირფარეოში შევიდა და კარი მოიჯახუნა. ერთ საათში უკვე წასასვლელად იყო გამზადებული.

იქიდან ეიჯერსბურგში დაბრუნდა. აბრეშუმის ახალი ტანსაცმელი არ ჩაუტანია თან, არც დიდ ბინაში გადასულა, დედასთან ერთად. უბრალოდ დაბრუნდა, ეს იყო და ეს.

ჩავიდა თუ არა, რედფორდსა და პეგის წერილი მისწერა. ალბათ, შავი ჩარლზის ჩაგონებით, — რომელსაც, ისევე როგორც ყველას ეიჯერსბურგში, რედფორდის მამისა ეშინოდა, — წერილი პეგის მისამართით გაგზავნა.

„ძვირფასო ბავშვებო,

მე დაებრუნდი. რამდენიმე მშვენიერი სიმღერა ჩამოვიტანე თქვენთვის. ასე რომ მალე მოდიეთ და მინახულიეთ.

სულითა და გულით თქვენი

მისს ლიდა-ლუიზა ჯონსი“.

სწორედ იმავე სექტემბერში რედფორდი პანსიონში გააგზავნეს. წასვლის წინ შეემა ჩარლზმა, ლიდა-ლუიზამ, ლიდა-ლუიზას დედამ და პეგიმ გამოსამწვიდობებელი პიკნიკი მოუწყვეს.

შაბათ დილას, თერთმეტ საათზე, რედფორდი პეგისთან მივიდა. იქ მათ შეემა ჩარლზმა გამოუარა თავისი ძველი, ჩაქულებილი ავტომობილით და ქალაქგარეთ გაემგზავრნენ.

შავმა ჩარლზმა ზღაპრული დანით გასჭრა კანაფი, რითაც რალაც უცნაური

კოლოფები იყო შეკრული. პეგის ცივად მონარშული ხორცი უყვარდა. რედფორდი შემწვარ წიწილებს უფრო ამჯობინებდა, ხოლო ლიდა-ლუიზა იმ ხალხს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ცოტას მოციცქნიან ხოლმე ქათმის ბარკალს და ხელად სიგარეტს გაიჩრიან პირში.

მანამ სავმელს ჭიანჭველები არ დაესია, ბავშვები გემრიელად შეეჭკეოდნენ. შავმა ჩარლზმა პეგის ხორცის ნაჭერი დაუტოვა, რედფორდს წიწილის ფრთა, და კოლოფები ისევ კოხტად შეახვია.

მისის ჯონსი მწვანეზე წამოწვა და ჩაეძინა. შავი ჩარლზი და ლიდა-ლუიზა ბანქოს ჩაუჭდნენ. პეგის გამოჩენილ ადამიანთა სურათები წამოედო თან, რიჩარდ ბარტელმესისა, მაგალითად, რიჩარდ დიკსისა, რეჯინალდ დენისა... მზეზე გაშალა ეს სურათები, ხეებზე მიაცუდა, და უცქერდა, ტკბებოდა. რედფორდი კი გულადმა დაწვა და ცაში მოსრიალედ ღრუბლის დიდ ქულებს დაუწყო ყურება. უცნაური კია, მაგრამ მოეფარებოდა თუ არა ღრუბელი მზეს, თვალს დახუჭავდა, და მხოლოდ მაშინ გააღებდა, როცა ისევ გამოაქყეტდა მზე და დახუჭულ წამწამებში შეატანდა. ეინ იცის, მანამ თვალი დახუჭული აქვს. იქნებ სამყაროს აღსასრულიც დადგეს!

და მართლაც დადგა სამყაროს აღსასრული. ყოველ შემთხვევაში, მისი საყუთარი სამყაროსი.

უცებ შემადრწუნებელი წამოკვივლება ჩაესმა. ქალის ხმა იყო. წამოხტა და ხედავს — ლიდა-ლუიზას თავის გამხდარ მუცელზე მოუჭერია ხელები და კოტრილობს. შავი ჩარლზი ცდილობდა თავისკენ გადმოებრუნებია საშინელი ტყვილისაგან ასე უხერხულად დაკვრანხებული ქალი. სახე ერთბაშად გადატეტკოდა ჩარლზს.

რედფორდი და პეგი მაშინვე იქ გაჩნდნენ.

— რა ჭამა? რა შეიძლებაოდა ეჭამა? — ისტერიკულად ჩასძახოდა ძმას მისის ჯონსი.

— არაფერი! ერთი ლუკმაც კი არ უჭამია ხეირიანად, — უპასუხა სასოწარკვეთილმა ჩარლზმა. გამწვარებულ ცდილობდა რამე მოეხერხებინა ლიდა-ლუიზას მოკუნტული სხეულისათვის.

რედფორდს უცებ თავში რალაცამ გაუეღვა. მამის წიგნი მოაგონდა — „პირველი დახმარება ამერიკელთათვის“. მუხლებზე დაეშვა და ორი თითი მაგრად დააჭირა მუცელზე ლიდა-ლუიზას. ქალმა არაადამიანური ხმით იკივილა.

— აპენდიცია. აპენდიცის გასკდომია. ან საცაა გაუსკდება, — უთხრა მან შავ ჩარლზს, — საავადმყოფოში უნდა გავაქანოთ.

შავმა ჩარლზმა ერთი ნაწილი მაინც გაიგო ნათქვამისა და თავი დაუქნია.

— ფეხებში მოჰკიდე ხელი, — უბრძანა მან დას.

მანქანისკენ რომ მიჰყავდათ, მისის ჯონს ხელიდან გაუვარდა. რედფორდი და პეგი სწვდენ მაშინვე და თითო ფეხი დაიჭირეს. შავმა ჩარლზმა, ბავშვების დახმარებით, ძლივს შეათრია აკვნესებული ქალი; წინა სავარძელზე მოათავსა. რედფორდი და პეგიც იქვე შევიდნენ. პეგის ლიდა-ლუიზას თავი ეჭირა. მისის ჯონსი მარტო დარჩა უკანა სავარძელზე. და იქიდან კიდევ უფრო გულისწამლები კვნესა ისმოდა.

— ბენტონ სტრიტზე წავიყვანოთ, — უთხრა რედფორდმა შავ ჩარლზს.

ისე უკანკალებდა ხელები შავ ჩარლზს, რომ ძრავის ჩართვა ვერ მოახერხა. რედფორდმა საკის წკირებში გააძვრინა ხელი და გასაღები გადასწია. მანქანა აიძრა.

— ბენტონ სტრიტზე ხომ კერძო საავადმყოფოა! — დაეჭვებით თქვა შავმა ჩარლზმა.

— იყოს, მერე. ოღონდ ჩქარა, ჩქარა, ჩარლზ!

რედფორდი კარნახობდა ჩარლზს, როდის გადაეყვანა მეორე სიჩქარეში. მესამეში. ჩარლზს მარტო ერთი რამ ახსოვდა — რაც შეიძლება ჩქარა ევლო.

პეგი შუბლზე უსვამდა ხელს ლიდა-

ლუიზას. რედფორდი გზას გაპყურებდა. მისის ჯონსი შეუჩერებლად მოსთქვამდა. ლიდა-ლუიზა ბავშვების კალთაზე გაწოლილიყო, თვალები დაეხუჭა და კენესოდა, კენესოდა...

როგორც იქნა მიაღწიეს საავადმყოფოს.

— მთავარ შესასვლელთან მიაყენე, — უთხრა რედფორდმა.

— მთავარ შესასვლელთან? — ჩაეკითხა ჩარლზი.

— ჰო, ჰო, მთავარ შესასვლელთან, — გაუმეორა რედფორდმა, და მოუთმენლობისაგან მუხლზე დაჰკრა ხელი.

შავმა ჩარლზმა მორჩილად შემოხაზა საავადმყოფოს წინ ნახევარწრე და მთავარი შესასვლელის წინ დაამუხრუჭა, თეთრ, მაღალ კართან.

რედფორდს მანქანის კარი არც კი გაუღია, ზევიდან ამოძვრა და საავადმყოფოს კიბეს ეცა.

ვესტიბიულში, სარეგისტრაციო მაგიდას მდგომარეობდა, ყურსაცვამები ეკეთა.

— ლიდა-ლუიზა მოვიყვანეთ... კვდება! — სხაპასხუპით მიყვარა რედფორდმა, — აპენდიციტი უნდა ამოაჭრან დაუყოვნებლივ.

— ჩი...ჩი... — გაიუმემა სცადა მდგომარეობაში, რომელიც ყურსაცვამით რადიოს უსმენდა.

— თუ ღმერთი გწამთ! — კვდება-მეთქი, ავი გითხარით.

— ჩი...

რედფორდმა ყურსაცვამი მოაძრო.

— მაპატიეთ, — უთხრა მან, — გამომაყოლეთ ვინმე. მანქანიდან გამოვკვანინეთ. კვდება!

— ეს, მომდერალი რომაა? — ჰკითხა მდგომარეობაში.

— დიახ, დიახ! ლიდა-ლუიზა, — ამყვად უპასუხა გახარებულმა ბიჭმა.

— ძალიან კი ვწუხვარ, მაგრამ ზანგებს ვერ მივიღებთ ჩვენს საავადმყოფოში, აკრძალული გვაქვს... ძალიან კი ვწუხვარ...

რედფორდი გაშრა, პირი დაალო.

— ყურსაცვამი დამიბრუნეთ, თუ შეიძლებოდა, — დამშვიდებით მიმარ-

თა მდგომარეობაში. მას აგრერიგად ვერ ააღწერებდით.

რედფორდმა ყურსაცვამი იქვე დააგდო, შებრუნდა და საავადმყოფოდან გავარდა.

— ჯეფერსონის საავადმყოფოში! ნაძვის ქუჩისა და ფენტონ სტრიტის კუთხეში!

შავ ჩარლზს ხმა არ გაუღია. ძრავი ჩართო და მოწყვეტით დასძრა მანქანა.

— რა მოხდა? ეგ ხომ კარგი საავადმყოფოა, — დაიბნა პეგი, ლიდა-ლუიზასთვის შუბლზე ხელის სმა არ შეუწყვეტია.

— სამაგელი საავადმყოფოა! — მოუჭრა რედფორდმა, გვერდზე არც კი გაუხედავს, შავი ჩარლზის თვალებს არ წაეფიქრებო.

მანქანამ ფენტონ სტრიტზე შეუხედა და ჯეფერსონის საავადმყოფოს წინ გაჩერდა. რედფორდი ისევ გადმოვიარდა. ამჯერად პეგიც გამოჰყვა.

აქაც ისეთივე სარეგისტრაციო მაგიდა იდგა, ოღონდ მაგიდას აქ მდგომარეობდა არ უჭდა. ტილოს თეთრ კოსტუმში გამოწყობილი კაცი იყო. იჭდა და გაზეთს კითხულობდა.

— ჩქარა, თქვენი ჰირიმი. ქალი მოვიყვანეთ მანქანით. კვდება. ეტყობა, აპენდიციტი გაუსკდა. ოღონდ ჩქარა, თქვენი ჰირიმი.

თანამშრომელი წამოხტა და სწრაფად გაჰყვა რედფორდს. გაზეთი იატაკზე დაეარდა.

რედფორდმა კარი გამოალო. თანამშრომელმა შავი ჩარლზის მუხლებზე ლიდა-ლუიზას ტყვილისაგან შეშლილ სახეს მოჰყრა თვალი.

— ა-ა! მე ხომ ეჭმი არა ვარ! ერთი წუთი დამიცადეთ.

— ბარემ გავიყვანოთ! — დაიღრიალა რედფორდმა.

— ერთი წუთი, — გაიმეორა თანამშრომელმა. — ახლაც მორიგე ქირურგს დაგუქახებ.

თქვა და გაბრუნდა, ხელი პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო, რათა უფრო მეტი უშუალობა გამოეჩინა.

რედფორდსა და პეგის უკვე წამოეწიათ ლიდა-ლიუზა და ახლა ისევ დაუშვეს. თანამშრომელს გამოენთენ — ჯერ რედფორდი, მერე პეგი. მიაღვა თანამშრომელი ტელეფონს, და ესენიც წამოეწიენ. იქვე იღვა ორი მედლა და ვილაც ქალი, რომელსაც ყელშებევეული ბიჭი მოეყვანა.

— აქეთ, მოიხედეთ! მე ყველაფერი ვიცი. არ გინდათ მიიღოთ, ხომ?

— ერთი წუთი დაგვიცადეთ, აქი გითხარით. მორიგე ქირურგს უნდა დავურგო... აბა, პიჯაკს ხელი! აქ საავადმყოფოა, ის კი არ არის!..

— ნულარ შეიწუხებთ თავს, — კბილუბში გამოსცრა რედფორდმა, — ნულარ დაურგავთ. სხვა საავადმყოფოში წავიყვანთ. კარგ საავადმყოფოში. მემფისში.

და სიბრაზისაგან ნახევრადაბრმავებული კარისკენ შებრუნდა.

— წავიდეთ, პეგი.

მაგრამ მთელი ტანით აცხცახებულმა პეგიმ ერთი წუთით უფრო გვიან დასტოვა ბრძოლის ველი. იქ მყოფთ მიუბრუნდა და შესძახა:

— მხეცები ხართ, პირუტყვები!

და რედფორდს გაჰყვა.

მანქანა კვლავ დაიძრა. მაგრამ მემფისამდე ვეღარ ჩააღწიეს. ნახევარი გზაც არ გაუვლიათ.

ლიდა-ლიუზას თავი რედფორდს ესვენა კალთაში. მანამ მანქანა მოძრაობდა, თვალი ერთხელაც არ გაუხელია ქალს. მაგრამ შავმა ჩარლზმა უცებ შექნიშანთან დაამუხრუჭა მანქანა, ეს მოხდა პირველად მთელი ამ მგზავრობის დროს. ლიდა-ლიუზამ თვალი გაახილა და რედფორდს ახედა.

— ენდიკოტი ხარ? — ჰკითხა მან.

ბიჭმა ზემოდან დახედა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იღრიალა:

— ჰო, გენაცვალე, აქა ვარ!

ლიდა-ლიუზას გაეღიმა, თვალები დახუჭა და გათავდა.

მოთხრობას ბოლო არა აქვს ხოლმე. დიდი-დიდი — რაიმე მოხდენილი ად-

გილი, სადაც მოხრობელი წერტილს დასვამს და გაჩუმდება.

ლიდა-ლიუზას დაკრძალვის რედფორდიც იყო და პეგიც. მეორე დღეს რედფორდი თავის პანსიონში გაემგზავრა და ამის შემდეგ ისე გავიდა თხუთმეტი წელი, რომ პეგი აღარც უნახავს. მამამისიც მალე გაემგზავრა სან ფრანცისკოში, იქ დაქორწინდა და იქვე დარჩა საცხოვრებლად. რედფორდი მეტად აღარც ჩასულა ეიჯრისბურგში.

პეგის 1942 წლის გაზაფხულზე შეხვდა. ის იყო, ორდინატურის წელიწადი დაამთავრა ნიუ იორკში, და არმიამი გაწვევას ელოდა.

ერთ საღამოს სასტუმრო „ბალტიმორის“ ვესტიბიულში იჯდა და ნაცნობ ქალს ელოდა. აქ დაენიშნათ პემანი. უქნიდან ვილაც ქალის ხმა ისმოდა — ტეილორ კოლდუელის რომანსა ჰყვებოდა ყველას გასაგონად: სამხრეთელი ჩანდა ეს ქალი, მაგრამ ცხვირში სულაც არ დუღღუნებდა. ის კი არადა, თითქოს ლილინებსო, ზომიერად აქლერებდა ხმას. ალბათ ტენესელი იქნებოა, გადაწყვიტა რედფორდმა. მობრუნდა და პეგი შერჩა ხელში. მეორედ შეხედვა არც კი დასჭირვებია.

ერთი პირობა, გაისუსა, რა უნდა ეუთხრაო. ფიქრობდა, რაღა თქმა უნდა, თუკი ადგებოდა და მის მაგიდასთან მივიდოდა, თხუთმეტი წლის მანძილს ერთბაშად დაჰფარავდა. მანამ ასეთ ჰოქმანში იყო, პეგიმ თვითონვე შენიშნა. ქალს არც ახლა დასჭირვებია ფიქრი და ჰოქმანი, მაშინვე წამოხტა და რედფორდის მაგიდასთან მიიჭრა.

— რედფორდი ხარ:

— მე ვარ...

პეგის სულაც არ მორიდებია, მივარდა და გულიანად აკოცა ლოყაზე.

ერთ ხანს რედფორდის მაგიდასთან ისხდნენ, ილაპარაკეს — რა საოცარია, როგორ ხელად ვიცანით ერთმანეთით. ქათინაურებიც უთხრეს ერთმანეთს — მშვენივრად ხარო. მერე ქალის მაგიდასთან გადაინაცვლეს, პეგის აქ ქმარი ელოდებოდა.

რჩიარდი ერჭვა ქმარს. გვარი რედფორდს დაეიწყო. სამხედრო მფრინავი იყო. სიმაღლით, ასე, რვაოდე ფუტი იქნებოდა. ხელში თეატრის ბილეთები თუ პილოტის სათვალე ეჭირა, იქნებ შუბიც. რევოლვერი რომ ჰქონოდა თან რედფორდს, იქვე მიახვრეტდა.

მიუსხდნენ პატარა მაგიდას და პეგიმ ალტაცებით ჰკითხა:

— რედფორდ, ის სახლი გახსოვს. მისს პეკერ სტრიტზე?

— გახსოვს, როგორ არა.

— იცი, ვინ ცხოვრობს ახლა იმ სახლში? აივა ჰაბელი და მისი ქმარი.

— ვინა, ვინა? — ჩაეკითხა რედფორდი.

— აივა ჰაბელი! როგორ არ გახსოვს, ჩვენს კლასში იყო. ნიკაპმიჭყლებილი გოგო. ენატანია. ყველას გვაბეზღებდა ხოლმე...

— მგონი, გახსოვს, — უთხრა რედფორდმა, — თუმცა თხუთმეტი წელიწადი...

პეგი ქმარს მიუბრუნდა და დიდხანს ჩაჩინჩინებდა იმ სახლის ამბავს, მისს პეკერ სტრიტზე. ქმარი ტუჩებზე მიყინული ღიმილით უსმენდა.

— რედფორდ, — შესძახა უცებ პეგიმ, — ლიდა-ლუიზა?

— რაზე გაიხსენე?

— რა ვიცი, ისე. მუდამ თვალწინ მიდგას ხოლმე. — ახლა აღარ დაუწყია ქმრისთვის განმარტების მიცემა, — შენც? — ჰკითხა რედფორდს.

რედფორდმა თავი დაუქნია.

— ყოველ შემთხვევაში, ხშირად მაგონდება.

— სულ მაგის ფირფიტებს უკრავდი კოლეჯში. მერე ვილაც გაღეშილმა

ოხერმა ფეხი დაადგა ჩემს „პატარა პეგის“. მთელი ღამე ვტიროდი. უკრავდა ხოლმე, იმასაც ჰქონდა ეს ფირფიტა, მაგრამ თავი მოიკლა და არ მომცა — არც მაჩუქა, არც მომიყიდა. მას შემდეგ აღარც მომისმენია.

— მე მაქვს.

— ჩემო კარგო, — თავაზიანად ჩაერია ლაპარაკში პეგის ქმარი, — არ მინდა შეგაწყვეტინოთ, მაგრამ ედის ხასიათი ხომ იცი? შევპირდით, მოვალთო.

პეგიმ თავი დაუქნია.

— აქა ვაქვს? — ჰკითხა პეგიმ, — ნიუ იორკში?

— აქა ვაქვს. მამიდაჩემის ბინაზე. გინდა მოგასმენინო?

— როდის?

— როცა მეტყვი...

— გენაცვალე. მაპატე, მაგრამ, ხომ გესმის... ოთხის ნახევარია უკვე. ხომ იცი...

— რედფორდ, — უთხრა პეგიმ, — ჩვენ უნდა გავიქცეთ. ხვალ ვერ დამირეკავ? ამ სასტუმროში ვართ. დამირეკავ? შენი ჰირიმე, — შეეხვეწა პეგი და თან პალტოს სახელოში გაუყარა ხელი. ქმარმა ამ დროს პალტო მოაწოდა.

რედფორდმა აღუთქვა, ხვალ დილით დაგირეკავო და ერთმანეთს გაშორდნენ.

მაგრამ არ დაურეკია, და აღარც უნახავს მას შემდეგ.

ისე მიიწურა ორმოცდა ორი წელი. ეს ფირფიტა თითქმის ერთხელაც არ დაუკრავს. ერთიანად დაკარგულ-გადაფხვნილი იყო. ვერც კი მიხვდებოდი, ლიდა-ლუიზა თუ მღეროდა.

ინგლისურიდან თარგმნა
პახტაბან ზელებიძე

თ ა ვ ე ჯ ღ ო მ ა რ ა

მომხრობა

ორსართულიან, აგურით ნაგებ სახლის რკინის ჭიშკართან „ვოლგა“ გაჩერდა. ქვედურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კირილე ხუციშვილი, თავისი სიძის, ალექსანდრე ვაშაქიძის სახლს მიადგა.

— არა გზია, არა გწყურია... მოიცადი, — უთხრა შოფერს, აწოწილ-გაწეული პეტას და თავად მანქანიდან გადავიდა. როცა ჭიშკარი შედგა და კიბეზე ფეხი შედგა, შვილიშვილები კვილხივილით ჩამოეგებნენ.

— პაპა მოვიდა, პაპა!

თითქოს წელიწადია, რაც არ უნახეთო. პაპა კი გუშინწინაც აქ იყო.

შებინდებისას იცის ხოლმე ქვედურეთიდან წამოსვლა. სიძე-ქალიშვილისა და შვილიშვილების ნახვა მოენატრება ხოლმე? იქნებ გული ვერ უძლებს მართო თავის „ბებრუხუნასთან“ და ამიტომ „გამოჰკრავს“ რაიონის ცენტრისაკენ? თავისიანების სიყვარულის გარდა თავმჯდომარეს სხვა რამეც ეწევა აქეთ.

სადამოა. რაიონული გაზეთის „კომუნისმის სხივის“ რედაქტორი, ალექსანდრე ვაშაქიძე ამ დროს ყოველთვის შინაა. სამსახურის შემდეგ ორიოდ საათს ისვენებს, მერე სტამბაში მიდის შეკრული გვერდების წასაქობად და გვიანობამდე, სანამ გაზეთი დასაბეჭდად არ გამზადდება, შინ არ მოდის ხოლმე.

კირილემ იცის, რა დროს დახვდება სიძე. ალექსანდრე მოწინებთ ეგებებოდა სიმამრს. რატომაც არა. სიმამრს მტლედ კი არ დაედება! ვინ იცის, მისი

ვალიდან როდის ამოვა. თუმცა ამ ვალს კირილე არც კი სთხოვს. სიძე-ქალიშვილი ბედნიერად დაასახლა, რაიონის ცენტრში ორსართულიანი სახლი აუგო, ბალით დაუმშვენა, აგურით ნაგებ, მაღალ ღობეში ვერცხლისფერი ჭიშკარი დაუტანა, ქვევრები ღვინით აუვსო, ღორი და ფქვილი არ მოაკლო, მსუქანი და მკლე, ჩასაცმელი და დასახური არ გამოუღია.

ალექსანდრემ უნივერსიტეტი რომ დაამთავრა და კირილეს ქალი, მარინე, შეირთო, ქვედურეთელმა თავმჯდომარემ სიძე მაშინვე „კომუნისმის სხივის“ რედაქციაში ლიტმუშაკად მოაწყო. მაღლე ისე გასწია და გააჯირითა, დღეს, აგერ, ამ გაზეთს რედაქტორობს და ძველი რედაქტორი კი სხვა რაიონში ლიტმუშაკობს.

ალექსანდრე განათლებული ახალგაზრდა იყო და მისი ნაწერებით თბილბობდა კირილე. კოლმეურნეობის კრებაზე ორიოდ სიტყვა რომ ჰქონოდა სათქმელი, იმსააც სიძეს აწერინებდა.

სიძე უწერდა მოხსენებებს, უწერდა კრებებზე მისაღებ ღონისძიებებს, უწერდა ყველაფერს, რასაც სიმამრი სთხოვდა.

რაიონის ცენტრში ამბობდნენ: საიდან ალექსანდრე ვაშაქიძეს ასეთი დიდებულის სახლ-კარო, და... სიმამრისაგანაო.

ქვედურეთში ხმა დადიოდა: საიდან ჩვენს კირილე ხუციშვილს ასეთი ხატოვანი სიტყვებიო, და... სიძისაგანაო.

შუბი ხალთაში არ დაიმალება. სო-

ფელს ასი თვალი აქვს და ოთხმოცდაცხრამეტი რომ დაბრმავდეს, მესამე მაინც დაინახავს.

— პაპა მოვიდა, პაპა!

ჯერ შვილიშვილები მოეხვედნენ კისერზე, მერე ქალიშვილი და სიძე მიეგებნენ.

— პეტა რატომ არ ამოიყვანე, მამა?

— ჰკითხა ქალიშვილმა.

— პეტას აქ რა უნდა... არა შია, არა სწყურია. მალე უნდა წავიდე. ალექსანდრე, გეთაყვა, ამის მიხედვით გამომიცხე ერთი ხუთიოდე გვერდი... მე მანამდე ბავშვებს წაველლაბუცები, — კირილემ რალაც ქაღალდი გაუწოდა სიძეს.

— ძალიან მალ-მალე კი გაქვთ კრებები, მამი, — შენიშნა ქალიშვილმა მორიდებით.

— მეორე დედაშენი გამიხდი. საქმეა. საქიროა. შავითი ვცხოვრობთ. — მოუქრა კირილემ და ბავშვებს ბელი დარია, — აბა, ჩემო დათო, ჩემო ბუთხუზა ბიჭო, არ ისწავლე ახალი არაკი ან ლექსი? შენა, მზია ქალო, შე კულრაჰა, შენა, ისევ ხო არა სცემ ჩემ დათოსა?

დათო შესჩივის პაპას, მზია თავს იმართლებს. იქით ალექსანდრეს კაბინეტის კარი იხურება. მარინე სამზარეულოში შედის.

პაპა და შვილიშვილები ერთ ამბავში არიან. კირილეს წამის-წამ გაახსენდება მოხსენება, წელში შესწორდება და ალექსანდრეს ოთახის კარს ეუბნება:

— არ დაგავიწყდეს და ჩაწერე: ვალდებულებას ვიღებთ ჯერ არნახულსა და არგაგონილს, რომ ჩვენმა თითო ქათამმა დღეში ორი-სამი კვერცხი...

— რა ორისამი კვერცხი, პაპა? — უკვირს მზიას.

— ისა, ჩემო გვირგო, რომ... შენ ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და ყველაფერს მიხვდები... რომ, ზოგჯერ, რაც ითქმის ცხოვრებაში ის არ არის, მაგრამ სიტყვა მაინც საამო და გულის გასახარებელია...

ბავშვმა ვერ გაიგო. პაპა აღარ ცდილა უფრო ზუსტად აეხსნა.

უხუმრება კირილეს და ხუმრობს კი-

დეც. დათოს უკიდავება, ტანტზე კეცმა და მზია სიცილით იფხრიწება.

გოგონა მაინც ვერ ისვენებს.

— ქათამი დღეში ორ-სამ კვერცხს როგორ დადებს, პაპა? ნუთუ არსებობენ ასეთი ქათამები?

— დავადებინებთ, ჩემო კულრაჰა. მაშიკო დაწერს... მაშიკომ კარგი და ლამაზი წერა იცის. და ლამაზად დაწერილი ტყუილიც რომ იყოს... არა, შენ არა თქვა ტყუილი... ტყუილი რა სათქმელია! ქათამები დადებენ ორ კვერცხს. ტექნიკა ძე განვითარდა, აუცილებლად დადებენ. არ დადებენ და დაისჯებიან. არა, დათო?

— ქათამი როგორ უნდა დამაჯო, პაპა?

— სულ ადვილად. აი, ასე, — საჩვენებელი თითი პაპამ კისერში გამოისვა და ბავშვები ყველაფერს მიხვდნენ.

მერე ისევ ჰქვილობა, სიცილ-ხარხარი.

ალექსანდრე წერს, მარინე სამზარეულოში საქმიანობს, პაპა და შვილიშვილები დიდ ამბავში არიან. პეტა კი ზის მანქანაში და თავმჯდომარეს ელოდება. ამ კაცმა უნდა დაიკვებოს, რკინის ძარღვები მაქვსო, მაგრამ არ იკვების. საქუესთან საათობით შეუძლია ჯდომა და ლოდინი. ერთს არ დაინივლებს. ამ დროს ზოგი შოფერი მანქანაში წიგნს კითხულობს. პეტას წიგნი ჰირსდღესავით ეზარება. კირილეს ლოდინში ერთს არ ჩასთვლემს. ზის ჩუმად, მოთმინებით. როცა კირილე გვერდით მიუჯდება, მხოლოდ მაშინ შეინძრება, გრძელსა და დიდრონ ხელებს ამოქმედებს, მოტორს ჩართავს და იმავ წუთს, მანქანა რომ დაიძვრება, ერთს გაგრძელებით წამოიძახებს:

— წააველით!

კირილე ხუციშვილი პეტას არასოდეს არ უმხელდა, სიძესთან რა საქმეზე მიდიოდა. შვილიშვილები მენატრება, ენაცვალოთ პაპაო, — ამას იმიზეზებდა. როცა დიდი მოხსენება ჰქონდა მოსამზადებელი, პეტას შინ გაუშვებდა და მეორე დღისათვის, უთენია დაიბარებდა. თუკი პატარა რამ იყო მოსამზადე-

ბელი, როგორც ახლა, კიშკართან ალო-
დინებდა. თადარიგს იჭერდა, სოფლი-
დან პეტა მშვიერი არასოდეს არ წამო-
უყვანია. კარგად დააპურებდა, ოღონდ
სასმელს არ აკარებდა. პეტა არ იყო
მსმელი. მადიანი ჭამა კი იცოდა, აბა,
იმხელა სხეულს რალაც ზომ უნდა გას-
წვდენოდა. სუფრაზე ორივე ხელით და-
ითრევდა დასათრევს, ხმელ ყბებში გაი-
გდებდა საჭმელს. დასაკვნეტს მადიანად
დააკვნეტდა, ჩასახრამუნებელს ნეტარე-
ბით ჩასახრამუნებდა. კარგ გუნებაზე
მაშინ დგებოდა.

ჩამოლამდა. შინ ელნათურები ანთეს.
პეტა ჩაბნელებულ მანქანაში იჯდა და
ელოდებოდა. აგერ, სახლის კარიც გაი-
ღო და უცებ პატარების ღრიანცელი
გამოვარდა. მერე კიბის თავში კირილე
გამოჩნდა, თავისიანებს დაემშვიდობა,
პატარები ჩაკოცნა, სიძე-ქალიშვილ-
საც ეამბორა. მათაც გულში ჩაიკრეს.
ქუჩაში გამოაცილეს, მანქანაში ჩასვეს,
პეტას სალამი მიუგდეს. პეტამ მანქანა-
ში სინათლე ანთო და ყველას მღუმე-
რედ, ღმილითა და ხელის ალებით მი-
ესალმა, მერე მოტორი ჩართო.

— წაველით!

მანქანა დაიძრა. თან გაჰყვა პატა-
რების ყოყინი.

— ენაცვალთ პაპა! — ლამის
ცრემლი მოადგა თვალებე კირილეს. უკან
მიხედა, მაგრამ თავისიანები ვეღარ ვა-
ლანდა.

შუა გზაზე, ერთგან, მანქანა გააჩერა
პეტამ.

— რა იყო, ბიჭო? — ჰკითხა კირი-
ლემ.

— კაცნი ვართ, ძია კირალე... შენი
სიძის სახლთან ხო არ... ახლავე, ძია კი-
რალე. — პეტა გაიქცა, ბნელოდა, მაგ-
რამ ბუჩქნარს მაინც მიუფარა.

— წაველით!

მალე ავიდნენ ქვედურეთს. პეტამ
თავმჯდომარე შინ მიიყვანა. მანქანა იჭ-
ვი, სახლის გვერდზე, გარაჟში დაუბი-

ნავა და თვითონ ფეხით დაეშვა! სო-
ფელში.

კირილეს ერთი სული ჰქონდა, რო-
დის გადაიკითხავდა მოხსენებას.

როცა რაიონის ცენტრიდან დაბრუნ-
დებოდა, კრებაზე გამოსვლამდე, შინ აუ-
ცილებლად ერთი-ორჯერ წაიკითხავდა
მოხსენებას. ერთხელ მარტო გადაავ-
ლებდა თვალს, მეორედ მელანოს დას-
ვამდა მოსასმენად. როცა კი მელანოს
ჩასთვლემდა, კირილე ზარის მაგივრად
გრავინს აწკარტუნებდა.

— აბა, ჩემო მელანო, შენს ვაბარე-
ბას, მომისმინე!

— შემოკალ და ეგ არი! — საყვედუ-
რი ჰკადრა ერთხელ ცოლმა.

— შენ რომ მაგას ამბობ, სხვა რალს
იტყვის? შენ რომ ჩემს შრომასა და
ამაგს არ აფასებ, სხვა როგორ დამიფა-
სებს? ეგ ხმა გარეთ არ გავიდეს, თო-
რემ ათასმა კაცმა ერთად რომ დაიძა-
ბოს: შემოკალ და ეგ არიო, მე რა მეშ-
ველება, მე რალს თავმჯდომარე ვიქნე-
ბი? კრება რომ არ ჩავატარო და ხალხს
რამე არ ვუთხრა, როგორ შეიძლება!
ჯერ ისედაც... — რალაცის თქმა უნდო-
და და აზრი გაუფრინდა, უბიდან დაკე-
ცილი ქალაქლები ამოიღო და მაგიდას
მიუგდა.

— ასე დაგეჭი, ჩემო მელანო, თუ ქა-
ლი ხარ, ისე მიგდე ყური, რომ არ ჩას-
თვლიყო. ვიწყებ.

— დაიწყე, გისმენ.

— ამხანაგებო! — რიხიანად დაიწყო
თავმჯდომარემ, მერე ელნათურას ახე-
და, — თვალთ დამაკლდა თუ რა ჯან-
დაბაა. შეხედე ერთი, როგორ ბეუ-
ტაეს! შუალამეს ვუტირებ დედას!

„შუალამეს“ ელემტროქსელის გამგეს
ეძახდნენ ზედმეტ სახელად. მისი ნამდ-
ვილი გვარი და სახელი ცოტამ თუ იყო-
და სოფელში. კირილემ ასე ეძახდა და
ნიადაგ ლანძღავდა. ზაფხულობით და
ზამთრობით, როცა მდინარე შრებოდა
და სასოფლო ელსადგურს წყალი აღარ
ყოფინდა, „შუალამეს“ თითქმის ყველა
ოჯახში წყევლიდნენ.

— ამხანაგებო! — ხელახლა დაიწყო ხუციშვილმა, დაიწყო და აღარც შეჩერებულა. როცა ახარტში შევიდა, ფეხზე წამოდგა, აღარც ცოლი გახსენებია, აღარც „შულამე“.

დაამთავრა და ღრმად ამოისუნთქა.

თითქოს განგებ, „შულამე“ მაშინ მოუმატა ელდენს, ელნათურა გაკაშკაშდა. შელანომ ტაში დასცხო.

— აფერუმ, ჩემო კაცო! — შეუძახა კირილეს.

კირილეს ეს შეძახილი ძლიერ ესიამოვნა. მაგრამ ეს „აფერუმ“ საიდანღა მოიგონა მელანომ? ამ სიტყვას ძველად ხმარობდნენ და წიგნებშიც აქაიქ შეხვედრია. „აფერუმ“ დიდებულ სიტყვაა. განა საქებარი გავიხილა უკეთესი? მერედა, რა კარგად დაიძახა მელანომ. ხვალ მთელმა დარბაზმა რომ იქუხოს: აფერუმ კირილეო, რა იქნება!

„აფერუმ“ კი არა, ტაშის დაცვრაც ეზარებათ. აქაიქ თუ დაუკრეს, მადლობა უნდა უთხრა და ამისთვის შრომადღეები დაურციხო. მაგრამ ხანდახან ჭაბუკები ისეთ მქუხარე ტაშს დასცხებენ... კირილე ბავშვი ხომ არ არის, ვერ შეაძვოს, რამდენი ირონია და დაცინვა ამ ტაშში. ახალგაზრდობა სულ სხვა ხალხია, მათ სულ სხვა რამ მოსწონთ. ისინი კირილეს უნდა აპყვნენ და არა პიროქით. თუ არა და... ცნობა არ უნდათ უმაღლესში შესასვლელად? მაინც, როგორ დააგუფუნებენ ხოლმე ტაშს ბოლო რიგებში! ხან ფეხის ბრაგუნსაც მიაცოლებენ, ზოგჯერ ვაშასაც დასკექებენ. დარბაისელი ხალხი მათევენ იყურება და ამ დროს მთელი სანახაობა დარბაზის უკანა რიგებში იშლება. მეორედღეს ეს ამრევეზი სათითაოდ კირილეს კაბინეტში შელაგდებია.

— უმაღლესში შესვლას აპირებ?

— ჰო, ძია კირილე.

— მაშე კუთით იყავი, თორემ ძია კირილე ცნობას არ მოგცემს და უმაღლესის კარს ისე არავინ მიგაქარებს. გაიგე?

— გაიგე, ძია კირილე.

— ჰოდა, თუ გაიგე, როცა ძია კირილე

მოსხენებას ამთავრებს, იმას რიგაინი ტაში უნდა და არა ისეთი. „აფერუმებო“! ჰო, წადი და ჰკუთს წიხლს დასცხობ!

ჭაბუკიც „ჰკუთს წიხლს აქერს“.

ასე გამოასწორა „ხტუნების“ ერთი წყება კირილე ხუციშვილმა. მისი ჭაღალდის გარეშე რომ არც ერთი ინსტიტუტი, არც ერთი უნივერსიტეტი არ მიიღებდა ჭვედურეთის ჭაბუკებსა თუ ჭაღიშვილებს.

ახლა ამრევებად ისინილა დარჩნენ. ვისაც ეს იმედი გადაუწყდათ და ხელი სამუდამოდ ჩაიქნიეს უმაღლესში სწავლის გავრძელებაზე. მაგრამ ისინი სხვა ხერხით მოსთოჯა კირილემ. ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია.

„ხტუნებს“ ეძახდა ყველა იმათ, ვინც კი კრიტიკის მაგვარ რაიმეს შეჰბედავდა, ანდა კრებაზე დამრიგებლურ სიტყვას მიაშველებდა.

ხუციშვილს უყვარდა ყელის მოღერება, დარბაისლურად თავის დაჭერა, დინჯი სიარული და ფაქიზი ჩაცმა. მისი პიჯაკის ჯიბიდან ორ ძვირფას კალმისტარს ამოეყო თავი. კალმისტარის ოქროსფერი თავები თვალისმოშურელად ბზინავდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა კირილე ელნათურასთან მოხედებოდა, ანდა კალმისტარის თავებს შხმს სხივი დაეცემოდა.

კირილე სრული, ჯანიანი, ტანშალალო კაცი იყო. თმა საფეთქელთან შეთეთრებოდა. თეთრი პერანგისა და შავი კოსტუმის ჩაცმა უყვარდა. ეს მეტ პეწსა და ლაზათს მატებდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ზაფხულშიც ასე იცლიდა.

მინდორშიაც ასე პეწენიკად დადიოდა? მინდორში გასასვლელად მას კვირაში ერთი დღე ჰქონდა გამოყოფილი და ამ დროს სულ სხვაგვარად, უბრალოდ იცვამდა. „ვოლგის“ შოფერს ასვენებდა და საბარგულით მიდიოდა. ერთი დღეც ბალ-ვენახების დასაზვერად ჰქონდა. კვირის ხუთი დღე კან-

ტორაში, რაიონის ცენტრში, კრებებზე, თათბირებზე და სხლომებზე იღოდა.

კრება უყვარდა. კრებაზე ხარობდა. თითქოს მაშინ ხელახლა იბადებოდა, როცა კრების თავმჯდომარე სიტყვას მისცემდა და მის გვარსა და სახელს გამოაცხადებდა.

მძიმედ თენდება კრების დღე. მამლები ყვირიან, შავრამ სიბნელე არ იცრიცება. კირილეს ამ ბოლო დროს უძილობა დასჩემდა. შინ დილა-ღამიანად ამოვრიალდებოდა, მელანოსაც უფრთხობდა ძილს. კანტორაში ალიონზე გაჩნდებოდა და ჩათვლემილ დარაჯს თავზე წამოადგებოდა. როცა კარგად ინათებდა, კლუბში მივიდოდა.

კლუბის გამგე, ერთი ჩოფურა, დალეული, ჩიკორივით ბზრილა კაცი იყო, მეტსახელად ციბრუტას ეძახდნენ. კირილეს შეკლული ჰყავდა.

კრების დღეს კინოსურათს არ უჩვენებდნენ. კლუბის წინ კრების მაუწყებელი უზარმაზარი განცხადება იყო გამოკრული.

— გააჭირა საქმე! — ჩურჩულებდნენ ქვედურეთელები, თან აქეთ-იქით იხედებოდნენ, რომ ან კირილეს, ან მის კაცებს არ გაეგონათ მათი ჩურჩულ-ქურქური.

ყველას ყავს თავისი კაცები და კირილესაც ყავდა. კირილესაც ედგნენ მხარში.

ჩემად ბევრი ლანძღავდა.

კრებას კინოსურათის ნახვა ერჩივნათ. კრებებმა ქვედურეთელების სული ამოიღო.

მერე, საქმე ის იყო, რომ კირილეს კოლმეურნეობაში მეორე თანამდებობაც ეჭირა. პარტიულებსაც ის ედგა სათავეში, პარტორგანიზაციის მდივანიც გახლდათ. სხვაგან ეს უკვირდათ, როგორ შეიძლებაო. მაგრამ, როგორც გამოიხატეს, ქვედურეთში პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა ხუციშვილს მიანდევს.

აქეთ სამეურნეო თათბირები და სხლომები, იქით პარტიული კრებებში, კრებები, კრებები, კრებებში

როგორც იქნა, გათენდა.

სანამ კოლმეურნეობის კანტორაში მივიდოდა, გზად კლუბის წინ გაიარა და განცხადება ერთხელ კიდევ გულდასმით შეათვალიერა. მოეწონა. მერე, ვინც კი კანტორაში მივიდოდა, ყველას სათითაოდ აფრთხილებდა, კრებაზე დროზე მოდიო.

კრების დაწყების წინ, ორი საათით ადრე, კლუბში მივიდა. ციბრუტა რომ არ დახვდა, გაბრაზდა. კლუბის დარაჯი ჯარისკაცივით გამოეჭიმა. ერთ ხანს ისმინა თავმჯდომარის ლანძღვა, მერე გაიქცა ციბრუტას მოსაყვანად.

მთელი დღის მშვირი კლუბის გამგე სასადილოდ წასულიყო. კლუბში რომ მოარბინა, დაუღეპავი ლუქმა ისევ პირში ეღო.

კირილემ შეუღრინა. კლუბის კარი გააღეს და შევიდნენ.

დარბაზი განიერი და მაღალი იყო. სცენას ძველი ფარდა ჰქონდა. დარბაზში ერთმანეთზე ლატნებით გადაბმული ძველი სკამები იყო ჩართვებული. ზოგ სკამს სიმაგრე შერჩენოდა, ზოგი მორყეული და ფეხმომტვრეული ამ მაგრების ხარჯზე იდგა. კედლებს ათიოდე წელია საღებავი არ მიჰკარებია.

კირილე განსაკუთრებულ ყურადღებას სცენის მორთულობას აქცევდა. გრძელ მაგიდაზე წითელი მაუდი უნდა ყოფილიყო გადაფარებული და ზედ ქოთნებით ყვავილები ჩამოერიგებინათ. ტრიბუნაზე წყლით სავსე გრაფინი და ქიქა უნდა დაედგათ. კლუბის გამგეს მხოლოდ კრების დაწყებისას უნდა გამოეტანა ზარი. თითის დააჭერ და წკრიალებს. კირილემ თავისი ფულთი შეიძინა ეს ზარი. მას კლუბში ინახავდა. ამას წინათ თბილისში ყოფილიყო რომელიღაც თათბირზე, იქ ენახა ამგვარი ზარი და ძლიერ მოსწონებოდა. თათბირის შემდეგ რკინა-კავეულის მღალაზეები შემოიარა და საღდაც ძლივს მოაგნო. შინ

რომ მოიტანა, პატარა ბავშვივით გაერთო და გაიხარა, აწკრიალა და აწკრიალა. მერე ციბრუტას მიუტანა და გააფრთხილა, თვალისჩინივით გაუფრთხილდით. და ისიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, რკინის ხარს ცეცხლგამძლე ყუთში ინახავდა.

კირილემ სცენის მოწყობილობა შეათვალა, მოეწონა და მცირე ამალით დარბაზში ჩავიდა. კლუბის გამგემ მხოლოდ მაშინ მოახერხა ლუკმის გადაყლაპვა.

დარბაზში ისე უცებ შედგა კირილე, ნამდვილად რაღაც გაახსენდა, უმაღლესკენაზე აბრუნდა და დარბაზს გახედა.

— პირი რა დაგილია და მომჩერებოხარ! აქ ამო! — შეუტია სკამებსა და სკამებს შორის გასასვლელში გაჩერებულ ციბრუტას. კლუბის გამგე იმავე წამს სცენაზე გაჩნდა.

— ვახედ-გამოხედე! — უთხრა ხეციშვილმა და დარბაზი ხელით მოხაზა.

ციბრუტამ ვახედ-გამოხედა, კირილეს შეხედა და მხრები აწურა.

— რაი, ძია კირილე? სარემონტოა ეს ჩვენი კლუბი.

— სარემონტოც არი და... მე რა არა გყავდეთ, რა გეშველებოდათ? ყველაფერი მე როგორ უნდა გითხრათ, შეილოსან?! — გული მოუვიდა კირილეს.

— რა იყო, ძია კირილე?

— კინოს როცა უშვებთ, სოფლას თავკაცები სადა სხედან ხოლმე?

— აგერ, იმ სკამებზე, ძია კირილე, — დარბაზის სიღრმისაკენ ხელი გაიშვირა ციბრუტამ.

— მერედა, სად უნდა ისხდნენ? — წარბი ასწია ხეციშვილმა.

— აბა რა ვიცი... ისევ სკამებზე, ძია კირილე, — ძალუმი ღიმილით სახე მოეღრცა კლუბის გამგეს.

— თეატრებში არა ყოფილხარ? ან კულტურის სახლში მაინც არ შეგივლია?

— როგორ არა, ძია კირილე.

— მერედა, იქაური თავკაცები სადა სხედან ხოლმე?

— ლოყაში, ძია კირილე.

— დიას, ლოყაში! სადაური სიტყვაა? თუმცა სიტყვა რა ჯანდაბანაა? ვერაფერი ჩვენ ლოყა გვინდა. მერე დასაჯი მარტოა კეთდება?

— აბა სად?

— აგერ, თუნდაც იმ კუთხეში. მოილოებება, შემადღებება, კარიც გაუკეთდება და მაგარი სკამებიც დაიდგმება. ყველაფერი მე გითხრა?!

— ხარჯები, ძია კირილე? ერთი ვახერტილი შაური არ მიგდია. სარემონტოდაც არ მაძღვევენ, ამ წლის გეგმაში არა ზიხარო. გეგმაში რომ ჩავსვამენ, მაშინ კიდევ ჰო.

— თქვენი კულტურის სამინისტროს გეგმას მე სად ვუცადო, ბიჭო? აგერ, კოლექტივი აქ არ არი. ლოყას კოლექტივის ხარჯით ვაგაკეთებთ. ისეთი უნდა იყოს, ათიოდე სკამი ჩაიდგას. იქ მე და ჩემი მელანო და საბჭოს თავმჯდომარე თავისი ჯალაბით დავსხდებით. ხანდახან სტუმარიც გვეყოლება. ისიც ხომ იქ უნდა დავსვათ. ჰოდა, ხედავ რა საჭირო და აუცილებელი რამა ყოფილა ეგ ლოყა!

— კარი საიდან გავუკეთოთ? დერეფნიდან ვაგვკრათ თუ დარბაზიდან? შებრძანდებით ხოლმე?

— მაგას მოფიქრება უნდა. მერე კანტორაში ჩამო შენი გეგმებით.

— კარგი, ძია კირილე.

დარბაზი ხალხით გაიჭედა. ფარდა რომ აიხადა, სცენაზე მარტო კირილე გამოჩნდა. ზარი ააწკრიალა, დარბაზს თვალი გაავლო, ზოგი ბერიკაცი, ზოგიც ახალგაზრდა სცენაზე აიხმო, რამდენიმე ქალიც აიყვანა და საქმიანი პრეზიდენტივით მოიწყო. როცა კი პრეზიდენტივით ეცოტავებოდა, ციბრუტას ხელით ანიშნებდა, სკამები დაუმატეო.

— სოლომონ, შენც აქ ამო. — იხმოზდა სცენაზე თავმჯდომარე.

— აქაც არა მიშავს რა, კირილე.

— რა გითხრა, ამო-მეთქი! როგორ რა! — გული მოუვიდა ხეციშვილს. მაშინ კი ზანტად დაიძრა სოლომონი.

კირილეს უყვარდა საქმიანი პრეზი-

დიუმში, თუმცა იქ საქმეს არავინ აკეთებდა. სანამ მაგიდასთან მიწყობილ ყველა სკამს არ შეავსებდა, ვერ მოისვენებდა. ერთი ცარიელი ადგილი რომ დარჩენილიყო, იმ სკამისთვისაც კაცს ეძებდა. რაც არ უნდა გასუსტული ყოფილიყო დარბაზი, ზარს მაინც დარეკდა. ერთხელ ჰკითხეს, ამ დროს რაღა გარეკინებსო.

— ზოგ-ზოგებს სძინავთ. მაგათი ყოფა არ იყოს! — ჩაიღრუნდა თავმჯდომარე.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა მისცა. კირილემ ტრიბუნაზე მოიღერა ყელი.

— ამხანაგებო! — დაიწყო თუ არა, ხმაში ხრინწი გამოერია. მწარედ ინანა, იმ დღეს ბევრი რომ იყვირა და იჩივლინა. კრების წინ კი, როგორც კარგი მომღერალი, ყრველთვის უფრთხილდებოდა ხმას. ხმა ამ დროს მთავარი რამ იყო. ის კი არა, კრების წინა დღეს ლეიოსაც არა სვამდა. ხმას საგანგებოდ აყენებდა და სხვანაირად რომ ეღერდა, იგივითნვე სიამოვნებდა. მაგრამ ახლა რა დაემართა?

წყალი დაისხა და ყელი ჩაიწმინდა. ჰოსხენების ბოლომდე ჩათავება მაინც აუტკირდა. გული დაუდარდიანდა, ერიო, ეს რა მემართება, ყელის კიბო კი რ გამიჩინდესო და თავს ძალა დაატანა რა მოხსენება, როგორც იყო, დაამთავრა.

ვილაცამ ზომავზე მეტად დასცხო ტაში. კირილეს თვალს არ გამოჰპარვია ეს „ხტუნია“. დანარჩენებმა ზომიერად დაუტკრეს. კირილე თავის ადგილს დაუბრუნდა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს კრების თავჯაცობა მაშინვე ჩამოართვა, ზარს თითი შეახო და ააწერიალა.

— ვინ გამოვა სიტყვაში? ჩაეწერეთ. რიგრიგობით გამოვიძახებთ.

არავინ ეწერებოდა. მაშინ კირილემ მეფრინველეობის ფერმის გამგე გამოიძახა

ფერმის გამგემ, ტუხო შიომვილმა, ზედმეტ სახელსაც ქუჩულას რომ ეძახდ-

ნენ, წელი ძლივს ათორია. სანამ ტრიბუნაზე ავიდოდა, კირილემ უცებმსმარდა:

— რაიონში სიტყვა უნდა წავსაზღვრო. თქვი, რა ვალს იღებ კისერზე. ქვეყანას ქათამი უნდა, კვერცხი უნდა... იმ კვერცხს მე ხომ არ დაედებ, შვილოსან? ქათამმა უნდა დადოს. უნდა დადოს დიდი და მეტი კვერცხი. ნიკოლოზის დროსაც ერთსა დებდა და ახლაც ერთი უნდა დადოს, სვინდისი აღარ არი?

ტუხო შიომვილმა ტრიბუნას მიადგინა.

— დანარჩენი შენა თქვი, დალოცვილო. — დაამთავრა თავმჯდომარემ.

— რა ვთქვა, რა ვიცი, — ეჭვა მოიფხანა ტუხო შიომვილმა, — უსვინდისო ქათამები რო გვეყავს, მავას ლაპარაკი არ უნდა. ამხანაგებსა ვტაცებთ, ვახრამუნებთ და ხმას არ იღებენ...

— არსებითზე ილაპარაკე, არსებითზე! შენ ნუ გადაუხვიე! ვე დღის წესრიგში არა დგას! — შეუტია თავმჯდომარემ.

ტუხო შიომვილი უხერხულად შეიშმუნა. მიხვდა, რომ ამით თავმჯდომარეს აწყენინა და ამიტომ მაშინვე თავისი დანაშაულის გამოსწორება სცადა.

— დღემდე წენიკა კვერცხებსა დებდნენ ჩვენი ქათამები. დღის ამას იქით... დედას ვუტორებ!

— საქმეზე ილაპარაკე! — კვლავ შენიშნა ხუციშვილმა.

— საქმეზე ვაპობ, მა! დღის წესრიგში ხო კვერცხის დადებაა?... ჰოდა, მე იმის თქმა მინდა, რომა თუ არ დადებენ, მე იმათ ვუჩვენებ!

დარბაზში ზოგიერთს ფხუკუნი წესკდა. თავმჯდომარემ ზარი ააწერიალა.

ტუხო განავრძობდა:

— ან რა უფლება აქვთ, რომა ორისამი კვერცხი მაინც არ დადონ! — ეჭვა მოიფხანა, და მოკლედ მოსკრა, — ერთი სიტყვით, რომელი ქათამიც ვალდებულებას გადაუხვევს, დაეკლათ!

— ვაშა! — დაიძახეს დარბაზის ბოლო რიგებში ჩამომსხდარმა „ხტუნებმა“ და ტაშის ქუჩილი დააყენეს.

კირილე ხუციშვილი აიწურა. შეატ-

ყო, რომ კრება აირია. ტუხო შიოშვილზე ისე არ მოუვიდა ვული, როგორც იმ ლახლანდარა ყმაწვილებზე, მაგრამ ისინი ყველანი სტუდენტობაზე ხელჩაქნეული ბიჭები იყვნენ.

— სათითაოდ დაგითვისებ ჩათმებსაც და დანაკლისს გამოგწურავ! — ესლა მოახერხა თავმჯდომარემ, რომ ტუხო შიოშვილს დამუქებოდა.

ამ მუქარამ ასე იმოქმედა, ტუხომ ველარ მოისვენა და კრების შემდეგ თავმჯდომარეს შინ ეახლა.

— გაწყენინე, კირილე.

— საწყენი კი იყო, მაგრამ ვადაზარა. თქვე ცოცნებო, ხო იცით ჩემი ხასიათი, რა მალე ვადაზარის ხოლმე. დაჯე, ბიჭო!

— რა ვიცი, გამოგწურავო, ხალხში დამემუქრე.

— მერედა, ეგ პირველი იყო? სულ ასე არ გემუქრები? როდისმე შეგისრულე? მართლა ტეტია ხარ! მაინც ვერ მიხვდი, რო სწორედ ხალხში უნდა დაგემუქრო. მე რომ ეგეთი სიმკაცრე არ გამოვიჩინო, მაშინ ყველანი თავზე წამომასხდებიან. ახლა ამას შინაურულად გეუბნები. ღვიძლ ძმასავით მიმიღიხარ და იმიტომ. უნდა გაიგო და მიხვდეს. კარგია, რომ მოხველ. ბიჭის გამოგზავნას ვაპირებდი შერთან.

— ჩემი კისერი და შენი დასა!

— საპი-ოთხი ფერიანი დედალი შე-არჩიე და ჩვენს ალექსანდრეს ვაუგზავნე. რაიონული გაზეთის რედაქტორი საპირო კაცია, ხო იცი! ის მარტო ჩემიანი კი არ არი. ის კაცი თქვენიცაა, რაიონულია. და ყველა რაიონულს პატივისცემა უნდა.

— მიხვებ-მოვხვებავ. ისე კი, ძიან შეთხელდა ჩვენი ფერმა.

— მერე მე რა უქნა! მე გამოჩეცო წიწილები? უნდა დააჩეცინო და მოამრავლო. შეილოსან. ხალხს უქნა უნდა.

— ი დაჩეცილებსაც რო უქნა უნდა?

— მიდი პა, ვაყვეთ და გამოყვეთ. იმას უქნა უნდა, ამას უქნა უნდა... წიწილების მაგივრად რიყის ქვეები დავყა-

როთ ფერმაში, არც სმა უნდათ და არც უქნა! — ცოტა სიფიცხე შეეჩინო თავმჯდომარეს, მაგრამ მაშინვე აღმოცნობა

ტუხო შიოშვილმა ხელში ქუდი მოსრისა, დაიხურა და წასასვლელად მოემზადა. თავმჯდომარემ ერთხელ კიდევ გააფრთხილა, ხალხის თვალში არამც და არამც არ გამოაჩინო ალექსანდრეს ქათმებიო. ქათმებს ფრინველებს ეძახიან, მაგრამ არა ფრენენ, ავ სიტყვას ფრინველი არა ჰქვია, მაგრამ თუ გაფრინდა. ისე იფრენს, ვის არ მისწვდება და სად არ მიაღწევსო.

ოთხი ქათმისა ერიდებოდა.

სოფლის კორტოხზე, საიდან სად დასანახი სასახლე რომ ჰქონდა წამოდგმული. ამისი არც ერიდებოდა, არც ეტიქრებოდა.

ამომავალი შუე შეშაბანდს რომ სხივებს მიაყრიდა, სასახლეს ცეცხლი ეკიდებოდა. აღმოსავლეთით შუე ანათებდა, აქეთ — კირილეს სასახლე-გარეშემო მოვლილი და ნაპატეები ეზო, ბაღი და ვენახი ერტყა, ალვის ხეებით, ცაცხვებითა და კაკლის ხეებით დამშვენებული. საბლეს უკან ღია აფანი ჰქონდა და აქედან კარგი საკვრეტი იყო დაისი. მარანში დიდმუცელა ქვევრები ჩაეყარა. მხოლოდ კირილემ იცოდა მათი მუცლების ზომა. გარაყში «გოლგა» ეყენა. ამ სახლკართან სოფლიდან ერთადერთი და საგანგებო გზა აკლანდილიყო და რკინის ვერცხლის-ფერ კონსტრუქციით თავდებოდა.

— სად დაიკარგე, ბიჭო? — კირილემ თავისი მანქანის კარი გააღო და პეტა იქ არ დახვდა. თავმჯდომარე ბრიგადორ ეფრემა ბაბუნაშვილთან იყო რალაც საქმეზე. ეფრემამ მანქანამდე მიაცილა თავკაცი. პეტა იქ რომ არ დახვდათ, ეფრემას ფერი ეცვალა. რატომ-ღაც გულმოსული მოსწყედა ადგილს და თავმჯდომარის გასაგონად გაბრაზებით თქვა:

— წავალ, მოვნახავ!

ეფრემა თვალს მიეფარა. ზარ გასულა რამდენიმე წუთი, საიდანღაც ღობეს

ვადმოველო პეტა და უმალ მანქანაში შევარდა. არც კი უთქვამს თავისი ჩვეული „წავევლით“, მანქანა ადგილიდან სწრაფად დასძრა. კირილემ ძლივს მოასწრო ეფრემას დანახვაც, კეტმოღერებულ ლობზე რომ ვადმოჰყვება პეტას.

— რა იყო, ბიჭო? რა მოგივიდა?

— მერე გეტყვი, ძია კირილე, — სული ძლივს მოითქვა პეტამ.

— ეფრემა კეტით რომ გამოგიდგა, რას გერჩოდა?

— მერე გეტყვი, ძია კირილე.

— ახლა მითხარ, გიყვივით რად შიშოვარდი მანქანაში?

— მერე, მერე ძია კირილე!

— ევრე ვადარეული ნუ მიყვავს მანქანა, ბიჭო!

— ვადარეული ვარ, ძია კირილე!

— ცხელა.

სოფელს რომ გასცდნენ, მინდვრებს შორის გაქიმულ შარაზე, პეტამ უფრო გააფრინა მანქანა, კირილეს ბრძანებასაც არ შეეპუა. მერე, ის სწორი გზა რომ ვათავდა, სრბოლას უკლო და მღვღვარებით უთხრა კირილეს:

— ქორწილში თამადად დამიდგები, ძია კირილე?

— მა ვინ იქნება თამადა, ბიჭო! — შეუწყრა ხუციშვილი, მერე მჯილი წაპკრა, — ეფრემას გოგოს რამეს ხომ არ უპირებ, ბიჭო? იქნებ ის ვიპირებს, ჰა?

— ერთმანეთს ვუპირებთ, ძია კირილე.

— ეხლა რალა მოხდა?

— ის იყო ჩავბლუჯნე, ვულზე მივიკარ და იმის ტუჩებს დავაძებე, ეფრემამ კეტი მთხლიშა, ვიძტრწე და გამოვიქციე. სასიამაოროს ხელს როგორ შევტბრუნებდი! ბოლოს მაინც უნდა შევრიგდეთ და თვალეში როგორღა შევხედო.

— სწორედ მოქცეულხარ. სადაც არა სჯობს, ვაცლა სჯობსო. მაგრამ კეტი იპას ნიშნავს, სიძედ არ მინდობარო.

— გოგოს მე ვუნდივარ. ვუნდივარ და მერე ევრე! მალე წამიყვავო, სულ ცერის სიშხო ცრემლებს მაყრის ხოლ-

მე და ეს გულისპირი სულ სველი მაქვს.

— შენი საქმე გაჩაბულა და შენც არი.

— მა რა!

თვალეში უციმციმებდა სასიამაოროსაგან კეტდანარტყამ, მაგრამ მაინც ბედნიერ პეტას.

კანტორაში ფოსტალიონი შემოვიდა.

ჩვენც პირველად ვართ ქვედურეთის „კომუნისმის სხივის“ კანტორაში. არაუშვასრა შენობაა, ორსართულიანი, აივნიანი, მრავალთახიანი. შენობის სიღრმეში თავმჯდომარის კაბინეტი. კირილეს ჰყავს პირადი მდივანი, ერთი ტინგიცა, მეტოწარა გოგო, ქეთო. ამის გამო თავმჯდომარესთან ადვილად ვერ მოხვდები. პირზე დაუკერებია ქალაქელი მდივანი ქალების სიტყვები: „რა გნებავთ? რა საკითხზე? არა სცალია! ხვალ მობრძანდით! დიახ, ასეა! თათბირი აქვს! კრებაზეა...“ და სხვა ამისთანანი და აშდაგვარანი. ტელეფონზედაც კი ქალაქელი მდივანი ქალებივით პასუხობს: ჰაუ!

ქეთო სოფელი გოგოა ქალაქურად ჩაცმული. მაღალ ქუსლებზე ისე მიიმტვრევა და იმ წამოფუებულ ქვედა ტანს ისე გამომწვევად მიაჩრევს, კირილეს კი მსუნავ თვალს არ აშორებს ხოლმე, სანამ ქეთო ოთახიდან არ გავა და კარს არ მოხურავს. ხანდახან თავმჯდომარეს არავისი გამოძახება არ უნდა, მაგრამ ქეთოს შემომტვრევა მოენატრება. მშშინ ხარს დარეკავს და გამოიძახებს. ქეთო შემოდის. თავმჯდომარეს ვითომ დაავიწყდა სათქმელი:

— ჰო, მართლა... რალაც უნდა მეთქვა: არაფერი, ქეთო.

— თავისუფალი ვარ, ძია კირილე?

— ჰოოდე, შორს არსად წახვიდე.

და მერე ხუციშვილი ქეთოს ერთხელ კიდევ შესქამს თვალებით.

ქეთომ ფოსტალიონი გაისტუმრა. წერილები და გახეთები თავმჯდომარეს შეუტანა. მერე კაბინეტიდან გამოიჩინა და გამოიმტვრა.

ერთი წერილი რაიკომიდან იყო გამოგზავნილი. უწინ ეს გახსნა კირილემ. კონვერტში ვილაცის ბატიფეხურით ნაწერი ბარათი იდო და ზედ დაბეჭდილი, ვიწრო ქალღიმი კჳონდა დაკრული: „გეგზავნებათ განსახილველად“. რაიკომის მდივნის თანამემწე წერდა. ხელი ისე მოეწერა, კაციშვილი ვერ გარჩევდა რა გვარის კაცი იყო. კირილეს ხელმოწერისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სათვალე შეისწორა და ჰვედურეთელ ლადო ქეშელაშვილის საჩივრის კითხვას შეუდგა.

ქეშელაშვილი რაიკომს ატყობინებდა: აღარ შეიძლება კირილე ხუციშვილის მოთენათ. მისი თავგასულობა ყელში ამოვიდაო, ფერმები დააცარიელა, კოლექტივის საღარო გამოფხიცა, კრებებით სული ამოგვართვა, მაგისმა ტრამბაში ყურთასუნა წაიღო. ვისაც არა მგონია, იმას მიწის ნაკვეთს ჩამოუჭრის და სხვას, თავის მამებელს მიუზომავს. იმის გამო, რომ ჩემ ბიჭს ტაში ცოტა ხშირად დაუჭრავს კლუბში, კირილემ „ბტუნია“ უწოდა და უმადლესში შესასვლელ ცნობას არ აძლევს. ახლა კლუბში ცალკე ოთახს აშენებინებს, ჩვენთან ჯდომას აღარ კადრულობს...

სხვა ამდაგვარი და ამისთანანი იყო იმ ბარათში.

კირილემ წერილი გვერდზე გადადო და ქეთო გამოიძახა.

— მანდ ერთი ვინმე მონახე, ლადო ქეშელაშვილი მომიყვანოს.

ქეშელაშვილი გვიან მონახეს. თავმჯდომარესთან შებინდებისას მოვიდა.

— დიდი ხანია წერა-კითხვა ისწავლე? — ჰკითხა ხუციშვილმა.

— არა მესმის რა, მაგას რისთვის მკითხება.

— არა გესმის რა, ცხვირმოუხოცველი ბაღი ხარ, შენმა მზემ! ეს შენი დაწერილია? — თავმჯდომარემ თავისი წერილი უჩვენა ქეშელაშვილს.

ლადო შეკრთა ამის დანახვაზე.

— შენთან საიდან გაჩნდა?! — ესლა იკითხა სახტად დარჩენილმა

— ჭერ უნდა გაგეგო, სად მოხვდე-

ბოდა ეს შენი ნაწილები და მერე დაგეწერა. ამ ცხოვრებისა არა გაგეგებოდა!

— ძალიანაც გამეგება დასუქლსტმს რიც კარგად მესმის, სად რა ხდება და როგორცა ხდება... აი, მაგას კი ვერ მივხვდარვარ, რაიკომში გავზავნილ ქალღიმი შენთან რა უნდა?!

— ის უნდა, რომ ესლა მე უნდა განვიხილო და პასუხიც ჩემგან მიიღო.

— შენ რა უნდა განიხილო?! შენ რა ნაკლები რამ იხილე და იწვინე? ჩვენს სოფლის სიშუსტენ ხომ სულ შენ...

— ჰკუთით, ჰკუთით!... სადაც არ უნდა მიჩვილო, მაინც მე უნდა მომადგე. ეს დაუწერელი კანონია და ზოგჯერ დაუწერელი დაწერილსა სჯობს.

— რახან ასეა, მეორედ რამის დაწერის... ჩემდა თავად — და ქეშელაშვილმა ერთი ჭიგრიანად შეიგინა, ხელს ჩაიქნია და შებრუნდა, როცა კარს მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ მოხვდა თავმჯდომარეს.

კირილემ თითი დაუქნია და უთხრა:

— ჰკუთით, ჰკუთით, ლადო!

ქეშელაშვილს რალაც უნდა ეთქვა. გადაიფიქრა და კარი გაიჭახუნა.

კირილე ხუციშვილმა ის წერილი დაკეცა და უბის ჭიბეში ჩაიღო.

— ეს დალოცვილი შვილი, ფოსტის ფულს მაინც რალად ხარჯავდა!

კლუბში დიდი ფაცა-ფუცა იყო. ლოქას აშენებდნენ.

სანამ შენებას შეუდგებოდნენ, ციბრეტამ ბევრი ითათბირა ხელოსნებთან, მრავალნაირი გეგმა მიხაზ-მოხაზა და ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ ლოქაში შესასვლელი კარი დერეფნიდან უნდა გაეკეთებინათ. კედლის გამოწვრევა, ახალი კარის დატანება მეტ ხარჯს მოითხოვდა, მაგრამ კირილე ხუციშვილმა უკან არ დაიხია. როცა ეს პროექტი წარმოუდგინა კლუბის გამგემ, მოიწონა, კოლმეურნეობის ბულალტერი გამოიძახა და უბრძანა:

— ციბრეტამ რაც გითხრას, შეუსრულე!

ლოყის ადგილი მოზომეს, კედელი გამოანგრიეს, დარბაზში დაზგა გამოართეს, გაჭი, კირი, ქვიშა და ბუჩბუშელა ერთმანეთში აირია.

კლუბში კინოსურათების ჩვენება დროებით შეწყდა. სოფელში კინომოყვარულთა ბუზღუნმა იმატა. ციბრუტა საჩივრებით მოსულთ ამწვიდებდა:

— მერე ისეთ ფილმებს მოვიტან.

კირილემ მალიხალ დახედავდა მშენებლობას. თავს ლოყაში წარმოიდგენდა და ამაყად გახედავდა სცენას.

— დააჩქარეთ, ძმაო! რაღაც, ისე ზანტად მუშაობთ. ამის გაცეთებას რა უნდა! — უწყრებოდა ხელოსნებს და ციბრუტას, — აბა, შეხედეთ, რამდენი რამ გვეშლება. კრება არ მოგვიწვევია და კინო არ გვიჩვენებს. ხო შეიძლება ეს-ლა გულანაბალი არ აიკრათ და სანამ კარგად დალამდებოდეს, ცოტა კიდევ იმუშაოთ?

— დავილალოთ, კაცო.

— შენი კაცო ვინ არი?! ალბათ უსაქმურობით დაილალო! — შეუღრიონა თავმჯდომარემ ჩია ტანის დურგალს, ფანქარი ყურზე რომ გავდო.

თავმჯდომარე ციბრუტას მიუბრუნდა.

— შინდისფერი ხავერდით გააწყობ, როგორც გითხარი. გემოიანად უნდა მოიქცე.

— მერე ამ კედლებს რა ეშველება, ძია კირილე? — შეხედა ისევ იმ დურგალმა, — ეს ახალი რამ ამ ძველში და გაშურულში როგორ გამოჩნდება, ჰა?

— კირი ხო გაქვს, ეს ვერანი! — გული მოუვიდა კირილეს, — აუცილებლად ფული ვინდათ, ისე ვერ გაათეთრებთ? თქვენიც არი ეს კლუბი? კინოში ხო გამოიჩინებთ ხოლმე, შეილოსან! ციბრუტ, მთელ სოფელს შემოგისევ, კარგი ბიჭები არიან და ნუ გაათეთრებენ! ვინც არას გაიღებს, კლუბს სიახლოვეს არ გავაკარებ!

— რაც ამ ლოყაზე ისარგება, ეს დარბაზი ისე ლამაზად მოიხატებოდა. — არ მოეშვა დურგალი.

— ედღედღე! — სახე მოღრიცა კირილემ. ამის წამოძახება მამინ იცოდა,

როცა ძალიან გაბრაზდებოდა და/საპასუხო სიტყვას კი ვერ ამოიყვანდა.

გოგოლაძე

ლოყა დაამთავრეს და კლუბი, როგორც იქნა, შეათეთრეს. იქაურობა განათდა, სულ სხვანაირი გამოჩნდა. სკამები მაინც ვერ გამოცვალეს. ფეხმოტყვეულები ისევ საღი სკამების ხარჯზე ცხოვრობდნენ.

იმ დღეს, როცა კლუბში კინოსურათის ჩვენება უნდა განახლებულიყო, ციბრუტა და კინოშეკანიკოსი რაიონის ცენტრში წავიდნენ ფილმის ჩამოსატანად. კლუბის გასაღები ციბრუტამ ხუციშვილს დაუტოვა. შუადღე გადასული იქნებოდა, შვეებულებიდან დაბრუნებული სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი ლაბაძე, კირილემ კლუბში შეიყვანა და ლოყა აჩვენა.

— რას იტყვი, როგორია, ჰა?

— ქალაქურია. — მოეწონა საბჭოს თავმჯდომარეს.

— ჰოდა, სოფელი უნდა ქალაქს დაეწიოსო. ხო იყო ამაზე ლაპარაკი. სოფელსა და ქალაქს შორის საზღვრები უნდა წავშალოთო, ესეც ხო ითქვა? — ჩაიჭიჩქირა კირილემ, — დაჯე, აბა, ხელები ისე დააწყე ამ ხავერდზე. რა სანახავია აქედან! ხავერდიც რა ალერსიანია.

— მერე, სოფელში რაო? — იკითხა საბჭოს თავმჯდომარემ და ლოყის წინა სკამზე კირილეს გვერდით დაჯდა, ხელები მოხავერდებულ მოაჯირზე დააწყო და გაიღიმა.

კირილემ შეკითხვა ვერ გაუგო.

— სოფელში რას ამბობენ ამის თაობაზე-მეთქი, — გაუმეორა ლაბაძემ.

— ბევრ რამეს ამბობენ და ბევრსაც იტყვიან. ქალაქშიც ამბობდნენ. არ გახსოვს? მაგრამ თეატრებს შემორჩათ ლოყები, ახლებსაც აკეთებენ. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამოს. მეც რაღაც მგონია ჩემი თავი.

— აფერუმ, კირილე! — წამოიძახა საბჭოს თავმჯდომარემ.

— შენ საიდანღა იცი ეგ სიტყვა, გიორგიო! — გაუცვირდა ხუციშვილს.

— როგორ თუ საიდან! აფერუმ! სხვა არა მოუხდება რა შენს სიტყვასა და საქმეს.

— აფერუმ შენცა!

ასე საუბრობდნენ კლუბის ახალ ლოჯაში მსხდომნი, ერთმანეთს აქებდნენ, ხავერდს ეალერსებოდნენ. იმ დროს კი ციბრუტას კინოლენტების ნაწილი ტომით მოვგდო მხარზე, ნაწილიც კინომექანიკოსისათვის აეკიდებინა და ორივენი ქვედღურეთისაკენ მომავალ ავტობუსში ასვლას ცდილობდნენ. ხალხში ისრისებოდნენ, იჭექებოდნენ და იჭმუტუნებოდნენ. „მოწმენდილი ცა“ მოქონდათ.

სალამოს კლუბი ხალხით გაიჭედა. ყველანი ლოჯას ათვალერებდნენ, შაგ იხედებოდნენ. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ხავერდს ხელს უსვამდნენ, როგორც ბატყანს, ისე ეფერებოდნენ. უმალღესში მოხვედრახე, იმედგაცრუებულმა ახლგაზრდებმა კი მოილაპარაკეს, ხუციშვილი ლოჯაში გამოჩნდება თუ არა, ერთი მაგარი ტაში დავცხოთო.

ტაში დასცხეს. აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. მაგრამ ხუციშვილმა ამას უურადღება არ მიაქცია. გვეგონებოდათ სულ ლოჯაში იქდა თავისი დღე და მოსწრება, ისე შევიდა ცოლთან ერთად. ჭერ მელანო დასვა, მერე გვერდით მიუჯდა. თავისი ჯალაბით საბჭოს თავმჯდომარეც შემოვიდა. ლაბაძე და მისი ცოლი წინ დასხდნენ. შეილები უკან. მათ ციბრუტაც შემოჰყოლოდა. როცა თავკაცები დააბინავა, კირილეს ჰკითხა:

— ხო არაფერს მერტყვი. ძია კირილე?

— დაიწყეთ, რაღას უცდით? ყველანი აქა ვართ!

ციბრუტა წავიდა. ცოტა ხნის მერე კინო დაიწყო.

ერთხელ რაიკომში უთხრეს ხუციშვილს, აირჩიე რომელიმე კოლმეურნეობა და მასთან სოცმეჯიბრში ჩაებო, ხუციშვილმა სოცმეჯიბრში გაოსაწვევად ზემოქედი არჩია, ამ სოფლის კოლექტივის თავმჯდომარეს, კოლა თანდი-

ლაშვილს, აღმასკომში შეხვდა და რიხიანად შეუძახა: მოვდივარ და გავმეორებ რდიო. ზემოქედელს ჩაეღო. მობრუნდა და ვაქეატურად დაგხვდებო. დღე დათქვეს, როდის და სად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. წილი ყარეს და მასპინძლობა ზემოქედელს ერგო.

კირილემ ერთი დღე სიძესთან გაატარა. მას დააწერინა ზემოქედში სათქმელი სიტყვა, ისიც თუ რა ვალდებულებას იღებდნენ ქვედღურეთელები. კირილე ისეთ რამეს აწერინებდა, სიძე ხანდახან ეჭვის თვალით შეხედავდა, მაგრამ შენიშვნის მიცემას ვერ უბედავდა.

ხუციშვილმა სიძეს ერთხელ კიდევ გაახსენა სად და რა დროს უნდა მისულიყვნენ „კომუნიზმის სხივის“ ფორტოპორტიორი და კორესპონდენტი. ორი კოლმეურნეობის სახეიმო წუთები ვახეთში უნდა ასახულიყო.

დიდის ამბით ემზადებოდა კირილე ხუციშვილი. თანმხლები პირნიც შეარჩია. დაარჩია როგორ უნდა ჩაეცვათ, რომ ლაზათიანად გამოჩენილიყვნენ, ასწავლა, თავი როგორ დაქირათ. პეტას უთხრა, თეთრი პერანგი ჩაიცვი და შავი გალსტუბი გაიკეთო.

— ეს ქუდი მოიშორე თავიდან! კარგი ქოჩორი გაქვს და ეს ყვავის ბუდე აღარ გინდა!

— ყვავის ბუდეო?! — ქუდი მოიხადა და დახედა პეტამ, — ყვავის ბუდეს რა უგავს, ძია კირილე?

— მოკლედ, ეგრეა. მე მაგ ქუდს ყვავის ბუდეს ვეძახი და შენ როგორც გინდა ისე მიილე. შარვალიც კარგად დაიეთოე. იმ შენს უქნარა დას უთხარ, დამგაუთოოს. შენ თუ არ დაგიჯერა, ჩემი სახელი უხსენე.

წასვლის წინა დღეს ყველანი ჩაბულ-დახურულები შეამოწმა. პეტამ კი გული მოაყვანინა. ისევ ისე ჩაცმული მოვიდა. როგორც ყოველდღიურად ეცვა და თავზე „ყვავის ბუდე“ ეღო.

— ედღედღე! — დაიძახა თავმჯდომარემ და ხელები გაშალა.

რა იცოდა, იმ წუთში პეტას რა აზრი უტრიალებდა გულში...

და აი, იმ დილას, როცა კირილე ხუციშვილი ლაზათიანად გამოეწყო და შინ პეტას ელოდა, ეფრემა ბაბუნაშვილის სახლში გლოვის ხარი დადგა.

ეფრემას გოგოს, ციალას, ლამით შინ არ დაუძინია. ეფრემას დილით რომ გაუღვიძნია, ცოლის შეშინებული თვალები შეჰფეთებია.

— გოგო სად არი, კაცო?

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ციალა არსად ჩანდა. ეფრემამ კეტი მოიმარჯვა და პეტას შინ ჩაეჭრა. პეტას მაგივრად მისი შეშინებული და დახვდა. ჩემი ძმა წუხელ შინ არ ყოფილაო, უთხრა აცრეძლებულმა გოგომ. მამინ კი ყველაფერს ძიხვდა ეფრემა და ხელი თავში წაიშინა.

სოფლიდან რაღაც ხმაური ამოდითოდა, მაგრამ თავმჯდომარე ვერ მიხვდა იქ რა ხდებოდა, ან პეტამ რატომ დაიგვიანა.

— რაც სიგრძე აქვს, იმ სიგანეს მივცემ, იმ მამაძაღლის ოხერტიალს! ეღედედე! — გაბრაზდა კირილე.

ცოლი ამშვიდებდა.

კირილემ გადაწყვიტა კანტორაში ჩასულიყო. ჭიშკარი გამოიხურა და გზაზე დაეშვა. აღმართში მომავალი თავისი „თანხმლებნი“ დაინახა.

— პეტა სად არი? — უწინ ეს ჰკითხა შემხედლურთ.

— წუხელ ეფრემას გოგო მოუტაცუნია... — დაიწყო ერთ-ერთმა თანხმლებთაგანმა.

— ეღედედე! — შეხტა და შეტრიალდა თავმჯდომარე. კანტორისაკენ სწრაფი ნაბიჯით წაეიდა, თან ამაღა გაიყოლა. კიბე მარდი ბიჭივით აირბინა და ქეთოს უბრძანა:

— ეფრემა ეხლავე აქ მომიყვანე, ან ცოცხალი ან მკვდარი!

სანამ ეფრემას ელოდა, ხმა არ ამოუღია. კაბინეტში წინ და უკან დადიოდა და ხანდახან ისმოდა მისი „ეღედედე“.

„თანხმლებნი“ ფეხზე იდგნენ, თავ-

მჯდომარის განკარგულებას ელოდნენ. ვერ გაეგოთ რად სკირდეჭოდეკორილეს ეფრემა.

გოგოლაძე

ქეთო აქოშინებული შემოიბტერა კაბინეტში.

— ეფრემამ, დამეხსენით, გულზე ცეცხლი მიკიდაო.

— ეღედედე! მე რაღა ჯანდაბა მიკიდაო! — დაიყვირა თავმჯდომარემ და თავად დაიძრა ეფრემასაკენ.

ეფრემას მართლა ეკიდა ცეცხლი. იგინებოდა და მუშტს გულში ირტყამდა.

თავმჯდომარე ეფრემას ეცა:

— ყელი გამოშვებ და ეგ არი!

ეფრემა ამას არ ელოდა.

— სოფელში არა ხარ დასაყენებელი! — ცხარობდა კირილე, — რა ღონისძიება ჩამიშალე, რა დროს გამოშვებ ყელი... მთელ რაიონში უნდა შემარცხვინო, ამას ზუსტბლიკა გაიგებს... სულ ყველაფერი კი შენი ბრალია.

— გამაგებინე, რა მოხდა, კაცო? გოგო მე მომტაცეს და შენა ცხარობ? ყელი მე გამოშვებ და სისხლი შენა გდის? არა მესმის რა, გეთაყვათ! — ხელეები გაშალა ეფრემამ.

— შენი ბრალია-მეთქი, რო გეუბნები, ალბათ, ვიცი რასაც ვამბობ. ახია, რაც დაგემართა. პეტა ვაჟკაცი ყოფილა და ყვავის ბუდეც იმას ხურებია! — ენას კბილი დააჭირა. ქუდი უნდა ეთქვა და ვინაიდან პეტას ქუდს ყვავის ბუდე შეარქვა, ახლაც ის შოადგა ენაზე.

თავმჯდომარეს გაოცებით შეხედეს.

კირილე დაცხრა, ერთ-ერთ თანხმლებთაგანს მიუბრუნდა და უთხრა:

— წადი, გიგუცას ბიჭი მონახე. იმას კარგი „ვოლგა“ ჰყავს. კირილემ, ეხლავე აქ განდი-თქო. — მერე ეფრემას მიუბრუნდა, — საქორწილოდ რო ემზადებოდე, ის დროა.

— უწინ ჩემი ქელები იქნება!

— ე მაგასაც ვნახავთ და იმასაც. — გულგრილად თქვა თავმჯდომარემ. მერე, როცა შარაზე გამოვიდა, — „თანხმლებთ“ მიუბრუნდა:

— გაიხაროს, ჯეელია. მაგრამ ამას მაინც არ ვაპატიებ.

გიგუცას ბიჭმა, ლონგინოზმა, გიჟით მოავლო თავისი მანქანა და ზედ თავმჯდომარის წინ ისე მოხდენილად დააშურებდა, კირილემ რუსულადლა მოახერხა:

— მალაღეც!

მერე შოფერს უთხრა:

— აბა, ერთი, გადმო.

ლონგინოზი მანქანიდან გადმოვიდა. მის შემხედვარე თავმჯდომარეს სახე თითქმის ისე დაეკუმუნა, როგორ დაკუმუნულიც იყო ლონგინოზის შარვალხალათი.

— აბა, ეგრე სად წაიყვანო, ბიჭო? პირი მაინც დაგებანა, შე მამაძაღლის ოხერტიალო! პერანგი მაინც არა გაქვს, თეთრი პერანგი?

— თეთრი პერანგი ვინ მომაქვავა, ძია კირილე. სულ მუქებსა ვყიდულობ, რომ ქუქუი ნაკლებად შეეცუოს.

პირი გზაში დაბანეს. ქოჩორი წყაროზევე დავარცხნეს და ზემოქედისაკენ გასწიეს.

ზემოქედი რაიონში ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობად ითვლებოდა. ახლა ამ კოლმეურნეობას უნდა გასჯიბრებოდნენ ქვედურეთელები.

როცა თავისი სიტყვა და ვალდებულების პროექტი გამგეობის წევრებს გააცნო ზუციშვილმა, ბრიგადირებმა და მერგოლურებმა გაკვირვებისაგან პირი დააღეს.

— ეს რეები ჩაგიწერია, კირილე? მაგას ჩვენ როგორ შევძლებთ!

— უნდა მოვეკედეთ და შევძლოთ.

გულში კი გაიფიქრა: „აი დარდი, თუ ვერ შევძელით. ჩემი სიტყვა ხომ ქუხილივით გავარდება! ერთ წელიწადს მთელ რესპუბლიკას ეყოფა სალაპარაკოდ. ვინ იცის ისე დაიქუხოს ჩემმა სახელმა, ვალდებულების შემოწმება არც კი შეადრონ. შეადრებენ და კირილემ საკადრისის მიზღვაც იცის“.

მერე თავის ნაფიქრალს ხმაშალდა დაუმატა:

— მაშ ასე! დაგვიმტკიცებია!

გამგეობის წევრებს ყურფადღე ფაფავა, ქალაღი დაკეცა, ჯიბეში ჩაიშინდა და თათბირი დასურულად გამოაცხადა.

ზემოქედელები კოლმეურნეობის თავმჯდომარის მეთაურობით კლუბთან ელოდნენ ქვედურეთელებს.

როცა ქვედურეთელების მანქანა გაჩერდა და კირილე გადმოვიდა, პირველად რაიონული გაზეთის ფოტორეპორტიორი დაეტაკა, სანათური თვალეში მიანათა (თუმცა კაშკაშა მზე დაპყურებდათ), აპარატი ცხვირწინ ჩაუჩხაკუნა. მერე აღარ მოეშვა. კირილეც იფერებდა თავის გარშემო რეპორტიორის ტრიპალს. ის კი სულ თან დასდევდა. გადაიღო ქუდმოხდილი კირილე როგორ მიესალმა ზემოქედელებს; როგორ ჩამოართვა ხელი კოლა თანდილაშვილსა და სოფლის სხვა თავკაცებს. გადაიღო კლუბში შესვლისას; კიბეზე გაწვა და კადრში, ალბათ, კირილეს შარვლის ტოტები და ტუფლები აიბეჭდა; გადაიღო პრეზიდენტის შავიდასთან და ტრიბუნაზე, სიტყვის თქმისას, ტაშის დაკვირვისას, მეზობლად მჯდომთან გაღალაპარკებისას...

ერთი სიტყვით, ფოტორეპორტიორი დაიწინა და დაიღვლანჭა, ულოსავით დაიგრიხა. ხან სკამზე შეხტებოდა, ხან ჩაიჩოქებდა და სიჩქარეში მუხლისთავეებს აღარც იბერტყავდა.

— რა სულ კირილეს დასტრიალებს! რა მოხდა? — კითხულობდნენ ზემოქედელები.

— შეხე, შეხე, ყური გადაუღო!

ფხუკუნებდნენ კლუბში მსხდომნი.

დასასრულ, შევნიშნავ, რომ ჰარონ ზუტერიზ იმსა-ხურებს ყოველი ქართველის მადლობას თავის მიუღ-გომელი, მიკვრანთველი ცდით — გააცნოს მეწიერ-თა სამყაროს რუსთაველის ქმნილება.

მინდოდა უფრო დამკრილებით შელაპარაკა რუსთა-ველზე; ამჟერად, ზეონია, კმარა, შესაძლოა, ვქვს მოსაწყენად მოგვჩვენოს.

უწინარეს ყოვლისა, ძვირფასო შეგობარო, შეშინ-დე ასეთი ხანგრძლივი დუმალისათვის. სიხარულე რომ გიხსრა, ამ მხრივ რამდენადმე წავიზარმაყე; რაც მთავარია, ვვარაუდობდი მიშეწერა სწორედ დღესასწაულებს წინ, როცა შენ უფრო მეტი თავი-სუფალი დრო გეტეება, როგორც ჩემი წერილის წა-საკითხად, ასევე პასუხის გასაცემად. შენი ყო-ველი წერილის მიღება ჩემთვის არის მთელი ხასიათ-რული მოგუნება, რადგან შენ ხარ ერთადერთი კაცი, რომლის საშუალებით მე დაკავშირებული ვარ წარ-სულ ცხოვრებასთან და მოგონებებთან. არ ვიცი, რა დამეზარებოდა, რომ მე, ბედის აბირებით, მოკლებუ-ლი ვყოფილიყავი ამ კავშირსაც. მაგრამ ნუღარ გა-ვატრბლებთ ამზე ლაპარაკს, გვახსოვდეს სიტყვა რუსთაველისა:

„ქვს წესია სოფლისა, აბ ახალია, ძველია“.

მე, მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვარ და ჯანმრ-თელად, ახლა მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურ ენა-ში ემყვადინებო. მეტისმეტად გამიბატა მისმა შეს-წავლამ და მივდივარ სწორი ნაბიჯით, მიკვრევენი ზემს ბუნრე მესხიერებას, რომელიც არ უარობს სამ-სახური გამიწიოს; მადლობა მას ამისათვის.

მაგრამ აი რაშია საჭმე, ძვირფასო ვისო! ახალი წლიდან ვაწყებ სახელმძღვანელს შესამე ნაწილის შესწავლას, იმ ნაწილისას, სადაც ახსნა-განმარტება მოცემულია ინგლისურ ენაზე, ამიტომ უკიდურესა სა-ჭიროება მაქვს ლექსიკონისა, თუნდაც ჯობისა, ღონდ გამოთქმის წესებით. მეგონა, ასეთა ლექსიკონი არსე-ბობს, თუ არ ვეღები, სიტკისა, და შენც სანახვე-როდ შემიმსუბუქებ შრომას, თუ რაზე ლექსიკონს გამომიტყავნი.

ველი შენს წერილს და ცოტაოდენ ფულს ახალი წლისათვის, თუ ეს არ შეგაწუხებს.

გუშვევი ძმურად, შენი ერთგული მეგობარა დავეთ ჩქიტუა.

1885 წ. 13 დეკემბერი.4

მეორე წარჩილი

1886 წ. 19 იანვარი

გულწრეველი მადლობა, ძვირფასო მეგობარო ვისო, შენი წერილის გულითად ტონისათვის; ამ წერალის თვითველი სიტყვა სუნიჭავს წმინდა მეგობრობის და გულითადობის გრანობით. შენი წერილები ყოველ-თვის სიციცხლით მავსებს და ეწერვიას მიახლებს, მაგ-რამ უკანასკნელი შენი წერილი განსაკუთრებით სა-მასხეროა მახი გულითადი ტონის გამო. მართა-ლია, მას ჩემთვის არ მოუტანია სახსარულთ ამ-ბები, მაგრამ თუ სახარების სიტყვებს ოდნავ შევცე-ლით, უნდა ვთქვა, რომ უბედურებაში არა მარტო სა-

სიხარული ცნობებით ვნუგეშობთ, არამედ მეგობარ-თა მხრივ მეგობრული გრანობების და თანაგრძობის ვოველი გამოვლინებით, რადგან მეგობრული გრანო-ბის გამოვლინება, მარალაც, სიციცხლის მინიკებას უდრის გარკვეულ შემთხვევებში.

თუ მე კვლავ ვცოცხლობ ზნეობრივი და გონებ-რევი სიციცხლით და არ გაებოროტებულვარ სიციც-ხლისა, ადამიანებისა და თვით ჩემი თავის მიმართ, ამას მე უნდა ვემადლოდე შენს მეგობრობას, რომე-ლიც ჩემთვის ზნეობრივი დასაყრდენია ჩემს უბედუ-

რებამი. ყოველივე ეს შეიძლება დააფასო მამინ, როცა ნამდვილად გრწნობ ასეთი მხარდაჭერის საჭიროებას და აეუღლებლობას.

ზოლო შენ, ჩემი ვთილი, როგორც ხედავ, ადრე დაგიწყია ჩივილი სიბერეზე, რაკი მეფე როსტყვეანის მსგავსად გაიძახა: „სიბერე მახლავს, დაველი ხე-მანწილისა დღენია“. ამას ამბობ ორმოცდაათი წლის ეკვატოი მინდა დავიჯერო, რომ შენ დაიღალე ხანგრძლივი გონებრივი დამაბულობით, და დროებითი მდგომარეობა მიიჩნევ სიბერედ. ზაფხულს სამშობლოში წადი, დაისვენე და დამიხსავ, რომ სიბერე შენგან ჯერ კიდევ შიშავს. თუნდაც მე შემომხედე: წლებით ოდნავადაც არ ჩამოგრჩები და მიუხედავად ამისა, ყოველ დღელს სიცილით ვგებები თმის თეთრულ ღერს, რომელსაც ვყო თავხედობა გაკავალარაგებულადი ჩემს თავზე ერთი ღამის განმავლობაში. ვეტიკობ, რომ მსენება კიდევ დიდხანს მყავს, თუშე (ვეუბნები ამას საიდუმლოდ) დროდადრო თვითონ ვგრწნობ, რომ „დავლივი სიყმაწვილისა დღენია“, მაგრამ ახლა ესეც აკითხე, როგორი იყო ჩემი ცხოვრება ამ ათი წლის მანძილზე!

გუხვევა რა, ძვირფასო მეგობარო ვასო, შენი ჩივილის მფარე პუნქტის გამო შევინწყე, რომ სამშობლოს მიმორებული, შენს სამეცნიერო კამინტეში მას უფრო მეტ სარგებლობას და სახელს მიუხედავ, ვიდრე იქ რომ ცხოვრობდე. მით უფრო ახლა, ჩვენს დროში, როცა პატიოსან ადამიანს შეუძლია ნუგეში კპოვოს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებაში.

ძალიან შემაწუხა გიორგის ამხავმა, თუმცა არ შეკრა იგი მის ახავში ასეთ უშეგავსო ცხოვრებას ეწეოდეს, როგორც ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, ზოლო საკუთარში დირვსაც ვერ ამჩნევენ. მაგრამ ჩემთვის უკველია ის, რომ იგი (გიორგი) თავისი სასაათის ინერტიულობის გამო, შეტას მეტად ჩაება გარემოცულ წრეში და ყველა წარუმატებლობისა და იმედგაცრუების შემდეგ, გზამხვეულ ცხოვრებას ეწევა.

რაც შეეხება ოდესაში ვლენერს სანგრძლივ ყოფნას, აღბათ, ამას უფრო სერიოზული მიზეზი აქვს, რაც ძალიან მწყინს, როგორც მის მოყვარულს და პატივისცემულს, რადგან იგი, რაც არ უნდა იყოს, უფრო უკეთეს ხვედრს იმსახურებს.

საწველი ნინა ერასტოვისა? რომ შეეძლოს შეატყოს, თუ რამდენი ადამიანი გაუბედურდა მისი მიზეზით! ძალიან მონარული ვარ, ძვირფასო მეგობარო ვასო, რომ შენ საინტერესოდ მიიჩნევ ჩემი შენიშვნები რუსთაველის მოფლმედეგლობის შესახებ. სიხარულით გაგავარძელებ ამ განხრით წერას, რათა ამათ გსიამოვნონ, თუმცა ამაზე მუშაობა შემიძლია დროგამოშვებით, მხოლოდ სულიერი წონასწორობის დროს

მამინ, როცა, ასე ვთქვათ, ჩემი თავი ჩემს განყარებულებაშია, მაგრამ შინც იმედი მექვს კიდევ ცოტა რამეს მოვასწრებ. ახლა ერთი პატარა ნიშნები, რომლის მიხედვით შემიძლია ვიმსჯელო რუსთაველის ღრმა დავიარგებულების შესახებ. როგორც ცნობილია, დარჩინი თავის ცნობილ ნაშულებამი: „შედარების გამოხატვა ადამიანებსა და ცხოველებში“, ამბობს, რომ ადამიანის ღრმა მწუხარებას გამოხატავს ნაღისებური ნაოტის გამოჩენა შუბლზე და წარბების მიერთი კიდევების ზევით აწევა. ცოცხალი პირების და ფოტოგრაფიული სურათების გამოყვლის შემდეგ, იგი უკვირდებოდა რა მწუხარების გამოხატვას მხატვრულ ლიტერატურაში და ხელთნებაში, იპოვა იგი მხოლოდ ლაიკონის რკუვში და კიდევ ერთი თანამედროვე მხატვრის ნაწარმოებში. რამდენიმე საუკუნით ადრე დარჩინის გამოყვლებამდე, რუსთაველისათვის ცნობილი იყო ღრმა მწუხარებით შეპყრობილი კაცის სახის გამომეტყველება.

აბა, დავდე ეურო, როგორ გვიხატავს რუსთაველი დამწუხრებული ადამიანის სახის გამომეტყველებას იმ წუთებში, როცა ფატმანს და მის ქმარს მოსწვენებას არ აძლევენ კითხვებით:

„რაცა ვაკითხეთ, არა ვიცი, ესმა, ანუ არ ისმენდა: ვარდი ვრთვან შეწევა, მარგალიტა არ ამენდა; გველნი მოშლით მოგვეცნეს, ბალი შელმა“
შერამენდა,
შე ვეშაპა დავბნელა, ზედა რადმეა გაგვიოქნდა!

თუ ამ ხატოვან თქმის უბრალო ენაზე გადაერთინით, მივიღებთ შემდეგ სურათს: მოკულებული ტურები ფარავდა კბილების მარგალიტა რიგს, ვარე კიდევით ძირს დახრილი წარბები აწვეული იყო შინაგანით, რომლის ზემოთ გაშენდა ბალი (ე. ი. განდა ნაოტი). მწუხარებამ, ვეშაპის მსგავსად, დააბნელა მისი თვალების ციური ნათება.

გთხოვ გადასცე შენს ცოლს ჩემი მეგობრული მოკითხვა.

შენი მოყვარული დ. ჩიტუა.

P. S. თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ დაგაბრკოლებს, როდისმე შეიარე ელენესთან და იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზე დაგებდება... გადაეცე ჩემი მოკითხვა და ჩემი დარწმუნება, რომ მე მის შესახებ მუდამ საუკეთესო აზრისა ვარ, რა დამოკიდებულება არ უნდა არსებობდეს მისა და გიორგის შორის.

მაპატიე, მეგობარო, რომ ასე დავგანებით გწერ, მაგრამ შენი წერილიც სხვადასხვა გარემოების მიზეზით, შესაშე დღეა, რაც მივიღე. ლუქსიკონი ჯერ არ ჩანს, შესაძლებელია, ამ ფოსტით მივიღო.

შესახებ წიგნილი

1886 წ. პირველი ნახევარი.

ვმადლობ, ძვირფასო მეგობარო, წიგნისთვის.¹⁰ უკვე წიგნიკითხე და ვგრძნობდი თქმის არ იყოს, ვჭარბობ დავუთვლებდი გაგიორგინი ჩემი შთაბეჭდილებები.

სრულიად ვერ გამოვიდა, ხად გამოზრცია ბ-ნმა ჭაკვატამ! ასეთი უფრო მთარგმნელი, რომელსაც თავში ასეთი დონხალო აქვს სიტყვებისა და ფრაზებისა,

რომლებიც სრულად ერთმანეთთან ვერ დაუკავშირებიან. პირველად აღსაპარაკდენ რუსთაველზე სერიოზულად და ახლაც ვერ შესძლებს გადმოვით აზრები პატივცემული ავტორისა...¹²

ენა — ეს არის ხალხის სულის ხედვისა და სმენის ორგანი. მის შერყენას და აღრევას ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორც გრძნობათა ორგანიზმის მოშლის სხეულისათვის. ენას შერყენასთან ერთად წყდება სულიერი კავშირების დავარცხნა ხალხში, იფიტება მისი ძველი მარაგი, მაშასადამე, ქვეითდება ხალხის გონებრივი და წინებრივი დონე და ბოლოს და ბოლოს თავდება მისი (ენის) გადაგვირებით. ქართველი ხალხისათვის რუსთაველი დაიდა, უნდა რუსეთისათვის, მისი სიღაღით, შტეფელიანი სიღაღით და სინდორით, შეუდარებელი უნარით გამოხატოს როგორც სულის უფაქიზები და უნაზუსა მოძრაობა, ასევე მისი შრასხანე და ქარიშხლიანი ალტერნატივი. ამაშია მისი უკუდადება, რადგან ამით იგი ასახიერებს შთელი ხალხის გენიალურ მადლიშობილებას. მაგრამ რუსთაველს ეს ძლიერი, თავისი სიღაღით გასაოცარი ენა აქამად იშრატება და ხუნდება. გულისა და უღრმესი გრძნობების ენიდან, იგი იქცა ენის წყვირის ენად; უნაზუსი და კეთილშობილი გრძნობების ენიდან თბილისური სომხურ-პარსული კულტურის ზეგავლენით იგი გახდა თბილისელი ტაკი-შახრების ცინიური ორატორების და უამისი ოხუჯობის ენად.

ბოლოს, იგი სამუდამოდ დასახინდა თანამედროვე ლატერატორთა ხელში, დაემთავრა უკიდურესად მოშლილ არღანს, რომელიც გულის შემადრწუნებელ წივილს და ღრჭილს გამოსცემს. ეს ფრიალ სამწუხაროა უოველი ქართველისათვის, და ენის ეს საგალალო მდგომარეობა რამდენიმე საუკუნის წინათ იგრძნო და იწინასწარმეტყველა რუსთაველმა, როცა ბრძანა: არ შევამოკლოთ ქართული, არა ქქმნათ სიტყვა-მეცობა.

მაგრამ საბედნიეროდ, რუსთაველის მშვენიერი ენა დღემდე დაცულია იქ, საიდანაც არის წამოღებული, იმასთან, ვინც ის შექმნა და გადაარჩინა შერყენის და მოშლის, სახელდობრ უბრალო ხალხში, რომელიც სომხურ-პარსული კულტურის შემოსაყველი გავლენის მიღმა დგას, ხალხში, რომელიც კვლავ მზად არის გაამდიდროს იგი, შეაკეთოს და გაასწოროს დროსა და ცხოვრებისაგან შერყეული შერობა ენისა.

მაგრამ იმისათვის, რომ ხელმეორედ შევაგებოთ ენა მისივე წყაროდან, დავეუფლოთ მას და გავხადოთ იგი კულტურის და ცივილიზაციის ენად, საჭიროა არა უბადრუკი ბრძენეყები, რომლებიც სხვისი აზრებით და გრძნობებით ივებებიან, არამედ ადამიანები, რომლებიც აზრებს და გრძნობებს პოულობენ საკუთარ თავსა და გულში, ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი იკითხონ არა მარტო სხვისი წიგნები, არამედ ხალხის ცხოვრება მისი ისტორიული არსებობის მოქალაქე მძინოლზე. სანამ ეს ასე არ არის, სანამ ქართველები, მათ უფრო აბაღაზრდა თაობა, ცნობილ შერყენების ფელტონური აზრების გავლენას

თავს არ დააღწევენ, სანამდე არ შეიძლება ექვონიოთ მოლოდინი რაიმე სერაოზული წარმატებისა ქართველი ხალხის გონებრივ-წინებრივ განვითარებაში.

მაგრამ ამის შესახებ კმაა ლაპარაკი. გადავიდეთ უფრო მნიშვნელოვან საკითხზე. — ჩემს წინმშეებს რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ ვიწყებ მისივე სიტყვებით:

„ვა, სოფელმან სოფელს მეყოი ყოელი დასვა ცრემლია დენა!“

რუსთაველის შეხედულებით, ადამიანი დაზადებიდანვე განწირულია ცრემლისა და ტანვეისათვის, რადგან ეს ცრუ და დაუდგროშელი წუთისოფელი აღსაესა მუხანათობით და პირატებით; ბედნიერება მოწვევებითია, ღუნა და სიხარული ხანმოკლე, რადგან ყოველივე თავდება მწუნარებით და იმედგარეუბით. ეს არის წუთისოფლის შედმევი კანონი და ცხოვრების უკველი წყაროვი, ასეთად შევცნობილი ბრძენთაგან, რომელთაც, მართებულად, ძაგთ ეს ქვეყანა სწორედ ასეთი წესრებისათვის:

„ბრძენნი იყნობენ, სწუნობენ შით, მათგან საწუნელია; ცრუ და მუხთალი სოფელი, მიწვიც ავისა მქმნელია.“

საწუთრო ნაცვლად გვატარებს, რაც ოდენ გავცვიინია. ტველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია.“

ცხოვრება მიწერ სიამეთა სახით ხლართავს მუხანაურ ქველს, მოწვენებითი სიამოვნებით და ბედნიერებით აცდუნებს, და თითქოს ნეტარებას განაყდვინებს ადამიანს, მაგრამ უცებ შვაკერულად გლვეს ქველს და ბედნიერების ფუფურული სიამილიდან ძირს ანარცხებს მისზე მინდობილ მახვერპლს, რომ უფრო ძლიერი გახადოს მისი ტანჯვა და უფრო ღრმა მისი გულის იარები.

„მინდონი საწუთროსანი მისთა ნეთთაგან რჩებიან იმუებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან...“

მისთა ნაკვეთა წინწალი დამეყეს, ხანგრძლად მწველია“.

ამიტომაც, — ამბობს რუსთაველი: —

„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!“

პოეტს წუთისოფელი მიაწია ვარამის და ოხტარების მიხეზად:

„შით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად სრანს ყოელი, სად არე“.

ამრიგად, რუსთაველი თავისი მსოფლმხედველობით პესიმისტია, მაგრამ მისი პესიმიზმი მომდინარეობს არა პირადი უბედობისა და წარუმატებლობისაგან, არამედ ადამიანისა და ცხოვრების ღრმა შეუთბობისაგან, იმ ცხოვრების შეცნობისაგან, სადაც შედინერებას ფატალურად სჭარბობს ბოროტება, რაც ადამიანის გულის ბუნებით არას გამოწვეული. გული ადამიანისა ურჩი და ამკარებელია თავის მისწრაფებებში, ხარბი, გაუძლიერდი და ამირებულია თავის სურვილებში, ბრმა და ვანუსკვლია ვნებებში, და მართალია მისწრაფის რა შედინერებისაგან, შეუღამ იტანჯება ცხოვრების უკმაობისაგან.

სიყოცხლისუნარიანობით გამოირჩევა იგი, მაგრამ როგორც სწინა, ვერ მივსადავებთ ამ აქსიომას, რადგან მისი — (რუსთაველის) გაუღენი, იფარღებება არა ერთი რომელიმე ისტორიული ეპოქით ანუ თაობით, არამედ იგი ვრცელდება რაც საუკუნეებზე და ათას თაობაზე, რძინებუც ერთმანეთს ნაკლებად გგანან როგორც მთოფლმხედველობათა ხასიათით, ასევე მათი ეპოქების ისტორიული თავისებურებით.

მართლაც და, რა საწაუღელის და გრძნობების ძალით შეძლო რუსთაველის ქმნილებამ საუკუნეთა მანძილზე სულიერად გაფერთანებასა ესოდენ სხვადასხვა ხასიათის ისტორიული ეპოქები და ათასი თაობა, რომელთაც ერთმანეთშორის არა აქვთ შვავსება. რატომ არის, მავალითად, რომ უშიშარნი, მღერამ ცხარე ცრემლის მღერელი გმირები პიეზისა, წესიერებისა და სამართლიანობის ღრმა გრძნობით გამსჭვალულნი, ხელშეიფონ ავტორიტეტისადმი უბში მორჩილებით შეპყრობილნი, მადლი, სულიერად აღვზნებულნი, ასეთი სიფარღული და პოპულარობით სარგებლობენ ფეოდალიზმის უკიდურესი განვითარების ეპოქაში, ძალიშორების და უბში ძალის ბატონობის ეპოქაში, ხელშეიფონ, როგორც გამაფრთხანებული ძალის, ავტორიტეტის დაღმისა და უფლებამართალზე მალადობის უპირატესი ბატონობის ეპოქაში? ყოფილვე ეს, ვერჯერობით გარკვეული არ არის; ეს გარკვევლობა კიდევ უფრო სამართობი ხდება, თუ რუსთაველის ქმნილებას შეუპირისპირებთ „ამირანიანამ“ ან ამის შვავს ნაწარმოებებს, რომლებიც გამოხატავენ იმ ეპოქაში გაბატონებულ სულიერეყოფის მიუხედავად იმისა, რომ „ამირანიანამ“ და მის შვავს ნაწარმოებებში აისახა უკიდურესად განვითარებული უბში ძალის ბატონობა, მიუხედავად ამ ნაწარმოებთა შვატრული ღირსებებისა, როგორც ამის მოწმობს თვით რუსთაველის სიტყვებში, ვვლას იბინი გატრნენ, გამოვიდნენ ხმარგიდიან ისე, რომ არაფერი დასტოვეს ხალხის შესიერებაში, გარდა მღეროდენი ბუნდოვანი ნაწყვეტებისა. ვვლას ეს და ამისდაგვარი საკითხები, ვიმეორებ, ამჟამად გადაუწყვეტელი რჩება, რადგან არ მოგვეპოვება ქართული ხალხის ისტორიული და ყოფითი თავისებურების მიუწებელი მასალები.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის სულის სიღადადს ნაყოფმა — რუსთაველის შემოქმედებით გენიას ნაყოფმა გაუძლო ყოფილვეს და ვვლავრს, — ქართული ხალხის ბრწყინვალე ეპი-

ქასაც, თავდაცვისათვის უსახტაცეს ბრძოლასაც წარმატებებსა და მარცხებსაც, სახიფათო-საშიშ კრიზისებსაც, ბოლოს თვით ხალხის დაღმისაც, მაგრამ უბში რომ ფვითონ არ დაღეულა. იგი ხალხის გული, თვით მისი ცხოვრების უბშიმეს ეპოქებში, იმასავდა სულიერი ცხოვრების, სიფარღულს იმ უწმინდესი გრძნობის ნაქრწკალს, რომელიც მომავალი კულტურული ცხოვრების წარმატების საწინდარია და შეიძლება უბლიერეს გიზგიზა ალად ავარდეს, რომ განათოს ხალხის გზა სულიერ ცხოვრებაში.

თუ კი ბრძოლვე იმისათვის, რომ ადამიანებს ლეოთარი ცეცხლის ხმარება ასწავლა, უკვდავთა რიცხვში მოხვდა, მაშინ რუსთაველი, რომელიც ბნელიშ მოყულ საუკუნეების მანძილზე ამ ლეოთარ ცეცხლს ქართული ხალხის გულში ნაკურობლად იმასავდა, იმასახურებს უბლიერეს მადლიერების გრძნობას; და ქართველი ხალხი რუსთაველს, დამასურებისამებრ, მიუხლავს, რყო იგი შეიცნობს თავის თავს და თავის ისტორიას უფრო უკეთ, ვიდრე ღღეს ატეს შეცნობილი.

შე თუ შაკითხავ, ვყოცხლობ და ჟანმრთელი ვარ. ამას კი შინიშვებობა ატვე ჩემს მღერომარეობაში: არ ყედილობ უკან მივებლდე იმის შინით, რომ (ბიბლიური პერსონაგის) ლითის ცოლის შვავსავდა, მარლის სვეტად არ გადავიტყვე, არც წინ მომღერის აღღმქმელი მიწა, ხოლო როგორია ჩემი ამწყო, შენ კარგად მოგვსვენება. რა შინიშვე არ უნდა იყოს იგი, მე შინიშვე შევლავ ვიფოთრო შევნებულად, ისე რომ არ ვგრძნობდე ჩემი მღერომარეობის შოღე ხიშიშიმეს, რისთვისაც უნდა ვჟამადლოდე, უწინარეს ვოლბინა, ჩემღამი ატეური უფროსების ჟემანურ მოპარობას; იბინი ჩემთვის აყოებენ ყოველსავე შესაძლებელს თავისი უფლებამოსილებების ფარღლებში.

შენ კი როგორ ხარ, ძვირფასო ვასო? გვხვდი დაუწრებლად და გიოთლი გულითად მადლობას ჩემღამი შენი შვეობრობისათვის. მღერმუნე, ძვირფასო მგეობარო, რომ ჩემი განასაკუთრებული მღერომარეობის გამო, ჩემზე კვეთ მას ვერაფერ დააფსავებს და უფრო ძვირფასად ვერ მიიწვევს. ეს შვეობრობა, იწება, აღბათ, ერთადერთი მასულღემულებელი ნუკეში ჩემს შემღვიმ მწუხარე ცხოვრებაში.

გთხოვ, გადასცე შენს ცოლს ჩემი მგეობრული მიკითხვა, კეთილღღერობის და ჟანმრთელობის ჩემი სურვილები. იყავ ჟანმრთელი და ბედნიერი, ძვირფასო მგეობარო. ერთხელ კიდევ გვხვავო, დაგრჩები შენი შვიკარული დ. ჩქოტავა.

P. S. გთხოვ, ვასო, არ დაგეიწყდეს, შემბატეობინე მისმართი გრძნობული აწღვის მღღინის ღღერობასოვის 13 კ; შინდა გამოვიწერო ბღღერის გვრძნობული ენის სახელმძღღღენლო. ამასთან, თუ ხელთა გატეს ან ხელი მიგიწყდება, გამოიშვავანე ბატკაბის „საქართველოს ისტორია“.¹⁴

არავისგან არავითარი ცნობა არ მიმიღია.

შენიშვნები და კომენტარები



1. დავით ჩქოტუას წერილები (რვა წერილი) რუსულად, ვასილ პეტრიაშვილისადმი დაცულია ოდესის საოლქო სახელმწიფო არქივში (იხ. ფონდი № 163, ანაწერი №1, საქმე № 8). ამ წერილებიდან, პირველ რიგში, ვაქვეყნებთ აღნიშნულ სამ წერილს, რომლებშიც, როგორც მკითხველი დაინახავს, ავტორი უზიარებს ვასილ პეტრიაშვილს თავის შემედუღებებს შოთა რუსთაველისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. წერილები იბეჭდება მწერალ ვანო წულუკიძის თარგმანით.
2. წერილების ტექსტებში „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები ქართულად მოტანილია ზეპირად. სტროფები შედარებულ-გასწორებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1987 წლის გამოცემის მიხედვით.
3. როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს ი. მელნარავაის მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ბარონ ზუტნერის ფრანგულად დაწერილი წერილების სერია — „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“ (პოემის გადათარგმნის გამო ფრანგულ ენაზე) — *Mémoire en français de O. Barsovoï sur la „poéme de la peau de l'ours“* (по поводу перевода поэмы на французский язык), რომელიც პირველად გა.ზ. „კავკაზში“ (1884 წ. №№ 265, 267, 268) დაიბეჭდა რუსულად. ხოლო იმავე დროს ქართულად ეურნ. „ივერიაში“, (1884, №№ XI, XII) და გაზეთ „დროებაში (1884 წ. №№ 258, 259, 261, 262, 264, 265).
4. წერილს ორი თარიღი უნის — თავში „1885 წელი 9 აგვისტო“, ხოლო ბოლოში — „1885 წ. 13 დეკემბერი“. პირველი ნიშნავს წერილის წერის დაწყების თარიღს, ხოლო მეორე — დამთავრებისა და გაგზავნისას.
5. ივლინსხმება დავით ჩქოტუას თანშეზრდილი და მეგობარი, მწერალი-დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შიხელიძის ძე შარვაშიძე (1846-1918), რომლის მამულებს მოურავადაც მუშაობდა დავით ჩქოტუა. მის შესახებ იხ. ს. ჭანაშვილი — „გიორგი შარვაშიძე. ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან“, ნაკვეთი III, 1939.
6. ელენე — ექიმ ერასტი ანდრეევსკის უფროსი ქალი, გიორგი შარვაშიძის მეუღლე.
7. ნინა ერასტოვა — ექიმ ანდრეევსკის უმცროსი ქალი, გიორგი შარვაშიძის ცოლისა და, რომლის მტკვარში დახრჩობის გამო შეიქმნა სასამართლო პროცესი, და დავით ჩქოტუას უდამანაშულოდ დაბრალდა ამ ქალის მკვლელობა, რის გამოც მან 20 წლის კატორღა და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიესაჯა (იხ. «Убийство девицы Н. М. Андреевской», სასამართლო პროცესის ანგარიში, Тифлис, 1878).
8. აქედან ჩანს, რომ დ. ჩქოტუა კატორღაში წერდა გამოკლებვას შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე. მან ეს რუსთაველოლოგიური შრომა დასრულებული სახით გადასახლებაიდან დაბრუნებისას 1906 წელს სამშობლოში ჩამოიტანა.
9. მესამე წერილი უთარიღოა. იგი მეორე წერილის მოხდევს პერიოდში — 1886 წლის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი და გადმოგზავნილი.
10. აქ შესახებელია, ივლინსხმება არტურ ლიხტინის წიგნი გერმანულად „ქართველები“, ლიბციგში 1885 წელს დაბეჭდილი, სადაც საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მწერლობის საკითხებზე მსჭელობისას, ავტორი ეგება შოთა რუსთაველს, მის „ვეფხისტყაოსანს“ და მოტანილი აქვს ცალკეული ადგილები თავისივე ლექსითი თარგმანით (გვ. 160-210).
11. ივლინსხმება ილია ქავკაშაძე. მისი მისამართით წერილი დ. ჩქოტუას რაღაც ურთუ სამ. დურავი იხმის.
12. წერილში აქ მცირე ადგილია გამოტოვებული.
13. დერბიანოვის სახელწოდებით დღესაც არის ოდესაში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.
14. აქ უნდა ივლინსხმებოდეს ვახუშტის საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, ძველი საქართველოს საზოგადო ქარტიო, ტფილისი, 1885, გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.



მუშავენიერების გრძნობა ირაკლი აბაშიძის პოეზიაში

მე უნდა დაგრე მგოსანი ჭვეყნად
ახალ სიყოფის და ყვაილუბის.

ი. აბაშიძე

ირაკლი აბაშიძის ესთეტიკური კრე-
დო გამოვლინდა საბჭოთა ხალხის
ცხოვრების პოეტური გამოსახვის საკუ-
თარ საშუალებათა ძიებაში. იგი მტკი-
ცედ აცხადებდა, რომ ოქტომბრის სო-
ციალისტური რევოლუციით გამარჯვე-
ბულ ჭვეყანას ესაპიროება ახალი მადი-
დებელი ჰიმნი, ხალხმა უნდა გაიგოს
მგოსანმა როგორ „ნახა ვარდებში ჭვეყ-
ნის აღორძინება“. ლექსი „ყვაილუბი
ქალაქში“ საპროგრამო ხასიათის ნაწარ-
მოებია და ირაკლი აბაშიძის თვითმყო-
ფადმა, ხალასმა ნიჭმა და პოეტური
ტემის ვირტუოზობამ პირველად მასში
იჩინა თავი. პოეტი ამბობდა, „როგორც
ტყვიასი, ვარდებშიც უნდა მოკვდეს
მგოსანიო“. ამ მაღალი ესთეტიკური
იდეალის განსაზიერებას წარმოადგენს
მისი პოეზიის ჰუმანიზმით შთაგონებუ-
ლი იდეები და ორიგინალური მხატვ-
რული სახეების სისტემა. ისტორიის
შეუჩერებელმა ბორბალმა ძველი დრო
და ყოფა გახვეტა, კომუნისტური პარ-
ტიის ძლევამოსილი ხელმძღვანელობით
მშრომელმა ხალხმა თავისუფალი შრო-
მის სიხარული და ბედნიერება განიცა-
და, არნახული ამბების მოწმე გახდა.
ჭვეყანა დაიფარა გიგანტური ქარხნე-
ბით და ფაბრიკებით, ლალად აშრიალ-
დნენ ზავერდოვანი პლანტაციები, აბი-
ბინდა თავთუხის ჭეჭილი, ჭვა და რკი-

ნამ ახალი სუნთქვა დაიწყო გრანდიო-
ზულ ქალაქებში. ჩვენმა ეპოქამ მოუხ-
მო გმირებს შემოქმედებითი შრომის
ყველა ფრონტზე, „ეპოქა გვეძახის,
როგორც კაცს და როგორც ბრძოლაში
ვალდებულს“. ამ ახალ ინდუსტრიულ
ელერაში უნდა გამოირჩეოდეს პოეტი
ხმა და აღაგზნოს მილიონები საგმირო
საქმეთა მოსახდენად.

ირაკლი აბაშიძემ შემოქმედებითი
მოღვაწეობის გარიერაზე მაღალა
მოთხოვნილება წაუყენა საკუთარ თავს,
რაც გაპირობებული იყო ჩვენი საბჭო-
თა სამშობლოს დიდი წარმატებებით
ცხოვრების ყველა დარგში. ჰუმანიტი
შემოქმედი ცხოვრების შუაგულში,
ხალხში ტრიალებს, მისი ჰირგარამით,
სიხარულით ცოცხლობს. „ჰუმანიტი
პოეტის ბიოგრაფია, რასაკვირველია,
მისი შემოქმედებაა. მას იგი, ასე თუ
ისე, მისი ნიჭისა და უნარის მიხედვით,
მთელ თავის პოეტურ სიცოცხლეში
წერს და თუ სიკვდილს ჭერ არ აბი-
რებს, კიდევ უფრო ვრცლად და ფერა-
დად დასწერს. აბა, რომელი პოეტი,
არ ოცნებობს მოასწროს სიკვდილამდე
თქმა ყველაფრისა, რაც მის თვალს
უნახავს, გულს განუცდია და გონებას
აუწონია“, სამართლიანად შენიშნავს
ირაკლი აბაშიძე. მართლაც, ყოველი
ნამდვილი ხელოვანი თანადროული

ეპოქის ღვიძლი შვილია და ხალხის სა-სიცოცხლო ამოცანების უზადო მომღერალი. ირაკლი აბაშიძემ ორიოდ სიტყვით დაახასიათა თავისი პოეზიის არსი, თუ როგორ „იხილა დიდი სიცოცხლე, დიდი მომავლის შემობიჯება“ ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

ირაკლი აბაშიძემ, მეტაფორული აზროვნების ამ საინტერესო პოეტმა, ძლიერი მხატვრული სახეებით გამოხატა ჩვენი ცხოვრების მშვენიერება და სილამაზის ძალა გვაგრძნობინა. „მონადირის ღამის“ ავტორის ლექსებში ღრმა აზრი არის ჩადებული, რაც ხშირად მეტაფორული ფორმით გვევლინება.

როცა გათავხედებული ფაშისტური გერმანია დაიძრა საბჭოთა სამშობლოს წინააღმდეგ და დაიწყო სამამულო ომი, საბჭოთა ქვეყანა მოითხოვდა ვაჟაკთა შერკინებას, მტრის მოსპობას, სრულ განადგურებას, უძვირფასესი სიცოცხლის განწირვას, თავისუფლების გადაარჩენას, მაშეგმა რომ მოგვიპოვეს. ასეთ რთულ ვითარებაში მეხის გრიალივით გაისმა ირაკლი აბაშიძის პატრიოტული ლირიკის მძლავრი ხმა, გმირებს უყვილა სამშობლოს გადასარჩენად, მამულის დასაცავად, სიცოცხლის გასამარჯვებლად. ირაკლი აბაშიძემ პირველმა მიმართა მგოსნებს, თავიანთი შემოქმედება ჩაეყენებინათ შემოსული პიტლერელი ურდოების განადგურების სამსახურში და ვაჟაკთა საბრძოლო საქმეები შეეჭოთ. „ქართველებო, ვაჟოთ მტერი“, გაყვიოდა იგი და ამ შეძახილში მოისმოდა სიცოცხლის გადარჩენის ჰიმნი.

ირაკლი აბაშიძის პოეზიაში თავისუფლება და სიცოცხლე განუყოფელი ცნებებია და ერთმანეთის შემავსებელი. პოეტი მოუწოდებდა ვაჟაკებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ, მტრის შესამუსრაგად, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ქართველი კაცი თავის სიცოცხლეში „მტრის მონად არ დამხობილა“. პოეტმა შემოქმედებითად განავითარა რუსთაველის ცნობილი თეზა და

სიცოცხლის განწირვის სიბრძნე იქადაგა თავისუფლებისა და მამულის გადასარჩენად, „მხდალს ომში უცდინა სიკვდილი, გმირს — სიცოცხლე და სახელი“. ამ შესანიშნავი პოეტური აზრის დადასტურებას წარმოადგენს ირაკლი აბაშიძის ლირიკული პოეზია, რომელიც უმღერის ცხოვრების სილამაზეს, გმირის თავდადებას, მომავალი თაობის ბედნიერებასა და მამულის დღეგრძელობას. პოეტის გაგებით, სამშობლოსათვის შეწირული გმირის სიცოცხლე უკვდავია მშობლიური ხალხის გულში.

ირაკლი აბაშიძის ლირიკა ეპოქის სასიცოცხლო მოთხოვნათა ძლიერი ექოა და სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოზე შეწირული გმირის უკვდავების მანიშნებელი. მისი ლექსი, „სამშობლო იყოს ჩვენი დიდება“, წარმოადგენს სიცოცხლის აპოლოგიას, მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმით გაფენთილ ნაწარმოებს. ამ ლექსში პოეტმა მდიდარი მხატვრული ფერებით გახსნა სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის გრძნობა და ომის მრისხანე დღეებში მებრძოლები აღაფრთოვანა გამარჯვების სულისკვეთებით, და მტრისადმი სიძულელი, შეურიგებლობა, ზოზლი გააღრმავა. დასახელებული ლექსის ლეიტმოტივია თავისუფლების გადარჩენა ხალხთა საყეთილდღეოდ.

მაგრამ ვინ მოკლა ჩვენი „ვარაძე“,
ვინ ამოშანა ქართლში ვარაძე.
გმირი კედებოდა, მაგრამ მარადი
ღელამ აყანი დღემდე არწია.
არ გაკვეთილა იმ აყნის ძირი,
ჩუქურთმა, ხანჯლით ამოქარგული,
და დღეაჲ კუივის ქართველი გმირი,
ფრონტზე ტრაღედს მკლავი ქართული.
სიცოცხლეს ვაშა, მაგრამ სიკვდილიც
ქართლოსთვის როგორ გამოვირდებოდა...
ვინც დღეს დავეციტ მარადის ძლიოთ,
სამშობლო იყოს ჩვენი დიდება.



მოვლენათა გასაოცრად მხატვრული შეგრძნებისა და ოსტატურად გამოხატვის უნარი შესწევს ირაკლი აბაშიძეს, რითაც აღწევს დამაჯერებლობას. აკვანის სიმბოლურად მიუთითებს სიცოცხლის მარადიულობაზე, თაობიდან თაობაზე გადასვლისა და ერის უკვდავებაზე.

საბჭოთა სამშობლოსადმი თავგანწირვის იდეა გასდევს პოეტის მთელ შემოქმედებას. პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ ლირიკული შედევრი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც წარმოადგენს მთელი საბჭოთა პატრიოტული პოეზიის მშვენიერებას, განუმეორებელს იდეური ელერითა და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით. ამ ლექსის თაობაზე ბევრი დაწერილა. საბჭოთა სამშობლოსადმი მძაფრი სიყვარული ამ ლექსის აპოთეოზია. მას შენარჩუნებული აქვს ოდნავი ხალხური კილო, მაგრამ მხატვრული ნაქედობით, ლირიკული გრძნობით, მოზაიკური ბრწყინვალეობით იგი ანათებს ქართული პოეზიის საგანძურში.

ირაკლი აბაშიძემ სიცოცხლის მშვენიერების თვალსაზრისით გვითხრა სრულიად ახალი სიმღერა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატავად: „მე სიცოცხლეს ხელმეორედ შეეწირავდი მშობელ მხარესო“, ვაჟაკურად გაიძახის კაპიტანი ბუხაიძე, კავკასიის კარიბჭესთან რომ დაეცა მტრის მუხთალი ტყვიით მკერდგანგმირული, მაგრამ მომხდურს გადაუღობა გზა, მშობლიურ მიწას ვერ შეეხო ბარბაროსის ბოროტი ხელი. ირაკლი აბაშიძემ ისეთი დიდოსტატური ხელოვნებით წარმოსახა განწირული სიცოცხლე გმირისა, რომ ამით მის უკვდავებას უმღერა.

ირაკლი აბაშიძემ ნოვატორული ხერხებით გახსნა ახალი საბჭოთა ადამიანის, ჩვენი მშვიდობიანი შრომის დამცველი ჯარისკაცის ხასიათი, შექმნა მართალი მხატვრული სახე და სიცოცხლის სადიდებლად გამოიყენა პოეტური სიტყვა. კაპიტანი ბუხაიძე გაცოცხლე-

ბული გმირია, მისი ვაჟაკობა, მამაკობა, შეუღრეკელობა თავის ჩიქნსაში ამხანაგებში, რომლებმაც მოუხარეს, მიაბარეს მშობლიურ მიწას. ტყუილუბრალოდ როდი გაისმის ვაჟაკის ხმა „მე საფლავში არა ვწევარო“, იმარჯვებს იდეა, მარცხდება მტრის განზრახვა, პატრიოტთა მხედრულ შემართებაში განსახიერდება, განვითარდება ამ განწირული სიცოცხლის ძალა, ისინი მტერს შეაკვდებიან, მაგრამ სამშობლოს არ დაუთმობენ.

ვინც ღრმად ჩაწვდება ირაკლი აბაშიძის შემოქმედებას, ნათლად დაინახავს, რომ იგი სტატიური სახეების მწერალი როდია, თვითიველი მისი სტრიქონი, შედარება თუ დეტალი გამოხატავს მოძრაობას, წინსვლას, შეუჩერებლობას. ყოველი მოვლენა დანახული აქვს დინამიკაში, მხატვრული სახე ყოველთვის დინამიკურია და მრავლისმეტყველი. სასიცოცხლო ძალების ზეიმი, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულში აბედივით წვა გულისა, ჯანსაღი ოპტიმიზმი, მაღალი ჰუმანიზმი გახლავთ დერიტა ირაკლი აბაშიძის პოეზიისა.

„სილამაზე ჩვენ მრავალჯერ უფრო მშვენიერი გვეჩვენება, როცა მას ამკობს სიმართლე“, თქვა უკვდავმა შექსპირმა. ამ სიმართლის გამოხატვას ვხედავთ „კაპიტან ბუხაიძეში“. კაპიტანი ბუხაიძე მოუხმობს თანამებრძოლებსა და მომავალ თაობებს გმირობისა და ვაჟაკობისაკენ სამშობლოსათვის თავდასადებად.

ვფიქრობთ, საჭირო აღარ არის სიტყვა გავაგრძელოთ ამ ლექსის თაობაზე. რადგან, როგორც ცნობილია, მას დიდი ხანია მღერის ჩვენი ხალხი და თითქმის ყველამ ზეპირად იცის. ასე ძლიერი მხატვრული სახეებით და ემოციური გრძნობით სილამაზის გამოხატვა შეეძლო მხოლოდ იმ გმირი ხალხის პოეტს, რომელსაც მრავალგზის შეუმუსრავს მომხდურნი, და თავისი სამშობლო, მიწა-წყალი, საყვარელი ენა გამოუტარებია ათასგვარ მიწიერ ჯო-

ჯობენთი. „ვართ არაერთი საფრთხის შვილები, მტერზე პირისპირ ასჯერ მისულნი“, თქვა ჩვენმა პოეტმა ომის მრისხანე დღეებში და ამით გამოხატა ყველა ქართველის გულისთქმა.

ირაკლი აბაშიძის პოეზიისათვის უცხო პესიმისტური დაფიქრება ცხოვრებაზე. მისი ლირიკული გმირი, რა მწუხარებაც, რა გასაჭირიც უნდა ადგეს თავს, ყოველთვის ცდილობს იპოვნოს გამოსავალი და უკეთ მოაწყოს ცხოვრება. მხიარული მკაორული ჟღერა აჯაღოებს პოეტის სულს და მისი ლირიკა ამ ცხოვრების სიტუაციების საგალობელია და არა ციური დამშვიდებისა და უწყდომელობისაყენ ლტოლვა. ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევა და იგი უნდა გამოიყენოს მაქსიმალურად, გულდაწყვეტილი არ უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან. შემოქმედებითი შრომის პეროიკა, ამ შრომით მოპოვებული ბედნიერება მთავარი ატრიბუტია მშვენიერების მადიდებელი ირაკლი აბაშიძის პოეზიისა. ბუნების მშვენიერება, სილამაზე ცხადდება პოეტის მრავალ ლექსში. მისთვის ბუნება განყენებული კატეგორია როდია, არამედ ცოცხალი, მოძრავი, ათასი ფერებით შემკული. ბუნება ადამიანის სამოქმედო ფონია და მას ვერ წარმოუდგენია ბუნების ულამაზესი ლანდშაფტის სიმშვენიერე, თუ ადამიანით არაა გაცოცხლებული. პოეტი მხატვრულ ინვენტარს არ იშურებს დასახული მიზნის გამოსახატავად, მას გული მიუწევს ყრმობის მოგონებებით ანბურებული მშობლიური ადგილებისაკენ, რათა იხილოს „სიძველე ახალ აპრილში“. სწორედ ყრმობისდროინდელი განცდებით, რიონის სიგიჟეაყით მიეჩქარება პოეტს ძველი ქუთაისის სანახებისაკენ, აქ დაუოკებელი ლტოლვა ცხოვრებისა და დიდი სიცოცხლისაკენ. ვინც გაზაფხულის სუნთქვით დამტკბარა, შეუგრძენია მშობლიური მთების, ველების მომაჯადოებელი სილამაზე, გული აფეთქებია სიყვარულოთ, არ შეიძლება ხელახლა არ აღადგინოს წრფელი განცდა, რაც ოსტატის ფუნ-

ქით დაგვიხატა პოეტმა თავის ლირიკულ შედევრში „როგორც დათბება“:

როგორც დათბება, როგორც დათბება,
და მზე ჩატყება შემეულ დასში,
უნდა აღსრულდეს, რაც შენატრება, —
უნდა გაფრინდე ჩემს ქუთაისში.
ჩემი აპრილის ვნახო კისკისი,
ჩემი რიონის ახლად აშვება,
ატმის ხეების მწველი ვიზივი,
ტყემლის ხეების გაფარფარება;
ბოლო ციე ზამთრის საშობროების,
ცას რომ ათასჯერ ფერა ეცვლებს;
ქაფმორეული ვამლის შტოები,
კომპის შტოების დანაკვერცხლება.

ირაკლი აბაშიძეს ბუნების განყენებული სურათები ძმვიათად დაუნატავს. მაჟუყვარს ისეთი ბუნება, რომელშიც ადამიანი შრომობს და იღწვის, რადგან ბუნების გვირგვინი ზომ ადამიანია. ბუნების მშვენიერება მისთვის სიცოცხლის გამოხატვის საშუალებაა და არა თვითმიზანი. როგორც შევნიშნეთ, პოეტის შემოქმედებაში ბუნების სიმშვენიერე დიდი მხატვრული ძალითაა დახატული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს განთქმული ლირიკული ლექსი „მონადირის დამე“. კითხულობთ ამ ლექსს და თვალწინ წარმოგიდგებათ სიბნელებაში ტალით გაყრილი ნაპერწყლები, „წიფლის ტოტები“ ცეცხლის ენებით წითლად აბრიალებული, ყურში ჩაგესმით. სველი ხის გადაბმული შიშინი, მეძებართა შეუნელებელი ყეფა, რაც აცოცხლებს მიძინებულ ბუნებას. ამ ლექსში პოეტმა მხატვრული ოსტატობით გვიჩვენა ბუნების და ადამიანის ურთიერთ შერწყმა. ტონები, ნახევარტონები, ჩრდილები, ნახევარჩრდილები, მელოდია, მოძრაობა და უძრაობა, ადამიანი და ბუნება, განსაკვიფრებელ მთლიანობაში და ჰარმონიაში წარმოგვიდვა.

ირაკლი აბაშიძე გვიხატავს იმას, რასაც განიცდის, უშუალოდით გვაგრძნობინებს და საგნის პოეტური ხედვის შეუდარებელ ნიმუშს იძლევა. ირაკლი



აბაშიძის მხატვრული სიტყვის ძალა იმაშია, რომ ამაღლებულად წარმოგვიდგენს საგანს ან სურათს, უბრალო მონადირის ღამეს გრანდიოზულ პანორამად აქცევს და სიცოცხლის მშვენიერებას გაგვაცდევინებს.

ირაკლი აბაშიძემ სიცოცხლის მშვენიერება სამშობლო-ქვეყნის წინსვლასა და გამარჯვებაში დაინახა. „კოლხეთი ნახე, მესხეთი ნახე — აი სიცოცხლის განმეორება“, ამბობს იგი და არ შეიძლება, რომ არ დაეუფეროთ პოეტს, როცა წარმოვიდგენთ, ფენიქსივით მკვდრეთით აღმდგარ, გაახალგაზრდავებულ სამშობლოს. მტრებისაგან გადაგვარებისა და დაღუპვის პირამდე მისული ქვეყანა დღეს ძლევამოსილია, მტყიცე ნაბიჯით მიდის წინ მომავლისაკენ. ჭანსალი ოპტიმიზმი წითელი ზოლივით გასდევს ირაკლი აბაშიძის სიცოცხლის მაღიდებელ ლირიკას. „ქედებს ვახედე, ათასფერებში დამწვარ ტრამალის ვადაშქვანებასო“. ჩვენი მშრომელი ხალხის სულის სიმშვენიერე, კაბუჯთა შემართება სახალხო საქმისათვის, თავისუფალი ქვეყნის მძაფრი სუნთქვა იგრძნობა პოეტის მხატვრულ სახეებში. „ყველა ტრამალი, მთები, ქედები ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა“. ამ სიმდიდრის ომანიანი ამღერება გვაქვს პოეტის სათუთ ლირიკულ შედევრებში.

ქვეყნის საკვიბოროტო საქმეებზე დაფიქრება, მამულის წინსვლა, მტრისადმი საკადრისი პასუხის გაცემა ირაკლი აბაშიძის ლირიკის ლეიტმოტივია. იგი ქვეშაირი ცხოვრების მომღერალია. ლექსებში „სიმღერა დიდ მოსავალზე“ და „მშვიდობა ჟუგანში“ პოეტმა მოგვცა მშვენიერების პრობლემის მხატვრული ინტერპრეტაცია. პოეტის აზრით, მშვენიერება უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობის, ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს, მოჰქონდეს ბედნიერება. „ველზე შრიალებს მკა დიდებული, უფრო დიადი კიდევ წინ არი“, ამბობს პოეტი და ამ სიტყ-

ვებში მოგვესმის ჩვენი თაობის შემმართებელი, სასახელო საქმეებში, რომლებიც ახალი ცხოვრების მშენებლობისას ხორციელდება. ჩვენი ეპოქის სასიცოცხლო ინტერესების წინა პლანზე წამოწევა დამახასიათებელი ნიშანია ირაკლი აბაშიძის პოეზიისა. მან თავისი შემოქმედების ფოკუსში დააყენა მშრომელი ადამიანი, რომელიც ახალი, კომუნისტური ცხოვრების შემოქმედია და რწმენით აღსავსე მიზმიჭებს წინ დიადი მომავლისაკენ. მისი ლირიკული გმირი ცხოვრების უბრალო მჭკრეტელი, მეოცნებე როდია, იგი პრაქტიკულად ერევა საზოგადოებრივ საქმეებში და თავად ამ ცხოვრების შენების გულმხურვალე მონაწილეა. მშვენიერება, პოეტის აზრით, განათებული უნდა იყოს მშვიდობიანი შრომის სიდიადით. შრომის მაღიდებელი პეროიკა მძლავრად გაისმის მის შემოქმედებაში და, მართლაც, ადამიანის ბედნიერება შრომის გარეშე წარმოუდგენელია. ადამიანმა თავისი სულიერი მხნეობა, სილამაზე უნდა დაინახოს მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში და შინაარსობრივად გაიმდიდროს შინაგანი სულიერი სამყარო. ჩვენს დიად საბჭოების ქვეყანაში მილიონობით ადამიანი ეწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. შრომის გარეშე ადამიანის სიცოცხლე მოდუნებული, დამყაყებელი ვახდება:

მშვენიერება ნუ გწამს სხვაგვარი,
ნუ გწამს არსება სხვა სილამაზის,
ნახე შრომაში ჩვენი მოაზარი,
მკაში იხილე ველი აღაზნის.
ნახე გლეხკაცი დამკვიდრებული,
მოსულ ყანაში მხნედ რომ ვიჯლის,
დაქვე, ისმინე ხმა დიდებული —
ტკბილ-სამაური ხმა კომბაინის.
მე ამ მშვენიების ვარ ტრფიალება,
ვარ მომღერალი ამ სილამაზის,
მინდა სამკალში დატრიალება,
როცა გვეუნებს ველი აღაზნის.

ირაკლი აბაშიძეს სიცოცხლის მშვენიერება შრომასთან აქვს დაკავშირებული. სხვა შემთხვევაში იგი გადაწყვეტილია მშვიდობასთან კავშირში და პო-

ულობს ახალ გამუქებას. სიცოცხლე უპირისპირდება ომს, ნგრევას, ხალხთა ელენტას და წარმოადგენს მშვიდობის სინონიმს. მშვიდობის ლეიტმოტივი ირაკლი აბაშიძის პოეზიაში წამყვანია. ადამიანის ბედნიერება პოეტს ვერ წარმოდგენია ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის გარეშე.

მე ვაკვირდები თვით ცის კედელში
კავკასიონის მთელეზარ აღმასებს
და ამ დღემღი, ამ სიმშვიდემღი,
ვხვდავ ამ ქვეყნის თელ სილამაზეს.
ვხვდავ ბუნებას როგორ ანაზებს
სოფლის მშვიდობა, ზემო სოფელი,
ვხვდავ, სიმშვიდე და სილამაზე
როგორ ყოფილან განუყოფელი;
როგორ ერთობიად და დამყობილად
სულთქვეს ეს ორი ბედნიერება...
დასტურ მშვიდობის ნიჭი ყოფილა
სილამაზე და მშვენიერება.

ქვეყნის მშვიდობა, სოფლის მშვიდობა გვესახება სილამაზისა და მშვენიერების არსებად. მშრომელი ადამიანის ჩანსალი სული მშვიდობიან შრომას შეტრფოდა ყოველთვის, მილიონთა გულის ძაბილი, მისწრაფება გამოხატა პოეტმა აღმასივით ბრწყინვალე, დიდი აზრით დატვირთულ ამ სტრიქონებში. ომის, ნგრევის, განადგურების ბარბაროსული თეორიები უნდა ჩაბარდეს ისტორიას, ადამიანთა შორის გაიმარჯვოს ჰუმანიზმმა, ურთიერთნდობამ.

ბუნების სილამაზეს საზოგადოებრივ თვითნებობით და კონკრეტულობით გვიხატავს ირაკლი აბაშიძე. ბუნებისა და სიცოცხლის მშვენიერება პოეტს განსახიერებელი აქვს სამშობლოს ცნებასთან კავშირში და სამშობლო-ქვეყნის სიტურფე გვესახება განზოგადებული სახით. მართალია, ლირიკა პოეტის პირად მეს გამოხატავს, მაგრამ პირადი ბედნიერება, მისწრაფება როდი აკმაყოფილებს მას. იგი ფართო ლირიკული განზოგადების ზერხით გვიხატავს საზოგადოებისათვის საინტერესო, ამაღელვებელ საკითხებს, პატრიოტული მოტივის საფუძველზე ახალ გაშუქებას პოეზიას სამშობლოს სილამაზე, რაც სიცოცხლის სილამაზის ადექვატურია.

ამ ქვეყნის ამბით სუნთქავს და ცოცხლობს ირაკლი აბაშიძის ლირიკული პოეზია, რომელიც საბჭოთა პატრიოტიზმის შთაგონებული იდეებით არის გათმობარი. სამშობლოსათვის თავგანწირულ ბრძოლაში დაცემულ გმირ წინაპრებს მოუხმობს პოეტი და აუწყებს, რომ „თვადლებულნო, ცოცხალ არს გრემი“. ჩვენმა ქვეყანამ მოიშუშა ძველი ჭრილობები, ახალი სიცოცხლე შეიძინა, ყველგან „დგას ახალ ნამჯის ტკბილი სურნელი“. ამ ტკბილ სურნელს, ოქროდ დახვავებულ მარცვალს, ცხოვრების მჩქეფარებას შეხვდებით პოეტის ყოველ ლექსში, რომ „ხვალ მშვიდობა ჰქონდეს ქვეყანას“, იხეიშოს სიცოცხლემ და გაიხაროს ახალ-გაზრდა თაობამ. ჩვენი დიადი ქვეყნის მომხიბვლელი პეიზაჟები, ყვავილთა დამათრობელი სურნელი, მიწხილველი „ვარადა“ და „თონური“, სმენის დამატკობელი შრომითი სიმღერა, საქართველოს ბებერ „მიწაზე ვერძი კოლხური“, სამშობლო რუსთაველის და აღმაშენებლის, გელათისა და სვეტიცხოველის გუმბათების ამქანდაკებელთა, მტკვარი, რიონი, კავკასიონი, კოლხეთი, იბერია, რომელთაც უნახავთ პომპეუსის ქარების შემოსევა, რომეღელთა თარეში, სპარსთა, თათართა, ურჯულთა ავაზაკური მოხდომა, გასაოცარი გაღარჩენა, კვლავ მკვდრეთით აღდგომა. ამ ამაყი ქართველი ხალხის სამშობლოს სიყვარულში უნდა დალიო სული და თქვა მისი დიდების სადღეგრძელო, რაც მხატვრული ტაქტითაა გახსნილი პატრიოტულ ლირიკულ ლექსში „ნახე, გახედე!“

მიუვარს გზისპირის ალვის ჩრდილები,
დილის ნიათი გაცოცლებული,
მიუვარს ლობეზე ტყის ვეჯილები,
მგზავრის სამზერად აცოცებული.
მიუვარს მამული, მიუვარს მამული,
ცამდე გაზრდილი, ამაღლებული,
რა სიცოცხლეა, რა საამური
მისი მთა-ბარი განახლებული.

დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა სიტყვა, სამშობლოს სიყვარულს



რომ იგრძნო, სხვა ქვეყანაში უნდა წახვიდოდა. როცა ირაკლი აბაშიძე ძველისძველ ინდოეთის ბებერ, ცხელ მიწაზე იმყოფებოდა, გაათქვამული ენერგიით იჩინა თავი სიყვარულის მაღალმა გრძობამ სამშობლოსადმი. პოეტმა თავისი პატრიოტული მისწრაფება გამოხატა საუცხოო ლირიკულ ლექსში „იანვარი განგის ნაპირას“, რომელიც წარმოადგენს სიცოცხლისა და მშვენიერების, სამშობლოსა და სიყვარულის საგალობელს. ირაკლი აბაშიძე ჩვეული პოეტური ოსტატობით ხატავს ინდოეთის თვალწარმტაც პეიზაჟებს, ამ ბებერი მიწის კონკრეტულ სურათებს, ერთმანეთს უკავშირებს ქართველი და ინდოელი ხალხის ძველთაძველ მეგობრულ ტრადიციებს და გვევლინება ხალხთა ძმობის მომღერლად. პოეტის გული სიხარულს აუფეთქებია, რადგან „ქვეყნად სუფევდა ნამდვილი ზავი“, მშვიდობისადმი სწრაფვა ყველა ქემშარიტი მომღერლის თვისება გახლავთ და ირაკლი აბაშიძე არ ღალატობს ამ შესანიშნავ ტრადიციას. ადამიანის სიცოცხლის დღეგრძელობისათვის „შეხამებოდნენ ფერებს ფერები, გადახვევოდა ყვავილს ყვავილი ცრემლით, აღერსით, ბედნიერებით“. მშვიდობა გაიმარჯვებს ქვეყნად, როცა ერები ნდობით შეხედვენ ერთმანეთს, მეგობრულად გაიყოფენ სიყვარულს, დედამიწამ რომ აჩუქათ. მაგრამ პოეტი ყოველგვარი სიცოცხლის მომღერალი როდია, არამედ ახალი, მჩქეფარე სიცოცხლისა, რაც სულს ალაღებს, ამღერებს, ანიჭებს ბედნიერებას. „ქართველო, სანამ გქვიან ქართველი, გეტახის შენი მიწა ქართული“ და ამ ქართველის, ამ ქართული მიწის, ამ ახალი დიდი სიცოცხლის ძლიერი სიმღერა მოგვესმის ირაკლი აბაშიძის ლირიკაში.

და ავხიანდით ბუნების ხმაში,
ბუნების ამ ტკბილ დღესასწაულში
ავსწიეთ ჰიკა ამ ძველ მიწაზე
ამ გაშლილ განგის მწვანე ნაპირის
და ვთქვით დიდება უკვდავ სიცოცხლის:
მათი იანვრის, ჩვენი აპრილის.

ამქვეყნიური სილამაზე განსაზღვრავს ირაკლი აბაშიძის ინტიმური ლირიკის არსებას, „სიცოცხლის ფასად, რჩებოდით მგოსნის გულის ძარღვებში და ინთქმებოდით ზვირთების მსგავსად პოეტის უცნობ წარმოსახვებშიო“, მიმართავს პოეტი უცნობს, რომელიც მისი მგოსნური ამღერების საგანი გამხდარა. შემოქმედებითი ცეცხლით წვა მოითხოვს რაინდულ სიყვარულს, არა მარტო საქმისადმი, არამედ სიცოცხლისა და ცხოვრებისადმი. „მთელი ღამე ტრიალებდა ჩემში აღმური“, გვაუწყებს პოეტი, რომელსაც სწამს მზის სხივების ძალა, სიყვარულის დამათრობელი ეშხი და მიწიერი ბედნიერება.

წითელი დილა,
კვლავ სიცოცხლე და ერთმული;
რა კარგი არის, შენ რომ აქ ხარ,
სიცოცხლის ვაშა
სიყვარულს, თრთოლვას,
ახალ მზეს და ქვეყნიერებას!
სხვა არაფერი განეწილა
ცხოვრების ფასი
სიცოცხლის ზეიშს მივამუროთ,
ბედნიერებას!

პოეტის წარმოდგენით ქალი ამ ცხოვრების მშვენიერების სიმბოლო, ოჯახის ბურჯი და სიყვარულის განსახიერებაა. თავის განთქმულ ლექსში „პირველი თოვლის სიმღერა“, ირაკლი აბაშიძემ ნათელი ფერებით დაგვიხატა სიყვარულის ზეიმი სიცოცხლის უკვდავებისათვის. „მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებსო“, მგზნებარედ მიმართავს პოეტი გულისსწორს. ხსენებულ ლექსში პოეტმა მიაღწია ბუნების და სიყვარულის პარამონიულ გამოსახვას.

ზეიმის ეშხში იყო ბუნება...
სიცოცხლის ახლად შემობრუნებას,
ვარდების ხვეწნას, ფრინველის ფრენას
თითქოს უჩუმრად შვეწმწვეთ ჩვენას;
ხან ფრთა გავშალეთ კრიალა ცაში,
ხან ფრთა ნალხარ ველზე დაუშვით

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
 თოვლი, თეთრად დასახული,
 ასე თეთრად გულბრწყვილოდ მკეპვის ასე
 იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.
 მკეპვის ასე, და ვანთიადს მიხალისებს
 ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხეაო,
 ის თბილისის ხედვებში კიბარისებს
 იმერულად გამოსახვას ტყემლის ყეაილს.
 დგას ბუნებები ვერის ბაღში, შემერთალები,
 ზედ თოვლია, თუ ფრიალი ფაფანაქთა?!
 ანდა იქნებ აველიდან თეთრ კარვებით
 ადგა ჭარი და თბილისში დაბანაკდა?!...
 მიხარიათ ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
 წვიმაც, ჭარიც უსაქმურად დანაბერი,
 ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
 მგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

ირაკლი აბაშიძის ლირიკისათვის თით-
 ქმის უცხოა სევდის მოტივები, მაგრამ
 ხშირად სიცოცხლის მშვენიერებისად-
 მი ტრფიალება ტრაგიკული პათოსითაა
 გამსჭვალული, ამის მაგალითად შეიძ-
 ლება მივიჩნიოთ ლექსი „მამა“. „უსი-
 ნათლო ვაჟკაცი,“ დამდგარა ამ ცხოვ-
 რების შუაგზაზე. ძველი წყობილების
 უკუღმართობის მსხვერპლი გამხდარა
 მამა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის
 შუა დგას. ამ უსინათლო კაცის ბედს
 გადმოგვიშლის პოეტი.

ხან თემშარანეც ფრთხილად და ჩუმად
 გამოინდებოდა ჩაღისფერ ჩხობით
 და სიცოცხლის და სიკვდილის შუა
 გზას მიივლევდა ბამბუკის ჭობით,
 და მოკვდა ისე, რომ მას სიკვდილი
 არ დაუნახავს — გამხმარი ძვალი,
 და მოკვდა ისე, რომ ტბილზე ტბილიც
 არ დაუნახავს ქვეყანა თვალით;
 არ ჩარჩენია ჭაერად მშვენება
 ლურჯი ველების, ლურჯი ქედების...
 მე კი, მე იმ დროს რა შეშველება,
 ორივე თვალში რომ ვიხედებდი.

ახალი სიცოცხლის სიმღერა თავისი
 პოეტური მოღვაწეობის მრწამსად გა-
 მოაცხადა ირაკლი აბაშიძემ, სიცოცხ-
 ლის მშვენიერება წარმოგვიდგინა ორი-
 გინალური მხატვრული სახეებით, დი-

დი სილამაზის გრძნობით, თავის ცხო-
 ბილ ლექსში „წულუკიდის სიკვდილი“
 უმღერა სიცოცხლის მარადიულობას,
 ცხოვრების სილამაზეს და ბედნიერე-
 ბას.

ვანა მზის ჩასვლას
 დაჩქმევია სიკვდილი მზისა?
 იგი კვლავ მიწას
 დასტრიალებს და მსახურია.
 ვანა დეკემბრის
 თოვლში კვდება მშობელი მიწა?
 ისევ სიცოცხლით იფეთქებს
 და გაზაფხულია.

ირაკლი აბაშიძის პოეზია მძლავრად
 შლის ფრთებს. პოეტს მრავალი შთა-
 გონება აქვს შემონახული, რომ კვლავ
 დაგუგუნოს გამარჯვებული მამულის
 საგალობელი, ხელახლა გააჩაღოს „ცე-
 ცხლი პირველი სიყვარულისა“, რადგან
 მის ლექსს არ დაკლებია ჟღერა, ხმოვა-
 ნება, „აზრის მეტობას“ არ აქვს ადგი-
 ლი, „სტრიქონის სინედლე“ არ გამო-
 ლევი, არ დაუკარგავს „მინდვრის სე-
 რნელი, სიღბო ნამიან ლორთქო ბალა-
 ხის“, „მგრძნობიარობა ჭადრის რტოე-
 ბის, სმენა ქალწულის გაბმულ ფიქრი-
 სა“. თავისი მომავალი მუშაობის გეგ-
 მა პოეტმა ჩამოაყალიბა ლექსში „რად
 გელანდება“:

გასწი, ისუნთქე ქვეყნის ამბავით,
 მისი სიცოცხლის ხარ მოზიარე;
 დღეს სხვა ტევრი გაქვს გასაყვავი,
 შენ ხარ ვაჟკაცი, გასწი, იარე!

პოეზიაში ახალი ტევრის გაკაფვის
 უბადლო მაგალითი მოგვცა ცხოვრების
 სილამაზეზე შეყვარებულმა ირაკლი
 აბაშიძემ, როდესაც გამოაქვეყნა ნოვა-
 ტორული ლექსების ციკლი — „პალეს-
 ტინა, პალესტინა“, რომელშიც მთე-
 ლი ძალით იფეთქა მისმა დიდმა ტლან-
 ტმა, მშვენიერების, საშობოლოსადმი
 მალალი, მძაფრი სიყვარულის ალალმა
 გრძნობამ.

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციის საკითხისათვის

4. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის კლასობრივი ბუნება და მისი ევოლუციის განმსაზღვრელი პირობები.

ნიკო ნიკოლაძისა და, საერთოდ, თერგდალეულთა თაობის საზოგადოებრივ შეხედულებათა კლასობრივი ბუნების არსის გაგება შეუძლებელია ისე, თუ წინასწარ გამოარკვეული არ იქნა რეფორმების ხანის საქართველოს საზოგადოებრივი კლასთა მდგომარეობა და ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ კი — დანაგრეული და უფუძღვარი კლასების, პირველ რიგში, გლეხობის ინტერესები და მისწრაფებანი. გლეხობისა და, საერთოდ, ე. წ. „მეხსამე წოდების“ ისტორიული როლის სწორი გაგება ხამდელი ვასალებია თერგდალეულთა მრავალმხრივი შეხედულებების რთულ ლაბირინთში გზის ვასკვლევად. ამიტომ, ვასაც სურს თერგდალეულთა შეხედულებებში გაერკვეს, მან, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულად უნდა დაგვიხსრათოს იმ ეპოქის კლასთა მდგომარეობა და ურთიერთბრძოლა.

ჩვენი უკვე გვქონდა შემთხვევა ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გვესაუბრა მკითხველთან, როგორც თერგდალეულთა მსოფლმხედველობის კლასობრივი ბუნების საკითხზე.¹ ისე იმ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაზე, რომელშიც გამოიწვია თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმდინარეობის დაშლა და თერგდალეულთა ნაწილის გადასვლა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოლიტიკაზე.² ამის გამო ამჟამად ზედმეტად მიგვიჩნია დაწვრილებით ვილაპარაკოთ ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ შეხედულებათა კლასობრივი არსისა და მისი მსოფლმხედველობის ევო-

ლუციის განმსაზღვრელ ისტორიულ პირობებზე: ვფიქრობთ, ჩვენი მიზნისათვის ამჯერად საესებით საყმარისია თუნდაც ზოგადად დავახასიათოთ რეფორმების ეპოქის ქართული საზოგადოების კლასობრივი აღნაგობა (სტრუქტურა). შემდეგ კი მივეთითოთ ზოგიერთ ახალ ფაქტზე, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, როგორც თერგდალეულთა ჭკუფის დაშლის გარდუვალობას, ისე თვით ამ დაშლის ცოცხალ პროცესს.

სამკითხა ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ დროს დაგროვდა დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უტყუარად და თვალნათლივ გვიჩვენებს კლასობრივ ძალთა თანაფარდობას გასული საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში. ამ მასალის ანალიზი დაახლოებით შემდეგნაირად წარმოგვიდგენს ბურჟუაზიული რეფორმების წინ ქართული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის სურათს.

ვახატონებელი კლასი იყო ფეოდალების კლასი, ანუ თავადაზნაურობა, რომლის ეკონომიური ძლიერების საფუძველს მიწაზე ფეოდალური საყუთრება შეადგენდა. ვახატონებულ კლასთან მჭიდრო პოლიტიკურ კავშირში იყო და მას უკველმზროდ ზურგს უმარებდა მეფის მთავრობა თავისი მრავალრიცხოვანი სამხედრო-ბიუროკრატიულ-ხინოციური აპარატით. ამანვე ვახატონებულ კლასს ეკუთვნოდნენ ეკლესიის უმაღლესი მსახურნი. სწორედ ეს სამი ელემენტი — თავადაზნაურობა, მეფის მთავრობის დიდრონი მოხელეები, უმაღლესი სამღვდელთა — შეადგენდა საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებაში ვახატონებულთა ბანაკს, რომლის ზღვაში იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სადავეები.

1. იხ. ჩვენი ნაშრომი „თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგებისათვის“ (წიგნში „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, 1962 წ.)

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 11.

1. იხ. საქართველოს ისტორია, ტ. 11, 1962 წ., გვ. 145-152.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თითქმის გაბატონებული კლასის ბანაკი ერთ მთლიან რეაქციულ მასას წარმოადგენდა და ერთდროულად ებრძოდა ქვეყნის ახალი, ბურჟუაზიული გზით განვითარებას. პირიქით, საქართველოში (ისევე, როგორც რუსეთში და შესაძლოა უფრო მეტადაც) გაბატონებული კლასი ბანაკში თავს იჩენდა შინაგანი (შინაკლასობრივი) წინააღმდეგობანი, რის შედეგად თავდაზნაურთა შორის (და აგრეთვე გლეხისაში) ზიანახა ორი მიმდინარეობა: რეაქციული და ლიბერალური.

თავდაზნაურულ-რეაქციულ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ უმთავრესად დიდი მემკვიდრე (მაგარიკონ-მეხრანელები, ერისთავები, ციცი-შვილები, ანდრონიკაშვილები, დალიანები და ა. შ.), აგრეთვე მთავრობის დიდი მოხელენი, რომლებიც ამავე დროს დიდძალი მიწის მფლობელებიც იყვნენ (მავალითად, ბარონი ნიკოლაი, გენერალი ფადეევი, თვით მეფის ნაცვალის მიხეილი და სხვ.). რეაქციული მიმართულების ქართველ თავდაზნაურთა ფაქტური ხელმძღვანელი იყო ცნობილი მემკვიდრე და მეფის მთავრობის დიდი მოხელე გიორგი მაგარიკონ-მეხრანელი (მეხრანსკი), რომელმაც ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე შეადგინა ქართველი ხალხის მოსპობის გეგმა¹.

თავდაზნაურულ-ლიბერალურ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ ამ წოდების შედარებით მოწინავე და შეგნებული წარმომადგენლები, რომლებსაც ესმოდათ, რომ ძველი, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ზღუდნულად დატოვება აღარ შეიძლებოდა, რომ საქირი იყო ერთგვარი რეფორმები, გარკვეული დათმობა დასავსურული კლასების მიმართ. მაგრამ ეს ცვლილებები და რეფორმები, მათი აზრით, არ უნდა შეხებოდა არსებითად არც მეფის მთავრობას და არც თავდაზნაურთა ძირითად უფლებებს, მათ არ უნდა შეეღობათ გაბატონებული კლასის ინტერესები.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაზნაურულ-ლიბერალური მიმდინარეობა საქართველოში, რუსეთთან შედარებით, გაცილებით ძლიერი იყო, რაც შემდეგი ორი გარემოებით აიხსნება: ჯერ ერთი, თავდაზნაურთა კლასის საერთო მასაში შეტისმეტად დიდი იყო ზეგდრითი წონა გადატყვევებული აზნაურებისა, რომელთაც დასაყარგი თითქმის არაფერი ჰქონდათ და ამიტომ „ცვლილებას“ უფრო გაბედულად უჭერდნენ მხარს, მეორეც — მეფის მთავრობის ნაციონალურ-კოლონური პოლიტიკა, რომელიც სულს უხტ-

თავდა ქართველ ხალხს, ნაწილობრივ თავდაზნაურობის, განსაკუთრებით კი, მისი დარბილ ნაწილის ინტერესებსაც ზღუდავდა. ამ რეაქციულად დაშატებული საფუძველს ჰქმნიდა თავდაზნაურთა შეგნებული ნაწილის ლიბერალური, ხოლო ზოგჯერ — რევოლუციური გამოსვლებისათვის.

ასეთი იყო გაბატონებული კლასის ბანაკი და მისი ორი მიმდინარეობა: რეაქციული და ლიბერალური.

ახლა გადავხედოთ დამატრული და უფლებო კლასების, ანუ „მესამე წოდების“ ბანაკს.

დაიწყოთ **ბურჟუაზიით**, რომელიც იმდროინდელ საქართველოში (რეფორმებამდე) აგრეთვე უფლებო კლასების რიცხვს ეკუთვნოდა და აღმავალი კლასი იყო. როგორი იყო ბურჟუაზიის მდგომარეობა, მისი ზეგდრითი წონა? თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად არაფისთვის სადავო არაა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, და უფრო გვიანაც, საქართველოს მრეწველობისა და ვაჭრობის საკომანდო სიმამლები უცხო ელმუნტების ხელში იყო და საქართველოს ბურჟუაზიის ძირითად ბირთვს მამხინ შეადგენდნენ ევროპული და, აგრეთვე, სომხური წარმოშობის ვაჭრები და მრეწველები. რაც, შეეხება ეროვნულ ბურჟუაზიას, მისი ზეგდრითი წონა იმ დროს ძალიან მცირე იყო და ის, როგორც კლასი, ჯერ არ არსებობდა („სოლომონ ისაკიან მექლანთაშვილი“ — იმდროინდელი ქართველი ბურჟუაზიის ფრიალ დამახასიათებელი ტიპი იყო).

უცხოური კაპიტალისტები (ყველა ის რუსები, რომეზირდოლები, ვოსშტრაზერები, ზვიცერები და ა. შ.) სულაც არ უოფილან განწყობილი მეფის მთავრობისა და თავდაზნაურობის წინააღმდეგ საბრძოლველად, პირიქით, — მეფის მთავრობასთან მათ კარგად მოგვარებული ურთიერთობა ჰქონდათ. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიაში თავისუფლად დამარბაშობდნენ უცხოელი კაპიტალისტები; ისინი მეფის მთავრობისაგან ადვილად იღებდნენ მიწებს, აფფასიან სესხებს და, ცხადია, მასთან საჩხუბარი არაფერი ჰქონდათ. ადგილობრივი თავდაზნაურობაც ვერაფრით უპირისპირდებდა უცხოელ კაპიტალისტებს, — არა თუ ვერ ჩაგრბის მათ, პირიქით, — მათგან იარაგრება; გადამთქლები თავიდანვე სარგებლობდნენ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობით და ძარცვავდნენ ქართველ ხალხს, — მათ შორის არც თავდაზნაურობას ინდობდნენ. საქართველო იმდებელი იყო თავისი ჩამორჩენილობის გამო ხარკი ეძლია ევროპული კაპიტალისტებისათვის. მაშასადამე, მოსული უცხო კაპიტალისტი უფრო პოლიტურნი მოკავშირე იყო მეფისა და გაბატონებული კლასისა, ვიდრე მოწინააღმდეგე. — უფრო ბატონი იყო, ვიდრე ამა.

საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა მეორე, საკმაოდ ძლიერი ფენა იყო სომხური წარმოშო-

1 ამ მოლაღტური გეგმის შესახებ, რომლის პროექტი ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოჩნდა ალექსანდრე II კანცელარის მე-3 განყოფილების საიდუმლო არქივში, ცალკე გვეყნება მკითხველთან საუბარი.



ბის ბურჟუაზია, რომელიც ევროპელ კაპიტალისტებთან შედარებით გაცილებით უარეს პირობებში იმყოფებოდა; ის ადგილობრივი ბურჟუაზია იყო, უფლებებიდან იზავრებოდა (უფლებოები და ხალხის დაბალ ფენებთან, მატერიალური დოკლათის წარმომებლბთან ასე თუ ისე ახლოს იდგა, მაგრამ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები მასაც სრულიად არ აწუხებდა. მეფის მთავრობასთან ეს ბურჟუაზიაც შედარებით კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, ეკონომიურ სარბიელზე მთარისობის მხარდაჭერას დიდად აფასებდნენ და ხშირ შემთხვევებში მთავრობის უშუალო დაყვების წყალობით მდიდრდებოდნენ. ამიტომ მათ მთავრობის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლის არც სურვილი ჰქონდათ და არც ძალა გააჩნდათ. მართალია, სომხური წარმოშობის ადგილობრივი ბურჟუაზია საკმაოდ მწვავედ უპირისპირდებოდა ქართველ თავადაზნაურობას საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ სარბიელზე, მაგრამ ესეც კია: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში განცდილი უუფლებობისა და დამცირების საზღაურის მდიდარი ჩარჩები საკმაოდ ეფექტურად ახდენიებდნენ ხალხზე ჭიბუცაროდ ქართველ „ქნიაზებს“ ეკონომიურ სარბიელზე.

ამრავად, როგორც ვეროპული, ისე სომხური წარმოშობის ბურჟუები მოკლებულნი იყვნენ რევოლუციურიობის უოველგვარ ნიშანწყალს. ისინი მეფის მთავრობის ან მოკავშირე (ევროპელები), ან კიდევ ერთგული ლაქები (სომხური და ქართული წარმოშობის ბურჟუები) იყვნენ. ნათქვამიდან ცხადია, რომ 50-60-იანს წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიის ზვედრიითი წონა და როლი ძალიან მცირეა. მართალია, ადგილობრივი ბურჟუაზია (მცირეოდენი ეროვნული და უმთავრესად კი სომხური წარმოშობის ევრა-მრეწველები) მოითხოვს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ უფლებებს, მაგრამ მოითხოვს ისე ყრუდ და გაუბედავად, რომ მისი ხმა არც კი ისმის.

უოველივე აქედან დღესათი ნათელია, რომ საქართველოში ბურჟუაზია არ უოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ძალმძიანელი (ჰეგემონი) იმ რევოლუციური ხელშეწყობის, რომლებიც უპირისპირდებოდნენ გამბატონებულ ბანაკს და თავგანწირვით იბრძოდნენ ძველი, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ.

მაგრამ ისმის კითხვა: მაშ ვინდა იყო ძველი წყობილების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი კლასი და, მამასადამე, პროგრესის მედროში, ინტერისს წინ წამწვეტი ძალა? ასეთ ძალად ხსენებულ პერიოდში გვევლინება ყველაზე მრავალრიცხოვანი და ამასთან ყველაზე დაზარტული კლასი — გლეხობა — და აგრეთვე ქალაქების ღარიბი მოსახლეობა. ქართული გლეხობა იმ დროს აჟანყებებს აჟანყებაზე

აწუხობდა და იარალით ხელში იბრძოდა როგორც თავადაზნაურობისა და მისი მიწვეფქმდებულბის (ლატიფუნდების), ისე უფუფმმარბმულბის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. გლეხობას გვერდში ედგნენ ქალაქის წყრილბურ-ეუზიური და მასთან ახლო მდგომი ფენები: ხელოსნები, წვრილი ვაქრები, ინტელიჯენცია (თავისუფალი პროფესიის ადამიანები) და მოხწავლე ახალგაზრდობა. გლეხობას გვერდში ედგნენ, აგრეთვე, ქალაქისა და სოფლის მუშები (ქარგლები, შევირდები, შავი მუშები, მოკამაგრები), რომლებიც ჟერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი ცალკე კლასად და არც საკუთარი პროლეტარული იდენოლოგია გააჩნდათ.

ასეთი იყო საზოგადოებრივ-კლასობრივ ძალთა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკი, რომელთა შორის სამეკედრო-საპოლიციხლო ბრძოლა გაიმართა გასული საუკუნის 60-იან წლების საქართველოში. ძნელი დასანახი არ არის, თუ რომელი მათგანი იყო პროგრესის ძალა, ან რომელი მათგანი იბრძოდა ძველი წყობილების დასაცავად; საესებით ნათელია, რომ ფეოდალურ-ბატონყმურ წესწყობილებას იცავდა პრივილეგირებულა ფეოდალური არისტოკრატია, მისი როგორც რეაქციული, ისე ლიბერალური ნაწილი, აგრეთვე, ცარიზმის სამხედრო-პიროკრატული აპარატი, ხოლო ახალი, უფრო პროგრესული (ე. ი. ბურჟუაზიული) წეს-წყობილებოსათვის იბრძოდა ერის უუფლებო ნაწილი, ე. წ. „მესამე წოდება“, რომლის ძირითადი და უმთავრესი მებრძოლი ძალა გლეხობა იყო.

კლასობრივ ძალთა სწორედ ამ მდგომარეობისა და ურთიერთობის გამოიმბატუელია (და არც შეიძლება სხვა რამ იყოს) მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების მთელი შინაარსი. ამიტომ ახლა, როდესაც ზენ უკვე გვეცინით იმდროინდელი კლასების აღნაგობას, ურთიერთდამოკიდებულებებსა და მისწრაფებებს, შედარებით ადვილად შეგვიძლია გამოვარკვიოთ იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და, აგრეთვე, საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობათა სოციალური არსი, მათი კლასობრივი ბუნება.

მართლაც, დაესვათ კითხვა: რომელი კლასის მისწრაფებები და ინტერესები გამომბატული გიორგი მუხრანსკისა და მის მსგავს რეაქციონერთა მოღვაწეობასა და აზროვნებაში? გონების დიდი გამჭვირახობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ გიორგი მუხრანსკი და მისი ჟგუფი გამოხატაენდნენ დიდი მებატონე-მემამულეების ინტერესებს — იმ მებატონეებისა, რომლებიც ბატონყმობის გაუქმებას ქვეყნის უზედურებად სთვლიდნენ და ძველ დროს თავაცერემლიანი მისტრიოდნენ. „რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებოთ, — მოსთქვამდნენ ეს ლუარსაბ თათქარიძენი, — ჩუენი ოჯახები მაშინვე

დაცემიან. ზეუნ კართი კართ უნდა ვეორით და მოწველება ვითხოვით. აღარ ვგეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შევმუშავებელი. აღარც საჭონლისთვის შევემსი და აღარც შეიღების გამოშვრდელი ძიძა“.

თი, როგორც იყო ეს კლასი, რომლის ინტერესებსაც გამოხატავდა ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის ყველაზე რეაქციული მიმდინარეობა გ. მუხრანსის მეთაურობით. ეს იყო ძალი, რომელიც ვაფთხებით იცავდა თავის საუკუნეობით განმტკიცებულ პრივილეგიებს და მზად იყო თვით მეფის წინააღმდეგაც კი გაეღმურა, თუკი დაინახავდა, რომ ეს უკახსაყნელი სათანადოდ ვერ იცავდა მის კლასობრივ ინტერესებს.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, გაბატონებული კლასი და მისი იდეოლოგიური ფრონტი მართო პირწყარდნლი რეაქციონერებისაგან როლი შესდგებოდა. გაღატაკებულ აზნაურებს, რომლებიც დიდი გპირებებით მოუღობდნენ ცხოვრების სახასარს და არაიშვიათად იძულებულნი იყვნენ ფიზიკურადაც კი ემუშავნათ თავიანთ მიწის მცირე ნაკვეთებზე, ცხადია, არ შეეძლოთ ისეთივე საზოგადოებრივი შეხედულებები ჰქონოდათ, როგორც ჰქონდათ დიდ თავადებს, დიდი მამულეებს პატრონებს, რომელთა განცხრობით ცხოვრებას ასობით კომლი გლეხის მომჭანყველი შრომა უზრუნველყოფდა. ამიტომ საეზებით ბუნებრივია, რომ გაბატონებული კლასის ბანაკში რეაქციონერებთან ერთად ზეუნ ეხედავთ ლიბერალების ძლიერ მიმდინარეობას, ამ მიმდინარეობას ეყოფნიათ ისეთი გამოჩენილი მწყარლები და საზოგადო მოღვაწენი, როგორც იყვნენ: გრ. ორბელიანი, დიმი. ყიფიანი, ლ. არდანიანი, კ. მამაცაშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ივ. კერესელიძე, მ. თუმანიშვილი, ვაზირელ ქიქოძე და მრავალი სხვა. თავადაზნაურული ლიბერალები კარგად ზედადნენ, რომ ახალი დრო დადგა და საჭიროა ზეუნ ქვეყნის ცხოვრებაც გაეყვანა ერთობელ (ბურჟუაზიულ) გზას, მაგრამ ეს გარდაქმნა, მათი აზრით, უნდა მოხდეს თვით მეფის მთავრობის ზელმძღვანელობით და თავადაზნაურთა ინტერესების შეუღახავად, ე. ი. დაახლოებით იმგვარადვე, როგორც ეს მოხდა პრუსიაში. კონსტ. მამაცაშვილი თავის ცნობილ მოხსენებით ბარათში პირდაპირ მიუთითებს, რომ თითქოს „სხვადასხვა გვართა ბატონყმობის საქმის გარდასაწყვეტთა წესთაგან, უკეთესად დმოინდა პრუსიის წესი“ და რომ „მრავალთ განათლებულთ შებატონეთა ქსურთა, რომ პრუსიის წესი სრულებით იყოს რუსეთში მიღებული“.

მაგრამ კაბიტალიზმის განვითარების ე. წ. „პრუსიული წესი“, როგორც ეს კლასიკურად განმარტა ლენინმა, სწორედ თავადაზნაურთა და მისი დამცველი მეფის მთავრობის ინტერესებს შეესაბამებოდა, შრომელი ხალხის ინტერესებს კი ძირიანად ეწინააღმდეგებოდა. ეს წე-

სი „ხასიათდება იმით, რომ მიწათმფლობელობის შესახებუენებრივი ურთიერთობა, ერთი მხრივ კი არ ისობა, არამედ ნელა ეგუდება კაბიტალიზმს, რომელიც ამის გამო დიდი ხნით ინარჩუნებდა ნახევრადფეოდალურ ნიშნათვისებებს“.

სულ სხვაგვარია კაბიტალიზმის განვითარების ის გზა (წესი), რომელსაც რუსეთში ნ. გ. ზერნიშევსვი და მისი მეგობრები, ხოლო საქართველოში თერგდალუქულები იცავდნენ. ესაა კაბიტალიზმის განვითარების რევოლუციური, ანუ ე. წ. „ამერიკული გზა“, რომელიც არსებობდა განსხვავდება ზეუნ ლიბერალების მიერ მოწონებული „პრუსიული წესისაგან“. თი, როგორ განმარტავს ე. ლენინი განსხვავებას ამ ორ გზას შორის და იმ უპირატესობას, რომელსაც კაბიტალიზმის განვითარების რევოლუციური გზა ანიჭებს შრომელ მასებს:

„კაბიტალიზმი სხვადასხვაწინაობა: შემამულერი, ნახევრად-ფეოდალური — ყოველგვარი პრივილეგიების უამრავი ნაშთით — ყველაზე უფრო რეაქციული და ყველაზე უფრო მტანწყველი მასისთვის; არის აგრეთვე თავისუფალ ფერმერთა კაბიტალიზმი, ყველაზე უფრო დემოკრატიული, ნაკლებ მტანწყველი მასისთვის; პრივილეგიების უმცირესი ნაშთებით.“

მაგალითად, რა ვაგუნას მოახდენდა კაბიტალიზმის განვითარებაზე ის ვარემოება, თუ რუსეთში მთელი მიწა გლეხების ხელში გადავიდოდა სრულიად გამოუსყიდველად? ეს არ იქნებოდა სოციალიზმი. ეს იგვიე კაბიტალიზმი იქნებოდა, ილიონ დემოკრატიული, არა პერმისივერისებურ-გუნყოვისებური, არამედ ნაროდნიკულ-გლეხური. მაშინ კაბიტალიზმი კიდევ უფრო სწრაფად, უფრო ფართოდ, უფრო თავისუფლად განვითარდებოდა და უფრო ნაკლებად მტანწყველი იქნებოდა მასისთვის“.

კაბიტალიზმის განვითარების (ბურჟუაზიული ვარტული ევოლუციის) სწორედ ამ ორი გზისათვის იყო განაღებული ბრძოლა გლეხთა და შემამულეთა შორის, — ბრძოლა, რომელიც ლენინის სამართლიანი თქმით, „წითელ ზოლად ვადის რუსეთის რეფორმისშემდგომ მთელ ისტორიაში“. ლიბერალები, როგორც უკვე ითქვა, „კაბიტალიზმის პრუსიული“, ანუ რეაქციული გზით განვითარებისათვის იღწვოდნენ, რევოლუციური დემოკრატების მოღვაწეობასა და აზროვნებაში კი შრომელი ხალხის, პირველ რიგში, გლეხობის ინტერესები და მისწრაფებანი აისახა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან, ცხადია, დღესმდინეის აღარ წარმოადგენს იმის ვაგება, თუ რომელი კლასის, — თავადაზნაურობისა თუ გლეხობის, — ინტერესებს ემსახურებოდა ვა-

1 ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15 გვ. 153.
 2 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 445-446.
 3 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 295.



მიწინაღობის ქართული თერგადღეულის ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა და აზროვნება გასული საუკუნის 60—70-იან წლებში. გადაიკითხეთ მისი იმდროინდელი ნაწერები, გადაიკითხეთ თუნდაც მისი ცნობილი სტატია „გლეხთა განთავი-სუფლება საქართველოში“, რომელიც 1865 წელს გერციხის „კოლოკოში“ დაიბეჭდა, და თქვენ ყოველ ეჭვს გარეშე დარწმუნდებით, რა თავგამოდებით, მტკიცედ და ენერგიულად იცავს მისი ავტორი მემამულური კაბალით დაბეჩავებული და მთავრობისაგანაც მოტყუებული ყმა გლეხის ინტერესებს. აი, მისი მკვლელობის რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში:

„საქართველოში აქამდე იგივე ბრძოლა სწარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ძალღონე ხმარდება; ეს არის მშრომელთა ბრძოლა მთამომავლობისა და პრაილეუგებობის წინააღმდეგ, ე. ი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შიმშილსა და სიღატაკს წინააღმდეგ...“

ქართველ ხალხს, როგორც ყოველ სხვა ხალხსაც, მთლად არა აქვს გარკვეული უკუღმართობის ყოველი წყრილიანი და ზედმიწევნით არ იცნობს მის წინააღმდეგ გამოსაყენებელ იარაღს, მაგრამ ხალხს ერთი რამ კარგად აქვს შეგნებული: ვიავგლახით ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდა ხალხი, პირდაპირ აუტანელია, ასევე ცხოვრების სიღატაკიერი მოთმინების ყოველგვარ საზღვარს სცილდება და სჯობს დააღუპოს იგი, ვიდრე ევლობოდეს იმ კაობში, რომელიც მის ნელ-ნელა სისხლსა სწოვს და ძალ-ღონეს აცლის...“

ჭერ კიდევ ცნობილ „რესკრიბტებამდე“. რომელთა პირველი ნუსხები 1857 წლის დამლევს გამოჩნდა, ქართველმა გლეხებმა მანიფესტაციებს კი არ მიჰყვეს ხელი, არამედ იარაღით ამტანებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას ბატონყმობის მიმართ!..“

შემდეგ:
 „რადგან ბატონყმობის კვლავ ზღუდლებულად დარტყვებს ყოველად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ, რუსეთის ბნელეთის მოციქულობის ისტორიამი სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახეობა შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეგება ხალხისათვის საქრო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება... სტამბის შეღწევა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოქვინდა მძარცველობისა და ყაბალობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაყანობება!“

და ბოლოს:
 „აკმა რომ იკითხოს, სადღაა ბატონყმობის მოსპობა? ცარიელი სტრუქტურის რამე შეგიძლიათ ილაქაქოთ, მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა, სადაა აქ გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება?... ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (საღს აზრს ვინდა დავიძებს) თქვენს, ევრეთწოდებულ, რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხობის მთელი მიწების მფლობელი ხდება, როდესაც გლეხებს წინააღმდეგ უარესად აბამთ მიწაზე, როდესაც, დამოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, როდესაც გლეხს ზღლიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინაარსს?“

ნათუ შესაძლებელია, რომ ამ სტრაქონების ავტორი გლეხების ინტერესების დამცველად არ ეიცნოთ? ნათუ საქმეში ჩახედული და მიუდგომელი მკითხველისათვის ცხადზე უცხადესია არ არის გამოჩენილი პუბლიცისტის სიმამათი-ებაცა და ის საოცარი მეცნიერული ალღოც, რომლის შემწეობითაც იგი ახერხებს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უღრესად ღრმა ანალიზი მოგვეცეს და ამასთან დიდი სიზუსტით განსაზღვროს ყუბადღებუელი „დიდი რეფორმის“ მთელი სიყალბე? ზვეს სრულიად უდავოდ მივაჩინია, რომ ნ. ნიკოლაძის აღრინდელი ნაწერები, და მათ შორის ზემოთ ციტირებული შესანიშნავი წერილი, საუკეთესო, გაბედული დაცვა მშრომელი გლეხობის ინტერესებისა, და არა ლიბერალის პოზიციებიდან, არამედ სწორედ რევოლუციური დემოკრატიის, — ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პოზიციებიდან.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე იმ დროს იცავდა არა მარტო გლეხობის ინტერესებს, არამედ, აგრეთვე, ქალაქის ღარიბი მოსახლეობის, — მუშებისა და წვრილი მწარმოებლების ინტერესებს. გადაიკითხეთ მისი იმდროინდელი ნაწერები, გადაიკითხეთ თუნდაც მისი სტატია „ენისის დღეები თბილისში“, რომელიც იმავე „კოლოკოში“ დაიბეჭდა 1865 წელს, და თქვენ თვალათლივ დაინახავთ, რა თავგამოდებით იცავს ნ. ნიკოლაძე ქალაქის ღარიბი და უღვდობილი ხალხის, პირველ რიგში კი, მისი უველაზე დაჩაგრული ფენის — მუშების ინტერესებს. აი, როგორი სიმამათებით და თანაც მათი მდგომარეობის ღრმა ცოდნით ლაპარაკობს დიდი პუბლიცისტი თბილისელ პროლეტარებზე (უფრო სწორად, — პროლეტარიატის წინაპორბედებზე), რომლებიც „ბატონის მთ-

1 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 259-261.

2. იქვე, გვ. 268—271.

1 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 273—274.

რას გამოქვეყნა, მაგრამ ქალაქში კიდევ უფრო უარეს მონობაში ჩაეარდნენ:

„საქართველოში მუშის მოქალაქეობის არავითარი უფლება არა აქვს. ის „მემშინინი“ და ღროებით გათარხნებულიც კი არ არის, ის გამოქვეყნებული კაცია და სხვა არაფერი. იმერელი, გურული, მეგრელი, რაქველი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალს და „ბატონის მათრახისათვის ვერ გაუძლიათ“, თბილისში მიიზიან. პარიჟით, კართელი და კახელი გლეხები (თბილისი გუბერნია) თავს აფარებენ იმერეთსა, გურიასა და სხვ. პოლიციის უთავბოლოება და ღბოღილია მთელი ჩვეულების დაქვრის შეუძლებლობა ხელს უწყობს ბატონობის უბედურ მსხვერპლთ. მაგრამ რაკი ბუნებამაც კი არ არსებობს უკულო ვარდი, ამიტომ ღბოღილი გლეხთა თავისუფლებაც უკუაფრთხი მიზიდველი ვერ არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მთელი გლეხობა მიეტანებოდა „ნებაყოფლობით დაქირავებული ქალაქელი მუშების თავისუფალ ცხოვრებას“. ოჯახსა და სამშობლოზე ხელის აღება გლეხს მემამულეს ბატონობისაგან ანთავისუფლებს. მაგრამ სამაგიეროდ იგი ბურჟუაზიის და მოხელეობის ხელქვეითი, ლეკმაპურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებსა და სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრებისათვის, წყალსა და შუშას — მცხოვრებათათვის, და ასეთი გაფისათვის იშვიათად იღებს ორ-სამ აბაზს (40, 60 კპ. ვერცხლით). ევროპულ მუშის ოჯახი ჰყავს; ეს ოჯახი მის, მართალია, მძიმე ტვირთად აწევდა, მაგრამ ხშირად ქორ-ვარამსაც უქარავებს. ცოლ-შვილი ქართველ მუშასაც ჰყავს, მაგრამ „ცხრა მთას იჭით“. ცოლ-შვილის რჩენის სიმძიმე მას აწევდა. თუ მუშის ოჯახი არ მოიხდის ბატონის ბეგარა-ვაღდებულებას, ბატონი მის შვილებს მოჰალბებდად წაიყვანას; ოჯახური ცხოვრების კარგ მხარეს კი ის მხოლოდ მოგონებით იცნობს... ღბოღი და თავის გამოსყიდვა ბატონისაგან, შალვა და თავის გამოსყიდვა პოლიციისაგან, ჭაფა და თითქმის სრული უიმედობა, რომ როდესმე თავს დააღწევს დებუირ ცხოვრებას, იმის შეუძლებლობაც კი, რომ ლეონის სმით დაივიწყოს თავი, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სხადიან — ასეთია ქართველი პროლეტარის სევ-ბედი“¹.

ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ სტრუქტურის ავტორში არ დაივანხოთ ქალაქის ღარიბი მოსახლეობის, პირველ რიგში კი, ყოველ მხრად დანაგრეული იმდროინდელი ქართველი მუშების ქომაგი და მათი ინტერესების დამცველი? მაგრამ შრომელი ხალხის ინტერესებს იმ დროს

ნ. ნიკოლაძე იცავდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

უახლეს ისტორიულ ლიტერატურაში სტრუქტურულია, რომ 60-იან წლებში ნ. ნიკოლაძე უადრესად აქტიურ არალეგალურ მუშაობა ეწეოდა. სწორედ ამ მიზნით გადაიხვეწა იგი საზღვარგარეთ, სიდაც დაუკავშირდა რუსეთის ემიგრანტ-რევოლუციონერებს, — გერცენს, ოგარევს, ა. სერნო-სალაიოვიჩს, უტინს, ელ-ბილისს, — და მათთან ერთად ვაანდა უადრესად ენერგიული რევოლუციური მუშაობა ცარიზმის წინააღმდეგ¹. ეს ვარაუზება იმის უდავო მოწმობაა, რომ ნ. ნიკოლაძე არა მარტო თეორიულ-ლიტერატურულად, არამედ პრაქტიკულად ებრძოდა მეფისა და რევოლუციის ძალაუფლებას, იღწვოდა და შრომობდა შრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, და მამასადაც, ის უდავოდ შრომელია ხალხის, — გლეხობისა და ქალაქის ღატაკი მოსახლეობის (პროლეტარული და ნახევარ-პროლეტარული ელემენტების) იდეოლოგი იყო. სტეხანოვად შეუძლებლად იყო რევოლუციონერი იმდროინდელ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ შრომელი ხალხის იდეოლოგი შეიძლება ყოფილიყო, რადგან ბურჟუაზია, როგორც ითქვამს, არავითარ რევოლუციურ როლს არ თამაშობდა.

მაგრამ თუ ბურჟუაზიული რეფორმების წინ და თვით რეფორმების პერიოდში ადგილობრივი ბურჟუაზია საზოგადოების უფლებებო ნაწილი იყო, „მესამე წოდების“ ბანაკს მიეკუთვნებოდა და ხალხთან ერთად ებრძოდა (თუმცა გაუბედავად და ყრუდ) მეფისა და მემამულეების ძალაუფლებას, რეფორმების შემდგომ ხანაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: ბურჟუაზია გამოეყო ხალხს და მისი ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა შრომელთა ინტერესებს (ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო უცხოური და სომხური წარმოშობის, არამედ აგრეთვე, ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც რეფორმების შემდეგ პერიოდში გაძლიერდა და კლასად ჩამოყალიბდა). ამ ახალ ეთარებას და კლასობრივ ძალთა ახალ თანაფარდობას არ შეეძლო არ გამოეწევა, და გამოიწევა კიდევაც, არსებითი ცვლილებები იდეოლოგიის სფეროში. თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობა, რომელიც ძველი წოდებების წინააღმდეგ მებრძოლი ბანაკის („მესამე წოდების“) საერთო იდეოლოგია იყო. უნდა დამოილოყო ორ მოპირდაპირე მიმდინარეობად სწორედ ისე, როგორც „დაიშალა“ და ერთმანეთს დაუპირისპირდა ძველი წოდებების წინააღმდეგ მებრძოლთა ბანაკი „ბურჟუაზიისა“ და „ხალხის“ სახით.

¹ დაწერილებით ამ საკითხზე იხ. ჩვენს ნაშრომში „თერგდალეულთა რევოლუციურ მოღვაწეობის ისტორიიდან“, 1962 წ., გვ. 151—258.

მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში დიდი ხანია გამოირკვეულია ის მიზეზები, რომლებმაც ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ ხანაში ბურჟუაზიისა და ხალხის დროებითი ერთიანობა განაპირობეს, ხოლო კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგ, მათ შორის მკვეთრი ანტაგონიზმი გამოიწვიეს. ჯერ კიდევ 1854 წელს ენგელსისადმი ვაგზაინი წერდა, კ. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუმა ანტაგონიზმის ფესვები ბურჟუაზიისა და ხალხს შორის „მესამე წოდების“ აღმოცენებასთან ერთად აღმოცენდა, მაგრამ ეს „ფესვები“ ფეოდალური წყობილების დროს მიმდებარდა და ნაკლებად ჩანს. „ბურჟუაზიისა და ხალხის მკვეთრი ანტაგონიზმი, რასაკვირველია, მხოლოდ იმ მომენტიდან იწყება, როგორც კი ბურჟუაზია აღარ უზირისპირდება თავადანაურობასა და სამღვდლოებას როგორც მესამე წოდება“.¹

ამ აზრს კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვამს ვ. ი. ლენინი. „ბატონყმობა ყველას ერთნაირად ავიწროებდა, — ამბობს ლენინი, — ყმა-ბურჟუაზიისა, რომელსაც ფეოდალური დავებრივებისა და საამურო ცხოვრება უნდოდა, ყაბრათიან გლეხსაც, რომელსაც ბატონი სძულდა ბევრისა, მის მეურნეობაში ჩაბრუნება და გაყიდვისათვის, პროლეტარ-შინაყმისა და ვალაქებულ გლეხსაც, რომელსაც დასამონებლად ყიდდნენ ვაჭარზე; მისგან იტანჯებოდა ვაჭარი-მფლობელიც, მუშაც, შინაპირუფალიც და ხელოსანიც. ყველა ამ ადამიანთა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ ყველა ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონყმობას: ამ სოლიდარობის საზღვრებს იქით უმძაფრესი სამეურნეო ანტაგონიზმი იწყებოდა“.²

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თვით ნ. ნიკოლაემ, რომლის ნაზრევები ისტორიული მოვლენების მატერიალისტური ახსნის არა ერთი შესანიშნავი მაგალითი მოიპოვება, მშვენივრად ხედავდა იმ ანტაგონიზმის ფესვებსაც, რომელიც თბილისელ მოქალაქეებს (ბურჟუაზიას) და ღარიბ ხალხს შორის რეფორმების ხანაში სუფიქდა, და იმ დროებითი სოლიდარობის მიზეზსაც, რომელიც ქალაქის მუშა ხალხსა და ბურჟუებს შორის იმ დროს დამყარდა. ნ. ნიკოლაემ კარგად ხედავდა, რომ სწორედ მეფის მთავრობა და მისი პოლიტიკა აიძულებდა თბილისელ ბატონებსა და ვაჭარ-მრეწველებს (მოქალაქეებს) ერთ ბანაკად გაერთიანებულაყენნ საერთო მტრის, — მეფისა და თავადანაურობის წინააღმდეგ საბრძოლველად. აი, რა საინტერესო მსჯელობა მოცემული მის სტატიაში „იენისის დღეები თბილისში“.

„თბილისში ქალაქის მუშა-მოსახლეობამ ხელი ვაუწოდა მოქალაქეებს, რათა ერთად გაეკლავებოდნენ რუსეთის მთავრობას“³ ნენი კვლავ ვკითხვბთ ის ვარჯობება, რომ საფრანგეთში რესპუბლიკის მომხრენი კავშირს ჰქრავენ ლევიტიზმსტვთან, ორლენისტები ხელს უწყვიან კლერიკალებს საერთო მტრის — იმპერატორის მთავრობის დასამხობად. ნენში კი ის პირები, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ პარტიების ტაქტიკაზე და რომელთა შორისაც, საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვაობის გამო, მთელი უფსკრულია გათხრილი, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან თავისი „საერთო მტრის“ წინააღმდეგ და ავიწყდებთ, რომ ვრშინ მოქალაქემ ტყაყი გააძრო თავის დღეანდელ თანამებრძოლ მუშას და ხვალაც იგივე განმეორდება. ასეთი წარმოდგენელი, გაუგებარი კავშირი, ერთმანეთისადმი ოდითვე მტრულად განწყობილი ელემენტების ასეთი დაახლოება მხოლოდ რუსეთის მთავრობას შეეძლო გამოეწვია“.⁴

ეს ამონაწერი ვეიღბსტრეებს, რომ ნ. ნიკოლაემ ღრმა მოაზროვნე იყო, რომელსაც მშენებრად ესმოდა 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ვითარება და კლასობრივ ძალთა თანაფარდობა. ეს ამონაწერი გვიდასტურებს, აგრეთვე, რომ ნ. ნიკოლაემ კარგად ხედავდა იმ ანტაგონისტურ წინააღმდეგობას, რომელიც ბურჟუაზიასა და მწრომელებს შორის აჩვენებდა; მან იცოდა, რომ „ერთმანეთისადმი ოდითვე მტრულად განწყობილი ელემენტები“ სოლიდარობა დროებითი მოვლენათა და რომ ეს სოლიდარობა განპირობებულია მეფის მთავრობის პოლიტიკით; მაშასადამე, მთავრობის პოლიტიკის შეცვლასთან ერთად ეს სოლიდარობაც დაირღვევა და მის ნაცვლად წინ წარმოდგება ანტაგონიზმი, ანუ ის უფსკრული, რომელიც გათხრილია მუშებსა და ბურჟუებს შორის მათი „საზოგადოებრივი ია ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვაობის გამო“.

დიდი მოაზროვნის ეს დაკვირვება საყვებით სწორი აღმოჩნდა. მართლაც, საქმარისი იყო მეფის მთავრობა თბილისის ბურჟუების მიმართ სულ მცირე დათმობებზე წასულიყო და ეკლემიკური საქალაქო რეფორმა (1866 წ.) კუბტარებინა, რომ მასწინე შესტრებულყო, ხოლო უფრო გვიან (70-იანი წლებიდან) სრულად გამქალაყო თბილისის ბურჟუაზიას ობოლიცერი განწყობილება. რეფორმების შემდეგ საქართველოს ბურჟუაზია დიდი ხალხისთ დადგა მეფის მთავრობასთან თანამშრომლობის გზას, ხოლო თავისი გენმდელი მოკავშირენი (ქალაქის ღარიბი კლასები) სრულიად დაივიწყა. ეს არც ვსაკვირია: რეფორმების შემდეგ საქართველოში ბურჟუაზიული წყობილე-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 21.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 349.

³ ნ. ნიკოლაემ, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 298.

⁴ ნ. ნიკოლაემ, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 298.

მა დამყარდა და საცხებით ბუნებრივია, რომ საზოგადოების წინანდელი ძირითადი წინაღმდეგობა (თავდაზნაურობასა და მესამე წოდებას შორის) უნდა შეცვლილიყო ახალი წინააღმდეგობით (ბურჟუაზიასა და მშრომელ ხალხს შორის). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავადის ნაცვლად (ან უფრო ზუსტად, მასთან ერთად) ახლა ხალხს კისერზე კაპიტალისტი დაჰყავდა. ცხადია, ასეთ რადიკალურ ცვლილებას კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში არ შეიძლება არ გამოეწვია ასეთივე ცვლილება იდეოლოგიურ სფეროში.

მაგრამ აქ ხაზი უნდა გავსვას კიდევ ერთ გარემოებას, რამაც ხელი შეუწყო თერგდალეულთა წვეულის დაშლას და ახალი, ბურჟუაზიული მიმდინარეობის ჩამოყალიბებას: თუ წინათ საქართველოს ბურჟუაზია ძირითადად ეცხი და სომხური წარმოშობის ელემენტებისაგან შესდგებოდა, რეფორმების შემდეგ სწრაფად გაძლიერდა ეროვნული ბურჟუაზია, რომელმაც გააძლია ბრძოლა თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის. სწორედ ამ მიზნით ერთგულნი ბურჟუაზია ცდილობდა მთელი ქართველი ერის სახელით გამოსულიყო და მისი სახელით ელაპარაკა, ე. ი. ერის წინამძღოლობას ჩემულობდა. მართალია, მას სამისო ძალა არ გააზნდა, მაგრამ ეცხიერ კაპიტალისტებთან შედარებით ის შინე უფრო ახლოს იდგა ქართველი ხალხის ინტერესებთან და შეეძლო პარტიკულ პირობებში მხარი დაეჭირა დემოკრატიული ღონისძიებებისათვის, როგორც ე. ი. ლენინი სამართლიანად მიეთითებს, „ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგროს წინააღმდეგ“, და სწორედ ეს შინაარსი ახლოვებდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიას (განსაკუთრებით მისი განვითარების პირველ ეტაპზე) გლეხობის დემოკრატიული იდეოლოგიასთან. ამიტომ სამოციანდელთა თაობის ზოგიერთ წარმომადგენელთა გადასვლა ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგიურ პოზიციებზე შედარებით ადვილი საქმე იყო როგორც თეორიულად, ისე ფსიქოლოგიურად.

ამრიგად, უდავოა რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში მომწიფდა პირობები ბურჟუაზიის იდეოლოგიის (ბურჟუაზიული ლიბერალიზმის) ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბებისათვის და სწორედ ამ გარემოებას განაპირობა თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლა: ამავე დროს თვით ბურჟუაზიული კლასის შიგნით მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა (ეროვნული ბურჟუაზიის ზედაბრთა წონის ზრდა) გააძლია რევოლუციური დემოკრატთა ერთი ნაწილის გადასვლა ლიბერალიზმის პოზიციებზე. რა თქმა უნდა, ეს გადასვლა უაღრესად რთული პროცესი

იყო და ადვილი როდია იმ ეპოქის დემოკრატიული და ლიბერალური ტენდენციების ცხადად გამოცხადება, მაგრამ ამ ნაწილობრივ წარუყვანა მაინც დიდი სიზუსტით არის შესაძლებელი, თუცა, რა თქმა უნდა, მკვლევარი შესძლებას თანამედროვე მეცნიერების მეთოდოლოგიური იარაღის სათანადო მომარჯვებას.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით კონკრეტული მასალის ანალიზის გზით დავანახოთ მკითხველს თერგდალეულთა წვეულის დაშლისა და ახალი, ბურჟუაზიული მიმდინარეობის ჩამოყალიბებისათვის პარტიკული, შემდეგ კი თვითი გავადგინოთ თვით ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ევოლუციას.

5. თერგდალეულთა ერთიანი წვეულის დაშლა. ბურჟუაზიული მიმდინარეობის ჩამოყალიბება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ხედავად ქვეული საკითხი: როდის დაიწყო თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლისა და მისი წიაღიდან ახალი (ბურჟუაზიული) მიმართულების წვეულის ჩამოყალიბების პროცესი?

ისტორიული ვითარების იმ ანალიზიდან, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, რომ თერგდალეულთა ერთიანი წვეულის დაშლა და ახალი, ბურჟუაზიული მიმართულების წვეულის ჩამოყალიბება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ რეფორმის შემდგომ პერიოდში, როცა ჩვენში საგრძნობლად გაძლიერდა ვაჭრობა-მრეწველობა და ეკონომიკულმა ქვეყნის მთელი ეკონომიკური ცხოვრებდა, როცა გაჩნდა რკინიგზები, ბანკები და ა. შ. კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას შედეგად მოჰყვა „მესამე წოდების“ სოლიდარობის დარღვევა და ბურჟუაზიისა და „ხალხის“ ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება, რამაც არ შეეძლო არ გამოეწვია და გამოიწვია კვლავ თერგდალეულთა ერთიანი წვეულის დაშლა.

სერიოზულმა უთანხმოებამ თერგდალეულებს შორის თავი იჩინა 1876 წლის გაზაფხულზე. სულ მალე ამ უთანხმოებამ მათ შორის განხეთქილება გამოიწვია და თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობა ორ ბანაკად გაიყო: ერთი მათგანი ახლად ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს გამოხატავდა, ხოლო მეორე წერილი მწარმოებლის (გლეხის, ხელოსნის) ინტერესების დამცველად რჩებოდა. თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლის (ან უფრო სწორად, — ორ ბანაკად გაყოფის) ეს პროცესი, როგორც ვთქვით, 1876 წელს დაიწყო და დაახლოებით სამი-ოთხი წლის განმავლობაში ვაჭრებლდა.

მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თითქმის ამ დრომდე თერგდალეულთა შორის ად-



გული არ ჰქონია კამათსა და უთანხმოებას? რა თქმა უნდა, არა. „მესამე წოდების“ იდეოლოგია უთანხმოების ფესვებს თავის თავშივე შეიცავს. ამით აიხსნება, რომ ახრთა სხვადასხვაობა, კამათი და უთანხმოება თერგდალეულთა შორის (ისევე, როგორც რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის) წინადაც ხშირი მოვლენა იყო, მაგრამ მინამდევს კამათი და უთანხმოება უფრო ყრბო საკითხების ირგვლივ ხდებოდა ხოლმე და არასოდეს არ გადაზრდილა განხეთქილებაში, არ გამოუწვევია თერგდალეულთა ერთიანი ჯგუფის დაშლა.

ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, რომ საქარიასია ამათვე იმ თერგდალეულის სტატუსში აღმოვიჩინეთ მისივე თანამებრძოლის საწინააღმდეგო აზრი, ან ეპოვოთ სიტყვა „უთანხმოება“. რომ უკვე არსებობს საფუძველი ვილახოვრკათ თერგდალეულთა დაშლზე და ახალი იდეური ჯგუფების გაჩენაზე. აქედან წარმოხდებოდა მრავალი უსაფუძვლო თვალსაზრისი, რომელთა მიხედვით თერგდალეულთა დაშლისა და ახალი (ბერეგუნიული) მიმართულების ჯგუფის შექმნის თარიღად ასახელებენ ხან 1866 წელს, ხან 1869 წელს, ხან კიდევ 1873 წლის დამდეგს, როცა ნ. ნიკოლაძის ცნობილი წერილი „ახალი ახალგაზრდობა“ გამოქვეყნდა. ამგვარი შეხედულებების სრულ უსაფუძვლობაში იდეოლოგიურ დარწმუნდება ყოველი ადამიანი, რომელიც არ მოერიდება შრომის გადათავალიეროს ხსენებულთა წლების გაზეთი „დროება“.

1876 წლის დამდეგს თერგდალეულებმა დიდ ზეიძით აღნიშნეს გაზეთ „დროების“ არსებობის 10 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით „დროების“ 3 მარტის ნომერში დაიბეჭდა ს. მესხის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: ხეალ, ხეთშაბათს, 4 მარტს შესრულდება სწორეთ ათი წელიწადი მას აქეთ, რაც გამოვიდა პირველი ნომერი ჩვენი გაზეთის „დროებისა“. რამდენიმე პირთა, რომელნიც ქართული ლიტერატურის წარმატებებს თანაუგრძობობენ, ითავეს ამ დღის დღესასწაულობა. ხსენებულ პირთა მინდობილობით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ დღეს ნაშუადღევს 3 საათზე, შონა-ლეზირის ბაღში იქნება ზელის-მოწერით გამართული სადილი, რომელშიაც ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. ხელის მოწერა შეიძლება თ. ილ. ჭავჭავაძესთან და თ. დ. ავალო-შვილთან, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში...

ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენი გაზეთისათვის მითაც, რომ ამ თობის მარტიდამ 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებით მონაწილეობას ქვემოხსენებულ პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას: ნიკო ნიკოლაძე (სკანდელი), აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე. ამით გარდა, ჩვენის გაზეთისათ-

ვის იზრომებენ ეხლანდელი თანამშრომელნიც.¹

როგორც ეს განცხადება,² იუბილესთან დაკავშირებით სხვა მასალები მოწმობენ, რომ თერგდალეულთა იმ ხანებში ჯერ კიდევ ერთიანი ფორმით მოქმედებდნენ და ერთ მთლიან მიმდინარეობას წარმოადგენდნენ. ამ ფაქტს ადასტურებს, ყრბოდ, „დროების“ 7 მარტის მოწინავე წერილი, რომელიც ამ გაზეთის ათი წლისათვისადმი მიძღვნილი, და, აგრეთვე, საიუბილეო სტუმრის ანგარიში, რომელიც იმავე 7 მარტის „დროებაშია“ დაბეჭდილი.

მოწინავე წერილში, რომელიც ს. მესხის კალამს ეკუთვნის, მოკლედ არის გადმოცემული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში 10 წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებები და შევამებულა ვახუთის მიერ განვლილი გზა. როგორც მოსალოდნელი იყო, მასში სრულიად არაფერია ნათქვამი თერგდალეულთა შორის განხეთქილების, ან 60-70-იანი წლების პერიოდში რაიმე ახალი დასის ჩამოყალიბების შესახებ. წერილის ავტორი ლაპარაკობს მხოლოდ ძველთა და ახალ დროზე, ძველ თაობასა და ახალ თაობაზე, და სხვა-ნაირად ლაპარაკი მას არ შეუძლია. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დროების“ ვარშემო თავმოყრილი იყო მთელი საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა, რომელსაც „ერთთ სახელმძღვანელო ჰაზრი ჰქონდა“. აი, მისი სიტყვები: „დროებამ ისეთს დროს დაიწყო გამოსვლა, როდესაც, ხანგრძლივის ძილისა და მყუდროების შემდეგ, საქართველომ თითქო გამოიღვიძება დაამირა... რაც რაზე ნიჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერმა და ყველამ თავის ევლი დაინია ამ გაზეთში... თავის ათის წლის სიცოცხლეში „დროებისა“ ერთი საზოგადო სახელმძღვანელო ჰაზრი ჰქონდა; ეს ჰაზრი იმას არასოდეს არ გუშვია ხელიდამ და, იმედი, არც შემდეგში მიატოვებს“.

კიდევ უფრო საინტერესოა ს. მესხის იმავე გაზეთში დაბეჭდილი სიტყვა, რომელიც მას საზეიმო სადილზე წარმოუთქვამს. იგი იმდენად „თერგდალეულური“ სიტყვაა, რომ კაცს ეკონება, თითქოს ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობდეს: „ძალიან კარგად მესმის, —უთქვამს ნაღიშზე ს.

1 „დროება“, 1876 წ., № 23
 2 ამ განცხადების საფუძველს წარმოადგენდა ოფიციალური „პირობა“, რომელიც 1876 წლის 1 მარტს დაიდო „დროების“ ხელმძღვანელებს შორის. ამ პირობის პირველ პუნქტში ნათქვამია: „დროების“ რედაქციას შეადგენენ: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ნიკოლაძე და სერგეი მესხი“ (ეს დოკუმენტი მთლიანად გამოაქვეყნა მკვლევარმა ი. ბოცვაძემ იხ. თსუ შრომები, ტ. 93, 1960 წ., გვ. 359-360).

შესს, — რომ კერძოდ მე კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ ჩვენ დღეს ყველანი შეკრებილი ვართ აქ. ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსაღმ მიმართულებას ანუ თაობას კი არ წარმოადგენს; ამ დროშაზე არ აწერია არც პარტიანი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა, — ეს არის დროშა ქართველის ლიტერატურისა!

შესაძლებელია, — და არა თუ შესაძლებელია — შეპყვლიყვა, რომ ზოგს თქვენგანს არ ამაყოფილებს „დროშა“ და ამის მიმართულებას; ზოგი თქვენგანი ახალ მოღვაწეს, ახალ თაობას ეკუთვნის და ზოგი ძველსა (დამწერეთა შორის იყვნენ ძველი თაობის წარმომადგენლებიც, მაგალითად, კ. მამაცაშვილი და სხვ.— ბ. რ.). მაგრამ, როდესაც ჩვენს საზოგადო ქართულ ლიტერატურაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამჯერად ვარჩევა იქ აღარ უნდა იყოს, მაშინ ჩვენ ერთის მიწის შვილი, ერთის ენისა და ლიტერატურის მოყვარენი ვართ!

როგორც ეხედავთ, ს. შესი არა თუ ახალი თაობის წარმომადგენლებში დღევანდელ უთანხმოებასა და წინააღმდეგობაზე არ ლაპარაკობს, არამედ იმასაც უცდილობს, რომ შეარბილოს ძველსა და ახალ თაობას შორის არსებული წინააღმდეგობანი; ერთგულად მიიყვება რა ილიას მოძღვრებას, იგი ცდილობს ხადი გასდოს ძველ თაობასთან (თავიდაპირულ ლიბერალებთან) იმისათვის, რომ გააერთიანოს ქართველი ხალხის მთელი ძალები საერთო მტრის — რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

საიუბილეო ნადიმზე წარმოთქმულ მრავალი სხვა სიტყვაც, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ილია ჭავჭავაძის ორგონის გამოხსენება და სტ. მელიქიშვილის სიტყვა. საგაზეთო ანგარიშში ამის შესახებ ერთგულთა თქმა: „ი. ჭავჭავაძემ წარმოისთქვა: „ტისტო-დროების“ პირველი რედაქტორის — გიორგი წერეთლისა, ამავე გაზეთის ორი საუკეთესო მოღვაწისა უფ. აკაკი წერეთლისა და უფ. ნიკოლოზ ნიკოლაძისა, რომელთაც გაზეთის სული ჩადგეს და აგრეთვე იმ პირისა, რომელმაც „გაზეთის ზორცი შეიასოა“. — უფ. „დროების“ გამომცემლისა — სტეფანე მელიქიშვილისა“. შემდეგ სიტყვა უთქვამს სტ. მელიქიშვილს, რომლის მოკლე შინაარსს ვაზეთი ასე ვადმოვუცქმს: „პატონებო, პირველი მასრი იმ გაზეთის გამომცემისა, რომლის გამომცემელი მე ვახლავარ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოსთქვა ეს პარტი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“ ამის შემდეგ მეორედ აღუდა სიტყვა ი. ჭავჭავაძეს და წარმოუთქვამს სადღვარცხოლო პირველი ქართული გაზეთისა და პირველი ქართული ეთნოლოგის რედაქტორების — სოლომონ დოღაშვილისა და გიორგი ერისთავისა.

„თუკაც იმ დროშაზედ, — უთქვამს ილია, — რომელიც უფ. შესიმამ მოიხსენა, ესლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავიერ, მემართლებზედ წაწეროს, მაგრამ თუთუ დროშაზედ ეთნოლოგითა გვაქვს ვადმოცემული განცხადებულის დოდაყვისაგან, გიორგი ერისთავისაგან, საუკუნოდ იყოს სხენება მათი ჩვენში“.

როგორც საგაზეთო ანგარიშიდან ჩანს, საიუბილეო ნადიმი ჩატარებულა ა. წოვიანოვის ბაღში, მასში მონაწილეობა მიიღია 70-ზე მეტკაცს და ქვეთი დაღაძებამდე ვაგრძელებულა ნადიმის დაითაყრების შემდეგ დამწერებელსა მუსკოთ ვაუჯელთან მხაიარის მთელი ქუჩა ეთნოლოგის ძეგლამდე; მონაწილეობა შორის დიდი მხაირელება და აღტყინება ყოფილა. ერთი სიტყვით, „დროების“ 10 წლის იუბილე ქართული ეთნოლოგისა და, საერთოდ, ქართული კულტურის ერთიანობის ერთგვარ დემონსტრაციად ვაღმქვეულა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან სრულიად ნათლად და ვარკვევით ჩანს თერგდალეულთა ერთიანობის, მათი ერთად შრომისა და ბრძოლის დიდებული სურათი. ეს იუბილე დიდი ზემი იყო არა მარტო „დროებისა“ და მისი რედაქციისა, არამედ, საერთოდ, თერგდალეულთა მთელი თაობისა. თერგდალეულებს ქართველთა ზემის საფუძველი: მათ გააკეთეს უდიდესი ისტორიული საქმე, — გამოაღვიძეს ქართველი ერთი და მოამზადეს იგი მხავკრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ სრულიადაც არ არის საკვირველი ის სიხარული და აღტყინება, ის მისწრაფება ერთიანობისაკენ, რომელიც ამ ზემზე სუფევდა. მათა საიუბილეო სუფრა უზარალო ქეფისა და დროსტარების სუფრარაღი იყო; ეს იყო ისტორიული სუფრა, რომელსაც უსხდნენ ქართული კულტურის კორიფეები, დიდი მწერლები და მოაზროვნენ; ეს იყო ერთგვარი შეჯამება ვაქველიც გზისა. თერგდალეულთა სახელოვანი მოღვაწეობისა; ეს იყო მიქნა, რომლის შემდეგ ახალი გზები უნდა ვაკვლეულიყო. ამ ზემზე თერგდალეულები ჯერ კიდევ დარწმუნებული იყვნენ, რომ მომავალშიც ერთი გზით ივლიდნენ და შეერთებულ ძალებით იბრძოლებდნენ ქართველი ხალხის ინტერესებისათვის; ისინი ჯერ კიდევ ვერ გრძნობდნენ, რომ ერთიანობას დიდი დღე აღარ ეწერა და რომ განხეთქილებით აზრდით მათს სუფრას უკვე თავს დასტრიალებდა!

იუბილეს შემდეგ „დროება“ საგრძნობლად გამოიკესლდა. 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა ნიკოლაძის ცნობილი სტატია „საღამო“, ამას მოჰყვა ილიას შესანიშნავი „ზოგიერთი რამ“, აკაკის მახვილი ფელეტონები და ა. შ. მაშინ, დღეო აბალთაობის ურთოერთობის ვასაგებად, ერთდ კი ამის ვასაგებად, თუ რამ ვამოიწყია იუბილეს წინა ხანებში ნ. ნიკოლაძის დროებით წასულა „დროების“ რედაქციოდან, საინტერესო

მასალას გვაძლევს მისი სტატია „სალამი“. ამიტომ შედგენი არ იქნება გვეყენეთ მის მოკლე შინაარსს.

სტატიის დასაწყისში ნიკოლაძე მიესალმება „ღროების“ მკითხველებს, რომლებთანაც, როგორც ამბობს, არ წელიწადზე მეტია საუბარი აღარ ჰქონია. „განზე ვიყავი გამდგარიო“, — „ცხადებს და ცდილობს ახსნას ამ „განდგომის“ მიზეზები. ნ. ნიკოლაძის აღიარებით, „ღროების“ რედაქციასთან მისი იმდროინდელი უთანხმოება არ ყოფილა გამოწვეული რაიმე პრინციპული, იდეური ხასიათის მიზეზებით; მისი უკმაყოფილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ზღვის მსახური თაობის მცირერიცხოვან გუნდს არ ემატებოდა ახალი მებრძოლები, ხოლო ვინც იყვნენ, ზოგჯერ ისინიც „ან ვერ ებმებოდნენ ჩვენს უღელში, ან ებმებოდნენ შიგ დაუნდობლად, განდავან, თითქო ჩვენ მტერნი ვყოფილიყავით, და არა ერთი და იმავე შრომის და საქმის წევრნი“. ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძე უსაკუთრებდა თავის თანამებრძოლებს ერთსადაცაა რა აქტიურობის არასამართლობას, რასაც მისი უკმაყოფილება და საერთო საქმიდან დროებით განზე გადავსა გამოუწვევია.

მაგრამ რატომ დაადგა ნ. ნიკოლაძე „განზე გადავსის“ ტაქტიკას, ნაცვლად იმისა, რომ გავიანდებინა ბრძოლა თერგდალულთა რიცხვების შესამჭიდრობლად და საერთო-სახალხო საქმისათვის მუშაობის გასაძლიერებლად? ამ კითხვაზე ნიკოლაძე ასეთ პასუხს იძლევა: არ მსურდა მეგობრებისა და თანამებრძოლების წინააღმდეგ ბრძოლა და ახალი თაობის (თერგდალულელთა) ჩვეულებრივ განხორციელებას ჩამოგდებოდა. აი, მისი სიტყვები: „როცა მე მტერად დავაკიდე მთელი ძველი თაობა, განა ახლა ომი და ბრძოლა უნდა გამება ამ ახალ თაობასთან? ან რისთვის, ან რის გულისთვის, ვინა სახელით? განა საყვარლის იყო — ან შენი (ე. ი. მკითხველის, ხალხის. პ. რ.), ან ჩემი, — რომ ჩემი პირადი სახელის და გავლენის დასაცავლად მე დარჩნული ამელო და შეშემუსრა ის უმაწილკაცები, ვინც, იქნება, შენთვის როდესმე გამოსადგენი შეიქნებოდნენ? ვის გამოადგებოდა ეს შეშემუსრა, ჩემს პიროვნებას ვარა და? და ღირდა, ჩემი პიროვნების გულისთვის, ჩემი ნაწიყენი თავმოყვარეობისთვის, იროდეს დავმსგავსებოდე, და უმაწილი თაობა ამომელოტა?“

მე ვიფიქრე, რომ ეს მე არ უნდა მექნა. ერთი კერძო კაცის პიროვნება, ჩემის აზრით, ვხას უნდა უთმობდეს საზოგადო სარგებლობას... მე ჩამოვდები, ჩემთვის განზე გავდები და გზასტყვებს დაუტოვებ, იმით, ვინც ასაბუჯზე იმ დროშით გამოდიოდნენ, რომელზედაც შენი სამსახური და შენი აღდგინება ეწერა“.

ნ. ნიკოლაძის ეს წერილი, რომელიც მისი ავტორის გულწრფელი აღსარებაა, ცხადად მოწმობს, რომ თერგდალულთა შორის განხეთ-

ქილებისათვის ნიდაგი თანდათან მზადდებოდა და ღრმადდებოდა, თუმცა მისი ნაშედეგი, ცხოვრებისეული მიზეზები დიდხანს დამდგარული და ძნელად შესამჩნევი იყო; თურგდალულთა უველაზე გამოჩენილი ხელმძღვანელები კი ვერ გრძობდნენ იმ ზღვარის მოახლოებას. რომლის იქით განხეთქილება გარდაუვალი იყო მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და მალე სამოციანელთა დაშლაც ფაქტი გახდა.

1876 წლის 11 მარტს „ღროებამი“ დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის წერილი „ქუთაისის ბანკის საქმე“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ბ. ლოლობერიძე და მის მიერ შედგენილი ბანკის წესდება. მართალია, წერილის ავტორი იწმუნებოდა, რომ მან ვანზარახევა არ აქვს, ხელი შეუშალოს ბ. ლოლობერიძეს „წესდებას ასრულებადში მოიყვანოს და ბანკის მმართველობა იყოს-როსო“, მაგრამ წერილის შინაარსი და ტონი ამის საწინააღმდეგვს მეტყველებდა. ამიტომ იყო, რომ „ღროების“ რედაქციამ ნ. ნიკოლაძის წერილს ასეთი შენიშვნა დაურთო: „თუმცა კი ამ სტატიის ვებედავთ, მაგრამ სიმართლე ვალსა გვდებს გამოვაცხადოთ, რომ მაგ სტატიაში გამოთქმულს აზრებსა და მსჯელობას არ ვეთანხმებით“.

აქედან, ცხადია, რომ ნ. ნიკოლაძე, ზემოხსენებული თაობის წერილის გამოქვეყნებით, დაუბოროტებდა „ღროების“ რედაქციის დანარჩენ წევრებს — ილიას, აკაკის და ს. მესხს. რაკი მან ანგარიში არ გაუწია რედაქციის წევრთა უმრავლესობას და გამოაქვეყნა მამხილებელი სტატია მათი სურვილის წინააღმდეგ, ცხადია, ეს მოასწავებდა უთანხმოებას დასაწყისს. ნ. ნიკოლაძის გამოხატული უპასუხობა არ შეიძლებოდა დაჩინილიყო და აი, „ღროების“ 21 აპრილის ნომერში ქვეყნდება ი. ჭავჭავაძის საპასუხო სტატია, სათაურით: „ე. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. ამას მოჰყვა ნ. ნიკოლაძის ახალი სტატია „სადავლამაჟილო კრედიტის პრაქტიკა“, რომელიც დაიბეჭდა უკვე არა „ღროებამი“, არამედ რუსულ ვაზეთ „ტიფლისი ეესტრიკში“ (1876 წ. № 103). თუ აქამდე ნ. ნიკოლაძე თავის თანამოაზრეებს ქუთაისის ბანკის წესდების გამოკვათებოდა (ეს ვასაგებოდა, რადგან სწორედ იქ, დასავლეთ საქართველოში უფრო მოიკიდა ფეხი ქართველთა ეროვნულმა ბურჟუაზიამ) და ახალ სტატიაში იგი უკვე თბილისის ბანკს შეეხო და მისი ერთი წლის მოღვაწეობის პრაქტიკის ანალიზის გზით დააწინა თვით პრინციპი, რომელიც თბილისის ბანკის წესდების საფუძვლად ედო და, რომელსაც მანამდე შეუდამ იწონებდა და აქებდა როგორც „ღროების“ რედაქცია, ისე თბილისის ბანკის სულის ჩამდგმელი ი. ჭავჭავაძე. ნ. ნიკოლაძის ამ ახალ გამოსვლას ილიამ უპასუხა იმავე „ტიფლისი ეესტრიკში“ (№ 115, 116) წერილით —

„К чему и зачем“, რომელშიც მუხლობრივ დაარღვია ნიკოლაის დებულებები და თავამოდებულ დაცვა თბილისის ბანკის ძირითად პრინციპი.

ნ. ნიკოლაძეს სურდა ბანკები გამოეყენებია ახლად ჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ სუსტი ქართველი ბურჟუაზიის დასამარებლად, რის გამო იგი მოითხოვდა, რომ გრავადიანი კრედიტების პრინციპი, რომელიც სოფლის მეურნეობის საპრობლემათვის იყო გაიზნელო, შეცვლილიყო მოკლევადიანი კრედიტების პრინციპით, რომელიც ქალაქის ბურჟუაზიასთვის უფრო ხელსაყრელი იყო. ეს აზრი აშკარად გამოსვივის ბანკების ირგვლივ დაწერილ ყველა მის სტატიაში. აი, მაგალითად, როგორ მსჯელობს იგი წერილში „საადგილმამულო კრედიტების პრაქტიკა“: „ჩვენი საადგილმამულო ბანკები უპირატესად უნდა ეყრდნობოდნენ საქალაქო ქონებას, რომელსაც უფრო სწორად იძენენ უძლეო, ნასყიდობის წესით და არა — ჩვენი წინაპრებისგან მემკვიდრეობის მიხედვით არასახელმწიფო ბანკის გაყოფილებაში... ჩვენში საადგილმამულო კრედიტის ბუნებრივი გარდევალი უნაყოფობა მდგომარეობს არა არჩევნების შემთხვევითობაში, არა ვერძო შეცდომებსა და ვარდმოვებში, არამედ პრინციპში, საადგილმამულო ბანკების საფუძველში. მოლოდინთა და ილუზიებით იმედგაცრუებულ თავდაზნადრობა, როგორც გვიტარებს, უკვე იწყებს სხვა საშუალებების ძებნას მისთვის უფრო ხელმისაწვდომ კრედიტით სარგებლობისათვის, ამ მხრივ არსებობს განზრახვა ითხოვონ თბილისის გუბერნიის მიწათმფლობელთა ურთიერთ კრედიტის საზოგადოების დაფუძნების შესახებ, და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ასეთი საზოგადოება მართლაც დაარსდება. მკირეოდენი ევკვიც არ არსებობს, რომ ურთიერთკრედიტის საზოგადოებები მიუკეთებდნენ იმ საკრედიტო დაწესებულებების კატეგორიას, რომელიც ხალხს აძლევს არა დიდ, მაგრამ ხელმისაწვდომ, იაფ და უშიშარ კრედიტს.“¹

კიდევ უფრო ნათლად და აშკარად არის გამოთქმული საადგილმამულო ბანკებზე ნ. ნიკოლაძისა და მისი თანამოაზრეების აზრი გ. წერეთლის ერთ კერძო წერილში, რომელშიც ქეთისთვის ბანკზე ლაპარაკი. წერილში ნათქვამია: „ჩვენი ბანკის საქმე ძალიან დაბნეული, წამხდარია, მე იმ აზრის ვარ, რაც შეიძლება მალე დაიხროს ვე ბანკი, ის ეჭობინება, როგორც შენ ამბობდი, ოდესმე ჩვენი მიწის მქონებელ თავდაზნადრობისათვის დამლუბველი იქნება ვე ბანკი, ცხადად გამოჩნდა დღეს... ყველანი უნდა ვეცადოთ, რომ ეს ბანკი

მოკლევადიანი სამარეველო ბანკად (ს. რ. ნიკოლაძე) გადაკეთდეს, რომ შეიძლება ნაჭრევერის გირათი ფუნის გამოტანის [ქვემოთ]

ასეთია ახალგაზრდა ქართველი მკრედიტების იდეოლოგების ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის აზრი თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებზე.

სულ სხვაგვარად უყურებდნენ სხენებულ ბანკებ ე. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი. მათ მიაზნდათ, რომ საქართველო უშთავრესად სამიწათმოქმედო ქვეყანაა, ამიტომ მისი წინსვლისა და აღორძინებისათვის საჭიროა ხელი მოეწყოთ არა ეკარამარეველებს, არამედ სოფლის მეურნეებს, — „მიწას და გუთმს“. სწორად ამის შესაფერად ჰქონდათ მათ შემუშავებული ბანკის წესდება. როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ბრუნვა გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მრეწველობაში. კრედიტმა რომ სოფლის მეურნეობაში სარგებლობა მოიტანოს, ამისათვის საჭიროა წლები, საჭიროა დიდი დრო მამულის გაუმჯობესების, მოსავლის გადიდებისა და სხვა ამგვარი ღონისძიებებისათვის; მრეწველობაში კი კაპიტალი უფრო სწრაფად მოქმედებს და არ საჭიროებს გრძელვადიან სესხებს.

ასეთია საკამათო საკითხის არსი, ანუ ის მთავარი პრინციპი, რომლის გარშემო ვართ და კამათი თერგდალეულთა ორ გამოჩენილ ხელმძღვანელს — ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. წერეთელმა სკადა შეერიგებია მოკამათულ და, ამრიგად, თავიდან აეცილებია განხეთქილება თერგდალეულთა შორის, მაგრამ ამ ცდამ დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. აკაკიმ „დროებაში“ დაბეჭდა (№ 55) მეთაური „უდროეო ბრძოლა“, რომელშიც შემდეგ საყურადღებო მსჯელობას ეხედებით: „შინაურების ბრძოლა გარეულს ღონეს მიმძებნებს და ფრთებს გამოაჩამს. დღევანდელი ნიკოლაძისა და ჭავჭავაძის ბაასი მე მეზმის კარგად, თუ რისიღ ბრალია; ეხედავ კარგად ერთის ოინსა და მეორის ნაღველს; ეგებ ამ ნაღველში მეც მეღვას ფეხი, მაგრამ რა გაეწუბოს!.. „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებაო“. ხანდახან მართალიც მანებელია, თუ უდროოდ და უადგილოდ გამოითქვან.“

ა. წერეთლის ამ წერილის პასუხად ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ახალი წერილი, სათაურით „განა „საჭიროა“ უდროოა?“ („დროება“, 1876 წ. № 56), რომელიც განსაკუთრებით საინტერესო მასალას შეიცავს თერგდალეულთა შორის განხეთქილების მიზეზების გამოსარკვე-

¹ ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, 1964 წ., ტ. 4, გვ. 396-397.

¹ ს. ხენდაძე, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, 1949 წ., გვ. 157-158.



ვად ეს წერილი, რომელიც ხსენებული განხეთქილების აუცილებლობას თეორიული დასაბუთების კლას წარმოადგენს, თერგდალეულთა მოღვაწეობის ისტორიაში პირველად აყენებს პრინციპულ ნიადაგზე საკითხს თერგდალეულთა ჭკუფის დაშლისა და ახალი მიმართულების შექმნის აუცილებლობის შესახებ. ვაეცნოთ ამ წერილის მოკლე შინაარსს.

„გუშინწინ აკაცი ამტკიცებდა „დროებაში“, რომ ის ბრძოლა, რომელიც „თბილისის მოამბეში“ ატყდა უფ. ილია ჭავჭავაძესა და ზემს შუა უღრობა და მტერს გულს გაუხარებდა... ეს კითხვა ჩვენ უნდა გავხიზნოთ პრინციპულად, ამიტომ, რომ მისი გამოკვლევა საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის და საზოგადოების მომავალი მოქმედებისათვის...“

კითხვა აი როგორ სდგას: ჩვენ ეშრომობთ რამოდენიმე — ოცი, თუ ასი, თუ ათასი — კაცი, ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ, ამ ჩვენს საზოგადოებას ჰყავს მტრები. მაშასადამე, ამბობს აკაცი, არ ვერგა, რომ მტრებს ვარდა, ჩვენ კიდევ ერთმანეთშიც ბრძოლა და უთანხმოება ვიქონიოთ. ეს ჩვენ თვითონ გვასუსტებს და ჩვენ მტრებს ძალას უმატებსო.

ჩემის მხრივ, მე მგონია, რომ ამგვარი მოქმედება საჭიროა ყოველთვის კი არა, მარტო მაშინ, როცა ბრძოლა ვარვებ მტრთან მართლა და ნამდვილად გამართლია. ბრძოლის ველზე, მართლაც, შეუძლებელი და საბაველი საქმე იქნება, რომ რაზმში უთანხმოება მოხდეს, და რაზმმა მტერთან ბრძოლის მეტიერ, ერთმანეთს დაუშინოს თოფაბრალი. მაგრამ მშვიდობიანობის დროს, როცა ჩვენ ვაშაალებთ მტრის წინააღმდეგ რაზმის დიარაბლას, შეუძლებელი და უმსაგავსო საქმეა, რომ ბაასი და ბრძოლა არ ატყდეს სხვადასხვა ამხანაგებს შუა იმ კითხვებზე, თუ როგორ ემკობინება იარაღის დამზადება ან ხმარება... ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოება და საზოგადო აზრის გაუკეთება, თუ ჩვენ დისკომინად იმას მივიღებთ, რომ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ, მტერი გვიცქერს და გაიხარებსო... ყოველ გონიერ კაცს ჩვენში მოვალეობა აქვს არ დაუფაროს თავის საზოგადოებას აზრი და შეხედულება საზოგადო საჭიროებაზე და საქმეზე, ამხანაგობაში ამგვარი აზრი უნდა გამოითქვას თავისუფლად, მოუბრძობლად; ეს არავისთვის საწყევნი არ უნდა იყოს... ათასჯერ და ათათასჯერ სჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი ვავიცნოთ, ჩვენი სისუსტე გამოვიკვლიოთ, ჩვენი სიძრულე თვითონვე გავასწოროთ, და მაშინ უფრო ძლიერი გიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღეს ვართ.

დღემდე მე ბევრჯერ ვაჩუქებულვარ... ბევრჯერ დამიფარავს ამხანაგების შეცდომა, ბევრჯერ დამიხტუპავს თვალი წერილმან უხეირობაზე, იმ აზრის მიხედვით, რომ უმათარეს

აზრებში და მიზნებში ჩვენ ხომ ერთნი ვართ. მაგრამ გამოდის, რომ ხანდახან ერთმანეთს ვაჩუქებულობდით, რომ ჩემს ვაჩუქებას თუ ვაუხედენო საქმე, თორემ არა ვაუკეთებია რა...

კმარა ამდენი თქვანა. თითოეულმა ჩვენგანმა მარჯვეთ და მარდამირ სქქვას თავისი აზრი, თავისი შეხედულება, დიაცას თავისი მიმართულება (ხაზი ჩემია, — პ. რ.) და დარღვივის სხვისი შეცდომა ან უხეირობა საზოგადოება და ახალგაზრდობა დანახავს მაშინ სიმართლეს, და იქნება, როცა დანახავს, თავის საკუთარ აცხადებს, რომ გამოსწავლის და თავის საკუთარი ჭკუფით ივლის...“

ასეთია ნ. ნიკოლაძის ხსენებული წერილის მოკლე შინაარსი. მართალია, ფორმალურად აქ იგი თავს თითქოს ისევ თერგდალეულთა „საერთო რაზმის“ წევრად სთვლის, მაგრამ ფაქტობრივად გადაჭრით უპირისპირდება ამ რაზმს და ვარკვევით აცხადებს, რომ სურს საკუთარი გზით სიარული. შემთხვევით როდია, რომ აქ იგი უკვე ვარკვევით ლაპარაკობს თავის „მიმართულებაზე“.

ამევე პრინციპულ და შურისგებულ გზას დაადგა ი. ჭავჭავაძეც. იგი ვაევიდა „დროების“ რედაქციიდან და შეუდგა ახალი გაზეთის — „ივერიის“ გამოცემისათვის მზადებას.

აკაცი და ს. მესხი, როგორც ჩანს, წინააღმდეგე ყოფილან ახალი გაზეთის დაარსებისა; მათ უმჯობესად შიანდათ როგორმე „დროების“ რედაქციის ერთიანობა შეენარჩუნებიათ (როგორც „პირობა“ მოითხოვდა) და ამ გაზეთის გაუმჯობესებისათვის საერთო ძალთ ეზრუნათ. მაგრამ ახალ ვითარებაში ეს უკვე შეუძლებელი საქმე იყო. ა. წერეთელი, მის შემდეგ, რაც დარწმუნებულა, მოკამათე მხარეთა შერაგება შეუძლებელიაო, — იმ დისკონამდე მისულა, რომ დასებად დაყოფა შესაძლოა სასარგებლოც კი აღმოჩნდეს ჩვენთვისაო. მის ფელეტონში „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელიც „დროებაში“ (№ 69) დაიბეჭდა, ვკითხულობთ: „ამ ხანებში ჩვენს ახალგაზრდობაში განხეთქილება მოხდა (ხაზი ჩემია. — პ. რ.). ბევრს აწუხებს ეს ვარკვეობა, მაგრამ მე კი მიხარის და აი თუ რათ: დღემდის საზოგადოება უფელა კაცს, ვინც კი მოხუცებული არ იყო და იქითაქით მდარაშნავით თრეულა, სტუდენტსა და ახალგაზრდობის წევრს ეძახდა. მისთვის ერთი იყო — რანიარც უნდა ყოფილიყო ის კაცი... ვისაც რა უნდა ჩაედინა, თუკი ვასაკოცხავი და ცუდი რამ იქნებოდა, ხალხი ბრალს მთელს ახალთაობასა სდებდა.“

დღეს კი, როდესაც ეს ახალთაობაც რამოდენიმე ბანკად ვაიყო, კასაკვირველია, ისინი ერთმანეთს მოხდიან პირბადეს და თვითთულს მათგანს გამოააშკარებენ.“

ასეთია მოკლე თერგდალეულთა ერთიანი

იღებურ ქვეყნის დაწლისა და ახალი მიმართულებების გაჩენის ისტორია. როგორც ვნახეთ, უთანხმოება, რომელიც მალე განხეთქილებაში გადაიზარდა, თავდაპირველად ეკონომიკურმა პრობლემამ, კერძოდ, საადგილმამულო ბანკების ჩოლისა და დანიშნულების სხვადასხვაგვარმა ვაგებამ გამოიწვია, მაგრამ შემდეგში სადღო საკითხების წრე თანდათან გაფართოვდა და კამათის საგნად არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ ეროვნული საკითხიც იქცა. ახალ მიმართულებებს შორის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც მათმა მეთაურებმა თავიანთი ორგანოები გაიხივნენ. — ნ. ნიკოლაძემ „ობზორი“, ხოლო ო. ჭავჭავაძემ „ივერია“. ამ ორგანოების ფურცლებში სავსეა პოლემიკური სტატიებით, რომლებშიც გამწვავებულია ჩვენი ჭკუყვის მრავალი საჭირობოროტო საკითხი. ესეა, ჩვენ აქ ვეღარ გამოვუღვებთ ამ საკითხების განხილვას, რადგან ეს წინამდებარე გამოკვლევის ფარგლებს სცილდება, მაგრამ, ეფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ კიდევ ერთ საკითხზე, რომლის ირგვლივ კამათმა თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო და რომელმაც ნ. ნიკოლაძეს განსაკუთრებით ბევრი ახლო მეგობარი ჩამოაშორა, სახელდობრ, ეროვნულ საკითხზე.

იდეოლოგიურმა ბრძოლამ ეროვნული საკითხის ირგვლივ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო: 1872 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა გ. მუხრანსკის ცნობილი ბროშურა. „О существе национальной индивидуальности и образовательном значении крупных народных единиц“. გამოხატავდა რა ქართველი ნაწილის სულიერებას, გ. მუხრანსკი ცარიზმთან ზედიზედ ჩაიღებულ იზრძოდა ქართველი ერისა და მისი კულტურის თვითმოყოლობის მოსპობისათვის, მთელი ქართველი ხალხის ვარუსებისათვის. სწორედ ამ მიზნით დასწერა მან ხსენებული ბროშურა, რომელშიც იმ აზრს „ასახლებულა“, რომ ვითომცა პატარა ერების დრო წავიდა და ახლა კანონმდებელი ისინი დიდ ერებში გაითქვითვინო. ეს იყო მეფის მთავრობის დიდმეცურებლური შოენისტური პოლიტიკის აშკარა ქადაგება, რამაც მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება შეაშფოთა. თერგდალეულთა ზღვამდებანელებმა (ილიამ, აკაკიმ, ს. მესხი და სხვ.) გ. მუხრანსკის წინააღმდეგ დასწერეს სატირული ლექსები, პამფლეტები, წერილები, რომლებშიც სასაცილოდ აიღდეს მუხრანსკის რეაქციული შეხედულებები. მოდლატე მუხრანსკი სამარცხენო ბოძზე იქნა გაყრდნილი, მთელი მოწინავე საზოგადოებრიობა სკამობდა მის ანტიხალხურ საქციელს. მით უფრო საკვირველი იყო, რომ იმ ვაჟბარებელი კამათის დროს ნ. ნიკოლაძე სდებდა; იგი არ ჩაიხედა გ. მუხრანსკის წინააღმდეგ გამართულ

ბრძოლაში. რა იყო ამის მიზეზი? როგორც ვეცნოთ დაინახავთ, ნიკოლაძის ეს „დროობა“ შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა.

1876 წელს, როცა ჩერ კიდევ არ იყო დამცხარალი ბანკების ირგვლივ ატეხილი კამათი, ვახეთ „დროების“ ფურცლებზე გამოაღდა საკმაოდ მწვავე პოლემიკა ეროვნულ საკითხზე. ეს პოლემიკა გამოიწვია ალ. ჭყონიას წერილმა, რომელიც „მაქხელასის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა „დროებაში“ (№ 96) და, რომელშიც მწვავედ იყო გაყრტილებული როგორც „დროების“ რედაქტორი, ისე განსაკუთრებით ამ რედაქციის წევრი და წამყვანი თანამშრომელი ნ. ნიკოლაძე. რაც მაქხელასის კრიტიკის ცეცხლი უშთავრესად ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ იყო მიმართული, პასუხიც, ცხადია, მას უნდა გაეცა და გასცა კიდევაც წერილით „უკოლო მაქხელას“ („დროება“, № 97-98), მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა და კამათში ჩაერთვნენ, აგრეთვე, ს. მესხი, ა. წერეთელი და პროფ. ვასილ პეტრიაშვილი. ამჟამად ჩვენი მიზნისათვის საჭირო არ არის ვაღმოვცეთ ამ პოლემიკის მთელი შინაარსი, ამიტომ მკითხველის ყურადღებას შევაჩვენებთ პოლემიკის მარტო იმ ნაწილებზე, რომელიც ცოტად თუ ბევრად შექს ჰქონდა ნ. ნიკოლაძის პოზიციას ეროვნულ საკითხში.

ვკამათებოდა და აყრტიყებდა რა ნ. ნიკოლაძეს, ალ. ჭყონია („მაქხელასზე“) ზემოთხსენებულ წერილში ამბობდა: „რამდენიმე წლის წინედ ერთი უსახელო ავტორი (იკულისმეცხე გ. მუხრანსკი, — პ. რ.) უბედურს მომავალს უმზადებდა საქართველოს. მართალია, იმის ქართულს ენაზე არ დაუწერია, მაგრამ მისი პაზრები ქართველ მკითხველ საზოგადოებისაგან უცნობად არ დარჩენილან... სად იყო მანამ „ეროვნულ-დროების“ ძვირფასი პუბლიცისტი? რად არაფერი სთქვა?“.1

როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის ბრძოლება წყვენიებული და ნ. ნიკოლაძე იძულებული გახდა განეშარტა, თუ რატომ არ მიიღო მონაწილეობა გ. მუხრანსკის წინააღმდეგ თერგდალეულთა მიერ გამართულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ბრძოლაში. ნიკოლაძის მსჯელობა ამ საკითხზე მეტისმეტად საინტერესოა, რადგან ამ მსჯელობიდან სრულიად გაჩვევით ჩანს მისი შერყეობა და თანდათანოდ ვაღაბევა თერგდალეულთა გენერალური ხაზიდან, აი, ეს მსჯელობაც: „რატომ ნიკოლაძე ბრძოლაში არ შეება იმ ბროშურის დამწერს, რომელმაც 1872 წ.ში. საქართველოს მომავალზე ცუდი სჯა გამოთქვაო...“

ამ კითხვაზე ჩემი აზრი არ ეთანხმება „დროების“ რედაქციის აზრს და საზოგადოდ იმისთანა ჩვენი ახალგაზრდებს აზრს, როგორც

1 „დროება“, 1876, № 96.



თეთი უფ. შავაბელაძე. მე რომ ვუღწერდეთ ჩემი აზრი გამოთქვა ამ საგანზე, მაგონია, რომ „დროების“ მიმართულებას ეს უფრო მეტს ზიანს მოუტანს, ვინც ამ ბროშურა, რომელიც დამასპოვრებია უფ. შავაბელაძე. ამის გამო მე არ მსურს ამ საგანზე სერის გამოთქმა, არ მსურს იმტრომ მართო, რომ ამით დაზარდება მიუცემა ჩვენი ქვეყნის მოწინააღმდეგეებს და ძალია მოაკლდება ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილებს... ამ მიზეზით მე ამ მწველ საგანზე სრულებით არაფერი არ ვთქვი; არც ტუთისის თქმა ვისურვე, არც სამართლის თქმით მოვიტყვე ჩემი მოამბების ვულწრფელი აზრის დამტკიცება.

ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ მე ამ ბროშურას ვეთანხმებოდე, სრულიადაც არა. ამ საგანზე მე სრულიად სხვაგვარი აზრები მაქვს, რომელნიც არც იმ ბროშურის დამწერს ეთანხმებოდა, არც „დროების“ აზრს, მაგრამ საჭმე იმასია, რომ სახიაროდ დავინახე ჩვენი ახალგაზრდობისათვის ჩემი მხრით ამ ბროშურაში ვარჯჯა ამ აზრის ნათლად გამოხატვა მე არ მსურს.¹

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ფრიალ და ყურადღებთ აღიარებასთან აქ ნ. ნიკოლაძე ამ ეკრად ამბობს, რომ უკვე 1872 წელს იგი არ ეთანხმებოდა „დროების“ პოზიციას ეროვნულ საკითხში, თუმცა თავისი აზრს საყაროდ გამოთქმისაგან იმ დროს თავს იკავებდა. მართალია, იგი ამჟერადაც ბოლომდე არ ხსნის ფრჩხილებს და არ ვეუბნება, როგორია მისი პოზიციის არსი, მაგრამ ამის გაგება, მისი „აღიარების“ შემდეგ, რამე განსაკუთრებულ სიმნიელს აღარ წარმოადგენს, მართლაც, თუკი ნ. ნიკოლაძე, მისივე სიტყვით, არც რეაქციონერ თავადაზნაურთა წარმომადგენლის გ. მუხრანსკის თვალსაზრისს ეთანხმებოდა და არც „დროების“ რეაქციის (ანუ ხალხის წარმომადგენლების, — ილიას, აკაის, ს. მესხის) პოზიციას იზიარებდა, ცხადია, მისი შეხედულებები არ შეიძლება სხვა რამ ყოფილიყო, თუ არა გამოხატულება იმ კლასის ინტერესებისა, რომელიც ამ ორ ძალს — თავადაზნაურობასა და ხალხს — შორის იდგა, სახელდობრ, გამოხატულება ახალგაზრდული ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებისა. თუ 1872 წელს ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ ბუნდოვნად გრძნობდა ეროვნული ბურჟუაზიის სულისკვეთებას და ვერც კი ხედავდა ეროვნული საქაბობაში მისი ვულერალობის გამოქვეყნებას, 1876 წელს ის უფრო გარკვევით აღაპარკდა „ამ მწველ საგანზე“, თუმცა ჯერ კიდევ დღემდე დრო იყო საქმით იმისათვის, რომ ამ გამოჩენილ სამოციანელს ბოლომდე გაეყო სრულიადი მსოფლმხედველობის გვირგვინის გზა და ბურჟუაზიის ტიპურ იდეოლოგიად ჩამოყალიბებულიყო.

სერგეი მესხია, რომელიც ილიას და აკაის ეროვნული იდეალების პირდაპირი მხარდამხრე და მკაცრი დამკველი იყო, განსაკუთრებით მწველს უგრძობი ის ვულერაობა ეროვნული ტიპილიზისადმი, რომელიც ოდნავ გამოიშვითოდა ნ. ნიკოლაძის წერილში „უკაცო შავაბელას“. ამით აიხსნება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს კეთილშობილი რაინდი დაუყოვნებლივ ჩაება კამათში და მწველად, დაუნდობლად გაატიტოკა თავისი უახლოესი მეგობარი. ს. მესხის კრიტიკული შენიშვნები, მიმართული ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ („დროების“, 1876, № 99, 100) უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია, რადგან იმ მიმედროში, როცა ქართველი ერის სიყვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგა, მხოლოდ ასეთი პრინციპული და პატიოტული პოზიციის თავგამოდებული დაცვით შეიძლება ჩვენი ეროვნული თვითმყოფლობის შენარჩუნება.

ს. მესხის დაწერილებით ისილავს და მკაცრად კრიტიკებს ნ. ნიკოლაძის სამ ძირითად ღებულებას, რომელთაც ის „მავნე აზრებს“ ეძახის.

„პირველი ამ მავნე პაზრთაგანი, — ამბობს ს. მესხი, — ის არის, რომ სადაც კი უნდა შრომობდეს და ცხოვრობდეს ქართველი კაცი, სულ ერთი არისო... სტამბოლშიც, მადრიდშიც შეიძლება იცხოვროს მშველის შვილმა და იქაც მოუტანოს თავის ქვეყანას სარგებლობაო, „თუ ზენებას იმისთვის სურვილი, ნიჭი და ძალი მიუჩუქებიაო“.

რასი ხედავს ს. მესხი ნ. ნიკოლაძის ამ შეხედულებას მელარიობას, რის გამო იგი მიუღებელ და მავნებელ აზრადაც კი მიიჩნია მოდერნიზმით: „ყოველი კაცი, რომელსაც კი გონიერულად ესმის თავის მოვალეობა საშრობლო ქვეყნისადმი, ვალდებულია ამ სამშობლო ქვეყანაში იშრომოს, აქას მოუტანოს ის სარგებლობა, რაც კი შეუძლიან, იმ ნიჭით და იმ ძალით, რაც იმისთვის ზენებას მოუცია; ვალდებულია იმით, რომ ამ ქვეყანაში შექმნას ის, ამ ხალხმა ვახდა ის კაცად, აქან მისცა იმას მოქმედებისა და ცხოვრების ძალი, და თუ რამე შეუძლიან, თუ როგორმე მოახერხებს, თავის ვალი უნდა დაუბრუნოს.“

ილიას, ქვეყანას, ხალხი ყოველი თავის განცალკავებული წევრის კრედიტორია და ის, ვინც თავის ვალს არ უხდის იმას, ვინც თავის გონებას, თავის ნიჭს, და თვით ცხოვრებასა იმის სასარგებლოდ არ ხმარობს, ამისთანა წვერი უპირველეს კაცობრიულ მოვალეობას ვერ ასრულებს.

ახლა მეორე მხარე ამავე საბუთისას სად უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შემიძლიან, ვთქვათ, მე ქართველ კაცს: აქ, საქართველოში, სადაც დეზაბეძულებარ, სადაც აღუზრდილვარ, საქართველოში, რომლის ხალხის ხსიათი, ზენება, ჩვეულება, ცოტათი არის თუ

¹ „დროების“, 1876, № 98.

ბევრათ, გამოცენია, მიწახავს, შემისწავლია, — ვითხოვლობ, აქ, ამ ჩემს ქვეყანაში უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შემძლიან, თუ მაღრიბში, თუ ჩინეთში, რომლის ხალხსა და ბუნებას მე მხოლოდ წიგნებით ვიცნობ?”

ამის შემდეგ ს. მესხი მოუთითებს, რომ მას მხედველობაში აქვს საკითხის პრინციპული, ზოგადი მხარე და არა ცალკეული გამოწყლისები.

ნ. ნიკოლაძის მეორე სერიოზულ შეცდომადა ს. მესხს მიანიხი მისი აზრი, თითქმის „სულ ერთია, რა ენაზედაც უნდა სწეროს ქართულში, ყოველ ენაზედ შეუძლიან იმას თავის ქვეყნის სარგებლობის მოტანა“. ამ შეხედულებას ს. მესხი, აგრეთვე, დიდ შეცდომადა სთელის და მას უადრესად საინტერესო და პრინციპულ მსჯელობას უპირისპირებს: „ქართული ყველაზე პირველად ქართულად წერის მოვალეა, ისე როგორც ფრანგები ფრანგულად წერისა, რუსი რუსულად, ინგლისელი ინგლისურად და სხვ. ეს მოვალეობა წარმოშობიანობის იქილამ, რომ ვისაც უნდა თავის ქვეყანას რაიმე ჩაგონოს, თავის ხალხს რამე ასწავლოს, თავის მოძმეებს რომელიმე კეთილი და სასარგებლო პაზრი აცნობოს და გონება გაუხსნას, უპირველთა, იმ ენაზე უნდა აუხსნას, ელაპარაკოს, ექადაგოს, რა ენაც იმისთვის უფრო გასაგებია, უფრო მისახლამი.

მაგრამ „დროება“, მეორეს მხრივ, არასოდეს არ ყოფილა იმ ვიწრო პაზრის მიმდევარი და თავფინსმცემელი, რომ ჩვენი ქვეყანა „ჩინეთის კედლით“ შემოზღუდული, ზურავის წე ვაწრობებში ჩვენი ქვეყნის, ხალხის ხასიათს, ჩვეულებას, სკიპროებასა და სხვ...

„დროება“ პეტრობს, რომ ჩვენი ქვეყანა ამჟამად განსხვავებულ მდგომარეობაშია, რომ ეს მდგომარეობა მოითხოვს, და მოითხოვს აუცილებლად, რომ ყველა იმის შეილება განსაუფრებებით ყველა გონებაჯახსნილი და ნაწყველი შეილება შეკადნიერობდნენ, მალე გადაბიჭონ ამ მდგომარეობას.

გახილდ-გამოიხედეთ თქვენს გარშემო, უფ. ნიკოლაძე: როგორ მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა? განა ყველგან არ მხედავთ, რომ ქართველთა ქვეყანას, ჩვენისავე წყალობით, ქართველთა ქვეყნის ხასიათი ეკარგება? ნუთუ ვერ ატყობთ, რომ ჩვენი უმეტრებით და დაუდევნელობით რადაც უცხო, შერეული ტომი ეხლდებოთ?..

„დროება“ ფიქრობს, რომ ამისთანა დროს განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყოველი ქართველი ქართველობის დარაჯად იღვეს, რომ იცავდეს ყოველ, მტრეც არის, ქართველობის თვისებათა და განსხვავებას, თუ ენის საზო-

გადობის მავნებელი არ არიან... ის ფიქრობს, რომ ამისთანა დროში ცოტათუ უფრო გაყვამეტებული მამულის სიყვარული უნდა იქონიერებდნენ არის.

ამის შემდეგ ს. მესხი კონკრეტული მაგალითებით ცდილობს დასაბუთოს, რა მანერ შედეგები მოჰყვებოდა ჩვენში იმ აზრის გავრცელებას, რომლის მიხედვით, „სულ ერთია, რა ენაზეც უნდა სწეროს ქართულში“.

დაბოლოს, ნ. ნიკოლაძის მესამე შეუწყნარებელ შეცდომადა ს. მესხს მიანიხი მისი განცხადება: „მე დიდი იმედი არა მქვს ჩვენი მამულის მოშველისათ“. ამ პეისმისტურ განცხადებას ს. მესხის აღწოთება გამოუწყვეია. საყვარული და საგულისხმო ფაქტია, რომ ეს განცხადებები აღამიანი, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა, აგრებებს არანეულებარები სულდორო მხნეობა და ვაყვარება გამოიჩინოს, როცა საქმე დედაენის და სამშობლოს მოშვეალს ეხება. „თუნდაც რომ მართალი და ნამდვილი იყოს უფ. ნიკოლაძის სიტყვა, რომ იმას ჩვენი ქვეყნის იმედი არა აქვს, ეს მწარე სიტყვა მაინც არ უნდა ეთქვა... რა ენერტი, რა ცხოვრების ხალისი უნდა ექნეს ახალგაზრდობას იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც დედაენის ეუბნებიათ? ან, დმერთო ჩემო, რამ ზოუნერვა გულში ახალგაზრდა ნიკოლაძის ამისთანა სასოწარკვეთილი, უიმედო აზრები თავის სამშობლო ქვეყანაზე?

მართალია, ბევრი დედეგეო მოვლენა ჩვენს აწინდელ ცხოვრებაში, მაგრამ ეს საბაგელი და უნუგეგეო მოვლენანი უფრო უნდა გვაშენებდნენ ჩვენ იმათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის, უფრო მაგარ სულს უნდა გვიდგამდნენ, უფრო მომეტებულ ენერჯიას უნდა გვაძლევდნენ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის ყოველ მხრივი ბედნიერებისა და წარმატების დამბრკოლებელი მოვლენანი თავიდან ავიშოროთ და იმ ბედის ვარსკვლავს მივუძლითო, რომელიც ყოველ სამშობლოს მოყვარე შეილს შორილამ უნდა უნათებდეს თავის ცხოვრებისა და მოქმედების გზას.

ძნელი მისახედარი არ არის, რაოდენ საჭირო და აუცილებელი იყო იმ დუხვიორ დროში ასეთი გამამხნეებელი სიტყვები ქართველი ახალგაზრდობისა და, საერთოდ, მთელი ქართული ერისათვის!

ასეთია ეროვნულ საკითხში ს. მესხისა და ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს შორის არსებული პრინციპული ხასიათის სხვადასხვაობა.

ასეთია, მოკლედ, თერგადლულთა ერთიანი ჭგუფის დაშლისა და ახალი, ბერკუაზიული მიმდინარეობის აღწოცენების ისტორია.

თარგმანის გეგმა პულტუჩისათვის

ამ ბოლო წლებში მთარგმნელობითი მოღვაწეობა ძალიან გაცხოველდა. ჩვენი ლიტერატურა გამდიდრდა არა ერთი და ორი მშვენიერი თარგმანით. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი უცხოელი თუ რუსი პოეტი და პროზაიკოსი ელის ქართულად ამტკუველებას (არაფერი რომ არ ვთქვათ კრიტიკებებზე, რომელთა ნაწარმოებების თარგმანს ჯერჯერობით სათანადო გულისყურით არ ვევიდებით). ამიტომ ყოველი ახალი თარგმანი დიდად საყურადღებოა. მით უმეტეს, როცა მთარგმნემა ისეთი პოეტი, როგორც ვახლავთ თ. ტუტჩევი, რომლის ლირიკა რუსული მედიტაციური პოეზიის საუკეთესო ნაწილია.

ამას წინათ გამოქვეყნდა თ. ტუტჩევის თერთმეტი ლექსის თარგმანი. პოეტ ხეტა ვაგუის განზრახვა, გადმოთარგმნოს თ. ტუტჩევის ლექსები ვასახარელი და მისასაღმებელი ფაქტია.

ხ. ვაგუა ნიჭიერი პოეტია. მას გეშთვინებაც აქვს და ლექსსაც კარგად ფლობს. ტუტჩევის თარგმანს დიდი და საპატიო საქმეა და პოეტი-საგან სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. ხ. ვაგუას თარგმანს, სამწუხაროდ, ზოგი პრინციპული მნიშვნელობის ნაკლი გააჩნია და ჩვენ ამიტომ გადავწყვიტეთ მათი გამოტანა, რომ როგორც ხ. ვაგუას, ისე ტუტჩევის სხვა მთარგმნელების ყურადღება დიდი რუსი პოეტის თარგმანს სიძნელეების არსებით მხარეებზე გადაიხაზებოდა.

როგორც ცნობილია, თ. ტუტჩევი დიდიმეტრიურ მოღვაწეობას ეწეოდა და დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. იგი მოწყვეტილი იყო რუსულ სინამდვილეს და მისი მსოფლმხედველობა უცხო გარემოს ზემოქმედებით ყალიბდებოდა. თ. ტუტჩევის მხატვრული შემოქმედება გერმანული რომანტიზმის პოეზიისა და ფილოსოფიის გარემოცვაში უზღებოდა და განიცდიდა კიდევ მის გავლენას, განსაკუთრებით — შელინისას. რაკი თ. ტუტჩევის შეხედულებებს ზოგადევროპული სინამდვილე განაპირობებდა, ცხადია, მისი ლირიკის თემატიკაც ზოგადევროპული ისტორიული და მხატვრული მოვლენებით განსაზღვრა. მაშინდელი ევროპული სინამდვილე მოძრაი, ბოხოქარი და ახლის მძივებელი იყო. სინამდვილე მოითხოვდა არსებულის შეცვლას და ახლისათვის ბრძოლას. თ. ტუტჩევის არ შეეძლო ამ გარემოებისათვის ანგარიში არ გაეწია, მაგრამ იგი არ იყო რევოლუციურად განწყობილი პოეტი და მოაზროვნე ამიტომ თ. ტუტჩევი კონკრეტულ სოციალურ სინამდვილეს შემღებისდაგვირად გვერდს უვლის და ზესოციალური მოვლენებით ინტერესდება. ცდილობს ყოველი მოვლენა რელიგიური და წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით შეიყნოს და განჭვრიტოს. ამ გარემოებას თ. ტუტჩევის ლექსების თარგმნისას განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ სხვაინორად გაგვივირდება მისი ლირიკის აზრობრივი შინაარსის ამოცნობა და შერე ქართული ლექსით ვაღმოცემა. სამწუხაროდ, ხ. ვაგუას ყველაფერი ეს ვერ გაუთვალისწინებია.

მეგმართავთ ფაქტებს. ლექსში „პრობლემა“ არის ასეთი სტრიქონები: „Сорвался ль он с вершины сам собой, или был низринут волею чужой?“ (ამ სტრიქონებში сам და воля чужая ავტორის მიერ ხაზგასმულია), რომელიც ქართულად ასეა თარგმანი — „არავინ იცის, — იქნებ, მოწყდა იგი თავისით, ან იქნებ, კაცი დაეპიდა — ესეც არ იცის ქვეყნად არა-ვის“...

საქმე ის არის, რომ მთარგმნელს სიტყვების შინაარსი არ ესმის. „Чужая воля“-ში თ. ტუტჩევი ღმერთს გულისხმობდა, ამიტომ მთარგმნელის „კაცი დაეპიდა“ — უზარბაია. რუს პოეტს ბუნებაში არსებული მოძრაობის ფილოსოფიური გააზრება სერს (ტყუილად ხომ არ ჰქვია ლექსს „პრობლემა“) და არა ყოფითი ფაქტის კონსტატაცია. ამ ლექსის ერთერთ ადრეულ ვარიანტში თ. ტუტჩევის სტრიქონის «или был низринут волею чужой» მაგიერ დაწერილი ჰქონდა სხვა — «или низвергнут мыслящей рукой». „Мыслящая рука“ ღმერთის სინონიმია, მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტი არ დაემყფილდა ამით და ახლი

მეგმართავთ ფაქტებს. ლექსში „პრობლემა“ არის ასეთი სტრიქონები: „Сорвался ль он с вершины сам собой, или был низринут волею чужой?“ (ამ სტრიქონებში сам და воля чужая ავტორის მიერ ხაზგასმულია), რომელიც ქართულად ასეა თარგმანი — „არავინ იცის, — იქნებ, მოწყდა იგი თავისით, ან იქნებ, კაცი დაეპიდა — ესეც არ იცის ქვეყნად არა-ვის“...

საქმე ის არის, რომ მთარგმნელს სიტყვების შინაარსი არ ესმის. „Чужая воля“-ში თ. ტუტჩევი ღმერთს გულისხმობდა, ამიტომ მთარგმნელის „კაცი დაეპიდა“ — უზარბაია. რუს პოეტს ბუნებაში არსებელი მოძრაობის ფილოსოფიური გააზრება სერს (ტყუილად ხომ არ ჰქვია ლექსს „პრობლემა“) და არა ყოფითი ფაქტის კონსტატაცია. ამ ლექსის ერთერთ ადრეულ ვარიანტში თ. ტუტჩევის სტრიქონის «или был низринут волею чужой» მაგიერ დაწერილი ჰქონდა სხვა — «или низвергнут мыслящей рукой». „Мыслящая рука“ ღმერთის სინონიმია, მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტი არ დაემყფილდა ამით და ახლი

უფრო სრულად და ნათლად გამოხატა „Чужая воля“-ით.

კითხვა — რა არის ბუნების მოძრაობის საფუძველი? — სხვა ლექსშიაც („შადრევანი“) მეორდება. ეს ლექსიც უთარგმნია ქართულად ხ. ვაგუას, მაგრამ ის, რაც „პრობლემაში“ ვერ ვაგვო, აქვე ვაუკვეხარ დარჩა მისთვის. თ. ტუტჩევი წერს:

«Как жадно к небу врешься ты!..
Но длань незримо-роковая,
Твой луч упорный переломляя,
Свергает в брызгах с высоты».

ბ. ვაგუა თარგმნის:

„შიწიდან ცისკენ მშაფრად დაძრული,
სივრცეში ისევ თავს ვერ იმაგრებ —
მსჭრევით ვაბრუნებს უკან სიმაღლე,
საბედისწერო და უსასრულო“.

რუსი პოეტის „Длань незримо-роковая“ (ხელი უხილავი და საბედისწერო) მთარგმნელმა თვითნებურად შეცვალა — „სიმაღლე, საბედისწერო და უსასრულო“-ით. მთარგმნელს თ. ტუტჩევის შემოქმედება რომ შეესაფელა, მიხვდებოდა, რომ „Длань незримо-роковая“ და „мыслившая рука“ ან მისი ვარიანტი „Чужая воля“ ერთობლივად ფენომენის — ღმერთის სინონიმებია. თ. ტუტჩევი ღმერთს ედავება. პოეტი ფიქრობს, რომ მშვენიერისა და ამაღლებულისაგან სწრაფვა ფრთაშეკვეცილია ფეთხების ნებით და ამიტომაც იქნებ გამოაჯავლა არც არსებობსო. აქედან არის თ. ტუტჩევის მედიტაციური ღირთის დარღვევა. სვედონი განწყობილება. თ. ტუტჩევი ბუნებაში დაიხებს შეებას, მოსვენებას და სილამაზეს, მაგრამ ბრძოლის კვალი ყველგან ჩანს და თითქმის ყოველთვის უხილავი ძალა, რომლის ემანაციაც ღმერთია, გამარჯვებული გამოდის. შადრევანს ცის მშვენიერ სივრცეებამდე ვერ მიღწევია, ავი ძირს დანარცხებული. მაგრამ ყველაფერზე საშინელი ის არის, რომ სიციცლაც ასევე დამარცხებულია და ძირს დანარცხებული. დააყრიდით ლექსს:

«О, этот Юг, о, эта Ницца!..
О, как их блеск меня тревожит!
Жизнь, как подстреленная птица,
Подняться хочет — и не может...
Нет ни полета, ни размаху —
Висят поломанные крылья,
И вся она, прижавшись к праху,
Дрожит от боли и бессилья»...

ქართული თარგმანი ლექსისა ასეთია:

„ო, ნიცა, ო, ეს სამხრეთი, არსად
შე არ მინახავს ასეთი სივრცე!“

სიციცლეს დაპირდა ფრინველის მსგავსად ცდილობს აფრენას — ლეველერენენენ უხოდ ვარობული ფრთამოქმედებელი და თავგანწირული, უმწეო სხვიად ფეთქავს, კანკალებს ლოცვად ქვეული, მთელი სხეულით კანკალებს — ტყეა“...

როგორც ხედავთ, ლექსში სულ რვა სტრიქონია. აქედან ქართული თარგმანის თითქმის ოთხი სტრიქონი („შე არ მინახავს ასეთი სივრცე“ და „თავგანწირული, უმწეო სხვიად ფეთქავს, კანკალებს — ლოცვად ქვეული“) ბავრთოდ არ არის რუსულ ორიგინალში, რა თქმა უნდა, სიტყვა-იტყვით თარგმან ლექსისა კი არა, პროზაული ტექსტისაც არ შეიძლება, მაგრამ ის, რასაც მთარგმნელი დაამატებს, განწყობილებით, ხასიათით, აბრობრები შინაარსით ორიგინალს უნდა შეესაბამებოდეს. სხვანაირად თარგმანის მკითხველი ოდნავადაც კი ვერ შეიძინებს ორიგინალის არსს. ყოვლად შეუძლებელია მთარგმნელმა გამოტოვოს სტრიქონი: «О, как их блеск меня тревожит», რადგან აქ არის თ. ტუტჩევის ბუნებისადმი დამოკიდებულების გასაღები. მოჩვენებითია სილამაზე, მოჩვენებითია ჰარმონია, მოჩვენებითია მათგან მოგვრილი აღტაცება. ყველაფრის უკან იმალება დამარცხებული სიციცლეს. ამიტომ პოეტი ვერ მიეცა კმაყოფილებას, ვერ განათავისუფლდება ტყეილისაგან. ამ განწყობილებათა შეგრძნება დაკარგულია ქართულ თარგმანში. რადგან ხ. ვაგუამ გამოტოვა სტრიქონები, რომლებიც რუსი პოეტის დაუკვეხანსა და შიშს გამოხატავდა.

ისეთი პოეტის თარგმანი, როგორც არის თ. ტუტჩევი, შეუძლებელია მისი შემოქმედების შეუსწავლელად. მის ლექსებში ყოფის ან ბუნების სურათები კი არ არის დაბატული, არამედ ფიქრია, განსჯა მოვლენათა გამო. ამიტომ ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი ზუსტად უნდა იყოს მოქმენილი და ზუსტად უნდა გადმოსცემდეს ორიგინალს.

თ. ტუტჩევი სივამ კითხვას:

«Откуда, как разлад возник?
И отчего же в общем хоре
Душа не то поет, что море,
И рошнет омывающий тростник?»

ბ. ვაგუა აქართულებს:

„რამ დაუბედა შევალესათი
უთანხმოება ჩვენს ფიქრს და მიზანს?
ან რატომ არ ჰკავს სულის ხმა ზღვისას
და გონიერი დრტინიანს ლერწმისა?“

ჭერ ერთი, ვაუკვეხარია საიდან ვაზნდა სიტყვა „შევალესათი“? რას გამოხატავს იგი ან რა საჭიროა? მეორეც აქ „разлад“ უთანხმოებას არ ნიშნავს, მით უმეტეს, ფიქრისა და

მისნის, ეს თ. ტუტჩევის არც უხსენებია. აქ „разлад“ ნიშნავს დაშლილობას, შეუთანხმებლობას, პარპროზისა და წესრიგის უქონლობას. თ. ტუტჩევი კითხვობს — რატომ არის დაშლილი, არაპარპროზიული აღმავლის არსებობა (და არა მხოლოდ მიზანი ან ფიქრი)? ამას ჩივის სწორედ „Мыслящий тростник“, რაც ქართულად უნდა გადმოიყოს „მოაზროვნე ლერწამით“ და არა „კონიერი ლერწამით: „Мыслящий тростник“ აღამავლის სინონიმია. იგი თ. ტუტჩევის ნასესხები აქვს პასკალის „პენსებთან“ („Pensées“). პასკალი წერს: „აღამავლის სხვა არა არის რა, თუ არა ყველაზე უსუსტი ლერწამი ბუნებაში, მაგრამ იგი მოაზროვნე ლერწამია“.

თარგმნელის მიერ შემოატანილმა სიტყვებმა ქართული, მშვიდი და უდრტივინველი, ღრინველი — ობიექტულ-მეშინური, უღატაკური, ხასიათი მისცა. თ. ტუტჩევიდან უოველ სიტყვას თავისთავად ამომწურავი შინაარსი აქვს და იგი (სიტყვა) დამატებით განმარტებებს არ სპირიტებს.

«Что хоть лениво и несмело
Луч возникает за лучом»...

„და თუმცა ჩნდება სხივი პირველი,
თამაში როგორც ყოფიერ მზერა“...

ქართული თარგმანი ორიგინალს არ შეესაბამება, პირველი სხივის ყოფიერ მზერასთან შედარება სიცარიელე და არაფრის მოქმედია. თუ თ. ტუტჩევიან პარპროზიულად, თანდათანობით, ზანტად იგრძნობა გათენება („...Лениво, несмело луч возникает за лучом“...) ხ. ვაგუასთან „ჩიუტ მზერასავეთ თამაში სხივო“ არავითარ ემოციას არ იწვევს, არავითარ სურათს არ იძლევა.

«Но не пройдет двух-трех мгновений.
Ночь, испарится над землей,
И в полно блеске проявлений
Вдруг нас охватит мир дневной...»

„მაგრამ წუთიც და, ვით გაოცება,
ღილა იფეთქებს დედამიწაზე
და მთელი სიფრთხილი სულს და ოცნებას
გამრწინებელი დღე გაიტაცებს“.

რუსულის ჩვეულებრივი ცოდნაც საკმარისია, რომ მიხედვ ორიგინალსა და თარგმანს შორის არსებულ განსხვავებას. მაგრამ აქ სხვა რამ არის საყურადღებო — თ. ტუტჩევის სრულიად არ სწირდება ამ კონტრასტისათვის შეუფერებელი სიტყვები — სული, ოცნება, გაოცება და სხვანი, რომ შექმნას დღის მოსვლის საზეიმო განწუხობილება. ხ. ვაგუასათვის კი ისინი იუტილებელია — დღესასწაულის შესაგებობად. მაგრამ თარგმნელი ტყუილება. უადგილოდ გამოყენებული სიტყვა კარავს შინაარსს, ემოციას, ზემოქმედების ძალას.

ამეთა თარგმანისაგან მიღებული საერთო შთაბეჭდილება. მაგრამ მიუხედავად ასეთი შეფასებასა, თუ თარგმნელი გააგრძელებს სერიოზულ მუშაობას, ვფიქრობთ, მივიღებთ თ. ტუტჩევის ლექსების ღირსეულ თარგმანს. ამისათვის ხ. ვაგუას პოეტური ნიჭიერება ყოფიად, ოღონდ იგი ამ კეთილშობილურ საქმეს სიყვარულით, ერთგულებით და ცოდნით უნდა მოეკიდოს.

«Не рассуждай, не хлопочи!...
Везумство ищет, глупость судит»...

ქართულად ციტირებული სტრიქონები ასეა თარგმნილი:

„ვეჭვს ნუ ესწრაფვი, იკმატ მცირეც!
არაბრაობის ნუ ეჭვს მიზღვს“...

თ. ტუტჩევი მოუწოდებს:

«Живя, умей все пережить;
Печаль, и радость, и тревогу».

ამის სანაცვლოდ ხ. ვაგუა გეთავაზობს საკუთარ კრედიტს:

„ყავ გულგრილი და თუ იტან
ყოველგვარ ტყვიას, სიხარულს, სევდას“, —


რაც ლექსის მეტრში არ ჩაებია, მთარგმნელმა საკუთარი აზრიც აღარ დაასრულა: მკითხველმა ვერ გაიგო — რა უნდა ქნას მერე კაცმა თუ იტანა ტყვილი, სიხარული და სევდა? ხანდაზან ხ. ვაგუა „ეთაბათება“ კიდევ თ. ტუტჩევის, რუსი პოეტ-წერს: „Она сидела на полу“, ქართული პოეტი კი თარგმნის — „ვით მონთსხელი, უძრავად იდგა“.

რა თქმა უნდა, თარგმნის ასეთი მეთოდი გაუმართლებელია, აქ უზარალო შინაარსიც კი დაკრძალულია.

«На небе мслц и ночная
Еще не тронулася тень,
Царит себе, не сознавая,
Что вот уж встрепенулся день».

„ქათათებს მთვარე, და ღამის ჩრდილი,
არ იჭრის, მშვიდი და უდრტივინველი,
თითქოს არა გრძნობს — საცაა დღისა
შვიდრთხილებს, როგორც ფრინველი“.

ღილის მოახლოების მშვენიერ სურათს,



თანამედროვე ლექსის წერის კულტურის საკითხები

ცნობილია, რომ ყოველ ეპოქაში ხდება პოეზიის იდეურ-შინაარსობრივი განახლება, მაგრამ იდეურ-შინაარსობრივ განახლებასთან ერთად სახეს იცვლის ფორმაც. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ ფაქტს, რომ მეოცე საუკუნეში დიდი მუშაობა ჩატარდა ლექსის ახალი ფორმის გამომუშავებისა და ათვისებისათვის. თანამედროვე პოეტებმა აღმოაჩინეს პოეტური წარმოსახვის განსხვავებული ხერხები, განსხვავებული ფერები მოძებნეს მხატვრული ტილოს შესაქმნელად. ისინი უფრო უშუალოდ მიპყვნენ წარმოდგენათა ასოციაციურ დინებას, რის გამოც მათ მიერ ნათქვამი სიტყვა ზოგჯერ პარადოქსალურობისა და კონტრასტულობის ელემენტს იძენს. აქედან გამომდინარეობს თანამედროვე მეტაფორისტიკის ორიგინალური ხასიათი, მისი „უცნაურობა“. ხელოვნება, საერთოდ, შემოქმედის მეტაფორული აზროვნების ნაყოფია და მეოცე საუკუნის მეტაფორისტიკა არ უნდა შევადგათ, როგორც ახლად აღმოჩენილი განძი. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ თანამედროვე პოეზიამ გასულ საუკუნესთან შედარებით განავითარა, უფრო მაღალ საფეხურზე დააყენა მეტაფორული აზროვნების კულტურა. უბრალო მკითხველმა, იქნებ, ვერც შეინშნოს, რომ თანამედროვე პოეტური წარმოსახვის ხერხების დიდი ნაწილი თითქმის სრულიად უცხო იყო მათი უშუალო წინაპრებისთვის. როდესაც ვკითხულობთ ამგვარ სტრიქონებს:

დაათრობს მთვარე თოვლიან ალღებს
ივლისისფერი ყინვის თასებით...

იასამანთა გროვად გროვდება
გულში ვედრების ზმა წელი-წელი...

შეშლილი სახეების ზონჩხიანი ტყეებით
უსუფლდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარებენ...
(გ. ტაბიძე).

ამიტომ ნაძვი ტანდახუნძლული,
უცხო მგზავრებით ჩვენთან ჩამოვა.
თითქო იპოვა თბილი კუნძული,
ამოუღვება გვერდში სამოვარს.
თოვლის ზაფერდი დარჩება გარედ,
ნაძვი შეამკობს მოხატულ კარებს
და გაუმართავს ბავშვებს საუბარს...
(ს. ჩიქოვანი)

გარკვევით აღიქვამთ იმ შეგნებულ კონტრასტულობას, საგანთა იმ „არაბუნებრივ“, ასოციაციურ ურთიერთდაკავშირებას, რაც საოცარ ეფექტურობასა და ემოციურ სიმძაფრეს ანიჭებს თანამედროვე ლექსს. ეს თვისება უნდა ჩაითვალოს ახალ ტენდენციად თანამედროვე პოეზიაში, და არა მარტო პოეზიის, არამედ მთელი თანამედროვე ხელოვნების დამახასიათებელ ნიშანთვისებად.

თანამედროვე ლექსში საგრძნობლად გაიზარდა დეტალის ფუნქცია, ფსიქოლოგიური ნიუანსის ფუნქცია; გაძლიერდა ქვეტექსტისა და ემოციური მინიშნების როლი, რის გამოც ლექსის სიტყვების განვითარებამ სულ სხვაგვარი სახე მიიღო. დღეს პოეტი ერთი პატარა შტრიხით, მეტაფორული სიტყვათშეკავშირების მეშვეობით ახერხებს არა მარტო განწყობილების, არამედ საკ-

პოლ ღრმა აზრის გამოხატვისა. ამიტომ პოეტური ნაწარმოების კომპოზიცია გართულდა, გახდა უფრო კომპლექტური, დატვირთული მრავალფეროვანი ემოციური შინაარსით. ეს არის აუცილებელი და შემდგომი ეტაპი სამყაროს პოეტური ხედვისა და აღქმის განვითარებისა.

თანამედროვე მეტაფორისტიკის, ჰექსტის, დეტალის ფუნქციისა და ემოციური მინიშნების როლის გაძლიერების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სიტყვის, წინადადების, რიტმისა და რითმის გამოყენების პრობლემას, რადგან პოეტური ქმნილება თავისი „ფიზიკური“ სახით სწორედ ამ ოთხი ელემენტის მეშვეობით წარმოუდგება მკითხველს. პოეტის წერის ტექნიკა სწორედ ამ ოთხი შემადგენელი ელემენტის ათვისებითა და გადაამუშავებით გამოვლინდება.

როდესაც მთავრდება ერთი ეპოქა და იწყება ახალი, ხდება შეფასება და გადაფასება წარსული პერიოდის სხვადასხვა მოვლენებისა; ხოლო მწერლობაში უმთავრესად სიტყვათა ღირებულების გადაფასება ხდება. ლიტერატურის განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე მწერლები, უპირველეს ყოვლისა, სიტყვისთვის იბრძვიან, რადგან სიტყვაა პოეტის უმთავრესი იარაღი. გავიხსენოთ, როგორ იბრძოდნენ სიტყვის დახვეწისა და განახლებისათვის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. გავიხსენოთ რას წერდა ტიციან ტაბიძე ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“: „ჩვენში სრულიად დავიწყებულია სიტყვა... ვიტყვი კიდევ ჩვენში, სადაც სიტყვა ჰკარგავს თავის თვითმთავრად ღირებულებას, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და სრული გატაცებაც მითი არის საჭირო“. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საფუძველი ეყრებოდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, სიტყვის აღორძინებისა და განახლებისათვის იბრძოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამ-

სახურდია, პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი, დემნა შენგელია და კიდევ სხვები.

სიტყვისადმი ყურადღების გაძლიერება ნიშანდობლივია მეოცე საუკუნის არა მარტო ქართულ, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურისთვის; და არა მარტო პოეტებისთვის, არამედ, პროზაიკოსებისათვისაც. თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებში ზოგიერთი სიტყვა ისეთ უჩვეულო, უცნაურ პირობებში აღმოჩნდება ხოლმე, რომ არ შეიძლება გაკვირვება და გაოცება არ გამოიწვიოს მკითხველში; ამასთან ერთად დაინტერესებაც იმით, თუ რისი თქმა სურდა შემოქმედს. სიტყვის უჩვეულო პირობებში ხმარებისას მთელი წინადადებაც საინტერესო, მიმზიდველი ხდება; ეძლევა იმგვარი ელერადობა და ემოციურობა, რომ არ შეიძლება დიდი ხნით არ დაგამახსოვრდეს. ხშირად, სიტყვა ისეთ უჩვეულო კავშირშია სხვა სიტყვების მიმართ, რომ კონტექსტიც არა კმარა მისი მნიშვნელობის ამოსახსნელად, ე. ი. სიტყვის მნიშვნელობის საიდუმლოება პოეტის „ლაბორატორიის“ კიდევ უფრო ღრმა სფეროებიდან შუქდება და მის გამოსაცნობად მკითხველიც ინტუიტურად უნდა აზროვნებდეს.

მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძეს ლექსში „ალეები თოვლში“ აქვს ასეთი ფრაზა:

„დაათობს მთვარე თოვლიან ალევს
ივლისისფერი უინვის თასებით...“

ამ ფრაზაში სიტყვა „ივლისისფერი“-თ „უინვის თასების“ განსაზღვრა ისე უცნაურია, რომ იგი უკვე ამ უცნაურობითაც აჯადოებს მკითხველს, ჰქმნის საჭირო განწყობილებას. მკითხველი ჯერ გაკვირდება, შემდეგ დაინტერესდება; იგი უცებ იგრძნობს (იგრძნობს და არ გაიაზრებს) ამ კონტექსტში ნახშირი სიტყვა „ივლისისფერი“-ს მნიშვნელობას, მის ემოციურ ნიუანსს; მაგრამ, როდესაც მოისურვებს მის გააზრებას და ფორმულის სახით ჩამოყალიბებას,

— გაუქირდება. მართლაცდა, თუ გონების თვალთ მივეუდგებით „ივლისისფერის“ მნიშვნელობის განსაზღვრას, ჯერ ის დაგვაფიქრებს, თუ რომელ სიტყვას საზღვრავს იგი: „ყინვას“ თუ „თასს“. შემდეგ, ისიც დაგვაფიქრებს, თუ რომელი ცნების სინონიმადაა ეს სიტყვა ნაზმარი: „ივლისისფერს“ ჩვენ შეგვიძლია შევუფარდოთ „ნათელი“, „გამჭვირვალე“, „მეტყუნვარე“, „მომხიბლველი“ და ა. შ. თუ ასეთი, „ნიეთიერი“ მსჯელობით მივეუდგებით ამ სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობას, არაფერი გამოგვივა უფრო მეტიც: „ივლისისფერი ყინვის თასები“—ეს წინადადება მთლიანად აბსურდად მოგვეჩვენება. იტყვიან: ჯერ ერთი „ყინვის თასები“ არ არსებობს, მეორეც ისა, რომ არ არსებობს „ივლისისფერი თასი“ და, მესამეც, მითუმეტეს არ არსებობს „ივლისისფერი ყინვაო“. როგორც ვხედავთ, ხშირად კონტექსტიც არ კმარა სიტყვის მნიშვნელობის ამოსახსნელად წინადადებაში. ვალაქტიონ ტაბიძემ თავისი ნიჭის მეოხებით, ნიეთიერ საგანში დაინახა ის ფერები, ის თვისებები, და ისეთი ცნებით გადმოსცა მათი არსი, რომ მხოლოდ გონებით მათი განქვერტა შეუძლებელია, რადგან ამგვარი სიტყვათდაკავშირების პროცესში მთავარ როლს ასრულებს არა ჩვეულებრივი აზროვნება, არამედ ინტუიტური.

პოეზიას იმიტომ ჰქვია პოეზია და პოეტს პოეტი, რომ მისი აზროვნება განსხვავდება ჩვეულებრივი, ყოველდღიური აზროვნებისგან. პოეტი სწორედ იმით განსხვავდება ჩვეულებრივი კაცისაგან, რომ მას აქვს ნიჭი განზოგადებული, ემოციური აზროვნებისა, რომ იგი ყოველ საგანში, ყოველ მოვლენაში ხედავს დაფარულ არსს და გადმოგვეცემს მას.

თვალს თუ გადავაგლებთ თანამედროვე პოეზიის დიდ წარმომადგენელთა ქმნილებებს, დაეინახავთ, რომ უმეტესი მათგანი სწორედ ამგვარი სიტყვათდაკავშირების, სიტყვათა ამგვარი შეფასებისა და ხმარების პრინციპზეა აგე-

ბული. ისინი იმით განსხვავდებიან XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმისა და „დემოკრატიული პოეზიის“ წარმომადგენლებისაგან, რომ სიტყვას არ ამწყვდევენ კონკრეტულ ჩარჩოებში; და იმიტომ დაუახლოდნენ რომანტიკოსებს, რომ პოეზიაში შემოიტანეს საწყაროსათვის დამახასიათებელი „ილუმალების“ ელემენტი; მაგრამ თანამედროვე პოეზიაში ამ „ილუმალების“ ელემენტის გამოვლინების ხერხები უფრო რთულია ვიდრე რომანტიკოსებთან; ეს ილუმალება თვით სიტყვებშიაც ვლინდება, არა მარტო განწყობილებებში.

სიტყვას აქვს თავისი ისტორია და სწორედ იმიტომ, რომ ქართული სიტყვა საუკუნეთა მანძილზე საკმაოდ გამოიწერთო, პოეტებმა მისი კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, მისი შესაძლებლობების მეტი სისრულით გამოვლინება შესძლეს და ეს უნდა გავიგოთ, როგორც ლიტერატურის განვითარების შემდეგომი ეტაპი. ამით თანამედროვე პოეტებმა უდაოდ ნოვატორული ნაბიჯი გადადგეს.

სიტყვას გააჩნია თავისთავადი ემოციური ძალა, რასაც კარგად მიხვდნენ თანამედროვე პოეტები. მათ სწორედ სიტყვის ეს ფარული ემოციური ძალა გამოავლინეს. როდესაც ვკითხულობთ ვალაქტიონ ტაბიძის ამგვარ სიტყვებს:

„და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბართის...“

„გულსაგად ბრწყინავს ფარჩა ნათელი“...

„როცა შექი ვარდისფერი, მორცხვი...
დაიღვრება ვანთილზე...“

როდესაც წაეკითხავთ ტიციან ტაბიძის ამგვარ სიტყვებს:

„დაწველილ მინდვრებს გაუშვალდეს მშვიტ
კალებს“...

„მწვივს ხითორე...“

გიორგი ლეონიძესთან როდესაც ამოვიკითხავთ:

„სახანდარმა ღამე ააცხცხა“...

„სოფლებზე ბელღებში ლურჯი ვანები...“

„რეკენ უნების იხფერი ზარები
უკანსკენელ ორთოღვით...“

როდესაც წავიკითხავთ თანამედროვე პოეტების ლექსებში ამგვარი ელფერი თანხმოების სიტყვებს, შეუძლებელია არ დავინახოთ ერთგვარი სხვაობა მათსა და მათ წინაპრებს შორის. სიტყვათა ამგვარი ხმარება, სიტყვათა ამგვარი დაკავშირება და აღქმა არის ახლებური, ორიგინალური, მაღალპოეტური და, აქედან გამომდინარე, ნოვატორული ქართულ პოეზიაში. ყველამ იცის, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართულ სიტყვას გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. სიტყვისადმი ყურადღების გამძაფრების ტრადიცია ბრწყინვალედ შეითვისეს და განავითარეს მეოცე საუკუნის დიდმა პოეტებმა.

თანამედროვე შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის პოეტებმა მნიშვნელოვან სიმართლებებს მიადრინეს სიტყვათა გამოყენების და წინადადებათა „ტექნოლოგიის“ გაზრდისა და სტილისტური დახვეწის მხრივ. აქაც, დიდი ნაბიჯი გადაიდგა უშუალო წინაპრებთან შედარებით. თანამედროვე პოეტთა ლექსებში წინადადებები თითქოს გართულდა. მაგრამ იმავე დროს, ფრაზათა კეთილხმოვანების, მუსიკალური გამართულობის დონე ამაღლდა; წინადადება გახდა უფრო რაფინირებული, მოქნილი და დინამიური.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდში შეითვისა წინაპართა მიერ გამოუმუშავებული ლექსის წიგნის კალენდრა, და ათას ცხრაას ათ წლამდე დაწერილ მის ლექსებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ისეთი სუსტი ადგილები, როგორცაა:

ამ დროს გაჩნდა ქალწულთან ურმა,
სივარულით, წრფელი სახით,
დაიწოქა და ზორცხმულ სულს
უხსრა ორთოღვით და ცახცახით.

(„ო, გიპოვე“)

შემდგომ პერიოდში მან, და სხვა პოეტებმაც, ლექსის წიგნის კალენდრად უფრო განავითარეს დახვეწისა და გადაღვეს დიდი ნაბიჯი წინაპრებთან შედარებით. ამიტომაც, რომ ასე თავისუფლად იკითხება გალაკტიონის ასეთი სტროფები:

ამაღლი სულო თუთრ აელდამაზე
მშვენიერების ლექსით მჭებელი —
ღღეს ყველგან მზეა და სიღამაზე,
სიკვდილთან ჩემი შემოივებელი!“

(„შერიგება“).

ან, კიდევ:

აქვე კბებებს, სადაც სფინქსი ქებებს ეფარება,
და შიშში გრძნობდე, რომ ახალია

ბედნიერება —
ოჰ! რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!

სულში გენიით ატეხილა რეკავს ლერწამი,
და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება

ღამე...

(„ვარდისფერი საფეხურები“)

სავლისხმობა, რომ გალაკტიონ ტაბიძის საუკეთესო ლექსებში პოეტური ფრაზები ინვერსიულობისა და ინტონაციური მახვილის უაღრესი გამოყენების პრინციპზეა დაფუძნებული. სეინსბერი წერდა, რომ სტილის საიდუმლოება ვლინდება იმ წესების დარღვევით, რომელთა მიხედვითაც ლაგდება ფრაზები, წინადადებები და აბზაცები. მხატვრული ნაწარმოები მით შეტად მამზიდველია, რამდენად მეტ ვქსპრესიულობას ამჟღავნებს და ინვერსია კი გვევლინება მწერლის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად, რომლითაც იგი ნაწარმოებს ანიჭებს მკვეთრი გამომსახველობის და ძლიერი ზემოქმედების უნარს.

ინტონაციური მახვილის, წინადადებათა მელოდიურობის, სიტყვათა წყობისა და ინვერსიულობის ახლებურად გამოყენების ნოვატორული ბუნებიდან გამომდინარეობს ის სახლე, რაც დაკავშირებულია თანამედროვე ლექსის რიტმიკასთან.

რიტმიკას პოეტები დასაბამიდან დიდ ყურადღებას აქცევდნენ. შეიძლება ითქვას, რომ რიტმიკის გარეშე საერთოდ

არ არსებობს მხატვრული აზროვნება და მხატვრული სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ რიტმი ლექსის ნივთიერ, ფორმალურ გამოვლენას წარმოადგენს, ისევე, როგორც სიტყვა, ბგერა და წინადადება, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ პოეტური გამონაგონისა და პოეტური განწყობილებისაგან განსხვავებით რიტმი ხელშესახები ერთეულია, იგი იზადება ჯერ კიდევ იმ ქაოტურ სამყაროში, რომელიც შემოქმედის სულში სუფევს და ღვივდება მანამ, სანამ ის კალამს აიღებდეს და განზრახვით მიუჯდებოდეს მაგიდას. რიტმი არ არის ხელოვნურად შექმნილი „საგანი“, ლექსისთვის გარედან „მიკერებული“; ის არ არის გარეგანი სამკაული ლექსისა, როგორც რითმა, თუმცა, ეს უკანასკნელიც, ნაწილობრივ, ბუნებრივად აღმოცენდება დიდი პოეტის ქმნილებებში. ამიტომ, რომ პოეტი უნდა იყოს ბუნებით მუსიკოსიც, რათა სიტყვებთან ერთად უტყუარად ქმნიდეს და ავითარებდეს ლექსის მელოდიას, ისევე, როგორც მუსიკოსი უნდა იყოს პოეტიც, რათა თავისი მელოდია ააგოს პოეტურ გამონაგონზე.

თითოეულ ეპოქაში პოეტები ყურადღებას ამაძღვრებდნენ რიტმზე, ისევე, როგორც ნაწარმოების სხვა ფორმალურ მხარეზე. მეოცე საუკუნის დასაწყისშივე ქართველმა პოეტებმა შეგნებულნი, პროფესიული ყურადღება მიაქციეს რიტმის პრობლემას და ჩვენს სინამდვილეში დიდი ძვრები მოახდინეს. ყველასათვის ცხადია, მეოცე საუკუნეში რომ რიტმიკა საგრძნობლად გადახალისდა. მოიხსნა ის შეხედულება, თითქოს რიტმი არის მარტო თანაზომიერ ერთეულთა კანონზომიერი განვითარება, ან ბგერითი ერთეულების კანონზომიერი განმეორების რეგულირება ანა თუ იმ მეტრის ზეგავლენით, და, კერძოდ, ქართული სილაბურ-ტონური ლექსისთვის მახვილიან და უმახვილო ხმოვნების კანონზომიერი თანაზომიერობა.

სავე ყანწები თამადას ელიან,
მეშმის დაძალებს: „დალოე, აიტანი“
ტიციან მქვია, ერჩები ტიტინადუნს
ლექსით და ღვინით ყველაშ მოცხარეს
ლექსებს ვიტყუო, ცის ქუხილო რა არი?!
სათონოვას შვგ საფლავში გაუტეხო ფაცარი.
(ტ. ტაბიძე).

ზემოთ მოყვანილი სტრიქონები არიტმულად უნდა ჩავთვალოთ, რადგან მათში არ არის მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი თანაზომიერობა თითოეულ ტაეპში.

ტიციან ტაბიძის ლექსში სტროფის თითოეული ტაეპი კლასიკური ლექსის მოთხოვნილებიდან თანახმად ცეზურებად იყოფა, მაგრამ ამ სტროფში ცეზურის მიერ შექმნილი ნახევარტაეპები მარცვალთა რაოდენობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და, ამით, არღვევენ კლასიკური ლექსის რიტმიკას. კლასიკური ლექსის მოთხოვნილებით თუ მიგუდვებით ამ ტაეპების გარჩევას, ისინი არიტმულად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტიურად, თითოეულ მათგანს ნათლად გამოკვეთილი მაღალმუსიკალური რიტმი გააჩნია, ისეთი რიტმი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ამავე პოეტის მიერ კლასიკური ლექსის ზომით დაწერილ ლექსთა რიტმს.

ისმება კითხვა, თუ, რითი ახერხებენ შემოხსენებული პოეტები ქართული ლექსისთვის ძნელადდასაშვები, მახვილიანი და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი განვითარების დარღვევისას რიტმის შენარჩუნებას?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, გავიხსენოთ თუ რა მოვლენები ზემოქმედებენ ქართულ ლექსზე (მახვილიანი და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი განვითარების გარდა) ლექსისთვის აუცილებელი რიტმის შექმნისას.

მარცვალთა ზუსტი რაოდენობის დაცვის გარდა ლექსის რიტმულობას განაპირობებენ: ინტონაცია, წინადადებათა და აზრის განვითარების ტემპი სტროფებში, ინვერსიულობა, ფსიქოლოგიურ-ლოგიკური და გრამატიკული მახვილების არსებობა, რითმა (წინაგანი და

გარეგანი), თვით ლექსის ემოციური და-
 ძაბულობა, სხვადასხვა ბგერათა ხმა-
 რების ხერხები და კულტურა.

სწორედ ამ მომენტებზე ყურადღე-
 ბის გამახვილებით, ლექსის რიტმის შექ-
 მნისას არა მარცვალთა რაოდენობაზე,
 არამედ ზემოხსენებული მომენტების
 გამძაფრებაზე მახვილის დასმით, თანა-
 მედროვე პოეტებმა შესძლეს მარცვალ-
 თა რაოდენობის კანონზომიერი განვი-
 თარების გარეშეც თავიანთ ლექსებში
 გამოემუშავებინათ მაღალი რიტმი, რაც
 ხელოვნების ყოველი ნიმუშისათვის აუ-
 ცილებელია. ახლა პრაქტიკულად გან-
 ვიხილოთ სიმონ ჩიქოვანის ერთი
 სტროფი პოემიდან „დავით გურამიშ-
 ვილი“:

„უცაბად ოში მიხმეს,
 ტყეში ვიყავ, სოკოს ვკრეფდი, ვინანე.
 მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
 ვერ გაბოვე, სიმძიმელი ვინამე“.

აქაც მარცვლების რაოდენობა ტე-
 პებს შორის სხვადასხვა არის, მაგრამ
 ლექსი მაინც მაღალრიტმულია. ჯერ
 ერთი მას აქვს ფრიალ დახვეწილი გა-
 რეგანი რითმა: არასრული ასონანსური
 და კონსონანსური. როგორც ვიცით,
 ასონანსური და კონსონანსური რითმა
 თანამედროვე ლექსის ერთ-ერთი მნიშ-
 ვნელოვანი მონაპოვარია. ამგვარი რით-
 მა საჭიროების შემთხვევაში უფრო
 მძაფრად ჟღერს, ვიდრე კლასიკური
 ზუსტი რითმა, თუნდაც, მაჯამური. ამ
 სტროფში ჯვარედინად განლაგებულ
 (1 და 3, 2 და 4) ასონანსურ და კონსო-
 ნანსურ რითმათა არასრულობა: მიხმეს
 და სიყრმის (კონსონანსი), ვინანე და ვი-
 ნამე (ასონანსი), კიდევ უფრო ატკობს
 მკითხველის ყურთასმენას და ჰქმნის
 რიტმულად გამოკვეთილ დაბოლოე-
 ბებს ტეპებისა. ამას გარდა, სტროფში
 იგრძნობა აზრის განვითარების სიმძაფ-
 რე, ტემპი; სტროფში მოთავსებულ წი-
 ნადადებათა ინტონაცია არის მაღალ-
 პოეტური. ინვერსიულობის პრინციპზე
 აგებული ფრაზა: „მსხმოიარე ვენახი
 ხარ სიყრმის“, ჰქმნის საჭირო მელო-
 დიკას: თანხმოვანი „რ“-ს ალიტერა-

ციულ ხმარებას მთელ სტროფში შეაქვს
 საჭირო მუსიკალური ელემენტი, რად-
 გან თვით თანხმოვანი „რ“ მუსიკალუ-
 რობის მარცვალს შეიცავს თავის ელე-
 რადობაში; ხოლო, თანხმოვანი „ხ“-ს
 ხმარებას მესამე ტეპში შეაქვს საჭირო
 სიმკვეთრე, „მოკვეთილობა“; ამას გარ-
 და მთელი სტროფის შინაგანი, ემოციუ-
 რი დაძაბულობა და ფსიქოლოგიური
 მახვილის არსებობა ქმნის ისეთ რიტმს,
 რომ მკითხველს აღარ ეჩოთარება ტე-
 პებს შორის არსებული მარცვალთა
 რაოდენობის სხვადასხვაობა. პირიქით,
 ეს სხვადასხვაობა, თითქოს ხელსაც უწ-
 ყობს ლექსის რიტმის განვითარებასა
 და გამძაფრებას.

თანამედროვე პოეტებმა შემოქმე-
 დების ჯერ კიდევ პირველი პე-
 რიოდის დასაწყისში შეითვისეს ქარ-
 თული კლასიკური ლექსის თითქმის
 ყველა ძირითადი საზომი: ხუთმარცვ-
 ლიანი, რვა მარცვლიანი, თორმეტმარც-
 ვლიანი და თექვსმეტმარცვლიანი ლექ-
 სები ქალური და დაქტილური რითმე-
 ბით; სწერდნენ ვაჟური რითმებითაც. შე-
 მდგომ, მათ გადაადგეს ნაბიჯი წინ და შე-
 სძლეს გამოენახათ ახალი რიტმები ახა-
 ლი ცხოვრების მაჩისცემის გადმოსა-
 ცემად. რიტმი იმდენად ძირითადი ელე-
 მენტია ლექსისა, რომ მის შეცვლას-
 თანვე მთლიანად ლექსმა იცვალა სახე.
 ზემოთმოყვანილი ერთი სტროფი
 ტიციან ტაბიძის ლექსიდან „შუხამბა-
 ზი, რომელიც არ იმღერება“, ვერ ჩაით-
 ვლება კლასიკური ლექსის ნიმუშად. ის
 წინაპართათვის კარგად ცნობილ არც
 „თეთრ ლექსს“ წარმოადგენს. მაშ, რა
 სახელი შეგვიძლია ვუწოდოთ იმგვარ
 ლექსს, რომელშიც არ არის დაცული
 მარცვალთა თანაბარი რაოდენობა?
 ასეთ ლექსს საფრანგეთში უწოდეს
 Verse libre ანუ, „თავისუფალი ლექ-
 სი“.

„თავისუფალი ლექსი“ არის პოეტურა
 კულტურის განვითარების აუცილებე-
 ლი შედეგი, ხოლო ფორმალურად ის
 არის ერთ-ერთი „მეტერიული“ გა-
 მოვლინება თანამედროვე პოეტთა ნო-

ვატორობისა. ოღონდ „თავისუფალი ლექსი“ არ უნდა აღვიქვათ, როგორც აბსოლუტურად ორიგინალური მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში. მაგალითად, ინგლისურ მწერლობაში იგი აღმოცენდა (უოლტ უიტმენის შემოქმედებით) განსაკუთრებული სახის ინგლისური რომანტიკული პროზიდან. ქართულ მწერლობაში მისი არსებობის შესაძლებლობა განაპირობა ჩვენმა ჰიმნოგრაფიამ.

ვეროპის პოეზიაში Verse libre-ის ფორმა პირველად ლაფორგმა გამოიყენა. მისი აღმოცენების მიზეზი, ეიულ რომენის სიტყვებით რომ ვთქვათ, განაპირობა თანამედროვე პოეტთა ემოციურობის უაღრესმა გამძაფრებამ...

დღეს სათქმელმა დაკარგა სინაზე და დიაპაზონით ველარ ეტევა კლასიკური ლექსის ფორმაში, სადაც აუცილებელია სტროფთა და რითმათა ზუსტი კავშირი. წინაპართა ლექსებში შემადგენელი ნაწილები რიცხობრივად თანატოლი იყვნენ და ერთმანეთს შეეფარდებოდნენ როგორც 1:1. თანამედროვე პოეზიაში ლექსის სტროფისა და ფრაზის ზომა დამოკიდებული გახდა ტაქსა და სტროფში გარკვეული სიდიდის განმეორებითობაზე. ამ სიდიდეს შეგვიძლია რიტმულად მდგრადი სიდიდე ვუწოდოთ. იგი ნათლად გამოკვეთილ „ტაქტს“ იძლევა ნაწარმოების რიტმისა და მელოდიის განვითარებაში. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, წინაპართა ლექსის ტაქტები შედგებოდა რიცხობრივად თანატოლი მახვილიან და უმახვილო მარცვლებისაგან, ხოლო, თავისუფალი ლექსის ტაქტები შესდგება რიტმულად მდგრადი ელემენტისა: პლიუს თითოეულ ტაქტში რიცხობრივად ცვალებადი მარცვლებისაგან, — ეს არის ერთგვარი დამატებითი ელემენტი, რომელიც ასრულებს, ამთავრებს სტროფების განვითარების ძირითად ხაზს. რიტმულად მდგრადი ელემენტის მოთავსება მომდევნო სტროფებში ერთსა და იმავე ადგილას აუცილებელი არ არის. პოეტს, რომელიც

თავისუფალ ლექსს წერს, აბსოლუტურად უნდა ჰქონდეს განვითარებული პოეტური მუსიკალური კულტურა. თავისუფალი ლექსის წერისას იგი ინტუიტურად უნდა ხვდებოდეს რიტმულად მდგრადი ელემენტის მოთავსების ადგილს და, ამას გარდა, რითმის საჭიროებას ზოგიერთ მომენტში, რადგანაც თავისუფალ ლექსში აბსოლუტურად მოხსნილი არ არის არც შინაგანი და არც გარეგანი რითმის ხმარების ხერხი. ლექსის ეს სახე სრულიადაც არ უარყოფს რითმას, ოღონდ, არ ანიჭებს პრიორიტეტს და არ ღებულობს, როგორც აუცილებელ პირობას ლექსის არსებობისა. გარეგან რითმას, ეიულ რომენის სიტყვებით, თავისუფალი ლექსის დამწერი პოეტი ხმარობს მაშინ, როდესაც ფრაზა ემოციურად მოისუსტებს და რიტმულად მდგრადი ელემენტი მასში ნაკლები სიმძლავრით ინაკვთება. მისი სიტყვებით, ასეთ შემთხვევაში გარეგანი, ან შინაგანი რითმების ხმარება აუცილებელიცაა, სხვაგვარად, დაირღვევა ლექსის რიტმი. აქედან გამომდინარე, არსად ისე, როგორც თავისუფალი ლექსის წერისას, პოეტს უნდა ჰქონდეს განვითარებული ზომიერების გრძნობა და უნდა ჰქვოდეს წერის მაღალ ტექნიკას.

ამგვარად, Verse libre-ის მუსიკალურობასა და რიტმულობას განაპირობებენ: რითმა (ზუსტი, ასონანსური, კონსონანსური და დისონანსური), ალიტერაციული ხერხები, ცეზურათა ხშიერი პაუზები, ინვერსია, ინტონაცია და კიდევ სხვა მომენტები, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

საქართველოში Verse libre-ით წერა მეოცე საუკუნის ათიანი წლების შემდეგ დაიწყო, მაშინ, როდესაც საზღვარგარეთ ლექსის ეს სახე უკვე საკმაოდ კარგად ცნობილი და პოეზიაში დაფუძნებული იყო. ვერ ვიტყვით იმას, რომ Verse libre-ის ათვისებისას ადგილო არ ჰქონია ფრანგული პოეზიის გავლენას, მაგრამ ჩვენი პოეტური ტრადიცია და მეოცე საუკუნის პოეტთა კულტურა

რული დონე მაღალი რომ არ ყოფილიყო, ქართული სიტყვა გარკვეულ სიძნელეებს ვერ გადალახავდა და დღეს სალაპარაკო არაფერი გვექნებოდა თავისუფალ ლექსზე.

სრულიად ახალი, წინაპართა ლექსებისთვის უჩვეულო რიტმული და ბგერითი ელვადობაა გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ ლექსში, რომელიც თავისუფალი ლექსის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს.

„თოვლი იყო ირბი, აღმაცერა,
დაღვსის ვმიროვით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ელვარებს ღუშულა.

ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიჭრება,
გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირბი,

აღმაცერა.

იფანტება თეთრი ფიქრები, იფარფლებს
ხელნაწერი.

ნუ ჩამიჭრები!

და იქაც, შიგნით, სულში...

თოვლი იყო ირბი, აღმაცერა“.

Verse libre მართლაც თავისუფალი და მარტივად დასაწერი არ არის ეს, თუნდაც, ზემოთ მოყვანილ მაგალითიდან ჩანს. თომას ელიოტის თქმისა არ იყოს, კარგი და მოაზროვნე პოეტისათვის ლექსის არც ერთი სახე არ არის „თავისუფალი“, თუ კი მას ნამდვილად მაღალმხატვრული ტილოს შექმნა სურს და, მითუმეტეს Verse libre რომლით წერა გაცილებით რთულიცაა, ვიდრე ტრადიციული, კლასიკური ლექსით. ამას გვიმოწმებს ქმნილებები ისეთ პოეტთა, როგორებიც იყვნენ: ლაფორგი, უიტმენი, სენაბერგი, ჯეფერსი, ელიოტი, პაუნდი; საქართველოში Verse libre-ით ლექსები დაუწერიათ გალაკტიონ ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ტციან ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანს და სხვებს. მათი ნაწარმოებებიდან აშკარად ჩანს, თუ რაოდენ მაღალი პოეტური კულტურა უნდა ჰქონდეს პოეტს, რაოდენ მაღალ წერის ტექნიკას უნდა ჰქონდეს იგი, რომ საესეებით დასძლიოს ლექსის ეს სახე.

„თავისუფალი ლექსის“ საკითხი ცალკეული კვლევის საგანს წარმოადგენს და აქ შეუძლებელია მისი სრული

გარკვევა: ოღონდ, ერთი კი უნდა აღინიშნოს. რომ ჩვენში Verse libre-ის აღმოცენება თანამედროვე ქართულ პოეტთა ნოვატორულ ძიებათა შედეგად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ლექსის ამ სახის საბოლოო დაუფლებისათვის კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ამისთვის ყველაზე უფრო საჭიროა უშუალოდ ახლა მოქმედ პოეტთა კულტურული დონის ამაღლება.

წერის ტექნიკის სფეროში თანამედროვე პოეტთა ნოვატორულ ძიებაზე ლაპარაკისას შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მეცხრამეტე საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად დაიბეჭდა და ამაღლდა რითმა. აი; წმირად როგორი სახის რითმებს ვხვდებით ძველ ლექსებში: თავზედა-გზაზედა, ძვალზედა-მკლავზედა, ტყეშია-ხელშია-მათარახებშია, მაწვება-გამოგვადგება, მწვერვალზედა-ღეღამიწაზედა, ტყენი-ფრინველნი, კვლება-ესალამება და ა. შ. ქართული ლექსის ნაციონალური (რუსთაველური, გურამიშვილისებური, ხალხური) ბუნებიდან გამომდინარე გალაკტიონ ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ და კიდევ სხვა პოეტებმა ძირფესვიანად განახლეს მეორე საუკუნის ლექსის რითმა. მეორე საუკუნის პოეტები ხმარობდნენ და ხმარობენ წინაპართა მიერ გამოუშვებულ თითქმის ყველა სახის რითმას: დაწყებულს ვაჟურიდან და დამთავრებულს მეორე პეონური (ჰიპერდაქტილური).

თანამედროვე პოეტებმა დაბეჭდეს ასონანსური და კონსონანსური რითმების ხმარების კულტურა. ყველასათვის ცნობილია, რომ ასონანსური და კონსონანსური რითმების „მოძებნა“ გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ჩვეულებრივი, ზუსტი რითმებისა.

ასონანსურ და კონსონანსურ რითმებს ხმარობდნენ მაღალმხატვრულად ისეთი პოეტები, როგორებიც იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვები. ამიტომ, ზოგადად, XX საუკუნის ნიჭიერი პოეტთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის

ფაქტი, რომ ჩვენს დროში საგრძნობ-
ლად ამალდა და დაიხვეწა რითმის
ფუნქცია და მისი ხმარების ელტურა.
კიდევ ერთი ნოვატორული ნაბიჯი
თანამედროვე პოეტებისა: მათ განავი-
თარეს მეცხრამეტე საუკუნეში თითქ-
მის დაეწყებას მიცემული ალიტერა-
ციული ხერხი პოეზიაში. ალიტერაციას
ვხვდებით ჯერ კიდევ ჩვენს პიმონგრა-
ფიულ ნაწარმოებებში, შემდგომ შო-
თა რუსთაველთან:

მაგალითად:

„ზახილი მესმა, შეეხედენ,
მოყვებ ამაჟღად ყოიდა...“

ან, კიდევ:

„ნახეს და ნახვა მოუნდა
უცხოთა სანახავისა“.

ალიტერაციას ვხვდებით დავით გუ-
რამიშვილთანაც, ბესიკთანაც, მაგრამ
მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაში იგი
დაეიწყებას მიეცა. გურამ ასათიანი
სწორად აღნიშნავს, რომ „თუ, მაგალი-
თად, ისეთი პოეტების შემოქმედებაში,
როგორც ილია ქავჭავაძე და აკაკი წე-
რეთელი იყვნენ, ალიტერაციული ბგერ-
წერა წარმოადგენდა იშვიათობას, ჩვე-
ნი დროის პოეზიამ არა ერთი შესანიშ-
ნავი მაგალითი მოგვცა ამ მხრივ“-ო.
თანამედროვე ლექსის და, საერთოდ,
ლექსის ერთ-ერთ დიდ სამკაულს წარ-
მოადგენს ალიტერაცია. ლექსი ემო-
ციური ხდება, როდესაც იგი გაცოცხ-
ლებულია თანხმოვანთა და ხმოვანთა
მოქნილი თამაშით. გავიხსენოთ ვალაჟ-
ტიონ ტაბიძის ლექსი „ცელი კივის“:

„ცელი კივის და ველები,
სურნელება დაღვა თივით,
თივას თიბვენ მთიბველები
ცა ლურჯია გუმბათივით...“

თვით „თივის“ ცნება, „თივის“ არსი,
თავისი სიმშრალითა და ფშვინეიერებით
ასოციაციურად მიგვანიშნებს თანხმო-
ვან „თ“-ზე. მესამე ტაეპში: „თივას
თიბვენ მთიბველები“, თანხმოვანთა

შორის ეს „თ“ დომინირებს და გრამა-
ტიკული მახვილიც ამ თანხმოვანთან
მყოფ ხმოვანზე მოდის, ექვემდებარება
თუნდაც ლექსი „რური“. ამ ლექსის
სათაურიც თხოულობს უკვე იმას, რომ
მთელ ლექსში ერთგვარად გამოყოფი-
ლიყო თანხმოვანი „რ“ და, მართლაც,
ლექსი ასე იწყება.

„რური! რამდენ რამეს ამბობს...“

როდესაც ვალაჟტიონის ლექსის „ქა-
რი ქრის“ საოცარ მუსიკალობაზე
ჩამოვარდება სიტყვა, უნდა აღინიშნოს,
რომ ამ ლექსის მუსიკალობას ქმნის
არა მარტო გამოკვეთილი რიტმი, არა-
მედ ქარბი ალიტერაცია; ყოველ
სტროფეს, თითქმის ყოველ ტაეპს ეღე-
რადობას აძლევს თანხმოვანი „რ“.

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ...
როგორ წევს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს...

ოლონდ, ზოგიერთს არ ეგონოს, თით-
ქოს ნამდვილი პოეტი ხელოვნურად
ანიჭებს ლექსს ალიტერაციულობას.
ნამდვილი პოეტის ლექსებში ალიტე-
რაციული ბგერათათამაში თვითმიზნური
ძიება კი არ არის, არამედ, ინტუიტური
მიგნება: თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩა-
ნაფიქრის ემოციურობა, რიტმი, მელო-
დიკა მოითხოვს ამა თუ იმ ტაეპში, ან,
თუნდაც მთლიანად სტროფში ალიტე-
რაციულობის შეტანას და ასეთ შემთხ-
ვევაში ალიტერაცია ქვეცნობიერად
იბადება.

წინა თქმულიდან აშკარად ჩანს, რომ
მეოცე საუკუნეში პოეტებმა დიდი მუ-
შაობა ჩაატარეს ლექსის ზემოთხსენებუ-
ლი ოთხი შემადგენელი ელემენტის: სი-
ტყვის, წინადადების, რიტმისა და რით-
მის დახვეწისა და სრულყოფისათვის.
მათ უდავოდ ამაღლეს ლექსის წერის
კულტურა, რაც მომავალში კიდევ უფ-
რო ამაღლდება და დაიხვეწება.

ფოლადის ქალაქის ქრონიკები

ალეკო შენგელიას პირველი ლექსი 1928 წელს დაიბეჭდა. მას შემდეგ განვილიშა დრომ, ბუნებრივია, ა. შენგელიას პოეტური სიტყვა ახალი ენერჯითა და ფერებით აავსო. თვალსაჩინოდ გახარდა და გამოაუღინა პოეტის შემოქმედებითი პოტენცია. ამის ნათელი დაჯასტრებაა „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“, რომლის სტიქონები მკვეთრად გამოხატავს მეტალურგიული გვიანტის მშენებლობის გმირულ სულს, მშვიდობიან შემოქმედებითი შრომის მოვლენარეუ პათოსს.

მშენებლობის თემაზე წერა ნიშნავს არა ტექნიკური პროცესების თუნდაც მხატვრულ ჩვენებას, არამედ იმ ადამიანების სულიერი სამყაროს გახსნას, წყაიხებას, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ დიდი სახალხო მიზნების განხორციელებაში. სწორედ ამიტომაც, რომ პოეტის ლექსები მიმართულია ჩვენს ისეთ სახელოვან მეტალურგებისადმი, როგორებიც არიან ბერიშვილი, უკლება და სხვები, რომლებმაც თავიანთი შრომითი სარეკორდო მაჩვენებლებით უკან ჩამოიტოვეს გეგმები და ენები. ამ ადამიანებში პოეტს ხიბლავს შრომის ჩუქრობელი ხალისი და ყოველივე ის, რაც მათ ჩვენი საზოგადოების რჩეულ წევრთა რიგებში აყენებს.

ალსანიშნავია, რომ ა. შენგელიამ ლექსებას ამ ციკლის დაწერამდე რამდენიმე თვე დაჟო რუსთაველი, რამაც მას შესაძლებლობა მისცა უშუალოდ ენება, ეგრანო და ვანცადა გმირული შრომის ის მომხიბლავი რომანტიკა, რომელიც განუყოფელია მეტალურგთა ცხოვრებისაგან და რომელმაც პოეტი შთაგონების ცუცხლით აღინთო.

„ფოლადის ქალაქის ქრონიკები“ იხსნება ლექსით „პოსტან-ქალაქი“, სადაც პოეტი გავრით, მაგრამ წარსტლისადმი გულწრფელი სიყვარულით ლაპარაკობს იმ შეუპოვარ ბრძოლებზე, რაც საქართველოს ამ უბედულ ქალაქთან ვადახდენია და რის მიწმედაც დგას რუსთავის ციხის ნანგრევები.

დრომ განვლო, შეიცვალა სინამდვილე და რუსთაველ-ქალაქიც აღორძინდა. რუსთავის აღუგენა, ფოლადის ქალაქის დაბადება ერთ-ერთ

განსაცუფრებელი ნაყოფია საბჭოთა ხალხთა გმირული შრომისა. ეს ფოლადის გვიანტი, რომელიც პირველია რომანშენდგომი ზუთწლედისა. მკაფიოდ დაღაღებს იმ ძმურ შეგობრობაზე, რაც საბჭოთა ხალხებს შორის მტკიცედ და სამუდამოდ ჩამოყალიბდა. თავიდან ბოლომდე ამ მაღალი გრძობითაა გამთბარი ლექსი „ქრონიკები“ ქართული ენება და უქრანული კორთბოდილი სამაშელო ომში ერთად უშეკავებოდნენ გერმანულ ფაშისტებს, ხოლო მტერზე გამარჯვების შემდეგ მათი ვეკაცური შემაართება რუსთავის უდაბური ველის მკუდროებს არღვეეს და საფუძველს უყრან ქართული ფოლადის კერას.

თუ რუსთავის ზრიოკ ველზე გაკეთდა და კეთდება ის, რაც ერთ დროს ოცნებათაც ძნელი წარმოსადგენი იყო, ეს შხილოდ ხალხისა და პარტიის მტკიცე ერთიანობის, საბჭოთა ადამიანების გმირული შეუპოვრობისა და თავდადების ნაყოფია. ჩვენს პოეტსაც ამან შთაგონა წრფელი და მართალი მიღწერები ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მშენებლობაზე, რომლის მონაწილენიც თავიანთი სპეტაკი სულით და პატრიოტული შემაართებით ახალ-ახალ ბრწყინვალე ფურცლებს წერენ ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლის სახელოვან მატინაში:

წერ გათენების არ ისმის ჩქამი
და ამ დამეშიც არ სძინავს ფოლადს,
ფოლადის ღუმელს არ ძინავს ღამით,
ციცხლი ვუგუნებს და ცაში ბოლავს.

წერ გათენების არ არის ფამი,
და ღამეს მაინც არა აქვს ძალი,
ფოლადის ღუმელს არ ძინავს ღამით,
ღამით არ ძინავს ფოლადის ქალაქს.

ვევლგან, ყოველივის, დილით და ღამით,
სადაც კი ჩვენი ღროშა ანთია,
მომავალს ჭედავს ყოველი წამი
და იგი დროშა არის პარტია!

ამ სტიქონებში პოეტი ვაღმგოვეცებს უზომო აღტაცებას, რომელსაც მასში იწვევს პარტიის მშობლიური მზარუნველობით ვარემოსილ ფოლადის ქალაქის გმირული შრომა, რაც დიდულ ზრდის სახალხო დოკლათს კიდევ უფრო

ძლიერსა და შეუვალს ზღის დიად სოციალისტურ სამშობლოს.

აღბათ, განახავთ დამე მრავალი, და ეს დამე კი უცხო რამ არის, გავარჯჯარებულ ფოლადის ფერი, რიყრავისფერი, ყაფხაბისფერი.

შეღამე... ქალაქში ჭერაც რკინის და ცეცხლის არ ცხრება იმი. დამეში ორი ნათელი ვლავს ფოლადის ქერა და ქალაქკომი.

ეს პეიზაჟი, გასული საუკუნის მწერლობისათვის უცხო, დღეს ახალ-ახალი პოეტურა შთაგონებით განსახიერებელი, ჩვენი ეპოქის, ინდუსტრიული ქალაქის პეიზაჟია, იმ ქალაქისა, სადაც ხალხთა მშვიდობისა და სიმტკიცის ჭეშანი იქედება და სადაც შხის ამოსვლას ფოლადის ცეცხლის სინათლე აწერებს. მასში მყოფი ჩვენს ფოლადის წრთობის, როგორც სოციალისტის დიადი რომანტიკის მთელი სიღამეზე, დამესაც რომ ნათელი ფერებით ავსებს. ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა გრანდიოზულმა ცვლილებებმა, სოციალურმა ძვრებმა ნიდავი გამოაცალა „სევედის დამის გამო“ და დღევანდელი და დამეც ჩუქრობელი სინათლითა და სინარტული, ხალხიანი ცხოვრების სენთქებით აავსო. აი ამ ლექსის ლეიტმოტივი, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს „ფოლადის ქალაქის ქრონიკებს“.

საუფრადღებო მხატვრული გააზრებით გამოირჩევა ლექსი „საბჭოთა ადამიანის დრო“, რომელშიც პოეტი ხაზს უსვამს იმას, რომ ხალხთა ბედნიერებისათვის შებძოლ დაუღალავად მომუშავე ადამიანს, ადამიანს, რომელსაც ვაძინდა დიდი მოვალეობისა გრძობა, ყოველი წუთი ძვირად უღირს. ასეთი ადამიანის გულს შედარება საათის ისრთან, რომელიც ბრძოლის წუთებს მტკიცედ და შეუჩვენებლად ითვლის, ღრმად პოეტური და მეტყველია:

მებრძოლის საათი გულია და გულში ნაზრეე-ნაფიერი. აბიტომ საათს ნუ იკითხავთ, აბიტომ იკითხვთ გრაცხივი.

ყოველ წუთს, ყოველ დღეს, ყოველ დროს დიადი მიზანი დანათის, — გამტკიცდეს, დამკვიდრდეს მარადის დრო, ხალხთა მრავალგზის ნანატრი.

ა. შენგელიამ „ფოლადის ქალაქის ქრონიკებში“ შესწავლია საბჭოთა ადამიანების ინდუსტრიული შრომის პათოსის გადმოცემა, რაც იმით აიხსნება, რომ პოეტმა შეიგრძნო ახალი ყოფის მფიცხევა, ე. ი. რაც არსებითია ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობაში.

ტემპირიტი შემოქმედი ყოველთვის საზოგადოებრივი აზრის საყვირი, ხალხის ნება-პერ-

ვალს, ფაქრების, ტკვილებისა და სინარტულის გამოხატველი იყო და არის. ყოველი მწერლის შემოქმედების შეფასებრივ უნდა გამოვლიოვთ იქიდან, თუ რამდენად უმასტერებს იგი ხალხის ინტერესებს, რაოდენ არის მისი შემოქმედება გამსჭვალული თანამედროვეობის სტლისკვეთებით და რაოდენ აღაფრთოვანებს მისი ნაწარმოები ადამიანს ბრძოლასა და შრომაში, სწორედ ამ მხრივაცაა აღსანიშნავი ა. შენგელიას შემოქმედება. მისი ლექსები თანამედროვე ცხოვრების აზრითა და შინაარსით სენთქავს საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის ხალხითა და პათოსით, მშობლიური მიწა-წყლის განუზომელი სიყვარულით არის აღბეჭდილი. პოეტი ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ, იმ თეფრ აყვანს, დედაჩემის კოსტურ თვალებს, ვფიცავ მიწას, ვაყვას გულზე დაყრილ მიწას, რიყრავს ვფიცავ, ნისლებში რომ იფერმტკობლებს: თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს ცალ ასაროლილ.

წაუპარა ყორნისფერი დამე შიმივე, ამოეწავლო ხმალი ვლავით ანაეროლი, ვარსკვლავებით მოხატულა, მოციმიციმე. თუ დავეცე, ნუ მიტრებთ დანანებით, ნაღველს გულში არასოღეს გავეცლებდი, საქარაველოს ღამზებო, მანანებო, დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები..

ამ სტრიქონებში სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებს ვაქაყურ ფიცად გაისმის საბჭოთა ადამიანების ფიქრები და გრძნობები. მთელი ლექსი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაა გამსჭვალული და აღ შენგელიას საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. სამშობლოს თემა ჩვენი პოეტების სტრქივა იყო და არის, ჩვენი პოეტიის მთავარ მოტივს შეადგენს. სამშობლოს სახელოვანი წარჩული აღბეჭდილა პოეტის შემოქმედებამში:

გული დამაქვს სიყვარულით განახელი, მყვარებია... პო, ცრემლებიც მყვარებია: ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი ხანჯალივით გულში გამიბარებია...

მაგრამ სულ სხვაა სამშობლოს აწმყოს, მისი დიადი თანამედროვეობის განცდა და, ამდენად, მისი პოეტური ასახვის ფორმიცაა. სოციალისტური სინამდვილის პოეტი მხატვრული სიტუების ქერაში ამუშავებს ჩვენი დღევანდელი სისხლსაცვე ცხოვრების ისტორიულ მოვლენებს და მათ გამოსახატავად პოეტურ ლექსოცში ეძებს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად და ემოციურად გადმოცევენ ჩვენი ხალხის გმი-

რელი შემოქმედებითი შრომით გამოწვეულ სიხარულს:

დავალ, დავდივარ მე ბედნიერი,
ამ ზეიად მთებზე რბენა მოიხიდა.
მთვალა ვარ ჩემი ქვეყნის ივრით,
მზის ამბორითა, ზღვის ამბორითა!

როგორ იქნება არ იმავრო
და არ იმდროს დიჭრი გულსა,
რომ ხარობ, ცოცხლობ ადამიანი,
მკვიდრი შეოცე საუკუნისა!

ლექსები: „აგერია“ „უანა“, „სიმღერა სამ-
გორელი ქალიშვილისა“, „მწყემსის დაბრუნე-
ბა“, „უბრალო ღამე“, „დღეები“, „წყარო“
და სხვ. მხატვრული კონკრეტიზაციის ცხოვრე-
ბის ფერხელში ჩამდგარი ადამიანის მაღალი
მაჟორული განწყობილებითა. ამ ლექსებში ადამ-
იანის, ერთი მხრივ, ბუნების მეუღეა, ხოლო,
მეორე მხრივ, ცხოვრების ბატონ-პატრონი,
ახალი ყოფის მშენებელი. პატარა წყაროზე
დაწერილი ლექსიც კი პოეტს იმგვარად აქვს
ვაიზრებული, რომ მასში მკვერმეტყველო
მხატვრული სახეებითაა გადმოცემული ჩვენი
თვალწევდენელი სამშობლოსადმი უსასღვრო
სიყვარული:

თქმეა მოვსტლვარ ახლა პირველად,
წინათაც თითქოს მინახავს ხშირად,
თქმეც წარმტაცია გასაკვირველად,
არ მეუცხოვია, არ გამაკვირვია.

არ მეუცხოვია, რადგან ვიციანი,
აქ ხომ სიცოცხლეს შემდგარს ყოველი.
და ეს ლურჯთვალა, წყაროც ცინცხალი,
თეთი სიცოცხლეა დაუტყობელი.

მე დიდხანს ვიდექ მღელვარე მის წინ.
შემდეგ — წყაროს წყალს ტუნებით
დაეწვდია,
მე ვეამბორე სამშობლოს მიწის
უცდავ სიცოცხლის პატარა ნაწილს.

ლექსში „გრივოლ სულხია“ პოეტს ნატყეს
სამშობლოსათვის თავდაუხებელი მეომრის
შთაბავონებელ სახეს. ხოლო „დღეები“
გადმოცემულია ის ტკივილები და სევდი, რაც
იმმა ჩვენს ადამიანებს მოუტანა. ლექსებში
„ჩემი კომპაგნიონი“ და „პირველი კრების ვახ-
სენება“ — ნათელი სხავევით ჩამდგარა სიხარუ-
ლი იმ ადამიანისა, რომლის იდეური აღმზრდე-
ლი და გზის მანვენებელი სახელოვანი კომპაგ-
ნიონი იყო:

რა დამაეწეებს, რა დამაეწეებს,
ნულარც დამცხრალა გულში ქარბუქი.
ახლა ამ დღეებს სიმღერით ვიწყებ,
რომ სიმღერაშიც დავრჩე ქაბუქა.

პოეტს თავისებურად აქვს დანახული სოფ-
ლის შემოღვომის სურათები („სიმინდის რჩე-
ვა“) და შრომით გატეხილი სოფლის უბრალო
ღამე, ისეთი ღამეც, როგორიც, ერთი შეხედვით,
თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ პოეტის თვალ
მას კარგად ამჩნევს და უმღერის იმ ენთუზია-
სტი ტრაქტორისტი ქალის მუყათობას, რომე-
ლაც სამშობლოს საყეთლდელოც, მშობლის
საყეთლდელოც შრომას დამითაც აგრძელებს.
მან იცის, რომ მისი ნათლარი ხალხის საგან-
ძურს ამდიჯრებს, ქვეყნის დოვლათს ზრდის.

პოეტს დავეიწყარი ფერებით აქვს დაბატე-
ლი — ამაღლებული სენეა, სადაც გადმოცე-
მულია თერ როგორ შეიფარა მან მონადირის
შიერ დაწერილი შველი. ვანსაკუთრებით ამაღელ-
ვებელი და საგულსმზოა ლექსის („შველი“) ფინალი:

ეს ვეიციან, ვანიფანტენ ნისლები.
აღღრტულდენ ბალახები სველი,
მე და შველი ცეცხლის პირას ვისხედით,
მე ეტიროვია, მამშვიდებდა შველი.

ამ პატარა ლექსში იმდენი ადამიანური
გრძნობაა ჩაქსოვილი, რომ იგი გაწვდებოდა
ერთ დიდ ნაწარმოებს. ამაშია ა. შენგელას
ლირიკის ღირსება.

3. პარტინიძე

ფრ. შილერის რჩეულის სამტომეული

ამ ათოთდე წლის წინ თარგმნილი მხატვ-
რული ლიტერატურა, შეიძლება ითქვას, სან-
თლოთ საქმენი იყო წიგნის ბაზარზე. რაც დრო
ვადის სულ უფრო და უფრო იზრდება მით-

ბოენილება ასეთ ლიტერატურაზე და ამ მოთ-
ხოენილებასთან ერთად იზრდება მათი რაოდენ-
ობაცა და ხარისხიც. ახლა წიგნის მოყვარე-
ლთა ბიბლიოთეკას აწმევენებს მსოფლიო ლი-
ტერატურის კლასიკოსთა და თანამედროვეთა
როგორც ცალკეული ნაწარმოებების თარგმ-
ნები, ასევე ტომეულები. მათ შორისაა: დე
ტოლსტოის, მ. გორკის, ა. ჩეხოვის, ივ. ტურ-
გენევის, შექსპირის, შილერის, ჰემინგუეის და

ფრედრიხ შილერი, რჩეული თხზულებანი სამ
ტომად, „საბჭოთა საქართველო“, ტ. II 1962,
ტ. III 1965.

სათავდასაყლო ბიბლიოთეკის სერიაში ლამაზად გამოცემული წიგნები. რასაკვირველია, უფრო მეტი რაოდენობით გამოდის ქართულ ენაზე ამა თუ იმ მწერლის ცალკეული ნაწარმოებები, უკვე თითქმის კანონად იქცა: დღე არ გავა ისე, რომ წიგნის თაროდან ახალი თარგმნილი წიგნი არ მოვაწოდონ. ეს თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ვარაუდობა, როცა ბიბლიოთეკის ამა თუ იმ მწერლის აკადემიურად სრულყოფილი გამოცემა ემატება, თუნდაც ეს მწერლის რჩეული თხზულებებით შემოიფარგლებოდეს.

ამთხა რიცხვს ეკუთვნის გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ფრ. შილერის ჩრქეული თხზულებების გამოცემის დაგვირგვინება. როგორც ცნობილია, ფრ. შილერის ნაწარმოებებს ქართველმა საზოგადოებამ დიდიხანა ეყრდნობა მიჰქცია და ჯერ კიდევ ვასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დაიწყო გერმანული მწერლის საუკეთესო შედევრების თარგმნა. ეს ტრადიცია შემდგომში თითქმისაც განაგრძეს და დღეს ჩვენ ქართულ ენაზე ხელთა გვაქვს ფრ. შილერის ნაწარმოებების საკმაოდ დიდი მოცულობის სამი ტომი.

ფრ. შილერის ქართულ თარგმანებზე სტუდასტვა დროს უამრავი წერილი და რეცენზია გამოქვეყნებულა. ამ სამტომეულში თავმოყრილ ზოგიერთ ნაწარმოებებზედაც ბევრი რამ დაწერილა, როცა ის ცალკე წიგნად გამოვიდა. დაიწერა, აგრეთვე, სამტომეულის პირველ ტომზე. ამჭერად ჩვენ გვსურს მოკლედ მიმოვიხილოთ შილერის სამტომეულის მეორე და მესამე ტომში შესული ნაწარმოებები, რომელთა თარგმანები ეკუთვნის ვ. ბერეჟკელს, ა. გელოვანს, ვ. ნადირაძეს და ვ. ჭორჩანელს.

პირველ ტომში წარმოდგენილი იყო ფრ. შილერის ლექსები, ბალადები და სამი პიესა: „უჩაღლები“, „ფესკოს შეთქმულება გენუაში“, და „ვერჯოვა და სიყვარული“.

მეორე ტომში შესულია მხოლოდ დრამები: „დონ კარლოსი“, „კლემენტინი“, და „მარიამ სტიუარტი“. მესამე ტომში: „ორღინელი ქალწული“, „მესინის სარძლო“, „ეილჰელმ ტელი“, „წერილები ადამიანის ესთეტური აღზრდის შესახებ“ და „მეამიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“.

პირველ ტომს თან ერთვის ფრ. შილერის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ დაწერილი ძალიან ვრცელი და ამომწურავი ნარკვევი, რომლის ავტორია დ. ლაშქარაძე. სამივე ტომს დართული აქვს დაწვრილებით შედგენილი შენიშვნები (ავტორი დ. ლაშქარაძე), რომლებშიც გადმოცემულია ამა თუ იმ ნაწარმოების დაწერისა და გამოქვეყნების მოკლე ისტორია, მინაარსი და გამომცემლის სტრუქტურა, რომელთა

რაოდენობა ერთეულებითა და ათეულებით კი არ განისაზღვრება, არამედ ისეულებით. ამ შენიშვნების საერთო რაოდენობა დაახლოებით: სამივე ტომში 8-10 საავტორო თანხისა რაოდენობისა იქნება, თუ მეტი არა, და თუკი ვინმეს ასეთი სიხის შენიშვნების შედგენაზე უმუშავნია, მიხედვება, რამდენი ძალა, ენერჯია და ცოდნა სჭირდება, ასეთი „უმნიშვნელო“ შენიშვნების შედგენას, რაც ამ წიგნებში დიდი გუნდისურით და რედაქციებითაა შესრულებული. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ დ. ლაშქარაძის წინასიტყვაობაზე (იხ. მნათობი 1961, № 10). როგორც ვხედავთ, მთარგმნელებისა და სამტომეულის რედაქტორის დ. ლაშქარაძის ერთობილება საქმიანობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო და ახლა ქართველ მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ფრ. შილერის ჩრქელ ნაწარმოებთა სამტომეულის აკადემიური გამოცემით. ჩვენ შევეძლია სამტომეულში თავმოყრილი მასალის საფუძველზე გავცნოთ დიდი გერმანელი მწერლის მრავალფეროვან შემოქმედებას, ლექსებს, ბალადებს, დრამატულ ნაწარმოებებს და ესთეტურ-ფილოსოფიურ წერილებს.

ამ რამდენიმე წლის წინ ფრ. შილერის სამტომეულის პირველი ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით ვწერდით, რომ სასურველია წიგნის გამოცემებშია გაითვალისწინონ და ფრ. შილერის მხატვრულ ნაწარმოების თარგმანებთან ერთად მკითხველებს მწერლის კრიტიკულ-ესთეტური წერილების თარგმანებიც მიაწოდონ-თქო. და აი, ფრ. შილერის ჩრქელი თხზულებების მესამე ტომში შევიდა მწერლის „წერილები ადამიანის ესთეტური აღზრდის შესახებ“ და „მეამიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“ (მთარგმნელი კარლ ჭორჩანელი).

წელია საითითოდ შეგხო ფრ. შილერის სამტომეულში შესულ ნაწარმოებების ქართული თარგმანის აკვარჯიანობას, ეს ჩვეულებრივი რეცენზიის ფარგლებს სცდება, მითუმეტეს, როგორც ზეით ვთქვით, ცალკედ თარგმანებზე სკამოდ დაიწერა, მაგრამ თარგმანების წაკითხვისას ერთი რამ ცხადი ხდება, ვეღა თარგმანი, ლექსია იგი, ბალადა, თუ დრამატული ნაწარმოები, ქართულ თარგმანებში ავტორის მხატვრული კონცეფციისთვის დამახასიათებელი იდეური ნაწილი სწორადაც გავებულა და ქართულად გადმოღებული. ისინიშნავია ისიც, რომ მთარგმნელებს ამ ახალი გამოცემისათვის თარგმანები გაუსწორებიათ. (საფიქრებელია, ადრე მიღებული სათანადო შენიშვნები და მითითებები მთარგმნელებმა სამტომეულის გამოცემისას გაითვალისწინეს). ამ თარგმანების ეარგისინობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფრ. შილერის დრამატული ნაწარმოებები („უჩაღლები, „ეილჰელმ ტელი“.



„მარიამ სტიუარტი“, „ვერავობა და სიყვარული“) ქართული ეროვნული თეატრალური რეპერტუარის განუყოფელი ნაწილია. ქართული თეატრის ისტორიაში დიდი ადგილი უკავია შილერის დრამებს, რომლებზედაც ქართველ რეჟისორებსა და მსახიობებთან ერთად თაობები აღზარდნენ.

თარგმანებიდან მოკლედ გვსურს შევხებით ფრ. შილერის თეორიულ ნაწარმოებებს — „წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ და „მეამბიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“. ამ წერილების დაწერას ისტორია შენიშვნებში დაწვრილებითაა მოთხრობილი, მკითხველისათვის საინტერესო იქნებიან, რომ ემანუელ კანტის ფილოსოფიის მიხედვით შილერის მიერ ნაშთკალიბებელი საყვარელი ესთეტიკური შეხედულებანი, მწერლის სიცოცხლეში არ გამოხელა, იგი გამოქვეყნდა მხოლოდ 1876 წ.

„წერილებს ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ ფრ. შილერის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ვარდა იმისა, რომ შილერი ამ ნაშრომით ჩვენ გვეცვლინება დიდ მოაზროვნედ და ფილოსოფოსად, აქვე თავს იჩენს

მწერლის მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობრიობა.

ხოლო, რაც შეეხება ფრ. შილერის ნაშრომს „მეამბიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“, რომელიც ზემოხსენებული თეორიული ნაშრომის პარალელურად იქმნებოდა, სამართლიანად ითვლება მწერლის „ესთეტიკურ ნააზრევთა შემაჯამებელ ნაშრომად და მის უმაღლეს მწვერვალად“.

ეს ორი საკმაოდ მოზრდილი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნაშრომი შესულია შესაბამე ტომში და, მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, შესრულებულია საქმის დიდი ცოდნითა და გულისფრთხილად. ასეთი ნაწარმოებების თარგმანა საერთოდ სასარგებლოა, მითუმეტეს, როცა ასეთი ნაშრომებით საერთოდ არც თუ ისე განებივრებულნი ვართ. ფრ. შილერის თეორიული ნაშრომების ქართულ თარგმანზე ერთი რამ შეიძლება ითქვას, ეს თხზულებანი თავიდან ბოლომდე ნათელი სტილითაა თარგმნილი.

ფრ. შილერის სამტომეულის გამოცემით დაგვიარგუნდა კიდევ ერთი საშვილშვილო საქმე, რომელიც ამავე დროს იმის სრული იმედო და თავდებია, რომ ახლო მომავალში ვიხილავთ კლასიკური ლიტერატურის სხვა კორიფეების ნაწარმოებთა ასეთ აყადმიერ გამოცემებს.

6. რუხაძე.

რომანი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე

ა. ზელაშვილის რომანი „შვიდკაცა“, რომელიც ამასწინათ გამოცემა „ლიტერატურა და ხელოვნება“ — დაუმთავრებელი დარჩა. ცხადია, ძნელია იმის მტკიცება, თუ საბოლოოდ როგორ სახეს მიიღებდა აღნიშნული ნაწარმოები შთაბეჭდილად, და როგორ დამუშავდებოდა ცალკეული დეტალები, მაგრამ, მოუხედავად ამისა, აღნიშნული სახითაც რომანი დამთავრებული ნაწარმოებია, როგორც ამბის, ფაბულისა და სიუჟეტის, ისე ხასიათების ფორმირების მხრივ. მოქმედების განვითარების ძირითადი ტენდენციები, პერსონაჟთა ბედი რომანში ნათლად არის გამოკვეთილი, მკითხველისათვის სიცნაური ხდება ყველაფერი, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ა. ზელაშვილის უკანასკნელ რომანზე — „შვიდკაცა“

ა. ზელაშვილის მდიდარ მხატვრულ მემკვიდრეობაში, საერთოდ, თანამედროვეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მწერალი ხატავს დღევანდელიობის თვალწარმტაც სურათებს. ა. ზელაშვილის

გმირებმა ის აღმაინებია, რომლებიც აქტიურად აიიან ნაბმული წვენი ცხოვრებას ფერხულში და თავდადებული შრომის მაგალითს გვიჩვენებენ. ამ მხატვრულ ტროებზე ვაღმომცემელია სინამდვილე, ნაწვევებია ხალხის სულიერი სიძლიერე, მისი შრომისა და პრძოლის დიდი პეროიკა, ეპოქის სიახლე.

რომანში „შვიდკაცა“ ასახულია ახალგაზრდა თაობის ცხოვრება, მათი აღზრდისა და დაეკაცების რთული პროცესი.

როგორც ცნობილია, თაობათა ურთიერთობა ყოველი ეპოქის მტკიცეველ პრობლემას წარმოადგენდა. ისტორია იცნობს თაობათა დაპირისპირებისა და პრძოლის არაერთ შემთხვევას, არაერთ მაგალითს იმისა, თუ როგორ იყო გათიშული საზოგადოება ე. წ. „მამებად“ და „შვილებად“; საშკოთა საზოგადოებისათვის სავსებით უცხოა ასეთი წინააღმდეგობა, ასეთი დაპირისპირება. აქ, სადაც უღიდეგს ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, დაძლეულია წარსულისათვის დამახასიათებელი ეს მანკერება და მიღწეულია თაობათა ერთობა. რაც, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყნის წინსვლას:

ა. ზელაშვილი, „შვიდკაცა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

და გამარჯვების მტკიცე ვაჟანტაის წარმოადგენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფორმებზე. ჩვენი სახელგანთქანი ახალგაზრდობა მხარს უდგამ უფროს თაობას და თავდადებით იბრძვის ახალი მომავლის ასაშენებლად. ისინი მთელი შეგნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან წინა თაობის დიდებულ ტრადიციებს და თავიანთი სახელოვანი საქმეებით ამრავლებენ, წინ სწევენ ამ ტრადიციებს.

ა. ბელიაშვილი ახალგაზრდობის პედიოთა აღინტერესებულნი. იგი დიდი სიყვარულით გვადრობს იმ ჰაბუტებს. რომელთაც ცხოვრებაში გასასულიად მწელი გზა აირჩიეს — საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე მადაროს მიამხრეს და დიდი და რთული შრომის ფერხულში ჩაებნენ. ცხადია, შეუძლებელი იყო პირველი ნაბიჯების უმტკივნეულოდ გადადგმა. არჩევანის სიძნელემ ცხოვრებაში გამოუცდელი ახალგაზრდობის წინაშე მრავალი დამბრკობება შექმნა, რასაც თან ახლდა იმედგაცრუება, გულგატეხილობა და დროებითი უკანდახვევა. მაგრამ ენერჯია, მტკიცე ნებისყოფა საბოლოოდ ყველაფერს სძლევს და დიდ მიზანთან მიიყვანს ჰაბუტებს. თემის ასეთი ვადაჰრა საესებთ ბუნებრივად გვეჩვენება, იგი სინამდვილითაა ნაკარნახევი.

რომანის სიტუეტი არ არის რთული და მრავალპლანიანი. ამ უმთავრესად მოცემულია თავგადასავალი შვიდი მეგობრისა, რომელთაც სკოლაში შეიღაცა შეარქვეს. დამთავრდა გამოსამრეები გამოცდები, ჰაბუტებმა სიმწიფის ატესტატი მიიღეს, ზურგს უკან მიიხურა სკოლის კარები და უდარდელი ახალგაზრდობის პირისპირ აღმოჩნდა პრაქტიკული ცხოვრება მთელი თავისი სიართულით. უმეტესობისათვის ნათელი ხდება, რომ დიდ სარბილზე გასასულიად არ არის საკმარისი სკოლის მეტრზე მიღებული ცოდნა, ამავდროს კარგად იციან, რომ არჩეული გზა წინამდებლობებით, დამბრკობებებით არის სავსე, მაგრამ, როგორც ითქვა, ჰედს არ იღრევენ და ცდილობენ მოწინავე იყვნენ როგორც შრომაში, ისე სწავლაში. ასეთია, მაგალითად, ნოდარ ტყემალაძე, რომელიც ფაქტიურად რომანის მთავარი მოქმედი გმირია, სინუა, ნაწეუა და სხვ. მაგრამ მწერალი ერთ მხარეს როდი გვიჩვენებს. ახალგაზრდობის მეორე ნაწილს ვაწეზრახავს იოლად ვაივდეს ფონს და დროს კარტის თამაშსა და ლუბობაში ატარებს. ასეთია პიერკვადრატა, რომელიც ცდილობს სწორი გზადან ააციდნოს ნოდარი და მისი ამხანაგები. იგი თავიდანვე ცუდ წრეში, უსაქმროთა შორის მოხვედმა და მთლიანად იზიარებს მათ „ფილოსოფიას“ ცხოვრებაზე. ნოდარისა და სინუსის იგი ასე პასუხობს: „ვია, თქვენს პატრონს. არ მიგინიოთ საქმისათვის! მე მეგონა რაიმე ხერიან სამუშაოზე დადგენ-მეთქი, მაღაროში რა

მინდა. საშოფრო კერსებზე შევედი. სამ თვეში „პრავს“ მომიღემენ“...

პიერკვადრატა ახრბებს ^{მარკინენსკი} ცდილობს კვეშ მოიჭიკოს ზოგიერთი ახალგაზრდა, სინუსს სულ უფრო იცრებს გულს მუშაობაზე და იმის ნაცულად, რომ, ნოდარის, ცისანასა და სხვების მსგავსად, თავისუფალ საათებში იმეცადინოს და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე იზრუნოს, ნიშნის შოგებით მიმართავს სწავლით გატაცებულ ახალგაზრდებს: „იმეცადინეთ, იმეცადინეთ, მე გიბოლი თუ? იმეცადინეთ აგრე ერთი ექვს-შედი წელიწადს, მაგაზე ადრე დაუსწრებელი ჯერ არავის დაუშთავრებია, მეგრე დაგინშნავენ ათისთავად და ერთხეთ წელიწადში კიდევ, რასაც ახლა ლებულობ, იმის ნახევიარს დაგინშნავენ თვეში ჯამავირს. მეგრე, ერთი ათი წლის შემდეგ იქნება გელირსოთ მეზვიეს ხელუდსი. ამასობაში თმა ვაგვიცოვათ. ცოლის შერთვის დაამირებთ. მაგრამ შევიდი შვილი რომ ყუოლება გასაზრდელი, იმაზე ახალგაზრდა ქმარგაყირლის ან ჰერივის შერტი თქვენ არავინ გამოგვევებათ ცოლად, ისიც ყუოდრდე იმისთანა ალიოსა ვაგიმართავს სახლში, რომელ ტოტზე მიინდობოდა თავის ნამობრჩობას, ვარწვევაში არ იქნება“.

ეს სიტუეტი ვერ მოქმედებს ნოდარზე, ცისანასა და სხვა ჰაბუტებზე, რომლებიც ერთმანეთს კარგად უხამებენ შრომისა და სწავლის სიძნელებებს და უკან არ იხევენ არჩეული გზიდან. პირიქით, ეს ახალგაზრდები ეხმარებიან სინუსს თავი დააღწიოს პიერკვადრატას წრეს. თვით პიერკვადრატა, სხვა უსაქმრებთან ერთად, ნოდარის დაშურებით, მილიციის ჩაუეჯარდება ხელში და საკადრის სასქელს მიიღებს. ამ ნიდაგზე კიდევ უფრო ღრმადდება პიერკვადრატასა და ნოდარს შორის არსებული კონფლიქტი. ატორი ამ ერთმანეთს უპირისპირებს ორ ხსნათის: ერთი — არ უშინდება პატიოსანი სიძნელეს და საკუთარი მარჯენით, მართლსანი შრომით იბრძვის დასახელი მიშნის განსაზორციელებლად, ხოლო მეორე — არ ერიდება არავითარ შაქინაციებს, მრუდე გზას ადგას. პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა.

ამ შეჯახებათა ფონზე აშკარად იცეოთება ვერეშო. მკითხველი ხედავს, რომ აღნიშნული ვარემო, რომელიც დადებითია, ვარკვეულად არის დაპირისპირებული მანკიერებას. ეს, ცხადია, ჩვენი სინამდვილის საერთო ხასიათის პირდაპირ გამომხატულებას წარმოადგენს. ჩვენს სინამდვილეში, მართალია, ჯერ კიდევ გვხვდება მანკიერი მოვლენები, მანკიერი აღმანიები, რომლებიც მიღრევილებას ამტლავენებენ კარიგრისა და ხალტურისადმი, უპირისპირლებიან საზოგადოებას, პირად სურვილებს აყენებენ საზოგადოების ინტერესებზე მაღლა, მაგრამ მით არსებობა დღეშოკულა. ეს იმიტომ, რომ, როგორც ითქვა, საბჭოთა სინამდვილე ხელს კი არ

უწყობს ასეთი მოვლენის გაფორმებასა და განითარებას, არამედ ყოველმხრივ უპირისპირდება მას. სწორედ ეს ცხოვრებისეული კეშპირიტება სწორი მხატვრულ განსაზღვრებას პოულობს რომანში. პიერკეადრატასა და სხვა უსაქმურთა მოქმედებას უპირისპირდება არა ცალკეული ინდივიდები, არამედ მთელი საზოგადოება ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს რომანის დადებითი პერსონაჟების აქტიურობას. პიერკეადრატასთან კონფლიქტი ნოდარის მხარს უჭერს მთელი საზოგადოება. პიროვნებისა და საზოგადოების ასეთი ერთიანობა ხდება, თუ შეიძლება ითქვას, მთავარი დიქტორი თვით პიერკეადრატას მრულე გზიდან მობრუნებისა. მწერალი რომანში ყველგან უსვამს ხაზს გარემოს, კოლექტივის წამყვან როლს განსაკუთრებით ახალი თაობის აღზრდისა და სულიერი ფორმირების საქმეში. მართალია, ნოდარი და სხვა მის თანაგონებელთა უმრავლესობა ბეჭითად შრომობენ მღაღარში, მაგრამ როგორც კი რაიმე სერიოზულ სიძინელს წააწყდებიან და ნებისყოფა დაღატობთ, მაშინვე კოლექტივი გამოდის უანგარო მშველელის როლში.

ნაგადმოფარ ნოდარს დასასვენებლად სანატორიუმში აგზავნიან. აქ იგი აღმოჩნდება მსუბუქი ყოფაქცევის ქალის ლეტიციას სატრფიალო ქსელში. ქაბუკს გეიტაცებს როგორც ლეტიციას გაჩვენობა, ისე მისი სიმდიდრე. იგი მიატოვებს მღაღარს, ცოლად ირთავს ამ ფუქსავატ ქალს. მაგრამ მის განცხრომას მალე ეღუბა ბოლო: ამ სიმდიდრის ნამდვილი მფლობელი, ლეტიციას საყვარელი, ციხიდან იპარება და ნოდარის უზრუნველი ცხოვრება სიმშარბიით ტყუება. ზღმობარული, უაღბო ბედნიერებისაგან თავბრულახვეული ნოდარი გამოფხიზლდება და არწმუნდება, რომ ნამდვილი ბედნიერება მხო-

ლოდ პატოსან შრომითა, მხოლოდ ხეინობ კოლექტივითა და არა მზამზარეული, უკანონო ვნით შექენილ სიმდიდრეში, რომელიც ყოველთვის უკაცავს მოსვენებას მის მფლობელს. იგი დარცხვენილი ბრუნდება უკან, მღაღარში, და ამხანაგების ერთსულვანი ხელშეწყობით კვლავ შრომისა და სწავლის მოწინავეთა რიგებში დგება.

როცა კოლექტივის ქმედით ძალაზე ვლარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ პარმენი. მისი ბრივად მოწინავეა მთელს მღაღარში. პარმენი გულისხმიერი და კეთილი ადამიანია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებით ეკადება ახალგაზრდობის აღზრდას. იგი ერთდროულად აღმზრდელი და თანატოლია, რომელსაც უნარი შესწევს ზედმიწევნით ჩასწვდეს ადამიანის სულის საიდუმლოებას.

მწერალი შეაკრად ილაშქრებს უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, საამქარაოზე გამოაქვს და ჰკიცხავს მათ. მაგრამ ეს არ არის პასიური, მკერეტლობითი მიდგომა ფაქტებისადმი. რომანში ნაჩვენებია, რომ ადამიანთა ინტერესების სადაარაოზე ფხიზლად დგას მართლმსაჯულება, რომელიც საყვარის სასწავლს მიუზღავს ყველი იმით, ვინც ცდილობს ზღმობის დოვლათის მითვისებას. ამ სიფხილემ ვახდა შესაძლებელი ლეტიციას საყვარლის კომბინატორული საქმიანობის გამოამქარავება და საზოგადოებისათვის საშიში ელემენტების ოზოლიაცია.

ა. ბელიაშვილი სიყვარულით ხატავს ახალგაზრდობის ნაბიჯებს ცხოვრების დიდ სარბიელზე: უმღერის მათ შრომისა და სწავლას, მათ ოჯახურ და საზოგადოებრივ წარმატებებს, რწმენით შებყურებს მომავლის ამ შეტურებს.



ქურნალ „მნათობის“ 1966 წლის

ნომრების შინაარსი

ფოტოშეიქმები, სარედაქციო ფირილები

ორგზის ორდენოსანი ჩვენი რესპუბლიკა. № 1

კარტია შთავგავანებს. № 4

მწერალთა ურილობის წინ. № 7

აბაშიძე ირაკლი — პოეტის უკვდავება. — მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს 30 სექტემბრის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. № 10

აბხ. ლ. ი. ბრეწვევი — სიტყვა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე. № 11

სსკპ ც. კ-ის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს შისაღმება აბხ. ლ. ი. ბრეწვევისადმი. № 12.

ბრძანებულება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აბხ. ლ. ი. ბრეწვევისათვის ხაზგოთა კავშირის გამორის წოდების მინიჭების შესახებ. № 12.

აბხ. ვ. პ. მგვანაძე — სიტყვა საქართველოს მწერალთა შეგკვესე ურილობაზე № 9

ვ. პ. მგვანაძე — მისასალმებელი სიტყვა სსრ კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირების გამკვეობათა გაერთიანებულ პლენუმზე. № 10

ვ. დ. გავიშვილი — სიტყვა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე. № 10

რუსთაველის საუბილეთო დღეების ქრონიკა. № 10

მოთხრობები, რომანები, პიესები, ნარკვევები

გვეგშიძე გურამი — უშმაკის მოსახვევი. მოთხრობა, № 2

გოგოლაძე თენგიზი — თავმჯდომარე. მოთხრობა. № 12

დონანაშვილი გურამი — მიხელი და ალექსანდრე. მოთხრობა. № 3

დუმბაძე ნოდარი — მზიანი ღამე. რომანი. № 1, 2

ვასაძე აკაკი — ქართველები ოკეანეში. ნარკვევი. № 3

ზედენიძე ელიზბარი — პირველი ბილეა. მოთხრობა. № 9

აკაბაძე პოლიკარბე — შეფე ვახტანგ პირველი. დრამა. № 5, 6, 7

აკლდიაშვილი სერგო — ბარველი — ლანდების კოლექციონერი. მოთხრობა. № 5, ობროლი. მოთხრობა. № 6

აკრნაბი ვიქტორი — ყინვარების და ნარინჯების ჭეყყანა. ნარკვევი. თარგმანი რეკვაზ ჭაფარიძის. № 4, 5, 6

აკურავა ოთარი — ლურჯი იების ზღაპარი. მოთხრობა. № 1

აკომიძე ანდრო — გორაზი. მოთხრობა. № 10

აკორთქიფანიძე კონსტანტინე — სიკედილი ცოტას მოიციდის. მოთხრობები. № 5

აკისურაძე ელიზბარი — დაკარგული ოცნება. რომანი, წიგნი მეორე. № 8, 10, 11, 12

აკრედიშვილი მიხელი — ცეცხლს მიეცე. მოთხრობა. № 9

აკრუა ილია — პალესტინის სიძველეთა შორის. ნარკვევი. № 9, 10

აკელინჯერი ჭერამი — სევედიანი სიმღერა. მოთხრობა, თარგმ. ვახტანგ ჭელიძისა. № 12

აკემერკენი იშტვანი — მოთხრობები. თარგმ. მ. იშტვანოვიჩისა და ა. ლეკიაშვილისა. № 10

აკელის მერბერტი — აღმავების ოატატი. მოთხრობა. თარგმანი ზურაბან გემაზაშვილისა. № 12

აკიჯავაძე ოთარი — თეიმურელები. რომანი. № 4, 5, 6, 7

აკილაია სერგი — ეკატერინე ჭავჭავაძე. ქრონიკა. წიგნი მეორე. № 7, 8, 10, 11, 12

აკილაძე თამარი — აბა, მიიწერა ზამთარი. რომანი. № 2, 3, 4

ბერგინი მირონი — მესტრის ტურბანის მეგზური. მოთხრობა. № 10
კორბენაძე ბესარიონი — ზეარაკი, მოთხრობა. № 8



ლექსები და პოემები

აბაშიძე ირაკლი — უსათაურო, ლექსი. № 1
აფხაძე შალვა — ციცილიდან „მცხეთის ხილვანი“. ლექსები. № 4
ბობოხიძე კალე — სამაისო სიმღერა. ლექსი. № 5
ველოვანი მირწა — გამოუქვეყნებელი ლექსები. № 5
ვეარიშვილი ნ. — ლექსები. № 3
გორგანელი ვახტანგი — ლექსები. № 6, ორი მზე. ლექსი. № 11
გუგუცოძე ალი — ლექსები. № 5
ეგვიბტური მიმინ — შხის საღებაველი. თარგმ. მანანა გიგინეიშვილისა. № 11
ერისთავი თამარი — ლექსები. № 11
კაკუაძე თენგიზი — ლექსები. № 11
კალანდია გენო — ლექსები. № 1
კალაძე კარლო — ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ლექსი. № 8.
კალევალა — ფინური ვპოსი, თარგმ. მუხრან შაქავერიანისა. № 12
კახიძე მელეა — უსათაურო. ლექსი. № 11
კაპახიძე ვიორგი — ლექსები. № 6

ღვინძე ვიორგი — ლექსები. № 3, ახლს მოიწი, სამშობლოს გულს. ლექსი. № 4

ღისაშვილი აკინთე — ლექსები № 3, რუსთაველის მირონი. ლექსი. № 11
ლორთქიფანიძე ზურაბი — სიმღერა ლენინის დღეებზე. ლექსი. № 4
ლორკა ვარსია ფედერიკო — ლექსები. თარგმ. თამაზ ჩხენკელისა. № 8
მარგინა რევაზი — ახალი ლექსების წიგნიდან. № 1, 2, 6, 7, ლექსი. № 9, ლექსების წიგნიდან „გამოღვიძება“. № 11
მირცხულავა ალიო — ლექსი. № 12
ნადირაძე კოლაუ — ლექსები. № 5, როცა ჩვენ ორნი პირისპირ ვრჩებით. ლექსი. № 10
სულაბერიძე ლადო — პაატა ლორთქული ფრავმენტები. № 2, ლექსები № 6, ლექსები № 10
სტურუა ლია — ლექსები. № 7
ტაუტჩიევი თევდორე — ლექსები. თარგმ. ხუტა გაგუასი. № 7
ქუთათელი ალ. — ზღვათან. ლექსი. № 4. ვახუშტის მობრძანება. ლექსი. № 8
უფლიაძე ვახტანგი — ლექსები. თარგმ. თეიმურაზ ჯანგულაშვილისა. № 8
შენგელია ალექო — დაბრუნება პირველ სიმღერასთან. ლექსი. № 10
ხარკიანი ქანსული — ლექსები. № 5, ჩემი კალენდარი. ლირიკული პოემა. № 8
ჩარავა ნიკოლოზი — ლექსები. № 1, ლექსები. № 8.

ჩიქოვანი სიმონი — უკანასკნელი ლექსებიდან. № 5

ქანტურია ტარიელი — ლექსები. № 6
ქილაძე თამაზი — ლექსები. № 12
ქილაძე ოთარი — სინათლის წელიწადი. პოემა. № 2
ქაბუშანიური ვაბრიელი — ლექსები. № 10
ქავახაძე ვახტანგი — ლექსები. № 5.

ორი დიდი თარიღის წინ

ბაკრაძე ოთარი — ლენინი, როგორც ფილოსოფოსი. № 4
ირემიძე აკია — სერგო ორჯონიძეზე რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს ზედმძღვანელი. № 10, 11
კოკია ალ. — გლეხკაცობის ბრძოლა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამდე. № 10

800 შორთა რუსთაველი 800

აბაშიძე ვახტანგი — შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები. № 1, „მართალია სამართლის“ ცნება „ვეფხისტყაოსანში“. № 8
ახათიანი ვურამი — „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტიკა. № 11
გაჩეჩილაძე ვიორგი — „ვეფხისტყაოსანი“ და რენესანსული კულტურის საკითხები. № 9
გოწალიშვილი შალვა — დავით ჩიქოტაძე უცნობი წერილები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. № 12

- დუღუნაია მამია — სინამდვილის მშვენიერება რუსთაველის თეატრისათვის. № 9
- ენციკლოპედიკი ივ. — ა. მურავიოვი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. № 9
- იმედაშვილი ვიოლა — ისტორიული სინამდვილე ვეფხისტყაოსანსა და „ივლიანის ლეგენდის“ ამბავში. № 7
- ინგოროვია პავლე — შოთა რუსთაველი. № 3
- მაისურაძე ილია — „ვეფხისტყაოსანი“ და მესხური პოეზია. № 8
- მესხია შოთა — საქართველოს სპინაო და სავარგო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში. № 9
- მეგრელიძე იოსებ — სამოციანელების ღვიწილი რუსთაველოლოგიაში. № 7
- მელიქიშვილი დამანა — იოანე პეტრიწის ენის თავისებურების ზოგიერთი საკითხი. № 2
- ნათაძე ნოდარი — „ვეფხისტყაოსანი“ და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი. № 3, რუსთაველი და ქართული რენესანსის პრობლემა. № 12.
- ნორაკიძე ვლადიმერი — ტარიელის „ველად ვაჭრის“ პრელუდია „ვეფხისტყაოსანში“. № 9
- პლატონი — მშვენიერებისათვის. თარგმ. ბერძნულიდან ბ ა ჩ ა ნ ა ბ რ ე ვ ე ა ძ ი ს ა. № 9
- ნუცუბიძე შალვა — არეოპატივის წყაროები. № 6
- ელენტი ბესარიონი — გენიოსი საცილობრიო პოეზიისა. № 9
- სურგულაძე ივ. — რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ. № 7, სავაზირო „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. № 12
- ურუშაძე ნათელა — ვეფხისტყაოსნის მხატვრული კითხვის ტრადიცია საქართველოში. № 7
- ყაიშიელი სარგისი — შოთა რუსთაველი. № 2, ვეფხისტყაოსანი. № 7
- ხინთიბიძე ელგუჯა — ერთი საკითხი რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებიდან. № 9
- ჩიქობავა არსოლდი — „ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. № 9
- ჩიბლაძე ვიორა — რუსთაველის პოეტიკა. № 8, 9.

მემორბანები აღიშვებები

- ემილიან ბუკოვი — როგორ გვეცანი შოთა რუსთაველს. № 9
- პეტრია დარდენკო — გენიოსის სიკაბუჯე. № 9
- იოსებ გრინბერგი — რუსთაველი გვესაუბრება. № 9
- პაშიდ გულიამი — ჩვენი საერთო მასწავლებელი. № 9
- ანტანას ვენცლოვა — „ვეფხისტყაოსანი“. № 9
- ლიუბოვ ზაბაშტა — ჩვენ ვართ შეოცნებენი. ლექსი. თარგმანი ზ. ბოლქვაძისა. № 9
- მირზა იბრაჰიმოვი — ჰუმანიზმის დიდი მომღერალი. № 9
- ვიტალი კოროტი — ჩემი დღესასწაული. № 9
- საბით მუჯანოვი, სავინგალი სეიტოვი — რუსთაველი ჩვენი პოეტიკაი. № 9
- ლევ ნიკოლინი — პოეზიის მწვერვალი. № 9
- რასულ რზა — ღრმად ეროვნული საცილობრიო ნაწარმოები. № 9
- ველამ სარიანი — ქართველი ხალხის გენიოსი. № 9
- ილია სელვინსკი — უბერებელი გენიოსი. № 9
- ნიკოლოზ ტიხონოვი — წყობილი მარგალიტი. № 9
- კონსტანტინე ფედინი — თანხმობრება. № 9
- ვახინ ყულიევი — სიმღერა მიწერ სილამაზზე. № 9
- პედერ ზუნანგაი — როცა რუსთაველს კითხულობ. გამარჯობა. საქართველო — ლექსი. თარგმანი ზ. ბოლქვაძისა. № 9.

პირბიპა, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, კვალიკაცია, მაცნიბრება, კვალიციბრება, ხალომენბა

- ბაქრაძე ავ. — თარგმანის მალალი კულტურისათვის. № 12
- ბერიძე ფილაძე — ლირიკული ვიბრის პრობლემა. № 8
- გაჩეჩილაძე ვივი — ჟონ გოლზუორთი. № 5, 7
- ვერდწიოევი გურამი — მენიშენები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. № 4, 5, სამი აკტორი, სამი რომანი. № 8
- ვასაძე აკო — თანამედროვე ლექსის წერის კულტურის საკითხები. № 12
- თევზაძე დ. — თანამედროვეობის პრობლემა ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში. № 2
- კალანდაძე ლავროსი — პოეტი და მისი რამდენიმე მოტივი. № 6

საქართველოს
ბიბლიოთეკა

- კანკავი გურამი — ქართული კომედიოგრაფიის ერთი ნიმუში. № 3, გვირი და რომანი. № 15
 კეტიანიშვილი ეშვარი — უტყუარი მოთხრობები. № 10
 კლდიაშვილი სერგო — ღებნა შენგელაია. № 6
 კოტეტიშვილი ფარნაოზი — ქართული რომანის სათავეებთან. № 1
 ლომთაძე ტ. — მშვენიერების გრძნობა ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. № 12
 მიქაძე ნ. — ლაღო გუდიაშვილის ათას ერთი ლამე. № 2
 მურავიოვი ა. მ. — ჩემი დღიური. № 1
 ნუცუბიძე აპოლონი — „სახალხო კაპიტალიზმის“ ბურჟუაზიულ-რევოლუციონისტული თეორიის კრიტიკა. № 3
 რადიანი შალვა — მხატვრული სიტყვის ოსტატების ნახაზები. № 3
 რატიანი პროკოფი — ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციის საკითხისათვის. № 11, 12
 სულაბერიძე შოთა — იოსებ ნონეშვილის პოეზია. № 7
 ყიასაშვილი ნყო — „ცნობიერების ნაყადის“ ლიტერატურა ინგლისში. № 4
 ღლონტი აღ. — ახალი თეორია სონანტთა და აბლაუთის შესახებ ქართველურ ენებში. № 8
 შამათავა პეტრე — პოეტი-მეომარი. № 6
 ჭელიძე ვახტანგი — ერეკლე ტატიშვილი. № 5
 ზუხაშვილი გიორგი — ადამიანები და მიწა. № 1

ჩვენნი მცნებები

- ვერტიშვილი დავითი — ივანე ჯავახიშვილი. № 6
 ლომოური ნოდარი — ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის დაუცხრომელი ამგდარი. № 1
 რატიანი პროკოფი — ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისათვის. № 6
 ჩანერძიძე ნოდარი — გიორგი ჩუბინაშვილი. № 3

წარსულშიან

- ლორთქიფანიძე ოთარი — ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. № 3
 ჭავთარაძე სერგო — დღეები პარიზში. № 4

სხვადასხვა

- ორლოვსკაია ნატალია — ცნობები ვახტანგ მე-6 შესახებ მე-18 საუკუნის ფრანგულ რომანში. № 2
 ჭუნტი ვლადიმერი — გული და საუკუნე. № 2

მხოლოდ რეალიკა

- ალხანიშვილი შალვა — უმეცრება თუ დაუდევრობა? № 6

ლიბრატორული არძივიან

- მალრაძე ელგუჯა — გრ. ორბელიანის დაბადების თარიღისათვის. № 11
 ნანატაშვილი ლ. — გრ. ორბელიანის ორი უცნობი წერილი. № 11

გამოსათხოვარი

- აბაშიძე გრიგოლი — ერის პოეტი. № 8
 ავალიანი სერგი — საგლე წერეთელი. № 8
 გიორგი ლეონიძე — № 8
 სამშობლოს მოპირნახულე. № 5

წიგნების მიმოხილვა

- აბულაძე ცისანა — თურქული ქრესტომათია. № 1
 არეულაძე სიმონი — პოეტური ფიქრის სიცოცხლე. № 7
 არტემიძე ვ. — ფოლადის ქალაქის ქრონიკები. № 12
 ბათიაშვილი გურამი — „მე საქართველო აქედან ვიცი“. № 6

- ბერიძე ფილიპე — „იქნება შეც მატყვს ბევრი სათქმელი“. № 6
- ბოცვაძე იოსებო — „თერგდაღეული კირილე ლორთქიფანიძე“. № 4. „საქართველოს მკვლევართა კავშირი“
- ბრეგვაძე ჯ. — მონოგრაფია სოციალისტურ რევოლუციებზე. № 2
- გოგოლაძე ვ. — „ქართული წიგნი“. № 4
- ერემოვი ვრ. — ნაშრომი სოციალისტური ერემის განვითარების შესახებ. № 3
- ზამბაძე ვლადიმერი — აკაკი და ახალგაზრდობა. № 10
- იაკობზონი ს. ა. — საქართველოს მედიცინის ისტორია. № 8
- კობერიძე კარლო — დენთისა და კერიის კვამლი. № 2
- ლომაძე ტ. — გულწრფელი სიმღერა. № 5, გაზაფხულის ნიაფერები. № 8
- ლომაძე გივი — რომანი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე. № 12
- ლორთქიფანიძე ზ. — ბონდო კემელავას ლექსების წიგნი. № 10
- მაჭარაძე ვ. — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. № 8
- მეგრელიძე იოსებო — შესანიშნავი კრებული დიდ ქართველ მეცნიერზე. № 6
- მჭედლიშვილი გემალი — შესტამბეთა დინასტია ვრძელდება. № 11
- ნათაძე ნოდარი — ერთი დაუსაბუთებელი შეზღუდვების გამო. № 2
- ოქროშიძე თამარი — ქართული ხალხური პოეზია. № 10
- რატინი შადვა — „კიტა აბაშიძე“. № 6
- რუხაძე ნ. — ფრ. შილერის რჩეულის სამტომეული. № 12
- ფაღავა კონსტანტინე — „არშალანი“. № 8
- ქემერტელიძე იორამი — „საბედისწერო მოსახვევი“. № 5
- ქუშინიშვილი დ. — პოეტის გულსწაღები. № 7, ოთარ ჭელიძის ლექსების ახალი კრებული. № 10
- ყაუხჩიშვილი სიმონი — სახელოვანი მკვლევარი. № 3
- ციციშვილი გიორგი — კრიტიკოსის პირველი წიგნი. № 1
- წყელაური გ. — ივანე თარბას ახალი ლექსები. № 1
- ჩხენკელი თამაზი — ლია სტურუას ლექსები. № 4, ვაფრინდაშვილის ლექსების კრებული. № 11
- ხარაჩაული ბ. — ნიკო ტატიშვილის „ლიტერატურული ნაბეჭებები“. № 3
- ხმალაძე ბ. — რამდენიმე შენიშვნა. № 11
- ხუციშვილი სოლომონი — ქართული კულტურის ისტორიის მასალები. № 4
- ჭაფარიძე გ. — „განდანახული საგანძურდიანი“. № 6



УДК 80 433.

ИНДЕКС

78128

УДК 80 433.

„М Н А Т О Б И“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА„